

საქართველოს სსრ მიწნიერებათა აკადემიის
1946 წლის სამაცნიერო-კვლევითი მუშაობის
ა ნ გ ა რ ი შ ი

საქართველოს სსრ მიწნიერებათა აკადემიის გამოცემლობა
თბილისი

1947

პასუხისმგებელი რედაქტორი საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი-მდივანი ი. ვეკვა

ზაქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის 1946 წლის მუშაობის ზოგადი მიმოხილვა	1
საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	29
აკად. ნ. მარის სახ. ენის ინსტიტუტი	34
რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი	47
აკად. ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი	53
ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი	74
ფილოსოფიის ინსტიტუტი	78
ფსიქოლოგიის ინსტიტუტი	82
ეკონომიკას ინსტიტუტი	86
ვარძიის მუშეუმ-ნაკრძალი	90
მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა განყოფილება	93
ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტი	95
ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტი	100
ქიმიის ინსტიტუტი	104
გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტი	108
ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტი	113
აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია	115
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება	117
ბოტანიკის ინსტიტუტი	119
თბილისის ბოტანიკური ბალი	125
სოხუმის ბოტანიკური ბალი	128
სატექნიკო ინსტიტუტი	130
მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი	133
ნიადაგთმოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტი	137
მეცნიერება-მედიცინეობის ინსტიტუტი	139
მეცნიერება-მედიცინეობის საცდელი სადგური	143
მეცნიერების საცდელი სადგური	145
მემინდვრეობის ინსტიტუტი	148
მემინდვრეობის საცდელი სადგური	152
ტექნიკის მეცნიერებათა განყოფილება	154
ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტი	156
ენერგეტიკის სექტორი	159
ანტისეისმური მშენებლობის ბიურო	161
ბიოლოგიისა და მედიცინის მეცნიერებათა განყოფილება	163
ზოოპლოგიის ინსტიტუტი	171
აკად. ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტი	175

ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი	179
ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტი	182
კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტი	184
აკად. ნ. მარის სახ. აფხაზეთის ასსრ სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი	186
სამზრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	188
საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი	190
საქართველოს სსრ საწარმოო ძალის შემსწავლელი საბჭო	200
თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის განმარტებითი ლექსიკონის კომისია	203
თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდეგი მუდმივი სახელმწიფო კომისია	205
სამარტულო ომის შემსწავლელი კომისია	208
ბიბლიოთეკები	210
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის განყოფილებათა რიცხობრივი წევადგენლობა	212
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის განყოფილებათა პერსონალური შემადგენლობა	213
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერ თანამშრომელთა რიცხობრივი შემადგენლობა	217
საანბანო მაჩვენებელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრებისა, ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტებისა . .	218
საანბანო მაჩვენებელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებისა	221

საქართველოს სსრ მეცნიერებათა კენალების 1946 წლის გეგმაობის ზოგადი მიმოხილვა

მოხსენება, წაკითხული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადე-
მიის საერთო კრებაზე აკადემიკოსი-მდივნის ი. ვეჯუას მიერ
1947 წლის 8 მაისს.

ამხანაგებო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას ორი
თვის წინათ, თებერვალს თავისი არსებობის 6 წელი შეუსრულდა,
მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მან მხოლოდ ერთი კალენდარული
წელი იმუშავა მშვიდობიანობის პირობებში; ეს იყო გასული 1946
წელი. დანარჩენი ხუთი წლის მანძილზე აკადემიას უხდებოდა მუ-
შაობა დიდი სამამულო ომის ვითარებაში. აკადემიის დაარსების 4
თვის შემდეგ ჩვენს ქვეყანას მუხანათურად თავს დაესხა ფაშისტური
გერმანია და დამონება დაუპირა. ჩვენი ახალგაზრდა აკადემია,
მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ფეხზე დადგა სამშობლო ქვეყნის
დასაცავად. აკადემიის თანამშრომლები ფრონტზე და ზურგში თავ-
განწირვით იბრძოდნენ მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად და ოქ-
ტომშრის დიდი რევოლუციის მონაპოვრის—საბჭოთა სახელმწიფოს
დასაცავად.

სამამულო ომის დაწყებიდანვე აკადემიაშ თავისი სამუშაო გეგ-
მები გადასინგა და მაქსიმალურად დაუქვემდებარა ქვეყნის დაც-
ვის ინტერესებს. სამამულო ომის წლებში აკადემიის სამეცნიერო
დაწესებულებებმა ჩვენი პარტიისა და მთავრობის ორგანოების და-
ვალებით მრავალი თავდაცვითი ხასიათის სამუშაო შეასრულა.

სანატრელი დღე დაგვიდგა. ამხანაგი სტალინის გენიალური
წინამძღოლობით საბჭოთა ხალხმა საშინელ მტერზე სრული გა-
მარჯვება მოიპოვა და ისევ დაუბრუნდა მშვიდობიან ცხოვრებასა
და შემოქმედებას. მაგრამ ომი ძვირად დაუკდა ჩვენს ქვეყანას. მან
რამდენიმე მილიონი საბჭოთა ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და აუ-
რაცხელი მატერიალური ზარალი მოგვაყენა. ორი წელი შესრულ-
და, ასც საბჭოთა ხალხი შეუდგა მშვიდობიან შრომასა და წარმა-

ტებით იბრძვის მეოთხე სტალინური ხუთწლედის შესასრულებლად, რომლის მიზანია ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის უკელადარგის ომამდელი დონის სწრაფად აღდგენა და მისი შემდგომი განვითარების უზრუნველყოფა. კანონში მეოთხე სტალინური ხუთწლედის შესახებ მკაფიოდ არის ხაზგასმული საბჭოთა მეცნიერების როლი და მოვალეობანი ამ ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესრულების საქმეში.

ჩვენი მეცნიერების წინაშე დიდია ამოცანები და ფართო პერსპექტივა ისახება. საბჭოთა მეცნიერებას ამოცანების შესახებ ჩვენ მოგვეპოვება ამხანაგი სტალინის ისტორიული მითითებანი: „არა მარტო დავეწიოთ, არამედ უნდა გადავასწროთ კიდეც მეცნიერების მიღწევებს ჩვენი ქვეყნის მიჯნის იქით“ — აი საითეკ მოგვიწოდებს ამხანაგი სტალინი ჩვენი ქვეყნის მეცნიერებსა და სამეცნიერო დაწესებულებებს.

ეს დიდი და რთული ამოცანაა, მაგრამ საბჭოთა მეცნიერება შესძლება მას დაძლევას. რაუგან მას ამისათვის შექმნილი აქვს ყოველგვარი მორალური და მატერიალური პრიობა. დღეს საბჭოთა კავშირის ყველა სამეცნიერო დაწესებულება და მეცნიერთა კოლექტივები დაძაბულად მუშაობენ ამხანაგი სტალინის ამ ისტორიული მითითების განსახორციელებლად. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაც მთელ თავის მუშაობას წარმართავს ისე, რომ ამ დიდი ამოცანების შესრულებაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი დაიკავოს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის 1946 წლის თემა-ტიკური გეგმა შედგენილი ძირი მეოთხე სტალინური ხუთწლედის ძირითადი ამოცანების გათვალისწინებით. ეს გეგმა ძირითადად გამომდინარეობდა ჩვენი აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხუთწლიანი გეგმიდან.

აკადემიის დაწესებულებებში 1946 წლის განმავლობაში მუშადებოდა სულ 763 თემა, რომელიც ითვალისწინებდა თანამედროვე მეცნიერების სხვადასხვა დარგის მრავალი აქტუალური საკითხის გადაწყვეტას; მიღებულია თეორიულად საინტერესო და ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებისათვის ღირსშესანიშნავი მრავალი შედეგი. ვიღრე 1946 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგების მოკლე მიმოხილვაზე გადა-

ჭიდოდე, საჭიროდ მიმაჩნია დავასახელო რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი, მომხდარი ჩვენი აკადემიის ცხრვრებაში 1946 წელს და აგრეთვე მოვიყვანო ზოგი რიცხობრივი მაჩვენებელი აკადემიის ზრდისა და დღევანდელი მდგომარეობის ნათელსაყოფად.

მიუხედავად დიდი სამამულო ომით შექმნილი მძიმე პირობებისა, ჩვენი აკადემიის ზრდა და განვითარება არ შენელებულა. ის ყოველთვის ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყურადღებისა და ყოველდღიური მზრუნველობის საგანი იყო, რის შედეგადაც აკადემიამ სამეცნიერო დაწესებულებათა ქსელი საგრძნობლად გააფართოვა; საგრძნობლად გაიზარდა აგრეთვე აკადემიის ნამდვილ წევრთა და წევრ-კორესპონდენტების რიცხვი – და მეცნიერებათა ღოქტორებისა და კანდიდატების რაოდენობა. დაარსებისას, 1941 წელს, ჩვენი აკადემია აერთიანებდა 14 სამეცნიერო დაწესებულებებს ზა. მის შემადგენლობაში 16 ნამდვილი წევრი შედიოდა. 1946 წლის დასასრულს კი აკადემია აერთიანებდა 40 სამეცნიერო დაწესებულებას და მის შემადგენლობაში შედიოდა 41 ნამდვილი წევრი, ერთი საპატიო წევრი და 19 წევრ-კორესპონდენტი. 1941 წელს ჩვენი აკადემიის დაწესებულებებში მუშაობდა 337 მეცნიერი თანამშრომელი; მათ შორის 44 მეცნიერებათა ღოქტორი იყო და 107 მეცნიერებათა კანდიდატი; 1946 წლის დასასრულს კალემრის ყველა დაწესებულებაში ირიცხება უკვე 797 მეცნიერი თანამშრომელი; მათ შორის — 102 მეცნიერებათა ღოქტორი და 358 მეცნიერებათა კანდიდატი.

ამუავად ჩვენი მეცნიერებათა აკადემია შედგება ხუთი განკუთხლებისაგან: საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა განყოფილება, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება, ტექნიკის მეცნიერებათა განყოფილება და ბიოლოგიისა და მედიცინის მეცნიერებათა განყოფილება; 1941 წელს კი მხოლოდ ორი განყოფილება იყო: საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება და მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა განყოფილება.

1941 წლიდან დღემდე ჩვენი აკადემიის სხვადასხვა ინსტიტუტები და სამეცნიერო დაწესებულებებაში ასპირანტურა დამთავრა 64 კაცში, რომელთაგან 51-მა დაიცვა დისტაციაცია და მოიპოვა მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

საანგარიშო წელს შედგა ჩვენი აკადემიის საერთო კრების ორა-
სესია. ერთი მათგანი საზეიმო იყო; იგი მიეძღვნა საქართველოში
საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავს; ეს სესია დაი-
წყო 26 თებერვალს და დამთავრდა 2 მარტს. მას ესწრებოდა მრავა-
ლი სტუმარი—მოძმე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებისა.
და სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლები. 26. II-ს და
2.III-ს შედგა სესიის პლენარული სხდომები, რომლებზედაც გა-
კეიიდა 6 მოხსენება. აკად. ნამდ. წევრმა გ. ახვლედიანმა წაიკითხა მო-
ხსენება თემაზე „მეცნიერება საბჭოთა საქართველოში 25 წლის მან-
ძილზე“, რომელშიც გაშუქებული იყო მეცნიერების სხვადასხვა დარ-
გის მიღწევები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარე-
ბის შემდეგ. დანარჩენი მოხსენებანი წაიკითხეს აკად. ი.
ბერიტაშვილმა—„ადამიანისა და ცხოველთა ნერვული და ფსიქო-
ნერვული მოქმედების დამახასიათებელი ფორმები“, აკად.
ნამდ. წევრმა კ. კეძელიძემ — „მარტივი საბაზმიდელი—უც-
ნობი ქართველი მწერალი VII—VIII ს. ს.“, აკად. ნამდ. წევრმა გ.
ჩუბინაშვილმა—„X—XII ს. ს. ს სვანური საოქრომჭედლო სახე-
ლოსნოების შესახებ“, აკად. ნამდ. წევრმა არნ. ჩიქობავამ—„ქარ-
თველური ენები, მათი ისტორიული შედგენილობა და დამახასიათე-
ბელი ნიშანთვისებები“ და აკად. ნამდ. წევრმა შ. ნუცუბიძემ—„ქარ-
თული ფილოსოფიის განვითარების ისტორიული კანონზომიერებისა
პრობლემა“.

27.II, 28.II და 1.III-ს ჩატარდა განყოფილებათა სხდომები—
საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სხდომაზე, რომე-
ლიც შედგა 27.II-ს, წაკითხულ იქნა 3 მოხსენება—აკად. ნამდ. წევ-
რის გ. ახვლედიანის, მეცნ. დოქტ. ქ. ლომთათიძისა და პროფ. დ.
არაყიშვილის მიერ. მათებატიკის და ბუნებისმეტყველების მეცნიე-
რებათა განყოფილების სხდომაზე 28.II-ს მოსმენილ იქნა 3 მოხსე-
ნება—აკად. წევრ-კორესპონდენტების ი. ვეკუასი და პ. ქომეთიანი-
სა და მეცნ. დოქტ. რ. აგლაძისა. სოფლის მეურნეობის მეცნიერე-
ბათა განყოფილების სხდომაზე 1.III-ს წაკითხულ იქნა აგრეთვე 3
მოხსენება—აკად. წევრ-კორესპონდენტის მ. საბაშვილის, მეცნ.
დოქტ. ნ. ალექსიძისა და მეცნ. კანდ. დ. ტაბიძის მიერ.

აქვე აღვნიშნავ, რომ ჩვენმა აკადემიამ 1946 წელს გამოსცა რა-
მდენიმე ბროშურა, რომლებშიაც საკმაო სისრულით არის გაშუქე-
ბული მეცნიერების სხვადასხვა დარგის მიღწევები საქართველოში
საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

ჩვენი აკადემიის საერთო კრების მეორე სესია, რომელიც მიერღვნა აკადემიის ახალი ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების არჩევნებს, შედგა 26.XII-ს, 28.XII-ს და 30.XII-ს. ამ სესიაზე მოსმენილი იყო მოხსენებანი აკად. ნამდ. წევრების გ. ჩუბინაშვილის „ოქრომჭედლის ასათის ნამუშევარი ქართველთა კურაპალატის დავითისათვის“, პ. შარიასი „ფილოსოფია და მეცნიერება“ და გ. წულუკიძის „ტექნიკურ მეცნიერებათა განვითარება და მისი პერსპექტივები საქართველოში“. გარდა ამისა, ამ სესიაზე მოხდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ახალი ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების არჩევნები.

ნამდვილ წევრებად არჩეულ იქნენ: ი. გრიშაშვილი (სამხატვრო ლიტერატურა), ე. თაყაიშვილი (საქართველოს ისტორია), ბ. კუფტინი (არქეოლოგია), გ. წერეთელი (აღმოსავლეთმცოდნეობა), ი. შექუა (მათემატიკა), ვ. კუპრაძე (მათემატიკა), ი. ქუთათელაძე (ფარმაკოქიმია), ვ. გულისაშვილი (მეტყევეობა), ა. ალადაშვილი (შინაგანი სნეულებანი), ნ. ყიფშიძე (შინაგანი სნეულებანი), მ. წინამდლვრიშვილი (შინაგანი სნეულებანი), რ. აგლაძე (მეტალურგია).

წევრ-კორესპონდენტებად არჩეულ იქნენ: ა. ბარამიძე (ქართული ლიტერატურის ისტორია), ვ. ბერიძე (ქართული ფილოლოგია), ლ. მაცულევიჩი (ქართული ხელოვნების ისტორია), გ. ნიორაძე (არქეოლოგია), ი. ლომოური (მემცნარეულობა), ლ. ყანჩაველი (ფიტოპათოლოგია), ლ. კალანდაძე (ენთომოლოგია), გ. მუხაძე (სააღმშენებლო მექანიკა), ვ. ასათიანი (ბიოქიმია), ღ. გედევანიშვილი (ფიზიოლოგია), ვ. ულენტი (პათოლოგიური ანატომია).

1946 წ. 4 მაისს შედგა ჩვენი აკადემიის ნამდვილ წევრთა საერთო კრება, რომელზედაც მოსმენილი იყო აკადემიის პრეზიდენტის აკად. ნ. მუსხელიშვილის მოხსენება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ამავე სხდომაზე მიღებული იყო დადგენილება ფილოსოფიის, ნიადაგთმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის, ექსპერიმენტული მორფოლოგიის და ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტებისა და კარდიოლოგიის სექტორის დაარსების შესახებ. გარდა ამისა, აღნიშნულ სხდომაზე განხილულ იქნა რამდენიმე საორგანიზაციო საკითხი.

საანგარიშო წელს ჩატარდა აკადემიის პრეზიდიუმის 27 სხდომა, რომლებზედაც გაირჩა 299 სხვადასხვა საკითხი.

დიდი მუშაობა ჩატარეს ჩვენი აკადემიის ნამდვილმა წევრებმა, წევრ-კორესპონდენტებმა და სხვა თანამშრომლებმა მეცნიერებისა. ღა ტექნიკის მიღწევათა პროპაგანდის დარგში. აკადემიის თანამშრომლები კითხულობდნენ ლექციებს და მოხსენებებს როგორც უადემიასთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის პროპაგანდის. საბჭოს დავალებით, ისე. სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებათა თხოვნით. აკადემიის თანამშრომლების მიერ საანგარიშო წელს წაკითხულია 316 სამეცნიერო-პოპულარული მოხსენება.

გარდა ამისა, აკადემიის გარეთ ჩვენი თანამშრომლების მიერ, წაკითხულია 374 სამეცნიერო ხასიათის მოხსენება.

ცალკე უნდა აღინიშნოს აკად. ნამდ. წევრის პ. შარიას მოხსენება თემაზე „ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზები“, წაკითხული საქართველოს საბჭოთა მწერლების მესამე ყრიალობაზე 1946 წლის 9 სექტემბერს. ამ შესახისშნაფ მოხსენებაში გაშუქებულია ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების შრავალი პრინციპული საკითხი საკავშირო კომუნისტური პარტიის (გ). ცენტრალური კომიტეტის მიერ 1946 წ. 14 აგვისტოს უურნალებისა „ზეზღასა“ და „ლენინგრადის“ შესახებ მიღებული. ისტორიული დადგენილების სინათლეზე.

1946 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად არჩეული იქნენ აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი, ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი ს. ჯანაშია, აკად. ნამდ. წევრი პ. შარია და ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის დირექტორი პროფ. რ. აგლაძე (ამჟამად აკად. ნამდ. წევრი და ვიცე-პრეზიდენტი).

საანგარიშო წელს სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ ასპარეზზე წარმატებით მუშაობისათვის ჩვენი აკადემიის 43 თანამშრომელი დაჯილდოვებულ იქნა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ორდენით, ხოლო 24—მედლებით. ორდენებით დაჯილდოვებულთა შორის 23 აკადემიის ნამდვილი წევრია და 12 წევრ-კორესპონდენტი.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ჩატარდა საზეიმო სხდომა (27. VI), მიძღვნილი გამოჩენილი ქართველი მეცნიერის

ი. თარხნიშვილის დაბადების 100-წლისთავისადმი და დაწესდა მისი სახელობის პრემია, რომელიც 3 წელიწადში ერთხელ მიენიჭება აკადემიის პრეზიდიუმის მიერ ბიოლოგისა და მედიცინის მეცნიერებათა დარგში საუკეთესო გამოკვლევის აკტორს ან ავტორთა კოლექტივს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით აკადემიასთან ჩამოყალიბდა აკად. ს. ჯანაშიას თავმჯდომარეობით თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია, რომელმაც ნაყოფიერი მუშაობა გაშალა.

საანგარიშო წელს სიკვდილმა გამოსტაცა ჩვენს რიგებს ჩვენი აკადემიის საპატიო წევზრი ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე ბოგომოლები, მოქმედ უკრანის საბჭოთა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი დიდი ხნის განმავლობაში და საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. ა. ბოგომოლების სახით ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა უდიდესი მეცნიერი, საბჭოთა ქვეყნის დიდი პატრიოტი და მოქალაქე, რომელმაც თავისი მნიშვნელოვანი აღმოჩენებით გაამდიდრა ბიოლოგიის მეცნიერებათა მრავალი დარგი.

გადავდივარ ახლა ჩვენი აკადემიის 1946 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგების მოკლე მიმოხილვაზე. ეს იქნება შეტად მოკლე მიმოხილვა იმ მრავალფეროვანი შემოქმედებითი მუშაობისა, რომელიც წარმოებდა აკადემიის სხვადასხვა ინსტიტუტებსა და სამეცნიერო დაწესებულებაში საანგარიშო წელს.

აქვე აღნიშნავ, რომ პრეზიდიუმის დადგენილებით წელს ცალკე წიგნად გამოვა აკადემიის 1946 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ანგარიში, საღაც საკმაო სისრულით გაშუქდება ცალკეულ სამეცნიერო დაწესებულებათა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება, რომელიც აერთიანებს 7 სამეცნიერო ინსტიტუტსა და ერთ მუზეუმ-ნაკრძალს (ისტორიისა, ენისა, ქართული ხელოვნების ისტორიისა, ფილოსოფიისა, ფიქტოლოგისა, ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ეკონომიკის ინსტიტუტები და ვარძის მუზეუმ-ნაკრძალი), საანგარიშო წელს ამუშავებდა 201¹ თემას. დამთავრებულია, გეგმით

გათვალისწინებული მოცულობით, 187 თემის დამუშავება. განყოფილებამ ჩატარა 4 სამეცნიერო სესია; ისინი მიეძღვნა ენათმეცნიერების, ფსიქოლოგიის, ქართული ხელოვნების ისტორიის, ქართული მუსიკის ისტორიისა და ქართული აზროვნების ისტორიის საკითხებს. ამ სესიებზე წაკითხული იყო 27 მოხსენება. გარდა ამისა, ენის, ქართული ლიტერატურის ისტორიის, ქართული ხელოვნების ისტორიისა და ფილოსოფიის ინსტიტუტებმა მოაწყვეს საკუთარი სამეცნიერო სესიები, რომლებზედაც წაკითხულ იქნა 145 მოხსენება. გამოქვეყნდა განყოფილებაში შემავალი დაწესებულებების თანამშრომელთა 127 სამეცნიერო ნაშრომი, გადაეცა დასაბეჭდად €8 და გამზადებულია დასაბეჭდად 77.

განყოფილების დაწესებულებათა თანამშრომელებმა დაიცვეს 9 საღოქტორო და 11 საკანდიდატო დისერტაცია.

აკად. ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტში დიდი მუშაობაა ჩატარებული საქართველოს ისტორიის მეორე ტომის შედგენისათვის საჭირო მასალების დასაგროვებლად. ეს ტომი მოიცავს ჩვენი სამშობლოს ისტორიას XIX საუკუნის დამდეგიდან დღემდე. მუშაობა ამჟამად გრძელდება იმ ვარაუდით, რომ ეს ტომი გამოსაცემად დამზადდეს მიმღინარე წლის ბოლოსათვის. ზემო ინსტიტუტი დიდი მასშტაბით განაგრძობდა წინა წლებში დაწყებულ არქეოლოგიურ გათხრებს; მუშაობა წარმოებდა მცხეთა-არმაზის ტერიტორიაზე (ბაგინეთი, არმაზის ხევი), სამხრეთ ოსეთში (ნაცარგორა) და კოლხეთში (ს. ყულევი). მოპოვებულია ბევრი ლირს-შესანიშნავი ახალი მასალა, რომელიც შუქსა ჰყენს ჩვენი სამშობლოს ისტორიის მრავალ საკვანძო საკითხს.

დამზადდა დასაბეჭდად მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის „შრომების“ I ტომი, რომელშიაც შესულია არმაზის ხევის გათხრების შედეგები. იგი შეიცავს მრავალ საინტერესო მასალას საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხის გასაშუქრებლად ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში.

აკად. ნ. მარის სახ. ენის ინსტიტუტი საანგარიშო წელს განაგრძობდა მუშაობას ქართველური, კავკასიური და აღმოსავლური ენებისა და აგრეთვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხების შესასწავლად. ამ ინსტიტუტში მიღებული მრავალი საინტერესო შედეგიდან მე აღვნიშნავ მხოლოდ ერთს. XI—XVIII საუკუნეების ქართული

ენის წერილობითი ძეგლების ენის შესწავლისა და ქართულისა და სვანურის ცოცხალი კილოების გამოკვლევის შედეგად მიღებულია საკმაოდ ნათელი წარმოდგენა ქართულის თავისებურებათა და ახალი ქართულის საწყისების დამახასიათებელი ნიშნების შესახებ და აგრეთვე ცოცხალი კილოებისა და მათი ურთიერთობის შესახებ მომიჯნავე კილოებთან.

ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში შესრულებულია გამოკვლევა ტაო-კლარჯეთის შესანიშნავი ხუროთმოძღვრების ძეგლების შესახებ და ჩატარებულია XI ს. მნიშვნელოვანი ძეგლის, სამთავისის ტაძრის აზომვა. შესწავლისა აგრეთვე საფარისა და თირის მონასტერთა ანსამბლი, რკონის ეგვტრები, ტუსიშვილის ული სახლი ნინოწმინდაში, რომელიც XIX—XVIII ს. ს. დამახასიათებელ ძეგლებს წარმოადგენნ.

რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში, რომელიც განაგრძობდა საანგარიშო წელსაც კვლევით მუშაობას როგორც ძეველი, ისე ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებზე, მიღებულია ბევრი საყურადღებო შედეგი. აღსანიშნავია, კერძოდ, აღმოჩენა VI ს. მიწურულისა და VII ს. დამდეგს მისტიკური შინაარსის თხზულებისა „სინანულისათვის და სიმდაბლისა“, რომელიც ქართველ მწერალს მარტვირი საბაწმილელს ეკუთვნის. ამ თხზულების გამოვლინება და შესწავლა მნიშვნელოვანი შენაძენია. ძეველი ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის.

ფისიქოლოგის ინსტიტუტში გრძელდებოდა მუშაობა განწყობის თეორიის გაღრმავებისა და განვითარების მიმართულებით და, წინა წლების მუშაობის შედეგების საფუძველზე, ჩატარებულია განწყობის იმ ფორმების შესწავლა, რომელნიც სპეციფიკურია ადამიანისათვის. აღსანიშნავია ამ მიმართულებით განწყობის გადამწყვეტი როლის დადასტურება ჩვევების შემუშავების პროცესში.

ფილოსოფიის ინსტიტუტში დიდი მუშაობა იყო გაშლილი მარქ-სისტულ-ლენინური ფილოსოფიის სხვადასხვა საკითხის დასამუშავებლად, ფილოსოფიის კლასიკოსების მემკვიდრეობის შესასწავლად და თანამედროვე ბურუჟაზისული ფილოსოფიის სხვადასხვა მიმღინარეობის ბუნებისა და რაობის გასაშუქებლად დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციებიდან. დიდი მუშაობაა ინსტიტუტის

შეირ ჩატარებული ამხანაგი სტალინის ადრინდელ შრომებში გაშუქებული ფილოსოფიური საკითხების შესასწავლად; ამ მიმართულებით დამუშავდა თემები: „ი. ბ. სტალინის სწავლება იღების როლის შესახებ საზოგადოების განვითარებაში 1901—1907 წ. წ. შრომების მიხედვით“ და „ფორმისა და შინაარსის პრობლემა ი. ბ. სტალინის ადრინდელ შრომებში“. 1946 წ. დაბუშავებულია დიდი ნაწილი თემისა „თანამედროვე ამერიკული ფილოსოფიის ძირითადი მიმართულებანი“, რომლის დამთავრება გეგმით განზრახულია 1947 წელს.

ეკონომიკის ინსტიტუტში დამუშავებულია თემა „საქართველოს მსხვილი მრეწველობის მნიშვნელობა სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით და მისი ძირითადი დარგები“, რომელშიაც მოცემულია მსხვილი მრეწველობის დარგების ურთიერთშეფარდების დინამიკა და მისი შეცვლის მიზეზები მეოთხე ხუთწლედის ამოცანებთან დაკავშირებით.

ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის მუშაობაში აღსანიშნავია კლდეში გამოკვეთილი 10 სენაკის აზომვა და პასპორტიზაციის დაწყება ზემო ქართლის არქეოლოგიურ ცნობათა წიგნის შესაღენად.

მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა განყოფილება, რომელიც აერთიანებს 6 სამეცნიერო დაწესებულებას (ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის, ფიზიკისა და გეოფიზიკის, გეოლოგიისა და მინერალოგიის, ქიმიისა და ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტები და აბასთუმნისასტროფიზიკური ობსერვატორია), ამუშავებდა 141 თემას, რომელთაგან, გეგმით გათვალისწინებული მოცულობით, შესრულებულია 127.

განყოფილებამ ჩატარა 2 სამეცნიერო სესია, რომელთაგან პირველი მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავს, ხოლო მეორე—ასტროფიზიკის საკითხებს. სულ წაკითხულ იქნა 8 მოხსენება. განყოფილების დაწესებულებათა თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებულია საანგარიშო წელს 97 სამეცნიერო შრომა, გადაცემულია დასაბეჭდად 33 და დამზადებულია 39, დაცულია 2 საღოქტორო და 6 საკანდიდატო დისერტაცია.

შრომ. ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტში ნაყოფის მუშაობა წარმოებდა დიფერენციალურ და ინტეგრალურ განტოლებათა თეორიაში, კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეო-

რიის სასაზღვრო ამოცანების გადასაწყვეტად, თეორიული მა-
თემატიკის სხვადასხვა დარგში, მიახლოებით ანალიზში და მექა-
ნიკაში, კერძოდ, დრეკადობის თეორიაში. ამოხსნილია კომპლექსუ-
რის ცვლადის ფუნქციათა თეორიის რამდენიმე კლასიკური ამოცანა,
რომელიც დღემდე ბოლომდე არ იყო შესწავლილი, მიუხედავად
იმისა, რომ მათი ამოხსნა ამ უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მან-
ძილზე მრავალმა ავტორიტეტულმა მეცნიერმა სცადა.

ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტი აგრძელებდა მუშაობას
პრობლემაზე „საქართველოს ტერიტორიის გეოფიზიკური დახასია-
თება“; ამ მიზნით ჩატარებულია საქართველოს სხვადასხვა რაიონ-
ში მაგნიტური, სეისმომეტრიული და ჟევა ექსპედიციები. აღსანიშ-
ნავია ინსტიტუტში შესრულებული გამოკვლევები საქართველოსი
და საერთოდ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე სეისმური მოვლენების
რეგისტრაციისა და შესწავლისათვის.

გეოლოგისა და მინერალოგის ინსტიტუტმა დაიწყო აღმოსავ-
ლეთ საქართველოს ნავთიანი რაჭონების სტრატიგრაფიისა, ტექტო-
ნიკისა და გეომორფოლოგიის შესწავლა. ეს მხარე, რომელიც
შოიცავს სამგორის საირიგაციო ტერიტორიასაც, გეოტექტონიკური
კვანძია, სადაც საქართველოს და აზერბაიჯანის ბელტება და აჭარა-
თრიალეთის ნაოჭა ქედები ერთმანეთს ხვდება. უკვე მიღებული
შედეგები მნიშვნელოვანია გეომორფოლოგიასა, ტექტონიკისა და
ფაციესთა განაწილების თვალსაზრისით და მათ უკველად გამო-
ყენება ექნება საქართველოში ნავთის მრეწველობის შემდგომი
განვითარებისათვის.

ქიმიის ინსტიტუტში გრძელდებოდა ნორიოს და სუფსის ნავთო-
ბის საბადოების ახალი ჭიაბურლილების წყლების ქიმიური შესწავ-
ლა და დადგენილია მათში სამრეწველო მნიშვნელობით იოდისა და
ბრომის შემცველობა. ამავე ინსტიტუტში მიღებული შედეგებიდან
აღსანიშნავია მერისის (აჭარა) სპილენძის მაღნისა და ბათომის
ნავთისახდელი ქარხნის ნარჩენებში შერჩენილი გოგირდმჟავადან
შაბიამნის სამრეწველო რაოდენობით მიღების ტექნოლოგიური
სქემისა და მეთოდიკის დამუშავება. ეს მეთოდი უკვე მოწმდება
ნახევრად ქარხნულ დანადგარებზე, რისთვისაც საქართველოს სსრ
სახელმწიფო საგეგმო კომისია ამუშავებს სათანადო ღონისძიე-
ბებს.

ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტმა მუშაობა ჩაატარდა საქართველოს გეოგრაფიის ვრცელი და მოყლე ვარიანტების შესადგენად. ეს შრომა შევა, როგორც ნაწილი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის მიერ გამოსაცემად განზრახულ „სსრ კავშირის გეოგრაფიაში“.

აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში 1946 წელს დამთავრებულია დიდი სამუშაო — კაპტეინის 43 არეში 14 ათასი მეტრთალი ვარსკვლავის კოლორ-ინდექსების განსაზღვრა, რომელიც უკანასკნელი სტადიაა ვარსკვლავთა კოლორ-ინდექსების კატალოგის აგების საქმეში. დამთავრდა აგრეთვე ე. წ. ცეფეიდების ტიპის ვარსკვლავთა განსაზღვრა.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება, რომელიც აერთიანებს 11 სამეცნიერო დაწესებულებას (ბოტანიკის, მცენარეთა დაცვის, მევენახეობა-მეღვინეობის, მემინდვრეობის, სატყეო, ძძაღაგმცოდნეობის, აგროქიმიქისა და მელიორაციის ინსტიტუტები, მეხილეობის, მევენახეობა-მეღვინეობის, მემინდვრეობის საცდელი სადგურები, თბილისისა და სოხუმის ბოტანიკური ბაღები), ამუშავებდა 194 თემას, რომელთაგან, გეგმით გათვალისწინებული მოცულობით, დასრულებულია 191. საანგარიშო პერიოდში შედგა განყოფილების სამი სამეცნიერო სესია, რომლებზედაც წაკითხულ იქნა 16 მოხსენება. ეს სესიები მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავსა და მევენახეობა-მეღვინეობის საკითხებს.

განყოფილებაში გაერთიანებულ დაწესებულებათა თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებულია 20 ნაშრომი, გადაცემულია დასაბეჭდად 35, დაცულია 1 სალოქტორო და 12 საკანდიჭატო დისტრიცია.

ბოტანიკის ინსტიტუტმა ჩაატარა მნიშვნელოვანი მუშაობა ვაზის ავადმყოფობის ქლოროზის პრობლემის შესასწავლად. დადგენილია ამ ავადმყოფობის ფიზიკოლოგიური ნიშნები, რომელთაც მნიშვნელობა აქვს მისი წინასწარი დიაგნოსტიკისათვის. ამავე ინსტიტუტში დატვირთვისა, ლომის ორი ჯგუფი — „კულტურული“ და „ველური“, რომლებიც, როგორც გამოიჩინა, ცალკე სახეობებს წარმოადგენს; კულტურულ სახეობაში დაღენილია 16 სახე-სხვაობა, მათ შორის 11 პირველადაა მოყვანილი. ვეგეტაციური

გამრავლების პრობლემასთან დაკავშირებით შესწავლილია ყლორტის ფიზიოლოგიური პოლარობა, რომლის დროსაც გარკვეულია ვაზის კალმების დაფესვიანების პირობები და ყლორტის მეტამერების სხვაობა.

თბილისის ბოტანიკურ ბაღში დამუშავებულია თემა „უცხო მერქნიანი ჭიშების ზრდის რიტმი და ვეგეტაციის პერიოდები თბილისის ბოტანიკურ ბაღში“. გამოკვლევის შედეგები წყვეტს მცენარეთა აკლიმატიზაციის პრობლემის მრავალ თეორიულ საკითხს.

სოხუმის ბოტანიკურმა ბაღმა გადასცა დასაბეჭდად „Флора Абхазии“-ს III ტომი.

სატყეო ინსტიტუტში დამუშავებულია თემა „კორპის მუხის ინტროდუქცია საქართველოში“, რის შედეგადაც გადაწყდა ამ მცენარის მოშენების სხვადასხვა საკითხი და მიღებული დასკვნების მიხედვით საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტრო უკვე აშენებს დასავლეთ საქართველოში კორპის მუხის პლანტაციებს.

მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში შესწავლილია ლიმონის ახალი ავადმყოფობა „მალ-სეკო“ და დამუშავებულია მასთან ბრძოლის ღონისძიებათა გარკვეული სისტემა, რომელიც უკვე გადაცემულია პრაქტიკაში გასატარებლად. წარმოებდა აგრეთვე პომიდორის ვირუსოვანი დაავადების—„სტოლბურის“ („ქაჩალას“) შესწავლა; დადგენილია მისი გადამტანი მწერი—ჭიჭინობელა. დამუშავდა დაავადებასთან ბრძოლის ღონისძიებანი და გადაეცა წარმოებას.

თელავის მეცნიერება-მეცნიერების ინსტიტუტში ჩატარებული მუშაობის შედეგად დადასტურდა და დაზუსტდა მესხეთში მეცნიერების აღდგენა-განვითარების შესაძლებლობანი. შემუშავდა მეთოდი ვაზის დიდმოსავლიანი მოდგმების გამოსავლენად. შესწავლილია საქართველოს სხვადასხვა კუთხის მიკრორაიონის ღვინოები. დადგენილია მეთოდი ღვინის საღებავი ნივთიერების განსაზღვრისათვის.

ნიადაგთმცოდნეობის, მელიორაციისა და აგროქიმიის ინსტიტუტმა ჩატარა ნიადაგის გამოკვლევები მესხეთში, რაჭა-ლეჩეუმში. და ღმანისის რაიონში. სულ გამოკვლეულ რენა 155 ათასი ჰექტარი.

სკრის მეხილეობის საცდელ სადგურში დადგენილია ხეხილის გადაგინის მოვლა-დამუშავების ოთხმინდვრიანი სისტემა საშუალო (10—25 წ.) და ძველი (25 წ. მეტი) ბაღებისათვის.

გარდაბნის მემინდვრეობის ინსტიტუტში სანაწილო კულტურების, როგორც სარწყავ პირობებში ხორბლის და სიმინდის წინაშორბედთა, შესწავლამ ცხადჰყო მათი სათანადო შერჩევით ხორბლის მოსავლის 5—6 ცენტნერითა, ხოლო სიმინდისა 7—8 ცენტნერით გადიდების შესაძლებლობა ჰქექტარზე.

აჯამეთის მემინდვრეობის საცდელ სადგურში დადგენილია საშემოდგომო ხორბლის თესვის ოპტიმალური ვადები და ნორმები დასავლეთი საქართველოს დაბლობი ზონისათვის; გამოვლენილია იქაურ თესლბრუნვაში დასათესად საშემოდგომო ხორბლის საუკეთესო ჯიშები, მათი მოსავლიანობა და სხვა სამეურნეო თვისებები.

საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის საცდელ სადგურში გამოვლენილია ვაზის ადგილობრივი ჯიშების მაღალმოსავლიანი ნოდგმები; დადგენილია ვენახების განყიერებისათვის სასუქების ნორმები და სხვა.

საანგარიშო წელს სოფლის მეურნეობის განყოფილების დაწესებულებებმა დაამუშავა და მიაწოდა წარმოებას 24 სხვადასხვა მითითება, წინადადება და ინსტრუქცია.

ტექნიკის მეცნიერებათა განყოფილება, რომელიც აერთიანებდა 3 სამეცნიერო დაწესებულებას (ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტი, ენერგეტიკის სექტორი და ანტისეისმური მშენებლობის ბიურო), ამუშავებდა 26 თემას, რომელთაგან, გეგმით გათვალისწინებული მოცულობით, შესრულდა 17. განყოფილებაში გაერთიანებულ თანამშრომელთა მიერ გამოქვეყნებულია 13 შრომა, დასაბეჭდად გადაცემულია 12 და დაცულია 3 საკანდიდატო დისერტაცია.

ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტში მიღებულ იქნა თუთიგა-მანგანუმის ახალი შენაღნობები უშუალოდ მათი მარილების წყალსნართა ელექტროლიზით. გარდა ამისა, ჭიათურის ფორებიანი მაღნის მეტალურგიული თვისებების შესწავლამ ცხადჰყო ამ მაღნის გამოყენების შესაძლებლობა კაზმში სილიკო-მანგანუმის მისაღებად, რაც საგრძნობლად აიაფებს ამ შენაერთის მიღებას.

ჭიათურაში ჩატარებულია გამოცდა ახალი კონსტრუქციის ხის ბიგებისა, რომელიც დამუშავებულია აღნიშნულ ინსტიტუტში. ეს ბიგები და მათი მეორე კონსტრუქცია—ბიგების გადასატანი ქუს-

ლები მიღებულია ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მიერ წარმოებაში დასანერგად, რითაც მიღწეული იქნება ხე-ტყისა და რკინის მასალების საგრძნობი ეკონომიკა.

ენერგეტიკის სექტორში წარმოებდა მუშაობა საქართველოს პიღროენერგეტიკული რესურსების აღრიცხვის ახალი მეთოდოლოგიის დამუშავებისა და მტკვარზე 3 მსხვილი პიღროენერგეტიკული ობიექტის სქემის შესაღენად, რაც ნაწილია. დიდი პრობლემისა „საქართველოს მსხვილი ენერგეტიკა“, რომელსაც ენერგეტიკის სექტორი ამუშავებს. .

ანტისეისმური .. მშენებლობის ბიუროს მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგებიდან აღსანიშნავია ქვის თაღების მსუბუქი ბეტონის თაღებით შეცვლის შესაძლებლობის შესწავლა სეისმოგამძლუ კონკრეტუქციების დაღვენის მიზნით. ამსაკითხის შესახებ ძირითადად დამთავრებულია მონოგრაფიის შედგენა. წარმოებდა აგრძელებული ანტისეისმური მშენებლობის ინსტრუქციის დაზუსტება.

ბიოლოგიისა და მედიცინის მეცნიერებათა განყოფილება, რომელიც აერთიანებს 5 სამეცნიერო დაწესებულებას (აკად. ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის, ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და ჰემატოლოგიის, ექსპერიმენტული მორფოლოგიის, კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტები) ამუშავებდა 62 თემას, რომელთაგან, გეგმით გათვალისწინებული მოცულობით, მუშაობა დასრულდა 56 თემაზე. განყოფილებაშია 2 სესია, მიძღვნილი ფიზიოლოგიისა და ზოოლოგიის საკითხებისადმი, რომლებზედაც წაკითხული იყო 12 მოხსენება. განყოფილების დაწესებულებათა თანამშრომლების მიერ გამოჭვენებულია 18 ნაშრომი, გადაცემულია დასაბეჭდად 29, დამზაღებულია 25, დაცულია 2 საღოქტორო და 1 საკანდიდატო დისერტაცია.

აკად. ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტში მიღწეულია საყურადღებო შედეგები. ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის მოქმედების, ცხოველთა ინდივიდური ქცევის, ნერვული სისტემის პათოფიზიოლოგიის, ცენტრალური ნერვული სისტემის აღნაგობისა და ნერვული სისტემისა და კუნთის ბიოქიმიის შესწავლაში.

დაღვენილია, რომ ძალის ინდივიდური ქცევის გამომუშავების

სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ფაქტორია მიზეზი „განწყობის“ წარმოშობისა და რომ განწყობა შედეგია აღზნებადობის მატებისა დიდი ტვინის ქერქის ვანსაზღვრულ მამოძრავებელ ცენტრებში.

ზოოლოგიის ინსტიტუტში დამთავრდა მონოგრაფიები: 1. საქართველოში გავრცელებული მინდვრულების ქვეოჯახის შესახებ და 2. საქართველოში გავრცელებული ჩლიქოსნების შესახებ.

მორფოლოგიის დარგში დამუშავდა თემები: „წვრილი ნაწლავის დისტალური ნაწილის ვასკულარიზაციის თავისებურებანი“ და „გარდამავალი ეპითელის ჭირკვლოვანი წარმოქმნები“.

პრობლემით — „ადამიანის სისტემათა და ორგანოთა განვითარების კანონზომიერებანი“, დამუშავდა თემა „ქართველ ბავშვთა და ძოზარდთა განვითარების სტანდარტები დაბალებიდან 20 წლამდე“; შედგა ბავშვების ფიზიკური განვითარების ცხრილები და დადგენილია ამ განვითარების 7 პერიოდი.

ჭირურგიისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტში მუშავდებოდა კუკისა და თორმეტგოჭა ნაწლავის დაავადების პათოლოგიისა და ქირურგიის მნიშვნელოვანი საკითხები — ფართო რეზექციის უპირატესობა, წყლულოვანი კუჭის პათომორფოლოგია, რეზექციის გავლენა ანემიის განვითარებაზე და სხვა.

კარდიოლოგიის ინსტიტუტში გაშუქდა თირკმლის ფაქტორი ე.წ. რენული ჰიპერტონიის წარმოშობაში; პათოანატომიურ მასალაზე დადგენილია აგრეთვე გულსისხლმილთა დაავადების სიხშირე და ხასიათი ჩვენში.

პრეზიდიუმთან არსებული დაწესებულებანი (აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, საწარმოო ძალთა შემსწავლელი საბჭო, სამამულო ომის ისტორიის შემსწავლელი და ქართული განმარტებითი ლექსიკონის კომისიები) ამუშავებდნენ 139 თემას, რომელთაგან, გეგმით ნავარაუდევი მოცულობით შესრულებულია 125.

სამხრეთი ოსეთის ინსტიტუტმა ჩაატარა 1 სესია, მიძლვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავისადმი, რომელზედაც წაკითხულ იქნა 5 მოხსენება.

პრეზიდიუმთან არსებული დაწესებულებების თანამშრომელთა შეკრიცულია 5 საკანდიდატო დისერტაცია (1 აფხაზეთის ანსტი-

ტუტში და 4 მუზეუმში); გამოქვეყნებულია 12 ნაშრომი, დასაბეჭდად გადაეცა 32 და დამზადდა 16.

აკად. ნ. მარის სახ. აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი განაგრძობდა ნაყოფიერ მუშაობას აფხაზური ენისა, ეთნოგრაფიისა, ძელი ქალაქების ისტორიისა და სასაჩიგებლო ნამარხების შესწავლის დარგში. სამხრეთი ოსეთის ინსტიტუტი სწავლობდა ოლქის ისტორიისა, კულტურისა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა საკითხებს.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კოლექციები გამდიდრდა წლის განმავლობაში 10947 ექსპონატით, რომელთაგანაც აღსანიშნავია ქვემო სვანეთის სოფ. ჩუკულის მთავარი ანგელოზის ეკლესის ჩუქურთმიანი კარი XII ს., ი. ჭავჭავაძის წერილის დედანი „ბატონ იანოვსკის წერილის გამო“, ვახუშტი ბატონიშვილის ავტოგრაფიული კრებული, ვახტანგ VI ნაქონი კარაბალინი XV ს., რომელშიაც ვახტანგის საკუთარი ხელით ნაწერი ანდერძი აღმოჩნდა, ახალქალაქის რაიონის პალეონტოლოგიური და პეტროგრაფიული კოლექცია შუა და ქვედა ეოცენის ნუმულიტიდებისა, სომხეთის მშრომელთა მიერ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავის გამო ქართველი ხალხისათვის მიძღვნილი „ვეფხის ტყაოსნის“, ზანს XVII საუკუნის მე-2 ნახევრის, ხელნაწერი და მრავალი სხვა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავშე მუზეუმმა აღადგინა 3 უწინდელი, ომის დროს გაუქმებული ვამოფენა და მოაწყო 6 ახალი გამოფენა.

მუზეუმში მიმდინარეობდა აგრეთვე ინტენსიური სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მრავალ დარგში; აღსანიშნავია შრომები: „მდინარეების ლიახვის, ფრონისა და ყვირილის აუზებში მოწყობილი 1945 წ. სამარშრუტო არქეოლოგიური ექსპედიციის მასალები“, „სოფ. ალში აღმოჩენილ განძის XIV ს. ჯუჩიდური ფული“ და სხვა.

ნაყოფიერად მუშაობდა ქართული განმარტებითი ლექსიკონის კომისია; მან შეავსო 1 ტომის სიტყვანი და ნაწილობრივ დააგრძოვა შემდეგი ტომების მასალა—47407 ზმნური ერთეული. ექსპედიციებში შეგროვდა და შემოწმდა საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონში შესული 8000 სიტყვა; შედგენილია 13078 სიტყვა—

სტატია (65 თაბახი) და ჩედაქცია გაუკეთდა 3600 სიტყვა-სტატიას (16,2 თაბახი), რაც I ტომის ნახევარს შეადგენს.

სამამულო ომის ისტორიის შემსწავლელი კომისია განაგრძობდა მასალების შეკრებას და დააგროვა 100 საქმე 1779 ფურცელზე; ძირითადად დამთავრდა რამდენიმე მონოგრაფია.

აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკისა და სამეცნიერო დაწესებულებათა ბიბლიოთეკების ფონდები გამდიდრდა 49933 წიგნ-ერთეულით; მათ 1073 პირს გაუწიეს მომსახურეობა 42983 წიგნ-ერთეულით და გასცეს 1899 ბიბლიოგრაფიული ცნობა.

საანგარიშო წელს გამოვიდა „მოამბის“ VII ტომის 8 ნომერი ქართულად და რუსულად და აგრეთვე რამდენიმე ნომერი წინა წლის ტომისა. გამომცემლობამ გამოუშვა 36 სახელწოდების სხვა-დასხვა წიგნი 483 თაბახის მოცულობით.

ზემოთმოყვანილი ცნობები აკადემიის 1946 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ, რასაკვირველია, როგორც თავიდან-ვე იყო ნათქვამი, სრული არ არის, მაგრამ ამ ცნობებიდან აშკა-რად ჩანს ის დიდი შემოქმედებითი მუშაობა, რომელიც წარმოებდა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებში.

ჩვენი აკადემიის თანამშრომლების მიერ 1946 წელს გადაწყვეტილია მრავალი საინტერესო და აქტუალური მეცნიერული საკითხი; ბევრი ამ საკითხთაგანი მჭიდროდაა დაკავშირებული ჩვენი ჯევანის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარების ამოცანებთან.

აღნიშნული მიღწევების გვერდით არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ნაკლოვანებანიც, რომელნიც ჩვენი აკადემიის საქმიანობას თან ახლდა საანგარიშო პერიოდში.

ჩვენი ინსტიტუტების ზოგი თანამშრომელი არ მუშაობდა სა-თანადო ინტენსივობით და ამის გამო თემების ნაწილი შეუსრულებელი დარჩა. 763 თემიდან, რომელიც აკადემიის დაწესებულებებში მუშავდებოდა 1946 წელს, გეგმით ნავარაუდევი მოცულობით თავის დროზე შესრულებული - არ იყო 60 თემა. გარდა ამისა, საქმაო ყურადღებით რომ განვიხილოთ ინსტიტუტების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები 1946 წლის სამეცნიერო - კვლევითი მუშაობის შესახებ, აღმოჩნდება, რომ თემების ნაწილი, მართალია, ფორმალური მონაცემების მი-

ჭედვით შესრულებულია, მაგრამ მათი შესრულების დონე არა დგას თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნილების სიმაღლეზე. ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენი აკადემიის ზოგი ინსტიტუტის მუშაობის პრაქტიკაში ჭერ კიდევ არაა მიგნებული ისეთი ხერხი, რომელიც მოგვცემს საშუალებას შევამოწმოთ, თუ რამდენად მაღალხარისხოვნად არის შესრულებული თემები. აკადემიის პრეზიდიუმს, განყოფალებათა ბიუროებსა და სამეცნიერო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს ამ მიმართულებით ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველი თემა, რომელიც მუშავდება აკადემიის სისტემაში, იყოს აქტუალური, იდგეს თანამედროვე მეცნიერებას მოთხოვნილებების სიმაღლეზე და უპასუხებდეს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების ამოცანებს. აკადემიის პრეზიდიუმმა უნდა შეიმუშავოს სამეცნიერო თემების შესრულების ანგარიშების ისეთი წესები, რომელიც მოგვცემს საშუალებას ყოველი თემის შესრულება შევამოწმოთ არა მარტო ფორმალური მაჩვენებლების მიხედვით, რაც აგრძელებულია, არამედ, რაც მთავარია და არსებითი, იმ თვალთახედვით, თუ რამდენად თემის შესრულების დონე დგას თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნილების სიმაღლეზე და რამდენად მნიშვნელოვანია მიღებული შედეგები სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკისათვის.

ამ ამოცანის დადებითად გადაწყვეტისათვის უწინარეს ყოვლისა აუცილებელია, რომ ის პირები, რომელიც აკადემიის ინსტიტუტებში სამეცნიერო თემატიკას გეგმივენ და თემების შემსრულებელნი არიან, იდგნენ სათანადო სიმაღლეზე თავიანთი მეცნიერული კვალიფიკაციით და შემოქმედებითი უნარით; აუცილებელია რომ აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებს, მათ განყოფილებებსა და ლაბორატორიებს ხელმძღვანელობდნენ ავტორიტეტული მეცნიერები, რომელთაც შესწევთ უნარი უზრუნველყონ სამეცნიერო მუშაობის დაგეგმვა და მისი მაღალხარისხოვანი შესრულება. სამეცნიერო კადრების შერჩევა, მომზადება და მათი გამოყენება სხვადასხვა უბანზე უნდა ხდებოდეს პრინციპული მოსაზრებებისა და საქმის ინტერესების გათვალისწინებით და არა ძმაკაცობისა და ნათესავური ურთიერთობის ნიადაგზე. გაბედულად უნდა ხდებოდეს ნიჭით და უნარით დაჯილდოებული ახალგაზრდა მეცნიერი ძალების დაწენაურება.

როგორც ამხანავი სტალინი გვასწავლის, კადრების, შერჩევა, დაწინაურება და მომზადება მხოლოდ ასეთი პრინციპების მიხედვით. უნდა ხდებოდეს ყველა საბჭოთა წარმოება-დაწესებულებაში. ეს პრინციპი განსაკუთრებით ზუსტად უნდა ხორციელდებოდეს სამეცნიერო კადრების შერჩევისას. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი აკადემიის პრაქტიკაში ეს პრინციპები ჯერ კიდევ სრულ განხორციელებას ყველგან ვერ პოულობს და სწორედ ესაა ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რომელიც მრავალ დარგში ჩვენი მუშაობის ეფექტურობას ძლიერ ანელებს.

ამ მნიშვნელოვანი სიკითხის შესახებ 1947 წ. 30 აპრილს სპეციალური დადგენილება გამოიტანა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა. ამ დადგენილებაში ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ აკადემიას გააჩნია საგრძნობი მიღწევები სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაშლისა და სამეცნიერო კადრების მომზადების დარგში; დადგენილებაში ნათქვამია: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას გააჩნია მიღწევები აქტუალური სამეცნიერო პრობლემების გადაწყვეტაში, რომელიც მნიშვნელოვანია არიან ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებისათვის“:

ამ მიღწევებთან ერთად, ცენტრალური კომიტეტი ჩვენ მიგვითითებს იმ დეფექტებზე, რომლებსაც აღგილი აქვს ჩვენი აკადემიის მუშაობის პრაქტიკაში სამეცნიერო კადრების მომზადებისა, შერჩევისა, დაწინაურებისა და გამოყენების საქმეში. დადგენილებაში სამართლიანადაა აღნიშნული, რომ აკადემიის პრეზიდიუმი, განყოფილებათა ბიუროების და ინსტიტუტების დირექტორები ყოველთვის უშუალოდ და არსებითად არ ხელმძღვანელობენ კადრების შერჩევის საქმეს და, რომ ისინი ხშირად ამ მნიშვნელოვან თავიანთ მოვალეობას აკისრებენ ხოლმე არაკომპეტენტურ მუშაკებს. ცენტრალური კომიტეტი ჩვენ მიგვითითებს აგრეთვე აქედან გამომდინარე სხვა მრავალ ნაკლოვანებაზედაც. მე შევჩერდები რამდენიმე მათგანზე და კონკრეტული მაგალითებით შევეცდები მათ ნათელყოფას.

არსებული პრაქტიკა აკადემიის ინსტიტუტებში თემატიკური გეგმების შეღვენისა და მათი შესრულების შემოწმებისა, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, უმეტეს შემთხვევაში ფორმალურია და ეყრდნობა არსებული პრაქტიკა აკადემიის ინსტიტუტებში თემატიკური გეგმების შეგვენისა და მათი შესრულების შემოწმებისა, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, უმეტეს შემთხვევაში ფორმალურია და ეყრდნობა.

წობა გარეგნული ხასიათის მონაცემებს და ნიშნებს. ინსტიტუტში არ იმართება დისკუსიები თემატიკური გეგმების ირგვლივ და არ წარმოებს სამეცნიერო პროდუქციის ფართო კრიტიკული განხილვა. მართალია, ზოგ ინსტიტუტში ასეთი დისკუსიები და კრიტიკული განხილვა დროდადრო ხდება, მაგრამ მასში საყმარისად არ არიან ჩაბმული ამ საქმით დაინტერესებული სამეცნიერო საზოგადოებრიობა და წარმოება-დაწესებულებათა წარმომადგენლები.

ამიტომ, როგორც ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილება მიგვითითებს, ჩვენი აკადემიის პრეზიდიუმის, განყოფილებათა ბიუროებისა და სამეცნიერო დაწესებულებათა ხელმძღვანელების ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა ჩვენი მუშაობის პრაქტიკაში მკვიდრად იქნეს დანერგილი საქმიანი, ჯანსაღი და პრინციპულ სიმაღლეზე მდგომი კრიტიკა და თვითკრიტიკა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე უფრო ქმედითი საშუალება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ჩვენი თემატიკური გეგმების შეუსრულებლობის ფაქტები, ან ზოგი შესრულებული თემების უმნიშვნელო მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება, ზოგჯერ იმითი აიხსნება, რომ ზოგ სამეცნიერო დაწესებულებაში განყოფილებებსა და ლაბორატორიებს ისეთი პირები მეთაურობენ, რომელთაც არა აქვთ სათანადო მეცნიერული კვალიფიკაცია და გამოცდილება, რომ გაუწიონ ავტორიტეტული ხელმძღვანელობა თავიანთ თანამშრომლებს, დააწინაურონ ნიჭიერი ახალგაზრდობა და ხელი შუწყონ მის მეცნიერულ ზრდას. ზოგ ინსტიტუტში მუშაობენ ისეთი მეცნიერი თანამშრომლები, რომელთაც არ გააჩნიათ სათანადო კვალიფიკაცია, არ შესწევთ უნარი აწარმოონ დამოუკიდებლად კვლევა-ძიებითი მუშაობა და არ მოუციათ შლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ღირებულების მქონე სამეცნიერო პროდუქცია. ამჟამად აკადემიის სისტემაში ირიცხება 54 პირი სამეცნიერო დაწესებულებათა ხელმძღვანელებად, ინსტიტუტების განყოფილებათა და ლაბორატორიების გამგეებად და უფროს მეცნიერ თანამშრომლებად, რომელთაც სამეცნიერო ხარისხი არ მოუპოვებიათ; ბევრ მათგანს არც შესაფერისი სამეცნიერო მუშაობის სტაჟი და გამოცდილება გააჩნია. ზოგ ჩვენს სამეცნიერო დაწესებულებაში ირლვევა უფროსი მეცნიერი თანამშრომლების კონკურსით მოწვევის წესი.

აღნიშნული დეფექტების აღმოსაფხვრელად ცენტრალური კო-
მიტეტის დადგენილებით ჩვენი აკადემის პრეზიდიუმს ევალება:..
1. მიიღოს ზომები, რომ უფროსი მეცნიერი თანამშრომლების,,
განყოფილებათა და ლაბორატორიების გამგეების მოწვევა ხდებო-
დეს მხოლოდ კონკურსში წესით; 2. ჩატაროს 1947 წლის განმავ-
ლობაში ყველა განყოფილების და ლაბორატორიის გამგისა და
უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ატესტაცია იმ მიზნით, რომ
ჩვენი აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებანი უზრუნველყოფილნი-
იქნენ ისეთი თანამშრომლებით, რომელთაც თავი გამოიჩინეს ნა-
ყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობით; 3. გაღასინჯოს აკადემიის სა-
მეცნიერო დაწესებულებათა ხელმძღვანელების შემაღენლობა და
დაყენოს ყველა სამეცნიერო დაწესებულების სათავეში კომპეტენ-
ტური მეცნიერები, რომელთაც არსებითად შეუძლიათ უხელ-
მძღვანელონ დაწესებულების მეცნიერულ მუშაობას.

ჩვენი აკადემიის მუშაობას ასპირანტების მომზადების დარგში
რიგ მიღწევებთან ერთად მრავალი ნაკლოვანებაც ახლავს. ასპი-
რანტურაში ზოგჯერ იღებენ შეუფერებელ პირებს, რომელთაც არა
აქვთ სათანადო ნიჭი, უნარი და კოდნა მეცნიერული მუშაობისა-
თვის. ზოგან ცუდად მიმდინარეობს ასპირანტებთან მუშაობა და-
მუშაობის შედეგების შემოწმება. დიდი სხვადასხვაობაა ასპირან-
ტების ინდივიდური გეგმების შედგენაში. ზოგან საასპირანტო გეგ-
მები გადატვირთულია მრავალი გამოცდით (ფიზიკისა და გეოფი-
ზიკის ინსტიტუტი), ზოგან კი, პირიქით, ასპირანტი გეგმის მიხედ-
ვით პირველი ორი წლის განმავლობაში არ აბარებს არც ერთ სპე-
ციალურ საგანს (რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ის-
ტორიის ინსტიტუტი). არის შემთხვევები, როცა ასპირანტები უზ-
რუნველყოფილნი არ არიან კვალიფიციური მეცნიერული ხელმ-
ძღვანელობით. არ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული ასპი-
რანტურებისათვის უცხო ენების სწავლება, რადგან ამ მიზნით გა-
მოყენებული მასწავლებლებიდან ყველა სათანადო კვალიფიკაციის
მქონე არ არის.

- თუ მათემატიკის, ენის, ისტორიის, ფიზიოლოგიისა და ზოოლო-
გიის ინსტიტუტებში ასპირანტების მუშაობა შედარებით კარგადაა
დაყენებული და ასპირანტები თავის დროზე იცავენ დისერტა-
ციებს, სამაგიეროდ ცუდია ამ მხრივ მღვმარეობა ქიმიისა და
ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტებში. ამ ინსტიტუტებში ას-

პირანტებთან მუშაობას ჯერ კიდევ მრავალი დეფექტი ახლავს, რომლის გამოსწორებაზე ზრუნვა მათი დირექტორების ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა.

ცენტრალური კომიტეტი გვავალებს, უახლოეს ხანში აღმოვფხვრათ ასპირანტების მომზადებაში არსებული დეფექტები, მივიღოთ ასპირანტურაში მხოლოდ ისეთი პირები, რომლებიც დაჯილდოებული არიან სათანადო ნიჭითა და უნარით მეცნიერული მუშაობისათვის, და მოვაგვაროთ ასპირანტების მუშაობის სხვა საკითხები.

- ასპირანტების მომზადებას ზოგიერთ დისციპლინაში ხელს უშლის ის გარემოება, რომ ადგილზე ჩვენ არ მოგვეპოვება მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელები. ამიტომ ცენტრალური კომიტეტი გვავალებს წესად შემოვილოთ ასეთ დარგებში ასპირანტების ხანგრძლივად მივლენა მოსკოვს, ლენინგრადს და ჩვენი ქვეყნის სხვა სამეცნიერო ცენტრებში. მივლინებების ასეთივე პრაქტიკა ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული აგრეთვე იმ თანამშრომლების მიმართ, რომელიც სადოქტორო დისერტაციებს ამზადებენ, ოღონდ ამ მიზნით ღირსეული კანდიდატები უნდა შეირჩეს, რომელთაც მუშაობის პროცესში სათანადო უნარი და ნიჭი გამოავლინეს.

კადრების შერჩევა, გამოყენება და დაწინაურება ზოგან სრული ობიექტურობით არ ხდება. ადგილი აქვს მეგობრული და ნათესაური ურთიერთობის მიხედვით თანამშრომლების მოწვევის ფაქტებს. ანალოგიური ფაქტები ზოგჯერ თავს იჩენს აგრეთვე ასპირანტურაში მისაღები კონტინგენტის შერჩევისას.

ცენტრალური კომიტეტი ჩვენ გვავალებს ბოლო მოეღოს ასეთ ფაქტებს აკადემიის მუშაობის პრაქტიკაში. კადრების შერჩევა და დაწინაურება უნდა წარმოებდეს სრული ობიექტურობით, მათი პოლიტიკური და საქმიანი მონაცემების მიხედვით.

ჩვენი აკადემიის მუშაობის ერთ-ერთი დიდად შემაფერხებელი ფაქტორთაგანია თანამშრომელთა შეთავსებით მუშაობა სხვა დაწინაურებებში. შეთავსებითი მუშაობა ხშირად ყოველგვარ ზომას აჭარბებს. არის შემთხვევები, როცა თანამშრომელი აკადემიის გარდა 2 და 3 ადგილას მუშაობს.

ცენტრალური კომიტეტი ჩვენი აკადემიის პრეზიდიუმს ავალებს, რომ უახლოეს ხანში მოგვარდეს ეს საქმე არსებული კანონმდებ-

ლობის შესაბამისად. განსაკუთრებით ხაზგაქმით მიგვითითებს ცენტრალური კომიტეტი მოგსპოთ ხელმძღვანელი მეცნიერი მუშაკების შეთავსებითი მუშაობით გადატვირთულობის ფაქტები, რათა მათ საშუალება მივცეთ მთელი თავისი ყურადღება და ენერგია დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებას მოაწდომონ.

ცენტრალური კომიტეტი თავის დაწესენილებაში სამართლიანად მიუთითებს აკადემიას იმაზე, რომ მის სამეცნიერო დაწესებულებებში სამეცნიერო კადრების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმე სუსტადაა დაყენებული. ამის დამამტკიცებელი ფაქტები ჩვენი აკადემიის მუშაობის პრაქტიკაში მრავალია. ზოგიერთ ჩვენს სამეცნიერო დაწესებულებაში თანამშრომელთა შორის არ სუფევს მაღალი შრომის დისციპლინა, არ არის გამეფებული პასუხისმგებლობის გრძნობა დაკისრებული საქმის დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის. ზოგი დაწესებულების ხელმძღვანელს, განყოფილებისა და ლაბორატორიის გამგეს და მეცნიერ თანამშრომელს სათანადოდ არა აქვს განვითარებული სახელმწიფოებრივი მოვალეობის შეგნება. ხშირია შემთხვევა, როცა განყოფილებათა გამგები და დაწესებულებათა ხელმძღვანელები ერიდებიან სუსტი მუშაკების გამოვლენას, მათი მუშაობის საქმიან გაკრიტიკებას, მიუდგომელსა და სწორ შეფასებას. ჩვენი მუშაობის პრაქტიკაში უდავოდ მოიპოვება აქა-იქ ცრუმეცნიერული ჩხირკედელაობის ფაქტები, მაგრამ იშვიათად თუ ვინმე ხმას აიმაღლებს ამ ფაქტების წინააღმდეგ. ზოგიერთი ჩვენი ხელმძღვანელი მუშაკი იჩენს ერთგვარ „კეთილკაცობას“ კადრების შეფასებაში, არ უნდა ვისმე აწენინოს, მაგრამ ის ანგარიშს არ უწევს იმას, რომ ეს „კეთილკაცობა“ ძვირად უჯდება ჩვენს სახელმწიფოს, რომ ის დიდ ზიანს აყენებს ჩვენი ქვეყნის მეცნიერების განვითარების საქმეს.

საანგარიშო წლის თემატიკური გეგმების მრავალი თემა შეუსრულებელი დარჩა იმის გამო, რომ შემსრულებლები დაუდევრად მოეკიდნენ თავიანთ მოვალეობას; ზოგი თანამშრომლის წარმოდგენით თემის თავის დროზე შესრულება როდია სავალდებულო. დაწესებულებათა ხელმძღვანელები, განყოფილებათა ბიუროები და პრეზიდიუმი ასეთი თანამშრომლების წინააღმდეგ არ იღებენ ქმედით ზომებს.

ყველაფერი ეს გვიკარნახებს, რომ საჭიროა დიდი მუშაობის ჩატარება ჩვენს სამეცნიერო დაწესებულებებში მეცნიერ თანამშრო-

შელთა შორის იდეურ-პოლიტიკური მუშაობის გასაუმჯობესებლად. პირველ რიგში ამ მუშაობას დაწესებულებათა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა უხელმძღვანელონ.

მეცნიერი თანამშრომლების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის საჭიროა სისტემატური მუშაობა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებთა დასაუფლებლად. სამეცნიერო კადრების იდეურ-პოლიტიკური წრთობა გულისხმობს მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის თხზულებათა შესწავლას და მათ ლრმად დაუფლებას. მარქსიზმ-ლენინიზმი ეს ისეთი მეცნიერებაა, რომელიც ყველა საბჭოთა მეცნიერებისათვის აუცილებელია წარმატებითი საკვლევაძიებო მუშაობის საწარმოებლად. ეს ისეთი იარაღია შემოქმედებითს მუშაობაში, რომლის გარეშე საბჭოთა მეცნიერება შეუძლებელია მოგვცეს მაღალხარისხოვანი და სრულყოფილი სამეცნიერო პროდუქცია. კერძოდ, ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა ყოველმხრივ ხელი შევუწყოთ მეცნიერ თანამშრომელთა მიერ ამხანაგი სტალინის თხზულებათა და ლენინის ადა სტალინის ბიოგრაფიების ღრმად შესწავლას.

ცენტრალური კომიტეტი თავის დადგენილებაში ავალებს ჩვენი აკადემიის პრეზიდიუმს უახლოეს ხანში აღმოფხვრას ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი სამეცნიერო კადრების მომზადებისა, შერჩევისა და გამოყენების საქმეში. ჩვენმა აკადემიამ განუხრელად უნდა გაატაროს ცხოვრებაში ცენტრალური კომიტეტის ეს მეტად მნიშვნელოვანი დადგენილება. ამ გზით ჩვენ შევძლებთ გადავლახოთ მრავალი დაბრკოლება, რომელიც ამდაბლებს ჩვენი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ეფექტურობას.

აკადემიის მუშაობას გასულ წელს კიდევ მრავალი დაბრკოლება ულობებოდა წინ, მაგრამ ყველა მათი ჩამოთვლა აქ შეუძლებელია.

მე მხოლოდ შევეხები კიდევ ერთ საკითხს, რომელსაც აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაშლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ეს არის აკადემიის სამეცნიერო პროდუქციის გამოქვეყნების საკითხი. ჩვენა გამომცემლობა ოდნავადაც ვერ აქმაყოფილებს აკადემიის გაზრდილ მოთხოვნილებას ამ დარგში. სისტემატურად ვერ სრულდება საგამომცემლო გეგმები. მაგალითად, 1945 წლის გეგმით უნდა გამოცემულიყო 973 თაბაზი, გამოიცა 483. მიმდინარე წელს ინსტიტუტებიდან სარედაქციო-საგამომცემლო საბ-

ჭოში შემოსული განაცხადები შრომების გამოცემის შესახებ 2000-თაბახს აღმატება. საბჭომ გაითვალისწინა ჩვენი გამომცემლობის მაქსიმალური შესაძლებლობანი და შეიტანა საგამომცემლო გეგმაში მხოლოდ 1000 თაბახამდე. მაგრამ ახლავე შეიძლება ითქვას, რომ ამ გეგმების რეალიზაცია საფრთხის წინაშე დგას. მთავარი მიზანი გამომცემლობის გეგმების შეუსრულებლობისა ჩვენი სტამბის სიმცირე და მისი მოუწყობლობაა. მეტად მცირეა სტამბის შენობა, მოძველებულია მანქანები და გაცვეთილია შრიფტი. არა გვაქვს შრიფტების საკმაო რაოდენობა; განსაკუთრებით გვაკლია შრიფტები სპეციალური ლიტერატურისათვის, როგორიცაა—ბერძნული, ლათინური, სლავური, არაბული, სირიული, სოლებრი, მათე-მატიკური და სხვა.

მეორე ხელისშემლელი გარემოება, რომელიც საგრძნობლად აქვთ თებს გამომცემლობის მუშაობის პროდუქტიულობას, მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებანი, ავტორები და რედაქტორები სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას ამ დარგში. არის შემთხვევები, როდესაც გამომცემლობის მუშაობა ფერხდება იმის გამო, რომ ინსტიტუტებიდან თავის დროზე არ შემოდის გეგმით გათვალისწინებული წიგნები და „შრომები“. ხშირია შემთხვევები, როდესაც გამოსაცემი წიგნები და „შრომები“ არ არის სათანადოდ დამუშავებული; ზოგი ცუ-დადაა დაწერილი, ზოგი არაა სათანადო ყურადღებით რედაქტირებული, ზოგი მასალა კი გამომცემლობაში ნაწილ-ნაწილ შემოდის; ამის გამო გამომცემლობას ზოგჯერ უხდებოდა წიგნის აწყობის დაწყება ისე, რომ მხოლოდ წიგნის ნაწილი იყო მის განკარგულებაში. ასეთ პირობებში, გამომცემლობის მუშაობის სხვა მხარეები მოწესრიგებულიც რომ გვქონდეს, ცხადია, შეუძლებელია წიგნების გამოცემის ვადების წინასწარ დადგენა და გეგმის თავის დროზე შესრულება.

გამომცემლობას მეტად უშლის ხელს რედაქტორებისა და ავტორების მიერ კორექტურების დაგვიანებით დაბრუნება. კორექტურები ხშირად ისეთი სახით ბრუნდება, რომ მათი გასწორება მასალის ხელმეორედ აწყობას უდრის.

ყველა აღნიშნული ნაკლი ისეთია, რომლის თავიდან აცილება ადვილად შეიძლებოდა; ეს კი მოგვცემდა საშუალებას გასულ წელს 200 თაბაზით უფრო მეტი გამოგვეცა, ვიდრე გამოვეცით.

რასაკვირველია, მრავალი ნაკლი, რომელიც ჩვენი გამომცემლობის მუშაობას ახლავს, გამოწვეულია თვით ვამომცემლობის უყაირათო მუშაობით. გამომცემლობას რომ თავის დროზე გადაედგა მტკიცე ნაბიჯები, მიეღო გარკვეული ზომები იმ ავტორების ან ავტორთა კოლექტირების მიმართ, რომელნიც წესიერად არ ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას, შეიძლებოდა უფრო მეტი გაკეთებულიყო. გამომცემლობას შეეძლო აგრეთვე ეზრუნა სტამბის უკეთ მოწყობაზე, მისი ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე.

რა თქმა უნდა, ჩვენი აკადემიის საგამომცემლო მუშაობის გაუმჯობესებისათვის საჭიროა უფრო რადიკალური ზომების მიღება. პირველ რიგში აუცილებელია სტამბის საგრძნობლად გაფართოება. უახლოეს ხანში აკადემიის უფრო დიდი სტამბა უნდა გადაეცეს, ანდა უნდა აშენდეს სტამბისათვეს ახალი შენობა. მაგრამ ვიღებ მოხდებოდეს, საჭიროა მუშაობა ისე მოვაწყოთ, რომ ახლანდელი სტამბის საშუალებით უფრო მეტი პროდუქცია მივხლოთ, ვიღრე აქამდე ვახერხებდით.

სარედაქციო-საგამომცემლო საბჭომ უკვე გადადგა გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით; გაფართოებულია სტამბის საამწყებო საამქრო, დასმულია ზემდგომ ორგანოების წინაშე საკითხი შრითების მარავის გადიდებისა და ახალი მანქანების გამოყოფის შესახებ. გარდა ამისა, ინსტიტუტებს დაეგზავნა ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იყოს წარმოდგენელი გამოსაცემი მასალა. სარედაქციო-საგამომცემლო საბჭომ საჭიროდ სცნო აგრეთვე შეეცვალა წესი, რომელიც აქამდე არსებობდა გამოსაცემის მასალის გამომცემლობაზე გადაცემის შესახებ. წინათ მასალა პირდაპირ შედიოდა გამომცემლობაში და ეს უკანასკნელი აწესრიგებდა მის დაბეჭვდის საკითხს; ახალი წესით მასალა შემოდის უშუალოდ სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოში, რომელიც იხილავს მას და მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს გამოსაცემად, თუ ის აქმაყოფილებს ინსტრუქციაში მითითებულ ცველა მოთხოვნილებას.

ამ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებით ძმედია შევძლება საგრძნობლად გავზარდოთ საგამომცემლო მუშაობის მოცულობა მიმღინარე წელს.

ამხანაგებო, ჩვენი აკადემია წლითიწლობით იზრდება და აუმჯობესებს თავის მუშაობას. აკადემიის სამეცნიერო დაწესებულე-

ბებში დიდი შემოქმედებითი მუშაობა წარმოებს მრავალ დარგში. ჩვენს აკადემიას ერთ-ერთი პირველი ადგილთაგანი უკავია საბჭოთა კავშირის რესპუბლიკურ აკადემიათა შორის, მისი ავტორიტეტი საგრძნობლად გაიზარდა. აკადემიაში მუშაობს მრავალი მეცნიერი, რომელთაც საკუთარი მიმართულება შექმნეს მეცნიერებაში და ხელმძღვანელობენ სამეცნიერო სკოლებს. ჩვენი მეცნიერების მრავალი გამოკვლევა პოულობს დიდ გამოხმაურებას როგორც ჩვენს დიდ კავშირში, ისე საზღვარგარეთ. აკადემიის სამეცნიერო პროდუქციის საკმაოდ დიდი გასავალი აქვს საბჭოთა კავშირში და უცხოეთში. მაგრამ ამავე დროს აკადემიის მუშაობაში მრავალი ნაკლი ძოგვეპოვება. ჩვენი ამოცანაა დროზე შევამჩნიოთ ეს ნაკლოვანებანი და მივიღოთ ზომები მათი აღმოფხვრისათვის. ამას ჩვენ მიუღილეთ თუ ყოველდღიურად ვიხელმძღვანელებთ იმ ბრძნული მითითებებით, რომელთაც საბჭოთა მეცნიერებს აძლევენ ჩვენი პარტია და ამხანაგი სტალინი. ჩვენი აკადემიის მუშაობას კონკრეტულ ხელმძღვანელობას უწევს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. პირადად ამხანაგი კანდიდ ჩარკვიანი დიდ ყურადღებას და დროს უთმობს ჩვენი აკადემიის მუშაობას და გვაძლევს მრავალ ღირსშესანიშნავ მითითებას. ჩვენი ამოცანაა პარტიისა და ხელისუფლების მითითებანი განუხრელად გავატაროთ ცხოვრებაში. მაშინ ჩვენი მეცნიერებათა აკადემია უფრო ჩქარი ნაბიჯით წავა წინ და პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს, ჩვენი ხალხის წინაშე.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება

თავმჯდომარე აკად. ნამდ. წევრი გ. ახვ ლედიანი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების გამგებლობაში
7 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა, სახელდობრ: აკად.
ნ. მარის სახ. ენის ინსტიტუტი, რუსთაველის სახ. ქართული
ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, აკად. ი. ჭავახიშვილის სახ.
ისტორიის ინსტიტუტი, ქართული ხელოვნების ისტორიის^{*} ინსტიტუტი,
ფილოსოფიის ინსტიტუტი, ფისიკოლოგიის ინსტიტუტი,
ეკონომიკის ინსტიტუტი და ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალი.

ჩამოთვლილ დაწესებულებათა მუშაობის შედეგები დაწვრილებით მოთხრობილია მათ ცალკეულ ანგარიშებში. აქ კი შევჩერდებით ზოგიერთ მათგანზე, რომლებიც უფრო საყურადღებოა და დამახასიათებელი.

აკად. ნ. მარის სახ. ენის ინსტიტუტში საკმაო ადგილი ჰქონდა დათმობილი X I—XVIII ს. ს. ქართული ენის წერილობითი ძეგლების ენის შესწავლას და აგრეთვე ქართულისა და სვანურის ცოცხალი კილოების გამოკვლევას. ირკვევდნენ „ვისრამისანისა“ და

„შაპინამე-ს“ და აგრეთვე დაბეჭდილი სიგელ-გუჭრების ენის თავისებურებას. ქართული კილოებიდან შესწავლის საგანი იყო: გუდამაყრული, ლეჩხუმური და ჭავახური. სვანური ენის კილოთაგან ყურადღების ცენტრში იყო ლატალური, რომელსაც იკვლევდნენ სხვა ბალზემოურ კილოებთან მიმართებით, ერთი მხრით, და ბეჩოურთან მიმართებით, მეორე მხრით.

აკად. ნამდ. წევრი ვ. თოფურია კვლევა-ძიებას აწარმოებდა სეანური ენის ოთხივე კილოსას მათი ურთიერთშორის დამოკიდებულების გამოსარკვევად.

* აკად. ნამდ. წევრის გ. ახვლედიანის აკადემიკოს-მდივან არჩევის გამო განყოფილების თავმჯდომარის მოვალეობას დროებით ასრულებდა აკად. ნამდ. წევრი კ. გეგელიძე, ხოლო 11.II.47-ს განყოფილების თავმჯდომარედ არჩეულია აკად. ნამდ. წევრი ა. შანიძე.

შეკრებილი მასალები და გამოკვლევები საქმაოდ ნათელ წარმო-
დგენას იძლევა საშუალო ქართულისა და ახალი ქართულის საწყი-
სების დამახასიათებელი ნიშნების შესახებ, აგრეთვე ცოცხალი
კილოებისა და მათი ურთიერთობის შესახებ მომიჯნავე კილოებთან.

მთის კავკასიური ენების პრობლემა მუშავდებოდა ხუთი ენის
მასალების მიხედვით: აფხაზურისა, ჩერქეზულისა, ჩაჩნურისა, ხუნ-
ძურისა და ბუღუბურისა.

აკად. ნამდ. წევრის ა. ჩიქობავას ნაშრომში „ერგატიული კონსტ-
რუქციის პრობლემისათვის არაკავკასიურ ენებში“ მოცემულია
ცნობილი ჰოლანდიული ენათმეცნიერის კ. ულენბეკის ერგატიული
კონსტრუქციის თეორიის კრიტიკული ანალიზი. ავტორს დასაბუთე-
ბულად არ მიაჩნია კ. ულენბეკის თეორია (რომელიც ამ საკითხში
ამერიკული ენების მასალებს ემყარება), რამდენადაც ამ თეორიის
მიხედვით გარდამავალი ზმნა უფრო პასიურია, ვიღრე გარდაუვალი.

ახლო აღმოსავლეთის განყოფილებაში, აკად. ნამდ. წევრის გ.
წერეთლის ხელმძღვანელობით, განაგრძობდნენ შუა აზიის ახლად
აღმოჩენილი არაბული კილოების სალექსიკონი მასალების დამუ-
შავებას.

რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტი-
ტუტის თანამშრომლები იკვლევდნენ ისტორიულ-ლიტერატურულ
საკითხებს და გამოსაცემად ამზადებდნენ ქართული მწერლობის
ძეგლებს, აგრეთვე აგროვებდნენ და სისტემაში მოჰყავდათ ხალხუ-
რი სიტყვიერების მასალები.

აკად. ნამდ. წევრმა კ. კეკელიძემ აღმოაჩინა მისტიკურ-ასკეტი-
კური შინაარსის თხზულება „სინანულისათვის და სიმდაბლისა“,
რომელიც ეკუთვნის VII ს. მიწურულისა თუ VII ს. დამდეგის ქართ-
ველ მწერალს მარტვირის.

ახალი ქართული ლიტერატურის საკითხების კვლევის დარგში
ყურადღების ცენტრში იყო ა. წერეთლის ისტორიული პოემები,
ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტური მოღვაწეობა 70-ან წლებში და ვაჟა-
ფშაველას ბუნების ფილოსოფია.

აკად. ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ისტორიის
განყოფილების (გამგე აკად. ნამდ. წევრი ნ. ბერძენიშვილი) მთავარ
ამოცანას წარმოადგენს საქართველოს ისტორიის II ტომის დასა-
წერად საჭირო მასალების მოპოვება და დამზადება. ეს ტომი მოი-

ცავს ჩვენი ქვეყნის ისტორიას რუსეთთან შეერთების დროიდან საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომამდე (XIX და XX ს. ს.).

არქეოლოგის განყოფილებამ (გამგე აკად. ს. ჯანაშია) საანგარიშო წელს შეასრულა დიდი სამუშაოები, რომელთაც გააფართოვეს ჩვენი წარმოდგენა ძველი საქართველოს კულტურის შესახებ. საველე სამუშაოები წარმოებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მათ შორის აღსანიშნავია მცხეთის არქეოლოგიური გათხრები, რომელთაც მოგვცეს რამდენიმე ახალი უნიკალური ნივთი გვიანდელი პრინცალის ხანისა (პატარა ქანდაკებანი ვეფხვისა და ჭიხვისა, რომელიც მირბის); ნაპოვნია ხელუხლებელი ქვის აკლდამა მდიდარი ინვენტარითურთ.

ეთნოგრაფიის განყოფილებამ (გამგე აკად. წევრ -კორ. გ. ჩიტაია) შეადგინა ნარკვევები საქართველოს ეთნოგრაფიული. საკითხების შესახებ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტისათვის, რომელიც ამზადებს მრავალტომიან გამოცემას სათაურით „დელამიწის ერები“.

ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მუშაობაში მთავარი ადგილი ეკავა მომწიფებულ შუა საუკუნეთა მრავალფეროვანი ხელოვნების შესწავლას. აკად. ნამდ. წევრი გ. ჩუბინაშვილი რკვლევდა ტაო-კლარჯეთის შესანიშნავ ხუროთმოძღვრებას—ოშაბისა, ხახულისა, იშხნისა და შატბერდის ტაძრებს. ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ დაიწერა გამოკვლევები X—XI ს. ს. ძეგლების შესახებ: პატარა ონისა, ზემო კრიხისა, საბა-წმინდისა, ვერესი, კრიხისა და ა. შ. მოეწყო ექსპედიციები ხუროთმოძღვრების, მხატვრობისა და ოქრომჭედლობის ძეგლების მთლიანი გამოკვლევის მიზნით სვანეთში, ჯავახეთში, სამცხესა და ჯავის რაიონში. შესწავლილია აგრეთვე ტიმოთესუბნის შესანიშნავი მხატვრობა.

ფილოსოფიის ინსტიტუტი მუშაობდა რამდენიმე პრობლემაზე, რომელთა შორის ძირითადი იყო „ი. ს ტალინის სწავლება იდეების როლის შესახებ საზოგადოების განვითარებაში 1901—1907 წ.წ. შრომების მიხედვით“, „ფორმისა და შინაარსის პრობლემა ი. ს ტალინის აღრინდელ შრომებში“, „მარქსისტულ-ლენინური შემეცნების თეორიის ძირითადი პრობლემები“, „თანამედროვე ამერიკული ფილოსოფიის ძირითადი მიმართულებანი“. უკანასკნელი თემა, რომელსაც ამუშავებს აკად. ნამდ. წევრი პ. შარია და

რომელიც ორი წლისთვის არის ნავარაუდევი (1946—47 წ. წ.), შეს-რულებულია პირველ ნაწილში და წაკითხულია მოხსენებად ინსტი-ტუტის სამეცნიერო სესიაზე დეკემბერში.

არ იქნება არ აღინიშნოს ინსტიტუტის ზრუნვა იმის შესახებ, რომ ქართულ ენაზე შეიქნეს ფილოსოფიური ლიტერატურა: გა-მოიცა ჩერნიშევსკის რჩეულ თხზულებათა დიდი ტომი; ითარგმნა-რუსულიდან და სასტამბოდ დამზადებულია სოლომონ დოდაშვი-ლის „ლოგიკა“, რომელიც გამოცემული იყო მოსკოვს 1827 წ.; გადმოითარგმნა ჰეგელის „ესთეტიკის“ I ტომი:

ფსიქოლოგიის ინსტიტუტი რამდენიმე წელია მუშაობს განწყო-ბის პრობლემაზე. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, ზოგადი ფსი-ქოლოგიის განყოფილების თანამშრომლები განაგრძობდნენ განწ-ყობის იმ ფორმების შესწავლას, რომლებიც სპეციფიკურია ადა-შრანისათვის. გრძელდებოდა მუშაობა ქართული ფსიქოლოგიური აზროვნების ისტორიის მონოგრაფიული შესწავლისათვის. აკად. ნამდ. წევრმა დ. უზნაძემ დაამთავრა მონოგრაფია ბავშვის ფსიქო-ლოგიის შესახებ 4 წლის ასაკამდე.

ეკონომიკის ინსტიტუტი საანგარიშო წელს ამუშავებდა რამდე-ნიმე მნიშვნელოვან პრობლემას.

ნაშრომში „საქართველოს მსხვილი მრეწველობის მნიშვნელო-ბა სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით და მისი ძირითადი დარ-გები“ მოცემულია მსხვილი მრეწველობის დარგების ურთიერთ-შეფარდება, დინამიკა და შეცვლის მიზეზები ომის შემდეგდროინ-დელი ხუთწლედის ამოცანების გათვალისწინებით.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებას 1946 წელს ჰქონ-და 4 სესია (XX, XXI, XXII და XXIII), რომლებზედაც წაკითხუ-ლია 27 სამეცნიერო მოხსენება; აკადემიის გარეშე განყოფილების დაწესებულებათა თანამშრომლების მიერ წაკითხულია 145 მოხ-სენება.

1946 წელს განყოფილების ხაზთ არჩეულ იქნენ აკადემიის ნამ-დვილ წევრებად: ე. თაყაიშვილი (ისტორია), აკად. წევრ-კორ. გ. წერეთელი (აღმოსავლეთმცოდნეობა), აკად. წევრ-კორ. ბ. კულტინი (არქეოლოგია), ს. გრიშაშვილი (მწერალი) და წევრ-კორესპონდენ-ტებად: ა. ბარამიძე (ქართული ლიტერატურის ისტორია), კ. მ. ბერი-

ძე (ქართული ფილოლოგია) და ლ. მაცულევიჩი (ქართული ხელოვნების ისტორია). ამგვარად, 1946 წლის დასასრულს განყოფილებას ჰყავდა 19 ნამდვილი წევრი (მათ შორის 4 მწერალი) და 6 წევრ-კორესპონდენტი. გ. წერეთელი არჩეულ იქნა აგრეთვე. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ საკითხს, თუ როგორ იყო დაყენებული კვალიფიკაციის ამაღლებისა და კაღრების მომზადების საქმე. საანგარიშო წელს სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმატებულად დაიცვა დისერტაციები 13-მა კაცმა: 11-მა მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხზე და 2-მა დოქტორისაზე.

საანგარიშო წელს განყოფილებაში მუშავდებოდა 201 თემა, რომელთაგანაც; გეგმით გათვალისწინებული მოცულობით, 187 თემა შესრულდა.

წლის განმავლობაში გამოქვეყნდა 127 ნაშრომი, დასაბეჭდად გადაეცა 68 და დასაბეჭდად დამზადდა 77 ნაშრომი.

აკად. ნ. მარის სახ. ენის ინსტიტუტი

დირექტორი აკად. ნამდ. წევრი ვ. თოფურია

ენის ინსტიტუტის 1946 წლის გეგმა ითვალისწინებდა 28 თებერვალი. შემდეგ აკად. ნამდ. წევრი ვ. თოფურია

ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილება განაგრძობდა მუშაობას ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის განმარტებითი ლექსიკონის კომისიის გეგმით.

ინსტიტუტის განყოფილებებში ჩატარდა 24 სამეცნიერო სხდომა, სადაც მოსმენილი იყო 25 მოხსენება. მოხსენებები იკითხებოდა აგრეთვე სამეცნიერო სესიებზე. სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების 58 სხდომაზე უნიფიკაცია ეყო იურიდიკულ მეცნიერებათა ტერმინოლოგიის პირველ ნაწილს სათანადო დარგების სპეციალისტთა მონაწილეობით.

ქართველურ ენათა განყოფილების (გამგე აკად. ნამდ. წევრი ვ. თოფურია) გეგმით გათვალისწინებული იყო 4 პრობლემა: 1. ქართველურ ენათა სტრუქტურის შესწავლა, 2. ქართველურ ენათა დიალექტები, 3. სვანური ყოფის შესწავლა ლექსიკურ-ტერმინოლოგიური თვალსაზრისით და 4. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენა.

პირველი პრობლემა იშლებოდა ერთ თემად „XI—XVIII ს. ს. (ე. წ. საშუალი) ქართულის თავისებურებათა მიმოხილვა“. იგი მიზნად ისახავდა, პირველ რიგში, ორი ძეგლის—„ვისრამიანისა“ და „შავნამეს“ და აგრეთვე დაბეჭდილ ღოკუმენტთა მიხედვით სალიტერატურო ენის შესწავლას ძეველ ქართულთან შეპირისპირებით და გამოქვენილ თავისებურებათა კვალიფიკაციას ქართული ენის განვითარების ისტორიის თვალსაზრისით. ამ თემიდან ფონეტიკა და ამუშავა მეცნ. კანდ. ა. მარტინოსოვმა, მორფოლოგია—მეცნ. კანდ. ი. გიგინეიშვილმა, სინტაქსი—მეცნ. კანდ. ა. კიზირიამ, ფონეტიკა და მორფოლოგია დაბეჭდილ XI—XVIII ს. ს. ღოკუმენტების მიხედვის

უით—მეცნ. კანდ. ი. ქავთარაძემ, ხოლო დიალექტური მოვლენები ჯასავლეთ საქართველოდან გამოსული საბუთების ენაში—მეცნ. კანდ. შ. ძიძიგურმა.

„ვისრამიანისა“ და „შაპნამეს“ ენაში ბერითი შედგენილობისა და ფონეტიკურ პროცესთა შესწავლით გამოიჩინა, რომ ზოგი ბერითი მოვლენა მომდინარეობს ძველი ქართულიდან და კარგადაც არის შემონახული, მეტი წილი კი საერთოს პოულობს ახალ ქართულთან. ეს მოვლენები და ამ ძეგლებში დაცული დიალექტიზმები მიუთითებენ ახალი ქართული სალიტერატურო ენის დასაბამზე.

მორფოლოგიაშიც დასტურდება მნიშვნელოვანი თავისებურებები: სახელთა ბრუნებაში ვრცელდება ძველი ქართულიდან ახლისაკენ გარდამავალი ფორმები, სახელთა წარმოსაქმნელად უხვადაა გამოყენებული პეტრიწისა და რუსთაველის ენისათვის დამახასიათებელი საწარმოებელი აფიქსები, ზმნებში ხშირია ხოლმეობითის შრეულივის ხმარება ორსავე სერიაში, ხშირია აგრეთვე ჸ და ს პრეფიქსთა წესის დარღვევა და ა. შ. ფორმათა მრავალფეროვნების წყაროდ შრომის ავტორს მიაჩნია სხვადასხვა დიალექტის ფართო მონაწილეობა ამ პერიოდის სალიტერატურო ენაში.

სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობანი უპირატესად ძველი ქართულისებურია, ოლონდ არის რიცხვში შეთანხმების დარღვევის შემთხვევები. თავს იჩენს ახალი ქართულიაქათვის დამახასიათებელი მოვლენა: შემასმენელი ეთანხმება მიცემით ბრუნვაში დასმულ სახელს რიცხვში („მათ უკვირდათ“). ვითა ჭერ კიდევ არა თანდებულად ჩამოყალიბებული.

XI—XVIII ს. ს. ისტორიული საბუთების ენის შესწავლით დადგენილია სახელთა ბრუნებისა და მიმღების წარმოების გამარტივება და ზმნის ფუძეთა (კერძოდ, თემატურ ნიშანთა) შენაცვლება, პირსა და რიცხვის გამომხატველად დ სუფიქსისა და -უ ნაწილაკის ხმარება, ძველი ქართულის აღწერაში წარმოებიდან ორგანულ წარმოებაზე გადასვლა გარკვეულ ზმნებში და ა. შ.

დოკუმენტების ენა გამოკვლეული იყო აგრეთვე დიალექტოლოგიური თვალსაზრისით. დასავლეთ საქართველოდან გამოსულ XI—XVIII ს. ს. საბუთების ენაში გამოვლინებულია იმერული, რაჭული, ლეჩეული და გურული დიალექტური მოვლენები ფონეტი-

კასა, მორფოლოგია-სინტაქსისა და ლექსიკაში. შენიშნული თავისებურებები თითქმის ყველა დაცულია თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში.

პრობლემა—ქართველურ ენათა დიალექტები—წარმოდგენილი იყო 5 თემით. ერთი მათგანია „გუდამაყრულის თავისებურებათა მიმოხილვა“ (მეცნ. კანდ. ძ. გიგინეიშვილი). ეს დიალექტი დღემდე არ ყოფილა ყოველმხრივ გამოკვლეული. მიმოხილვაში ვრცლადა აღნუსხული გუდამაყრულის თავისებურებანი, მთის სხვა კილოთა მონაცემებთან შედარებით, და გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი, მიუხედავად მისი დიდი მსგავსებისა მთიულურთან, წარმოადგენს დამოუკიდებელ დიალექტურ ერთეულს. შრომას დართული აქვს ადგილობრივ შეკრებილი ტექსტები. მასალა საკმაოდ ტრავალფეროვანია.

ნარკვევში „ლეჩხუმურის თავისებურებათა მიმოხილვა“ (მეცნ. კანდ. შ. ძიძიგური) გაშუქებულია საკითხები ლეჩხუმურის, როგორც ნარევი დიალექტის, რაჭულთან და იმერულთან მიმართებისა: და მასზე მეგრულ და სვანურ ენათა გავლენისა. დადგენილია, რომ ლეჩხუმური ქვემოიმერულის ტიპისა. სპეციფიკური დიალექტური ნიშნები ჯერჯერობით არ შეიმჩნევა. არის შინაგანი კილოკაური სხვაობა. ნარკვევს თან ერთვის ადგილობრივ ჩაწერილი ტექსტები.

შრომაში „ჯავახურის თავისებურებათა მიმოხილვა“ (მეცნ. კანდ. ა. მარტიროსოვი) განხილულია მესხური, ქართლური და ლემდის შეუსწავლელი ჯავახური კილო, როგორც ქართული ენის მსხვილი დიალექტური ერთეული. გამოყოფილია თითოეული მათგანის დამახასიათებელი თავისებურებანი. სხვაობა მესხურისა და ჯავახურის შორის ქართლურთან შედარებით უფრო ნაკლები ჩანს. ქართლურისაგან განმასხვავებელი ზოგი მოვლენა კი ჯავახურში აიხსნება უცხოური (თურქული, სომხური) ენის გავლენით. თავისებურებათაგან აღსანიშნავია უკანაენისმიერი ლ-ს არსებობა, თ-სა და უ-ს სუბსტატუცია, სანის შეცვლა ჰაეთი, მეორე პირის ბრძანებითის გადმოცემა კავშირებითის ფორმით და სხვა. მიმოხილვას თან ახლავს სათანადო ტექსტები.

გარდა ამისა, დიალექტოლოგიიდან დამუშავდა ერთი ოემაც— „მყოფადისა და ნამყო წყვეტილის წარმოებისათვის ინგილოურში“.

(გ. იმნაიშვილი). დადგენილია ამ მწკრივთა ნაირსახოვანი წარმოება ინგილოურში და არას ცდა მათი გენეზისის გამორკვევისა.

სვანური ენიდანაც შესწავლის საგანი იყო კილოები. ნაშრომში „სვანური ენის ბეჩოურ და ლატალურ დიალექტთა ურთიერთგავლენის მიმახილვა“ (შეცნ. კანდ. თ. შარაძენიძე) გამოკვლეულია სვანური ენის ლატალური თქმა ბალსზემოურთან და ბალსქვემოურის ბეჩოურ თქმასთან შედარებით. გამოყოფილია ლატალურის სპეციფიკური თავისებურებანი და ბეჩოურთან საერთო მოვლენები. უკანასკნელი ყოველთვის არაა მიღებული ლატალურისა და ბეჩოურის ურთიერთგავლენით. დასკვნები გამოიყენება დიალექტთა შერევისა, და ერთ და იმავე ენობრივ მოვლენათა წარმოშპბის ადგილსხვაობის საკითხის გამოსარკვევად.

შრომაში „სვანური ენის დიალექტთა შედარებითი მიმახილვა“ (აკად. ნამდ. წევრი ვ. თოფურია) შეპირისპირებულია სვანური ენის ოთხი ძირითადი დიალექტის კილოკავთა მონაცემები და დადგენილია, რომ ბალსზემოურს გამოეყოფა უშესულური და ლატალური, ბალსქვემოურს—ბეჩოური, ეცერული და ლახამულური (დასაზუსტებელია ფარულ-თავრარული), ხოლო ქვემოსვანურიდან ლენტეხურსა და ლაშხურს. შორის გარდამავალია ჩოლურული. ნაჩვენებია თითოეული კილოკავის. სპეციფიკური ნიშნები და თავისებურებათა კომპლექსი.

მესამე პრობლემიდან აღებული იყო თემები: „სვანური მიმართვა (მრავალმება, მოკითხვა, მოფერება, დალოცვა, წყევლა, გადაცემა, ფიცი)“ და „სვანური ასოთსამლერალი“ (ხელმძღვანელი აკად. ნამდ. წევრი ვ. თოფურია, შემსრულებელნი: ა. დავითიანი და ა. ონიანი). შეკრებილია ლახამულურ და ლაშხურ დიალექტებზე მდიდარი მასალა როგორც სვანური ყოფის გასაცნობად, ისე ენის შესასწავლად, რამდენადაც აღათისა და რწმენის ამჟახველი დალოცვა, წყევლა, ფიცი და სხვა შეიცავს იდიომატურ თქმებსა და არქაულ ლექსიკს.

პრობლემა „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენა“ შეიცავდა ექვს ძირითად სადაცო საკითხს (იხ. ნორმათა დამდგენი მუღმივი სახელმწიფო კომისიის ანგარიში).

მთის კავკასიურ ენათა განცოფილების (გამგე აკად. ნამდ. წევრი ა. ჩიქობავა) გეგმა ითვალისწინებდა 3 პრობლემას: 1. ქართველურ ჲა მთის კავკასიურ ენათა ურთიერთობა, 2. მთის კავკასიურ ენათა

სტრუქტურის შესწავლა, 3. ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა.

პირველი პრობლემიდან წარმოდგენილ ნაშრომში „უარყოფითი ნაცვალსახელების, უარყოფითი ზმნისართებისა და მტკიცებითი ნაწილაკების გენეზისისათვის ქართველურ ენებში მთის კავკასიურ ენათა მონაცემების გათვალისწინებით“ (მეცნ. კანდ. ლ. იმნაიშვილი) გარკვეულია, რომ მთის კავკასიურ ენებში უარყოფითი ნაცვალსახელები და უარყოფითი ზმნისართები არ მოიპოვება, ბაცბურში (წოვათუშურში) კი ესენი ჩამოყალიბებულია ქართულის გავლენით. ქართველურ ენათაგან უარყოფითი ნაცვალსახელები და უარყოფითი ზმნისართები ქართულსა და სვანურს აქვს, მეგრულ-ჭანურს კი იგი, როგორც მთის კავკასიურ ენებს, არ გააჩნია. ავტორი ფიქრობს, რომ აქ ადრინდელი მდგომარეობაა დაცული, ხოლო ქართულსა და სვანურში გვიანდელ ვითარებასთან გვაქვს საქმე. ქართველურ ენათა მტკიცებითი ნაწილაკების—ქვე, ქმ, ქი (ქართ.), ქო (მეგრ.-ჭან.), ჩუ (სვან.)—პირველადი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო ‘ქეშ’

მეორე პრობლემა შეიცავდა 5 თემას, დამუშავებულს 5 ჭავკასიური ენის მასალათა მიხედვით (ეს ენებია: აფხაზური, ადილეური, ჩანურ-ბაცბური, ხუნძური და ბუღუბური).

„აშხარული დიალექტის გრამატიკული მიმოხილვა“ (მეცნ. ლოქტ. ქ. ლომთათიძე) წარმოადგენს მონოგრაფიულ გამოკვლევას, რომელშიც გარჩეულია აშხარული დიალექტის ორივე კილოკავის—კუვინსკისა და აფსუის თითქმის ყველა ენობრივი მოვლენა აფხაზურის პირაქეთა დიალექტებთან და ტაპანთურთან შედარებით. გამოკლენილია მნიშვნელოვანი სხვაობა კუვინსკისა და აფსუის კილოკავთა შორის და უკანასკნელი მიჩნეულია თავისებურ დიალექტურ ერთეულად. ფონეტიკური სისტემით აშხარული ზოგადად მიჰყვება აფხაზური ენის პირაქეთა დიალექტებს (სპეციალური ბზიაფური სისინა-შიშინა ბერების გამოკლებით). ამ დიალექტისათვის დამახასიათებელია სრულხმოვნობა. თავისებური მოვლენები იჩენს თავს ფონეტიკურ პროცესებში, მორფოლოგიასა და ლექსიკაშიც. შრომას დართული აქვს ავტორის მიერ ადგილობრივ ჩაწერილი ტექსტები.

მონოგრაფიულ შრომაში „შაფსულური დიალექტი“ (მეცნ. კანდ. როგავა) დადგენილია, რომ ადილეური ენის მთავარი დიალექტი

შაფსულური (ნათხვაჯური და ჰაკუჩური კილოკავებითურთ) თავისებურია, განსაკუთრებით ფონეტიკის მხრივ. მას ახასიათებს მხოლოდ ერთი რიგის შიშინა აფრიკატები ჭ ჩ ჭ; შემონახული აქვს არალაბიალძებული უკანანისმიერი ხშულები გ ქ კ; თავისებური სისინა სპირანტი ც მიღებულია წ-საგან სპირანტიზაციის გზით. სიტყვის (ფრაზის) ბოლო ხმოვანი ნაზალურია და ეს ნაზალურობა უნდა აიხსნებოდეს ე.წ. სუფიქს-დეტერმინანტის ნ-ს ოდინდელი არსებობით. მორფოლოგიაში საყურადღებოა არქაული მოვლენები.

ნაშრომში „თურმეობითები ჩაწერული ჯგუფის ენებში“ (მეცნ. კანდ. დ. იმნაიშვილი) გამორკვეულია, რომ ჩაწერული ჯგუფის ენათა ზმნას აქვს ე.წ. თურმეობითის კატეგორია. ერთმანეთისაგან გარჩეულია ნახული (განსაზღვრული) და უნახავი (განუსაზღვრელი) მოქმედება. იგი ახასიათებს ჩაწერულსა და ინგუშურს დრო-კილოთა მეორე სერიაში, ბაცბურს კი მოეპოვება ნამყო უწყვეტლის თურმეობითიც. პანკისის ქისტურში თურმეობითები დასტურდება პირველ სერიაში; ჩანს, პანკისის ქისტურს შემოუნახავს აღრინდელი მდგომარეობა.

გამოკვლევაში „მააბსოლუტივებელი ელემენტებისათვის ხუნძურში“ (აკად. ნამდ. წევრისა. ჩიქობავა) შესწავლილია აბსოლუტივის წარმოება ხუნძურ ენაში დიალექტთა მონაცემების საფუძველზე. ფორმანტთა მიხედვით აბსოლუტივი ორგვარია: -უნ და -გო სუფიქსიანი. -უნ მომდინარეფის -უმუ-საგან; ეს უკანასკნელი დაცულია ძევლ სიმღერებში და ამჟამადაც ცოცხალია ჰიტურ-ბნდა-ლალურ-ყარახულში. -უნ ისტორიულად ძველია, თუმცა მისი წარმოების არე შეზღუდულია. -გო ნაწილაკი აბსოლუტივის გარდა სხევანაც გამოიყენება (სახელთან, ზმნასართთან); მას აქვს მტკიცებითი ნაწილაკის შინაარსი და წირმოშობით ნაცვალსახელურის ელემენტი ჩანს.

შრომაში „დრო-კილოთა სისტემა ბუდუხურ ენაში“ (მეცნ. კანდ. ვლ. ფანჩევიძე) გამოვლენილია თითქმის შეუსწავლელი ენის—ბუდუხურის ძირითად დრო-კილოთა, მასდარისა, მიმღეობისა და აბსოლუტივის ფორმები, დადგენილის სათანადო ფორმანტები და ცდაა მათი გენეზისის ახსნისა. დრო-კილოთა საწარმოებლად ამოსავალია მასდარი, რომლის სუფიქსი ზოგ მწკრივში სრულადაა წარმოდგენილი, ზოგში კი მოკვეცილია რ, ლ ან ნ ელემენტი. რ ელემენტი

(resp. ლ, ნ) მიჩნეულია კლასკატეგორიის ნიშნად, ხოლო მისი წინა ხმოვანი (ა, ი ॥ უ) ზმნის გარდამავლობა-გარდაუვალობის განმაზ-ლვრელ ფორმანტად.

მესამე პრობლემიდან დამუშავდა ერთი თემა „ერგატიული კონ-სტრუქციის პრობლემისათვის არაკავკასიურ ენებში“ (აკად. ნამდ. წევრი ა. ჩიქობავა). შრომაში: მოცემულია კრიტიკული ანალიზი ცნობილი ჰოლანდიელი ენათმეცნიერის კ. ულენბეკის თეორიისა ერგატიული კონსტრუქციის შესახებ (ჩრდილო ამერიკის ინ-დიელთა მეტყველების მონაცემებზე დაყრდნობით). კ. ულენბე-კის აზრით გარდამავალი ზმნა ამ ენებში პასიურია, ვნებითი ფორმა ძველი მოვლენაა, ერგატიული ბრუნვა „პირველადი იარალის“, ანუ „მოჩვენებითი მოქმედების“ ბრუნვაა, ნამდვილი მოქმედი პრიმი-ტიული ცნობისერებისათვის მისტიკური ძალაა. ერგატიული, რო-გორც იარალის ბრუნვა, უკავშირდება მოქმედებითს. ამდენად ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა არქაული მეტყველებისა და ძველი აზროვნების პრობლემაა.

შრომის ავტორის გაგებით კ. ულენბეკის თეორიაში ინდიელთა მეტყველების თავისებურება იზომება მისთვის შეუფერებელი ინ-დოევროპულ ენათა საზომით—ცნებებით: მოქმედებითი—ვნებითი. შემთხვევითი არაა, რომ ამ თეორიის მიხედვით გარდამავალი ზმნა უფრო პასიური გამოდის, ვიდრე გარდაუვალი. ჩრდილო ამერიკის ინდიელთა ენების გარდამავალი ზმნა არსებითად აფხაზური ზმნის ტიპისაა. თავისებურებანი, რომლებზედაც კ. ულენბეკი მიუთი-თებს, მოწმობენ, რომ გარდამავალი ზმნის ფრენე ამ ენებში ნეიტ-რალურია. ვნებითობის პირველადობა ისტორიულ ვითარებას არ შეესაბამება. ერგატიკის დახასიათება კ. ულენბეკის თეორიაში გა-მომდინარეობს ზმნის დახასიათებიდან და იგი ისევე არაა დამაჯე-რებელი, როგორადაც ზმნის დახასიათება. მისტიკური ძალის გა-მოსახვაზე ლაპარაკი აქ უცაფუძვლოა.

ნარკვეში „დარგუული ენა რუსულ საენათმეცნიერო ლიტერა-ტურაში“ (მეცნ. კანდ. შ. გაფრინდაშვილი) გარჩეულია მკვლევარ-თა პ. უსლარის, ლ. უირკოვისა და ს. ბიხოვსკაიას შრომები და მო-ცემულია საკუთარი შეხედულებანი ფონეტიკისა და მორფოლო-გიტის ძირითად მოვლენებზე. შრომას დართული აქვს ლიტერატუ-რაში ცნობილი დარგუულ დიალექტთა კლასიფიკაციის საპირისპი-

როდ ავტორის სამწევრიანი კლასიფიკაცია, დამყარებული უმთა-
ცრესად ფონეტიკურ პროცესებზე.

აღლო აღმოსავლურ ენათა განცოფილების (გამგე აკად. ნამ. წევრი
გ. წერეთელი) გეგმა ითვალისწინებდა 2 პრობლემას. პირველი—
ქართველურ და აღმოსავლურ ენათა ურთიერთობის შესწავლა —
წარმოდგენილი იყო 3 თემით. ნარკვევი „ირანული წარმოშობის
სიტყვები ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში (ოთხთავისა და
ფსალმუნის ტექსტების მიხედვით)“ (მეცნ. კანდ. მ. ანდრონიკაშვი-
ლი) ეხება ქართულ-ირანული კულტურულ-ისტორიული და ენობ-
რივი ურთიერთობის საკითხებს. კამოვლენიჭია აღნიშნულ
ტექსტებში დაცული ირანული წარმოშობის სიტყვები და ნაწილო-
ბრივ მოცემულია მათი ეტიმოლოგია.

შრომა „პარონომაზია ქართულ ბიბლიურ ტექსტებში მოსეს
წეუთი წიგნის მიხედვით“ (მეცნ. კანდ. კ. წერეთელი) ეხება ქარ-
თულ-ებრაულ კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის საკით-
ხებს. განხილულია პარონომაზიის შემთხვევები ებრაულ ბიბლიაში
და მათი ეკვივალენტები ქართულში. გამომუღავნებულია აგრეთვე
ქართულში ებრაული პარონომაზიის შესატყვისად ე. წ. სემასიო-
ლოგიური პარონომაზია. ყველა ეს შემთხვევა შემოწმებულია სომ-
ხურ, ბერძნულ და სირიულ ტექსტებში. გარკვეულია ქართული პა-
რონომაზიის წევრთა მორფოლოგიური და სინტაქსური რაობა, ამ
წევრთა თანამიმდევრობის სხვადასხვაობა და ნაწილაკების ხმარება
პარონომაზიისათან. ავტორის აზრით ქართული ბიბლიის მცხეთური
ვარიანტი ძირითადად იმეორებს ებრაულ ორიგინალს პარონომაზიის
ხმარების მხრივ და ამდენადვე უახლოვდება ბერძნულ, სომხურ
და სირიულ ბიბლიებს, მაგრამ პარონომაზიის გადმოცემის დეტა-
ლებში გარკვეულ სხვაობას იჩენს სხვა ბიბლიიებთან შედარებით.

მეორე პრობლემა—აღმოსავლურ ენათა სტრუქტურის შესწავ-
ლა—შეიცვდა აგრეთვე 3 თემას. ერთია „შუა აზიის არაბული დია-
ლექტების ლექსიკონი“ (ნაწ. II)“ (აკად. ნამდ. წევრი გ. წერეთელი).
მასში დამუშავებულია ბუხარის არაბული დიალექტის მასალები.
ლექსიკონში შეტანილია ყველა სიტყვა, რომელიც კი გვხვდება ტე-
ქსტებში, სათანადო ილუსტრაციით. ამდენად შრომას დოკუმენტა-
ლური ლექსიკონის ხასიათი აქვს. შესრულებული სამუშაო ნაწილია
დიდი მონოგრაფიისა, რომელიც შუა აზიის არაბულისადმი არის
მიძღვნილი.

ნარკვევი „საქართველოს მუზეუმის სპარსული ოთხთავის ერთი უცნობი ხელნაწერის (№ 90) ენობრივი თავისებურებანი (მორფოლოგია, სინტაქსი)“ (მეცნ. კანდ. მ. ხუბუა) იხილავს სპარსული ენის ისტორიისა და ქართულ-ირანული კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის საკითხებს. გამოვლენილია საყურადღებო ენობრივი თავისებურებანი, სახელდობრ: ტრადიციული ტექსტების ნამყოწყვეტილის ნაცვლად გამოყენებულია პირველი კავშირებითი; მესამე სერიის მწერივთა ფორმებში გამოტოვებულია მეშველი ზმნა, ჰასიური ფორმები უფრო ხშირია ჩვეულებრივზე; ყველა ეს მოვლენა მომდინარეობს ხალხური მეტყველებიდან. სინტაქსური თავისებურებებიდან საგულისხმოა ქვემდებარისა და შემასმენლის. რიცხვში შეთანხმების დარღვევის შემთხვევები და სხვა.

ნაშრომში „ზოგიერთი არაძირეული თანხმოვნის საკითხისათვის არაბულში“ (მეცნ. კანდ. ა. ლეკიაშვილი), ერთი მხრივ, გაანალიზებულია არაძირეული რ, ლ, ჲ და სხვა თანხმოვანთა შემცველი სიტყვები და პარალელურ ძირებთან შედარების საფუძველზე მიღებულია დასკვნა, რომ ეს თანხმოვნები განვითარებულია სუსტი თანხმოვნების მსგავსად და, მეორე მხრივ, ცდა დამტკიცებულ იქნეს, რომ მ, ყ, ბ თანხმოვნები მომდინარეობენ პრეპოზიტციებისაგან.

ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების (გამგე: აკად. ნამდ. წევრი გ. ახვლედიანი) გეგმით მუშავდებოდა 4 პრობლემა. პირველი—ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები—წარმოდგენილი იყო 2 თემით. შრომა „ენის ალოს პრობლემა (1 ნაწ.)“ (აკად. ნამდ. წევრი გ. ახვლედიანი) ნაწილია მონოგრაფიული გამოკვლევისა-მასში. მოცემულია „ენის ალოს“ პრობლემის ისტორიული მიმოხილვა და სხვადასხვა შეხედულების კრიტიკა. ნაჩვენებია ამ პრობლემის თეორიული მნიშვნელობა და აგრეთვე პრაქტიკული მხარე მშობლიური და უცხოური ენის შეთვისების საქმეში. გამოკვლევის ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს! არა-მშობლიური ენის შესათვისებლად წარმოთქმის სისწორეს.

ნაშრომში „სახელთა მრავლობითობის აფიქსები კავკასიურ ენებში“ (მეცნ. კანდ. თ. გონიაშვილი) გარკვეულია რიცხვის გრა-მატიკული კატეგორია კავკასიური ენების მონაცემთა საფუძველზე ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით. მითითებულია, რომ სახელთა მრავლობითობის წარმოების მრავალფეროვნება და აფიქსთა სხვადასხვაობა კავკასიურ ენათა ისტორიული განვითარე-

ბის სხვადასხვა საფეხურს ასახავს. ამ ენებში ყურადღებას იპყრობს სახელთა მრავლობითობის ორგზისი გადმოცემა და გადმოცემის საშუალებანი.

პრობლემიდან—ზოგადი ენათმეცნიერების ისტორიის საკითხები — გათვალისწინებული იყო ერთი თემა „საენათმეცნიერო პრობლემები ვილჰელმ ჰუმბოლდტის შრომებში“ (მეცნ. კანდ. თ. შარაძენიძე). ნარკვევში დალაგებულია ვ. ჰუმბოლდტის „შეხედულებანი“ ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემების შესახებ და მათი კრიტიკული შეფასებისას გამოთქმულია მოსაზრება, რომ ვ. ჰუმბოლდტის კონცეფცია აგებულია ენის ექსპრესიული ფუნქციის პრიმარობის საფუძველზე. გავლებულია ზოგი პარალელი ვ. ჰუმბოლდტისა და XIX^{—XX} ს. ენათმეცნიერთა შეხედულებებს შორის. სხვათა შორის, ვ. ჰუმბოლდტის „კავი-ენის შესავლის“ რუსული თარგმანი შედარებულია გერმანულ დედანთან. გამოირკვა, რომ თარგმანი არ არის დამაქმაყოფილებელი: ბევრი ადგილი არაზუსტად არის გადმოცემული და ხშირად უხეში შეცდომებიცა დაშვებული.

პრობლემა—ზოგადი და ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები—იშლება 2 თემად. ამათგან ერთი „ე. პერმანის შეხედულებანი ფონეტიკური კანონზომიერების გამოუნაკლისობის შესახებ“ (აკად. ნამდ. წევრი გ. ახვლედიანი) კრიტიკული ნარკვევია. მოცემულია დასკვნა, რომ ფონეტიკური კანონზომიერების პრობლემის დამუშავებისას ე. პერმანი ვერ იჩენს თანამიმდევრობას მსჯელობაში.

„ქართული ვოკალიზმი“ (მეცნ. კანდ. ს. ულენტი) ექსპერიმენტულ-ფონეტიკური გამოკვლევაა. ხელოვნური სასისა და რენტგენოგრაფიის მეთოდებით ექსპერიმენტულად შესწავლილია ქართული ენის ხმოვნები და ისინი შედარებულია სვანურ და ევროპულ ენათა სათანაბო ხმოვნებს. გამოიჩინა, რომ ქართულ ხმოვნებს უფრო წინა არტიკულაცია ახასიათებს, ვიდრე სვანურ; რუსულ და ფრანგულ შესაბამის ხმოვნებს. სვანური შირითადი ხმოვნები უფრო უკანა წარმოებისანი არიან, ვიდრე, ქართული ხმოვნები. ისინი უფრო უახლოვდებიან რუსულ ხმოვანთა პროფილებს, ვიდრე ქართულისას.

ლოგოპედიურ ნარკვევში „ქართულ თანხმოვანთა კომპლექსების ცვლილებანი ენაჩლუნგთა მეტყველებაში“ (მეცნ. კანდ. ა. კაშაური) განხილულია ქართული ენის თანხმოვანთა კომპლექსების ფუნ-

ქციური და ორგანული ცვლილებანი ენაჩლუნგობის დროს; დადასტურებულია თანხმოვანთა დარღვევის სხვადასხვა შემთხვევა: არასწორი წარმოთქმა, ბგერათა და კომპლექსთა ამოვარდნა, ბგერათშენაცვლება, სიგმატიზმი, პარასიგმატიზმი, ბგერათგადასმა და სხვა. შენიშნულია, რომ თანხმოვანთა დეცესიურ კომპლექსებში ცვლილება ნაკლებ ხდება, აქცესიურში კი ხშირად.

შრომა „წარმოთქმის თავისებურებანი ზესადგამი მილის პათოლოგიური პროცესებში დროს“ (მეცნ. კანდ. ა. ჩარგეიშვილი) სამეტყველო ფიზიოლოგიის საკითხების ექსპერიმენტული შესწავლის შედეგია. გაშუქებულია საკითხი, ახდენს თუ არა გავლენას რეზონანსზე ცხვირისა და პირის ღრუ. ამ მიზნით ჩაწერილია კიმოგრაფზე სიტყვები ისეთი პირებისაგან, რომელთაც პირისა და ცხვირის ღრუ პათოლოგიურ მდგომარეობაში ჰქონდათ. მრუდეები გაზომილია სკრიპჩერის მეთოდით. გამოირკვა, რომ ზესადგამი მილის პათოლოგიური მდგომარეობა ასუსტებს მის რეზონატორულ უნარს, გავლენას ახდენს ტემბრზე.

სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების (გამგე. აკად. წევრ-კორ. ვ. მ. ბერიძე) პრობლემა იყო ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის დადგენა. განყოფილება მუშაობდა იურიდიკული ტერმინოლოგიის უნიფიკაციაზე (აკად. წევრ-კორ. ვ. მ. ბერიძე, პროფ. ი. ტალახაძე, პროფ. ა. ვაჩეიშვილი, მეცნ. კანდიდატები ბ. ფურცხვანიძე და ი. მრევლიშვილი, ს. სუსანოვი და განყოფილების თანამშრომლები მეცნ. კანდ. პ. ხუბუტია, თ. სალარიძე და ა. კალევა). უნიფიკირებულია იურისპრუდენციის ყველა დარგის ტერმინოლოგია ა-მ ასოებზე.

ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა გეგმის გარეშე დაამუშავეს 30 თემა, რომელთაგან უმრავლესობა წაკითხულია მოხსენებად სამეცნიერო სხდომებსა და სესიებზე, ზოგიც დაბეჭდილია.

საანგარიშო წლის განმავლობაში ინსტიტუტის თანამშრომლებმა დაბეჭდეს 26 შრომა და 3 დარგის ტერმინოლოგია. გამოვიდა ინსტიტუტის ორგანო „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. I, სადაც მოთავსებულია 23 შრომა. გადაცემულია დასაბეჭდად 20 გამოკვლევა (ამათგან, 2 დიდი მოცულობისა).

ენის ინსტიტუტმა ჩაატარა III სამეცნიერო სესია, სადაც წაკითხული იყო 10 მოხსენება: 1. აკად. ნამდ. წევრის გ. ახვლედიანისა

--ვერნერის კანონის ფიზიოლოგიისათვის (კ. ვერნერის დაბადებიდან 100 წლისა და გარდაცვალებიდან 50 წლისთვის გამო), 2. მეცნ. კანდ. ს. უღენტისა—ქართული ვოკალიზმი, 3. მეცნ. კანდ. შ. ძიძიგურისა—რაჭული დიალექტის მუსიკალური აქცენტუაცია, 4. მეცნ. აკად. ნამდ. წევრის ა. ჩიქობავასი—სტატიკურობისა, გვარისა და გარდამავლობის ისტორიული ურთიერთობისათვის, 5. მეცნ. დოქტ. ქ. ლომთათიძისა—სახელის განსაზღვრული ფორმა დშხარული დიალექტის აფსუს კილოკავში, 6. მეცნ. კანდ. გ. როგავასი—ლვთაების სახელწოდების ეტიმოლოგიისათვის დილეურში, 7. აკად. ნამდ. წევრის ვ. თოფურიასი—ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან: კნინობითი ქართველურ ენებში, 8. ი. ასათიანისა—მისი ნაცვალსახელის ფუნქციისათვის ძველ ქართულში, 9. გ. იმნაიშვილისა—მყოფადისა და ნამყო წყვეტილის წარმოებისათვის ინგილოურში და 10. მეცნ. კანდ. ა. მარტიროსოვისა—ჯავახურის შიმართების საკითხებისათვის მესხურთან.

სსრ კავშირის მეცნ. აკად. ლიტერატურისა და ენის განყოფილების სხდომაზე აკად. ნამდ. წევრი გ. ახვლედიანი გამოვიდა მოხსენებით: „О недостаточном звонком фарингальном взрывном в грузинском языке“.

ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა მიიღეს მონაწილეობა ქართული ენის კათედრათა II სამეცნიერო-მეთოდურ კონფერენციაზე მოხსენებებით.

განაგრძობდა მუშაობას ინსტიტუტთან არსებული „საენათ-მეცნიერო საუბრების“ წრე. წლის განმავლობაში ჩატარდა 15 საუბარი.

ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლებდა სისტემატურად უწევდნენ კონსულტაციას როგორც აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებს (ა. რაზმაძის სახ. მათემატიკისა და ზოოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი), აგრეთვე სხვა ორგანიზაციებსაც: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, ბერიას სახ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტს და სხვა.

გარდა ამისა, აკად. ნამდ. წევრებმა ა. ჩიქობავამ, ვ. თოფურიამ

და მეცნ. კანდ. ს. ჯიქიამ რედაქტია გაუკეთეს 5 სასკოლო სახელმძღვანელოს.

საანგარიშო წელს ინსტიტუტმა ჩაატარა გეგმით გათვალისწინებული ექსპედიციები და სამეცნიერო მივლინებები. ექსპედიციაში იყო 14 მეცნიერი მუშაკი; სახელმძღვანელურ ენათა განყოფილებიდან: მეცნ. კანდ. ი. გიგინეიშვილი—გუდამაყარში—გუდამაყრულის შესასწავლად, მეცნ. კანდ. შ. რიძიგური — ლეჩხუმში — ლეჩხუმური დიალექტის გასაცნობად, მეცნ. კანდ. ა. ჭარტიროსოვი—ჭავახეთში—ჭავახურის თავისებურებათა გამოსარკვევად, ა. დავითიანი და ა. ონიანი—სვანეთში—სვანური სალექსიკონი მასალების შესაკრებად; კავკასიურ ენათა განყოფილებიდან: მეცნ. კანდ. გ. როგავა—ადილეს ავტონომიურ ოლქში—ადილეური ენის შესწავლის განსაგრძობად, მეცნ. კანდ. დ. იმზაიშვილი—ჩრდილო კავკასიაში, ვედენოს რაიონში—დიდოურის გასაცნობად, გ. გუდავა—ჩრდილო კავკასიაში, ვედენოს რაიონში—ბოთლიხურის შესასწავლად, ი. ასათიანი—სოფ. სართვი—ჭანურზე სამუშაოდ, ა. მაჰმეტოვი—დაღესტანში—კუბაჩური ენის მასალების შესაკრებად; ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილებიდან: მეცნ. კანდ. ს. ულენტი—ქვემო სვანეთში და მეცნ. კანდ. თ. შარაძენიშე—ზემო სვანეთში—სვანური დიალექტების გამოსაკვლევად, მეცნ. კანდ. ა. კაიშაური—დუშეთის რაიონში—მოსწავლეთა წარმოთქმაზე დასაკვირვებლად ლოგოპედიური თვალსაზრისით და ე. გუდიაშვილი—წალკის რაიონში, ბერძენ მოსახლეთა თურქული ენის შესასწავლად.

ექსპედიციების საანგარიშო მოხსენებები მოსმენილ იქნა სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე.

გარდა ამისა, კვალიფიციაციის ამაღლების მიზნით, ლენინგრადში მივლენილი იყო ინსტიტუტის 4-მეცნიერი თანამშრომელი: მეცნ. კანდიდატები მ. ანდრონიკაშვილი, კ. წერეთელი, ა. ლექიაშვილი და ი. ქავთარაძე.

საანგარიშო წელს ინსტიტუტის 4-მა თანამშრომელმა დაიცვა საჭანდიდატო დისერტაცია: 1. ს. ჯიქიამ თემაზე „მესხეთის ქართული მოსახლეობის თურქული მეტყველების ზოგიერთი თავისებურება“, 2. მ. ანდრონიკაშვილმა თემაზე „ირანული წარმოშობის სიტყვები ძველ ქართულ ორიგინალურ ძეგლებში“, 3. კ. წერეთელმა თემაზე „ხმოვანთა ჰარმონიის საკითხისათვის ურმის არამეულში“ და 4. ა. ლექიაშვილმა თემაზე „ძირთა მორფოლოგიური და სემასიოლოგიური პარალელები კლასიკურ არაბულში“.

დირექტორი აკად. ნამდ. წევრი კ. კეკელიძე

ინსტიტუტში სამი განყოფილებაა: ძეგლი ქართული ლიტერატურის ისტორიისა, ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ქართული ფოლკლორისა.

ძეგლი ქართული ლიტერატურის ისტორიის განყოფილება მუშაობდა ოთხი ძირითადი პრობლემის გარშემო:

„საისტორიო პოემების უანრი XVII—XVIII ს.ს. ქართულ ლიტერატურაში“;

„ქართული კლასიკიზმი (XII—XIII ს. ს.)“;

„ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი“ და

„სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი“.

საანგარიშო წელს ინსტიტუტში შესრულებულია შემდეგი სამუშაოები:

აკად. ნამდ. წევრმა კ. კეკელიძემ დაწერა გამოკვლევა „მარტვირი ქართველი და მისი შრომა «სინანულისათვის და სიმდაბლისა»“; მკვლევარი განიხილავს მისტიკურ-ასკეტიკური მწერლობის ერთ-ერთ უძველეს, დღემდე უცნობ ძეგლს, რომელიც მხოლოდ ქართულ ენაზეა შემონახული. მისი ავტორი ყოფილა ვინწე მარტვირი საბაწმინდელი, ქართველი, მოღვაწე საბას ლავრისა (იერუსალიმში); ეს შრომა მარტვირისა მაჩვენებელია, რომ მისტიკურ-ფილოსოფიურ დარგშიც ქართველები ძეგლად არ კმაყოფილდებოდნენ უცხო ენებიდან თარგმნით, არამედ თავის ორიგინალურ თხზულებებსაც წერდნენ და ამ გზით საკუთარი წვლილი შექვენდათ მსოფლიო ძეგლობის სალაროში.

აკად. წევრ-კორ. ა. ბარამიძემ დაამზადა მონოგრაფია „თამარიანი“. მონოგრაფიაში განხილულია ძეგლის ყველა ძირითადი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხი და მოცემულია ტექსტის ვრცელი შინაარსობლივ-იდეური და მხატვრული ანალიზი; მკვლევარი არკვევს XII ს. ქართული სახოტბო პოეზიის სპეციფიკას, კერძოდ „აბდულ მესიანისა“ და „თამარიანისას“, საქართველოს იმდროინდელი სო-

ციალურ-პოლიტიკური და იდეოლოგიური ვითარების ფონზე. მონო-გრაფიაში განხილულია საკითხი „თამარიანის“ აღგილის შესახებ ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

მეცნ. დოქტ. დ. კობიძე მუშაობდა თემაზე „ქართულ-სპარსული პოეტიკის ურთიერთობიდან“; შრომაში განხილულია ქართულში აღმოსავლეთიდან შემოსული ლექსწყობილების აღმნიშვნელი ტერმინები, როგორიცაა: „დუბეითი“, „მუხამბაზი“, „თუჯნისი“, „მაჯამა“, „მუსტაზალი“ და სხვა.

მეცნ. კანდ. ტ. რუხაძემ დაწერა გამოკვლევა თემაზე „უცნობი პროზული რედაქციის ქეთევანის ცხოვრება-წამებისა“, რომელიც შეუდგენია ხუცეს-მონაზონს გრიგოლს. ამ თხზულებას, გარდა წმინდა და ლიტერატურულისა, უაღრესი ისტორიული პნიშვნელობაც აქვს. იგი გამოუყენებით, როგორც ლიტერატურული წყარო, შემდეგ საისტორიო თხზულებათა აეტორებს: ბერ ეგნატაშვილს, ვახუშტი ბატონიშვილს, „პარიზის ქრონიკის“ ავტორს, ანტონ I-ს იოანესა და თეიმურაზ ბატონიშვილებს.

მეცნ. კანდ. თ. ჭურია მუშაობდა თემაზე „პოემა კათოლიკუს-ბაქარიანი“. ავტორი დაწვრილებით ანალიზს უკეთებს აღნიშნულ პოემის ტექსტს, მის მხატვრულ მხარეს და იძლევა სტროფების თანამიმღევრულად დალაგების ცდას; ის ასკენის, რომ აღნიშნულ პოემას დაუცავს ზოგი ისეთი ისტორიული ცნობა, რომელიც მატია-ნეში არ არის შეტანილი.

მეცნ. კანდ. ს. ყუბანეიშვილმა დაამზადა გამოსაცემად XVIII ს. ისტორიული პოემა „ვახტანგიანი“. ავტორმა შეისწავლა ჩვენს სიძველეთსაცავებში დღემდე უცნობი ხელნაწერი პოემისა და მრავალი საინტერესო ვარიანტი აღმოაჩინა; კვლევა-ძიებამ ნათელჰყო, რომ ეს პოემა ძალზე პოპულარული ყოფილა დოლენჯიანთ გვარში, რომელშიაც მას ვზითვადაც კი ატანდნენ ქალებს.

მეცნ. კანდ. გ. იმედაშვილი კვლევა-ძიებას აწარმოებდა თეიმურაზ ბატონიშვილის შრომის გარშემო, „განმარტება ვეფხის ტყაოსნისა“, რომელიც აქამდე ცნობილი იყო მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრისათვის; მასში განმარტებულია „ვეფხის ტყაოსნის“ ყველა სტროფი; ის შეიცავს არა მარტო ტექსტის კომენტარებს, არა-მედ ზოგიერთ საყურადღებო ცნობას რუსთაველის შესახებაც და დღესაც მნიშვნელოვანია რუსთაველოგიისათვის.

მეცნ. დოქტ. შ. რადიანმა დაწერა შრომა „აკაკი წერეთლის ისტორიული პოემები“ . მკვლევარი შემდეგ დასკვნამდე მიღის: ა. წერეთლი ეპოქის პოეტურ აღდგენას დიდის სერიოზულობით უდგება; ის ისტორიული მოვლენებიდან და ფაქტებიდან ყოველთვის ღრჩევს არსებითს. ა. წერეთლი არ იმეორებს რომანტიზმის მოტივებს, მას არ ახასიათებს წარსულის რომანტიკული იდეალიზაცია; პოეტი წერს წარსულზე, მაგრამ არ არის ჩაკეტილი მის მიერ გამოხატულ ეპოქაში, იგი ყოველთვის ეძებს დამაკავშირებელ ძაფებს წარსულსა და თავის თანამედროვეობას შორის.

მეცნ. კანდ. გ. აბზიანიძის თემა მიზნად ისახავდა ნიკო ნიკოლაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლას 70-ანი წლების მანძილზე. შრომის პირველ ნაწილში, რომელშიაც მოცემულია ვრცელი ანალიზი ნ. ნიკოლაძის ესთეტიკურ-ლიტერატურული შეხედულებებისა, ავტორი იმ დასკვნამდე მიღის, რომ ქართველმა ხალხმა XIX ს. შექმნა არა მარტო მხატვრული შემოქმედების ბრწყინვალე ძეგლები, არამედ თეორიულ-ესთეტიკური აზროვნების შესანიშნავი ნიმუშებიც. შრომის მეორე ნაწილში განხილულია ნ. ნიკოლაძის ლიტერატურული მოღვაწეობა 70-ანი წლების, ეგრიპაში და მოყვანილია მრავალი უცნობი ფაქტი ჩვენი პუბლიცისტის რადიკალური მსოფლმხედველობისა და ფართო პორტონიზმის დასახასიათებლად.

მეცნ. კანდ. გ. კიკნაძემ წარმოადგინა შრომა „ჰუმორი და სატირა XIX ს. მე-60 წლების ქართულ ლიტერატურაში“; ნარკვევთან ერთად წარმოდგენილია იმდროინდელ ჩვენს უურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ჰუმორისტულ-სატირული ხასიათის თხზულებანი. ავტორი არჩევს ამ თხზულებებს ჯერ თემატიკური თვალსაზრისით, შემდეგ კი ეხება მათს მხატვრულ მხარესა და თავისებურებას; შრომაში ნაჩვენებია კავშირი, რომელიც არსებობდა მაშინდელ ქართულ-სა და რუსულ ლიტერატურას შორის და მოხდენილია სატირულ თხზულებათა თემატიკური კლასიფიკაცია.

მეცნ. კანდ. ა. ჭეიშვილი მუშაობდა თემაზე „გველის მჭამელის სიბრძნე“ (ვაჟა-ფშაველას ბუნების ფილოსოფია); ავტორი თავის შრომაში შემდეგ დასკვნებამდე მიღის:

ა) ვაჟა-ფშაველას ბუნების ფილოსოფია განსაკუთრებით ნათლად „გველის მჭამელშია“ გაშლილი;

ბ) ვაჟას მკვლევარი ამ პოემას ხშირად ვიწროდ, ადამიანის ბუნებასთან დამოკიდებულების ასპექტში, განიხილავენ და თითქმის

საესპიოთ უგულვებელჰყოფენ „გველის მჭამელის“ ოთულ სოციალურ პრობლემატიკას;

გ) ვაჟა-ფშაველას ეს დაუცხრომელი ინტერესი ბუნების შინაგანი ცხოვრებისადმი თვითმიზნური არ იყო; ვაჟა-ფშაველა უდიდესი პუმანისტია და მას ბუნებაზე, ორგანულ სამყაროზე უფრო მეტად აღამიანთა საზოგადოება აინტერესებს.

თ. ჯიბლაძემ დაამუშავა თემა „ცახელის ცხოვრება და შემოქმედება“. ალდგენილია ცახელის (პ. თვალჭრელიძის) ბიოგრაფია და შესწავლილია მისი შემოქმედება; ავტორი ცახელს განიხილავს, როგორც აკადემიური წერეთლის ლიტერატურული სკოლის პოეტს.

მეცნ. კანდ. მ. ჩიქოვანს გათვალისწინებული პქონდა „ქართული გამოცანების“ დასაბეჭდად მომზადება (ტექსტები, შესავალი). ამ მიზნით მან შეისწავლა სათანადო სამუხეულო მასალა, ამოკრიბა ხალხური გამოცანების ჩანაწერები ადრინდელი ანთოლოგიებიდან; ამას დაემატა პერიოდულ პრესაში მოთავსებული 27000 ერთეული. ეს დიდძალი მასალა კლასიფიცირებულ იქნა თემატიკური ბუნების მიხედვით. შრომიდან ირკვევა, რომ ჩვენში ზეპირსიტყვიერების მასალების შეკრება იწყება არა 60-ანი წლებიდან, არამედ XVIII ს. დასასრულისა და XIX ს. დასაწყისიდან.

მეცნ. კანდ. ქ. სიხარულიძის ნაშრომი „ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერების ისტორიოგრაფია“ ნაწილია მონოგრაფიისა „ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება“. ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორიოგრაფია ავტორს ზაყოფილი აქვს სამ პერიოდად: პირველ პერიოდში აღნიშნულია წერილობით ძეგლებში დაცული ზეპირსიტყვიერი ძეგლები და ცნობები მათ შესახებ V-დან XIX ს. დასაწყისამდე; მეორე პერიოდში განხილულია შეცნიერულ-შემკრებლობითი მუშაობა ფოლკლორის დარგში XIX ს-დან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე; მესამე პერიოდში განხილულია საგმირო საისტორიო ნაწარმოებთა შეკრებისა და შესწავლის საქმე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

მეცნ. კანდ. ე. ვირსალაძის თემა მთიულეთის შესახებ წარმოადგენს ნაწილს მონოგრაფიისას მთიულეთის გარშემო. მასში წარმოდგენილია ანალიზი სამეცნიერო-კვლევით ლიტერატურაში არსებული ცნობებისა მთიულეთის შესახებ და გამოყენებულია მთიულური ეპოსი; ფაქტიურ მასალებზე დაყრდნობით ავტორი აკეთებს დას-

კვერცხს მთიულეთის წარსულის საკვანძო მომენტების შესახებ; ნაშრომში გაშუქებულია აგრეავე საკითხი რეპერტუარის ასაკობრივი ვანაშილების შესახებ თანამედროვე მთიულეთში.

ა. ცანავას თემა იყო ხალხური პოეზიის კლასიკური ნიმუში „არსენას ლექსი“. პოემის ტექსტის ანალიზის საფუძველზე ავტორი იმ დასკვნამდე მიღის, რომ „არსენას ლექსი“ არ არის ერთი მესტვირის ნაწარმოები, არამედ მასში გაერთიანებულია არსენას გარშემო არსებული რამდენიმე გაღმოცემა. მკვლევარის მიერ მოპოვებული ვარიანტები, რომლებიც გამოკვლევას თან ახლავს, საშუალებას იძლევა იმის გასათვალისწინებლად, თუ რა ცვლილებას განიცდიდა არსენას სახე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით.

მეცნ. კანდ. შ. ჩიქოვანი მივლენილი იყო ლენინგრადს, სადაც მან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებაში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ალმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტსა და ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდში შეისწავლა ქართული ფოლკლორის მასალები. ალნიშნული მასალები დიდი მნიშვნელობისაა ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიისათვის.

მეცნ. კანდ. ქ. სიხარულიძემ მოვლო ხევსურეთის სხვადასხვა სოფელი და ჩაწერა ხალხური სიტყვიერების სხვადასხვა ჟანრისა და სხვადასხვა დროის 230 ნიმუში.

1946 წლის გაზაფხულზე ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებამ მოაწყო ექსპედიცია მთიულეთში მეცნ. კანდ. ე. ვირსალაძის (ხელმძღვანელი), თ. ოქროშიძისა და ა. ცანავას შემაღენლობით. ექსპედიციამ მოიარა და შეისწავლა მთიულეთის 28 სოფელი, ჩაწერა 600-ზე მეტი ტექსტი სხვადასხვა ჟანრისა (ზღაპრები, ლექსები, ლეგენდები, ანდაზები და სხვა). ჩაწერილი მასალები გადათეთრებულია და დალაგებული სოფლებისა და მთქმელების მიხედვით.

საანგარიშო წელს ინსტიტუტმა ჩაატარა ერთი სამეცნიერო სესია, რომელზედაც მოსმენილ იქნა შემდეგი მოხსენებები:

1. აკად. ნამდ. წევრი კ. კეკელიძე — „შავთელის ხოგიერთი. ტაეპის კომენტარები“;

2. აკად. წევრ-კორ. ა. ბარამიძე — „წინასწარი შენიშვნები რუმიანცევისეული ქართლის ცხოვრების ხელნაწერის შესახებ“;

3. მეცნ. კანდ. ა. ჭეიშვილი — „თანამედროვეობის ასახვა ლეო ჭიახელის შემოქმედებაში“;

4. მეცნ. დოქ. დ. კობიძე — „ბაჭმან-ნამეს ქართული ვერსიის საარსულ წყაროებთან დამოკიდებულების საკითხისათვის“;

5. მეცნ. კანდ. ტ. რუხაძე — „დღემდე უცნობი პროზული რედაქცია ქეთევან დედოფლის ცხოვრება-წამებისა“;

6. მეცნ. კანდ. გ. აბზიანიძე — „ალექსანდრე ჭიათუავაძის შემოქმედების პრობლემები“ და

7. მეცნ. კანდ. ე. ვირსალაძე — „მეჩვიდმეტე საუკუნეში ჩაწერილი ორი ქართული ზღაპარი“. —

საანგარიშო წელს ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა წაიკითხეს 8 სამეცნიერო და 20 სამეცნიერო-პოპულარული მოხსენება; გამოსცეს ხუთი წიგნი, მათ შორის ორი სახელმძღვანელო, დაბეჭდეს 30 მეცნიერულ-ლიტერატურული ნარკვევი ან სტატია. ინსტიტუტის თანამშრომელმა დ. კობიძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „შავ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები“. —

მიმდინარე წელს ინსტიტუტის ძველი ლიტერატურის ისტორიის განყოფილების გამგე პროფ. ა. ბარამიძე არჩეულ იქნა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

ინსტიტუტი თავის შესაძლებლობის შესაბამისად მონაწილეობას იღებდა ჩვენი ქვეყნის ლიტერატურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები ეხმაურებოდნენ მიმდინარე ლიტერატურულ ცხოვრებას, იღებდნენ მონაწილეობას დისკუსიებში საბჭოთა ბრერლობის საკიონებზე, ქართველი მწერლების იუბილეებში, პრესაში, რადიოში და სხვა.

ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა საერთო კრებამ, რომელიც მოწვეული იყო 11.X.46-ს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წ. 14 და 26 აგვისტოს დადგენილებებისა და ამხ. ა. უდანოვის მოხსენების განსახილველად, აღძრა აკადემიის მუნიციპალური დიუმის წინაშე შუამდგომლობა ინსტიტუტში საბჭოთა ლიტერატურის განყოფილების შექმნის თაობაზე. ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნა.

1946 წელს პაკადემიის გამომცემლობაში დაიბეჭდა ინსტიტუტის დირექტორის აკად. ნამდ. წევრის კ. კეკელიძის შრომა „ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, კიბენი“, ტ. II. ამავე წელს გადაეცა გამომცემლობას დასაბეჭდად ინსტიტუტის ორგანოს „ლიტერატურულ ძიებათა“ III ტომი, რომელიც 19 ნაშრომს შეიცავს.

კურ. ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი

დირექტორი აკად. ს. ჯანაშია

წლის დამდეგს ინსტიტიტში 7 განყოფილება იყო, ხოლო 1947 წლის 1 იანვრისათვის—6: ისტორიისა, არქეოლოგიისა, ეთნოგრაფიისა, ფილოლოგიისა, მუსიკალური ფოლკლორისა და მედიცინა-ბუნებისმეტყველების ისტორიისა.

ფილოსოფიის ინსტიტუტის დაარსების გამო ისტორიის ინსტიტუტის ფილოსოფიის განყოფილება მას გადაეცა.

წლის მეორე ნახევარში ინსტიტუტის კოლექტივს გამოაკლდა საქართველოს არქეოლოგიის ერთ-ერთი უხუცესი მკვლევარი—გარდაიცვალა არქეოლოგიის განყოფილების უფრ. მეცნ. თანამშრ. ისტორიის მეცნ. კანდ. მ. ივაშენკო.

მეოთხე ხუთწლედის და კერძოდ საანგარიშო წლის გეგმაში ასახულია ინსტიტუტის ძირითადი მეცნიერული პროფესილი.

ინსტიტუტი კვლავ სწავლობს: ძველი ძლიერი სამოსაცვლეთისა და ძველი საქართველოს, ფეოდალური საქართველოს და XIX—XX ს. ს. საქართველოს ისტორიას; საქართველო-კავკასიის ეთნოგრაფიასა და არქეოლოგიას, წინააზის ეთნოგრაფიასა და არქეოლოგიასთან კავშირში; ქართულ მუსიკალურ ფოლკლორსა და ძველ საგალობლებს; ქართულ ხალხურ მედიცინას და საქართველოში მეცნიერული მედიცინისა და ბუნებისმეტყველების ისტორიას. ამასთანვე ინსტიტუტში მზადდება ეროვნული ისტორიოგრაფიის უმთავრესი ძეგლების მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა და რიგი სახელმძღვანელოები.

ინსტიტუტის გეგმა მოიცავდა 68 თემას, დაჯგუფებულს 18 ძირითადი პრობლემის ირგვლივ.

შესრულებულ თემათა შორის 31 კვლევითი ნაშრომია, 5 მეცნიერულ-კრიტიკული პუბლიკაციისათვის გამზადებული ძეგლი და 14—მასალები.

ნაშრომთაგან 2 დაიბეჭდა და 2 იბეჭდება; 50 ნაშრომი დამზადებულია გამოსაქვეყნებლად.

საანგარიშო წელს გამოვიდა ინსტიტუტში დამუშავებული საზელმძღვანელოს — „საქართველოს ისტორია“ (აკადემიკოსები ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია და საქ. სსრ აკად. ნამდ. წევრი ნ. ბერძენიშვილი) რუსული ვარიანტი და მეორე ქართული გამოცემა. გამომცემლობას გაღაერა ინსტიტუტის ისტორიის ანალების I ტომი, მიძღვნილი ვახუშტის „ისტორიის“ 200 წლისთავისადმი და საქართველოს და კავკასიის ისტორიის მასალების მორიგი ნაკვეთი. თითქმის მთლად დაიბეჭდა ბასილი დიდის „ექსათა დღეთა“, გამოკვლევითურთ. წლის ბოლოს გადაეცა სტამბას და 1947 წ. იანვარში გამოვიდა აკად. ს. ჯანაშიას კრიტიკული ნარკვევი „Об одном примере искажения исторической правды“ (По поводу книги Н. Токарского „Архитектура древней Армении“).

ინსტიტუტმა ჩაატარა არქეოლოგიური გათხრები მცხეთაში, დაზვერვები მცხეთა-გორს შორის, გათხრები სამხრეთ ოსეთში და კოლხეთის დაბლობში.

ამასთანავე მოეწყო: 3 ეთნოგრაფიული ექსპედიცია და 4 ინდივიდური მივლინება, ფილოლოგიური (ეპიგრაფიკული) მივლინება, 2 ექსპედიცია მუსიკალური ფოლკლორის ჩასაწერად და 1 ექსპედიცია ხალხური მედიცინის მასალების შესაკრებად.

საანგარიშო წლის განმავლობაში ინსტიტუტში მოეწყო 48 სხდომა, რომლებზედაც წაკითხულია 42 მოხსენება.

საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა ინსტიტუტის ორმა თანამშრომელმა: ი. გძელიშვილმა თემაზე „Грунты и условия функционирования в гор. Тбилиси“ და ი. ციციშვილმა თემაზე „К вопросу об античных городах-крепостях Грузии“.

ერთი საჯარო სხდომა მიეძღვნა თეიმურაზ ბატონიშვილის გარდაცვალებიდან 100 წლისა და ა. ფრონტის გარდაცვალებიდან 30 წლისთავს.

ისტორიის განყოფილება მუშაობდა 5 პრობლემაზე. განყოფილების ერთ-ერთ ძირითადსა და ტრადიციულ პრობლემას — ქართული ფეოდალიზმის შესწავლას — 3 თემა მიეძღვნა.

აკად. ს. ჯანაშიამ დაამუშავა თემა „ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიიდან საშუალო საუკუნეებში“. ამ ნაშრომის ძირითადი დებულებანი შევიდა საქართველოს ისტორიის ცნობილი სახელმძღვანელოს რუსულ ვარიანტში და მეორე ქართულ გამოცემაში სათანადო პარაგრაფების სახით და ამდენად უკვე გამოქვეყნიბულად უნდა ჩაითვალოს.

ა. როგოვა მუშაობდა გარდამავალ თემაზე „ანტონ I მოღვაწეობა“. შრომაში ასახულია თეიმურაზე — ერეკლეს დროინდელი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები.

ბ. ლომინაძემ დაამუშავა თემა „დავით გარეჯის მონასტრის ორგანიზაცია და ისტორია“, რომლის მიზანი იყო მონასტრის, როგორც ფეოდალური ერთეულის, ისტორიისა და საქართველოს პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში მისი როლის შესწავლა. დადგენილია, რომ XI-დან XX ს-მდე ეს მონასტრი ექვსჯერ აოხრებულა და სამჯერ გაუქმებულა და კვლავ აღდგენილა; დადასტურდა, რომ XV ს-დე იგი სამეფო მონასტრებს ეკუთვნოდა, XV—XVII ს. ს. საკათალიკოსო მონასტრებს, ხოლო შემდეგ — თავისუფალ საეპარქიო მონასტრებს; შესწავლისა მონასტრის შინაგანი წყობილები და სამეურნეო ვითარება. .

XIX—XX ს. ს. საქართველოს ისტორიის შესწავლის ხაზით განყოფილებაში დამუშავდა 3 თემა.

თემა „ქართლის მთიანეთი XIX საუკუნეში“ (მეცნ. კანდ. დ. გვრიტიშვილი) მიეძღვნა მთიანეთის ეკონომ-პოლიტიკური ვითარების შესწავლას XIX ს. I-ლ ნახევარში; დადგენილია ქართლის მთიანეთის ეკონომიური თავისებურება და მთის მცხოვრებთაფის დაწესებული სახაზინო გადასახადები; გარკვეულია მთის მმართველობის სისტემა; განხილულია აგრეთვე 1804 წლის მთიულეთის აჯანყება და ამ რაიონის გლეხთა სხვა მოძრაობანი XIX ს. პირველ ნახევარში.

შრომაში „ხელოსნობა XIX ს. საქართველოში“ (მეცნ. კანდ. შ. შესხია) გარკვეულია კარიზმის ეკონომიური პოლიტიკის გავლენა. ხელოსნობის განვითარებაზე; ხელოსნური მეურნეობის საერთო განვითარებასთან ერთად გაშუქებულია მისი ჭოლი XIX ს. საქართველოს სამოქალაქო ცხოვრებაში და აგრეთვე რუს ხელისუფალთა ღონისძიებანი უცხოური და რუსული ხელობის დარგთა დამკვიდრებისათვის.

ნაშრომში „ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში 1900—1917 წ. წ.“ (მეცნ. კანდ. ტ. ხუნდაძე) ვამჟექებულიი, ერთი მხრით, საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის მონაწილეობა მოსახლეობასთან ერთად რევოლუციურ მოძრაობაში და მისი ეროვნული საგანმანათლებლო მოთხოვნილებანი, ხოლო, მეორე მხრით, ის შენილბული დათმობანი, რომლითაც მეფის მოხელენი

ხალხის მოტყუებას ცდალობდნენ; გამოაშკარავებულია ცარიზმის რეაქციული პოლიტიკა განათლების დარღვი და ქართული საზოგადოების ბრძოლა ამ პოლიტიკის წინააღმდეგ.

დამუშავებულია თემა „ქართველი საზოგადოება 1845—1857 წ.წ. (ნდობისა და თანხმობის ხანაში)“ (მეცნ. კანდ. მ. ბერძნიშვილი), რომელშიაც გამოვლენილია მაშინდელი ე.წ. მესაჭე ქართველობის სოლიდარობა მთავრობასთან (მეტადრე ვორონცოვის დროს), მისი რეპტილობა, ეროვნული ხასიათის მოვლენებისადმი ინდიფერენტიზმი, „რუსობაზე“ მკვეთრად კურსის აღება (ჩაცმა-დახურვა, ჭრძო ცხოვრება, ლაპარაკი, რუსულად წერა და ბეჭდვა) და, მეორე მხრით, ქართული საზოგადოებრიობის ამოძრავება (ძველ ნაწარმოებთა მულტიპლიკაცია და ბეჭდვა, სიძველეთა რესტავრაცია, ქართული თეატრის დაფუძნება, უფრნალის დაარსება) და რეაგიმით უკმაყოფილების ნიშნები.

ძველი აღმოსავლეთის ისტორიის შესწავლის ხაზით დამუშავდა ერთი თემა — „ურარტული და ასურული საისტორიო წარწერების სტილის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი“ (მეცნ. კანდ. გ. მელიქიშვილი), რომლის მიზანი იყო ურარტული წარწერების სტილის შემუშავებაში ასურული გავლენის რაგვარობის გამოვლენა და როგორც ორივესათვის საზიარო, ისე განმასხვავებელი ნიშნების დადგენა; შესწავლილია ურარტული საომარი და საამშენებლო წარწერების სტილი, გარკვეულია მისი დამახასიათებელი ნიშნები და, ასურულ წარწერათა სტილთან შედარების ფონზე, ნაჩვენებია მათ შორის არსებული განსხვავება; ნაჩვენებია ურარტულის პარალელები ასურული წარწერების აგებულებაში, ცალკეული მომენტების გადმოცემასა და ტრაფარეტულ ფრაზეთლოვნიაში.

საისტორიო ძეგლების გამოცემის ხაზით თ. ხაჟომიამ დამთავრა ვახუშტის „ისტორიის“ ტექსტის დასაბეჭდად გამზადება.

საქართველოს ისტორიის უცხო წყაროების შესწავლის ხაზით ამოკრებილია და გადმოქართულებული ქრისტეფორე კასტელისა და სხვა იტალიელი ავტორების ნაწერთაგან ცნობები საქართველოს შესახებ (მეცნ. კანდ. ბ. გიორგაძე).

შესრულებულია 1946 წლისათვის გათვალისწინებული ნაწილი ნიზამ ალ-მულქის „სიასეთ-ნამეს“ ანუ „სახელმწიფოს მართვის წიგნის“ სპარსული ტექსტისა ქართული თარგმანით და შენიშვნებით (მეცნ. კანდ. გ. ფუთურიძე).

ზაფხულში განყოფილების 7 უფროსი და 2 უმცროსი მეც-

ნიერი თანამშრომლისაგან შემდგარი ბრიგადა, აკად. ნამდ. წევრის 6. ბერძნიშვილის მეთაურობით, მივლენილ იქნა მოსკოვსა და ლენინგრადს; იქაურ არქივებსა და სიძველეთსაცავებში ამოკრებილია ახალი უცნობი შასალები XIX—XX ს. ს. საქართველოს შესახებ.

ამასთანვე განყოფილების წარდგინებით ინსტიტუტმა დასდო რიგი ხელშეკრულებანი მოსკოველ, ლენინგრადელ და თბილისელ მუშაკებთან საარჩივო მასალების შერჩევისა და ამობეჭდვის შესახებ (სულ დაახლოებით 70 თაბახის ოდენობით).

ეს ღონისძიებანი, ისევე როგორც განყოფილების ყურადღების ცენტრში მყოფი პრობლემა—XIX—XX ს. ს საქართველოს ისტორიის საკითხების დამუშავება, ემსახურებოდა ზემდგომი ორგანოების მიერ ინსტიტუტის წინაშე დაყენებულ საგანგებო ამოცანას—„საქართველოს ისტორიის“ II ნაწილის დროულად მომზადებას და გამოქვეყნებას. საანგარიშო წელს ამ ამოცანის შესრულების საქმე საგრძნობლად დაწინაურდა.

არქეოლოგიის განყოფილების თემატიკა კვლავინდებურად გამომდინარეობდა ერთი ძირითადი პრობლემიდან—„თემურიდან მიწათმფლობელურზე გარდამავალი და მონათმფლობელური საზოგადოების არქეოლოგიური ძეგლები საქართველოში“.

ამ მიზნით განყოფილებამ საანგარიშო წელს ჩატარა დიდი საველე მუშაობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 3 თვეს იმუშავა ველად (ხელმძღვანელი აკად. ს. ჯანაშვია). ექსპედიცია გაყოფილი იყო სამ რაზმად. ომის დაწყების შემდეგ პირველად 1946 წელს განახლდა გათხრები სამთავროს სამაროვანზე და თან გრძელდებოდა მუშაობა არმაზისხევის შესართავთან და ბაგინეთში. ამასთანავე მუშაობდა სპეციალურად გამოყოფილი დამზერავი ჯგუფი ექსპედიციისა.

სამთავროში (რაზმის უფროსი ა. კალანდაძე) საანგარიშო წელს ჩატარდა მეტუთე კამპანია. ამ კამპანიამ, გარდა წინათ მოპოვებული მრავალფეროვანი მასალის მსგავსისა, მოგვცა ბევრი ახალი და ზოგჯერ უნიკალური მასალა გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურისა და ხელოვნების შესასწავლად. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იჰყობს: საკულტო სასიათის ძეგლთა ჯგუფი და შათ შორის სახვითი ხელოვნების პირველხარისხოვანი ნიმუშები, ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ქანდაკებანი ჯიქისა და ჯიხვისა; აღრე-ფეოდალური ხანის სამაროვანში თავი იჩინა დღემდე უცნობმა ფაქტები.

მა: დიდრონ, „დოლმენოიდურ“ ქვაყუთებში შედგმულმა თიხის კუ-ბოებმა—ვარცლისებრი მოყვანილობის სარკოფაგებმა, რომელნიც მანამდე სამთავროში არავის აღუნიშნავს.

ბაგინეთში (რაზმის უფროსი მეცნ. კანდ. ა. აფაქიძე) გრძელ-დებოდა აკროპოლისის ზღუდის ოხრა აღმოსავლეთის ჩიმართულებით; აღმოჩნდა ზღუდის გაგრძელება და კოშკი მდ. მტკვრის ნაპირას; გაითხარა ახალი ფართობი ზღუდის შიგნით მდებარე ტერიტორიაზე, სადაც აღმოჩნდა „ბაგინეთი III“-ს ტიპის ნაგებობანი. ცი-ხე-ქალაქის ერთ-ურთ კლდეკართან აღმოჩნდა მდიდრული ინვენტარის შემცველი ქვის სარკოფაგი, არმაზისხევის ერისთავთა სამარხების ტიპისა. ეს სამარხი უხვად გვაწვდის დამატებითს მასალას (მათ შორის „არმაზულ“ წარწერებს) ახ. წ. II ს. შიდაციხის ტერიტორიაზე არსებული ვითარების შესასწავლად.

არმაზისხევთან მერვე კამპანია ჩატარდა. დასასრულს მიუახლოვდა ერისთავთა რეზიდენციისა და საკულტო ნაგებობათა კომპ-ლექსის გამოვლენა. აღმოჩნდა მარმარილოს მომცრო ქანდაკების ფრაგმენტი (რიცხვით მესამე). გრძელდებოდა სამეურნეო კომპლექსის ნაშთების, —უმთავრესად ქვევრებისა და დერგების გამოვლენა. აქვე აღმოჩნდა კრამიტ-სამარხი, რომელიც შეიცავდა საყურადღებო ნივთებს და მათ შორის I ს. ფულს. ეს სამარხი საშუალებას გვაძლევს ვირწმუნოთ მანამდე საქმაოდ ჰიმოყვენებული მოსაზრება არმაზისხევის ქვევრების, საკულტო ნამარხებისა და სათანადო კერამიკული ნაშთების ახ. წ. I—III ს. ს. დათარიღების შესახებ. შეორე მხრივ, ჩვენ ხელთ გვეძლევა დახლოებით ერისთავთა თანამედროვე, მაგრამ არამდიდარი ადამიანის სამარხი, რომელიც ერისთავთა საგვარეულო სასაფლაოს შორიახლოსაა ჩადგმული მიწაში.

დაზევრვაზე მომუშავე ჯგუფმა (ნ. ღამბაშიძის მეთაურობით), რომელსაც ევალებოდა მცხეთასა და გორს შორის მდებარე მტკვრისპირა ზოლის წინასწარი შესწავლა, შიომღვიმის მისაღგომებზე მიაკვლია საყურადღებო ძეგლს, რომელშიც წინასწარი ვარაუდით, ნაქალაქარი—ქართული ისტორიული წყაროების „სარკინეთი“ არის საგულისხმებელი. აქ ე. წ. „გრძელ მინდორზე“ აღმოჩნდა ღასაცავი, ალიზით ნაშენი კედლების ნაშთები, ალიზის კოშკის ნანგრევი—ხელოვნური ბორცვი, ჩუქურთმებით შემკული ნაგებობის ნაშთები, ლითონის ნაწარმი, სამარხები და სხვა.

სამხრეთი ოსეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანე-

ლი მეცნ. კანდ. გ. გობეჯიშვილი) მეორე კამპანია ჩაატარა ქ. სტალინის რითან მდებარე „ნაცარგორაზე“. გამოირკვა, რომ ამ გორაკზე 3 ძირითადი ფენაა წარმოდგენილი: პირველ ფენაში აღმოჩენილია ადრეული ბრინჯაოს ხანის სამარხები; მეორე ფენაში გვაქვს საკულტო ნაგებობათა—წარმართული ტაძრისა და სამლოცველოების ნანგრევები და მათ შორის მოყოლილი სხვადასხვაგვარი ინვენტარი; ეს ფენა ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულითა და I ათასწლეულით თარიღდება; მესამე ფენაში აღმოჩენილია ახ. წ. III—IV ს. ს. „ჩაშვებული“ სამარხები. ამას გარდა, სულ ორმა ფენებში გვხვდება ენეოლითის დროინდელი თიხის ჭურჭელიც.

მოპოვებული მასალა ადასტურებს, რომ ბორცვის ძელი ფენები შეიცავს ერთისა და იმავე ხალხის კულტურულ ნაშთებს. ამ კულტურისათვის დამახასიათებელია განვითარებული მეტალურგია, მემინდვრეობა, მესაქონლეობა და მონადირეობა. აშვარად ჩანს ეგვისურ სამყაროსთან კავშირი; დადგენილია ნაგებობათა ტიპები.

ამავე ექსპედიციის ხელმძღვანელმა, არქიტ. ი. ციციშვილთან ერთად, დაზვერა გორის ციხეზე აღმოჩენილი ანტიკური დროის ძეგლის ნაშთები.

კოლხეთის ექსპედიციამ (ხელმძღვანელი მეცნ. კანდ. ნ. ხოშტარია) ძირითადად კვლავ სოფ. ყულევთან იმუშავა. ითხრებოდა 2 ძელი ნამოსახლარი—ერთი მდ. კივაზე და მეორე მდ. ხობზე. პირველის შესწავლისას უმთავრესად ყურადღება ექცეოდა წინა წელს გამოვლენილი, ადრინდელი ბიზანტიური ხანის 3 ნაგებობის ნანგრევებს; ამასთანავე მოპოვებულ იქნა მასალა უფრო ადრინდელი ფენებიდან. მეორე ნამოსახლარზე ექსპედიცია სწავლობდა ძეგლ ფენებს.

დაზვერვითმა მუშაობამ ექსპედიციას მიაქვლევინა რამდენიმე სხვა ნამოსახლარიც: მდ. ჭურიაზე, მდ. ხობზე და მდ. ცივაზე. ხობის მოსახლეობა ელინისტური დროისა ჩანს. მის ნაშთებს შორის ადგილობრივ ნაწარმთან ერთად, გვხვდება უცხოეთიდან შემოტანილი (ეტყობა, მდ. ხობით) კერამიკული ნაწარმიც. ქ. ფოთის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ხის შენობის ზედა ნაწილი.

საანგარიშო წელს განყოფილების მიერ დამზადებულია მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის „შრომების“ I ტომი (რედაქტორი აკად. ს. ჯანაშია). იგი შეიცავს: ა. რედაქტორის ვრცელ შესავალ წერილს, გამოკვლეულს „ანტიკური საქართველო და მისი წარმო-

შობა”; ბ. არმაზისხევთან წარმოებული გათხრების ისტორიასა და იქ აღმოჩენილი ძეგლების საერთო მიმოხილვას; გ. 1940—41 წ. წ. გათხრილ ერისთავთა სამარხების მიმოხილვას; დ. 1943—45 წ. წ. გათხრილი მდიდრული სამარხების მიმოხილვას; ე. დიდძალ საილუსტრაციო მასალას—ფოტოგრაფიებს, ფერად ნახატებსა და გრაფიკულ ნახაზებს.

შესავალ წერილში გამოკვლეულია ქართული კულტურის ფესვების, ქართველთა გვარტომული მომდინარეობის, ძბერიაში მონათმფლობელური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების გაჩენისა და მათი განვითარების საკითხები. ისინი გაშუქებულია, ერთი მხრით, ეროვნული და უცხო წერილობითი წყაროების კრიტიკული ანალიზისა და, მეორე მხრით, ბოლო ხანებში უხვად დაგროვილი არქეოლოგიური მასალების საფუძველზე.

ტომის ძირითადი ნაწილი მიძღვნილია არმაზისხევთან აღმოჩენილი მასალების დეტალური აღწერის, ანალიზის, კულტურულ-ისტორიული ინტერპრეტაციისა და დათარიღებისადმი. ეს მასალები ადასტურებს, რომ ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში იძერის მოსახლეობა განვითარების მაღალ საფეხურზე დგას. მას უკვე აქვს საესებით განვითარებული და ჩამოყალიბებული სახელმწიფო. მეფებს ჰყავთ ხელქვეითი მმართველი აპარატი—ეზოსმოძღვარნი, ცალქეული ოლქების მმართველი ერისთავები—მცირენი და, ჩანს, დიდნიც. მოსახლეობის ზედა, არისტოკრატიული ფენის სამარხებმა შემოვენახა გასაოცარი ხელოვნებით ნაკეთები ძვირფასი სამეული, ჭურჭელი, სახეიმო იარაღი, პორტრეტული და წარწერიანი გემები და სხვა მრავალი. ამ ნივთიერ კომპლექსში, ერთი მხრით, მძლავრადაა წარმოდგენილი ძველი ადგილობრივი ტრადიციების ნაკადი, ხოლო, მეორე მხრით, იგი ასახავს უცხო ქვეყნებთან იბერიის კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობის ზოგიერთ მომენტს,

აღმოსავლურ-ქართულ ბრინჯაოს საომარ ცულებს მიეძღვნა მონვარაფია, რომელშიაც გარკვეულია, რომ ეს ცულები წარმოადგენს ერთ-ერთ ისეთ იარაღს, რომელიც, გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლთა ზოგ სხვა ტიპთან ერთად, მკაფიოდ გამოავლენს აღმოსავლური კულტურის სპეციფიკას და ამ კულტურის შესწავლისას დამახასიათებელ, სახელმძღვანელო ტიპს წარმოადგენს. იგი გენეტურად უკავშირდება, ერთი მხრივ, კოლხურ-ყობანური წრის დამახასიათებელი ცულების სერიას, ხოლო, მეორე მხრივ, წინააზის ისეთი ქვეყნების

ბრინჯაოს საომარ ცულებს, როგორიცაა ძველი ბოლაზეობის ხეთა, კი-სიტური ლურისტანი და სხვა, მაგრამ საბოლოოდ კი აღმოსავლურ-ქართული ცული მკვეთრი ინდივიდუალობის მქონე იარაღის სახი-თაა ჩამოყალიბებული.

ამავე იარაღს, ცულს ეხება გამოკვლევა „ბრინჯაოს ყუამილი-ანი ცულის გენეზისი და განვითარება კავკასია-წინაპირის არქე-ოლოგიური მასალის მიხედვით“ (მეცნ. კანდ. გ. გობეჯიშვილი). ნა-შრომში მოცემულია ცდა ცულების ამ თავისებური ჯგუფის ტიპო-ლოგიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაციისა. მოხაზულია მათი გავრცელების ფარგლები. კავკასიაში გავრცელებული ყუამილიანი ცულები, რომელიც გენეტურად მომდინარეობს შუმერული პროტო-ტიპიდან, სამ ძირითად ქვეტიპად გაიყოფა. შუა ბრინჯაოს ხანაში საქართველოში გავრცელებულია ორი ტიპი: ა) ე. წ. „საჩხერული“, კაჩამიალი და ბ) პირფართო ცულები.

დროთა განმავლობაში ეს ცულები ჰქარგავს საომარი და სა-მეურნეო იარაღის ფუნქციას და სარიტუალო, საზეიმო თუ სიმბო-ლურ საგნებად იქცევა. ძვ. წ. I თათაწლეულის დასაწყისში დეკო-რატიული ცულები ძლიერ გავრცელებულია მთიან კავკასიაში (ზემო რაჭა, დიგორი, ბაქეთი). ლითონის შედეგენილობის მიხედ-ვით ზემორაჭული ცულები აღგილობრივ ნაკეთები ჩანს, თუმცა მათ დეკორატიულ მოტივებში იგრძნობა ლურისტანული ელემენტი.

ნაშრომში „სამთავროს ორმოსამარხთა ქრონოლოგის საკითხი“ (ა. კალანდაძე) მოცემულია ანალიზი ავტორის ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით განათხარი ძველი ორმოსამარხებიდან დაგრო-ვილი მასალისა, გამოყოფილია უძველეს სამარხთა ფენა და დადგე-ნილია, რომ იგი ეკუთვნის გვიანი ბრინჯაოს ხანას.

საანგარიშო წელს განკოფილებაში დაწერილ იქნა ანგარიშები წინა წელს ჩატარებული საველე მუშაობის შესახებ.

საანგარიშო წლის განმავლობაში შესრულებულია არმაზისხევის რაზმის მიერ 1945 წლის გათხრების მეშვიდე კამპანიის ანგარიში. ამ კამპანიამ ცხადჰყო, რომ არმაზისხევთან კვლავ მოსალოდნელია მრავალი ძეგლის აღმოჩენა და რომ, მეორე მხრივ, წინა კამპანიათა შედეგების მიხედვით შემუშავებული ზოგი დასკვნა არსებითად დაუნდა შეივსოს და გადაისინჯოს. კერძოდ, ერისთავთა სასახლედ მიჩნეული უნდა იქნეს აბანოს ახლოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ნაგე-ბობა, აღმოჩენილი 1941 წელს და მეთოდურად გათხრილი 1945

წელს. ეს სასახლე თავის დროზე თლილი ქვის პერანგით შემოსილი და ანტიკური ყაიდის კარნიზებით, ბაზა-კაპიტლიანი სვეტებით დამშვენებული ყოფილა. შიგ სხვადასხვაგვარი და მეტნაკლები ზომის ნატიფად ნაკეთები მარმარილოს ქანდაკებანი მდგარა. ამ უკანასკნელთა მოფანტული და ნაკლული ნატეხების სახით ჩვენ ხელთა გვაქვს ნამდვილი მრგვალი სკულპტურის უძველესი ნაშთები საქართველოს ტერიტორიაზე.

ბაგინეთის რაზმის მიერ 1945 წელს მოპოვებული მასალა (რაზმის უფროსი მეცნ. კანდ. ა. აფაქიძე) აღასტურებს, რომ ისტორიული წყაროების „არმაზციხე“ ბაგინეთის ტერასზე ყოფილა გაშენებული. აღმოჩენილია შიდაციხისათვის დამახასიათებელი გამაგრებული ზღუდე საგანგებო კოშკებითა და კონტრფორსებითურთ. დადასტურებულია მშენებლობის ძველ-აღმოსავლური და ანტიკური წესები. დასტურდება სამი სხვადასხვადროინდელი ფენის არსებობა. უძველეს ფენაში შემონახულია ძვ. წ. V—IV ს. ს. ქალაქის ნაშთები; ზედა ფენებში წარმოდგენილია უფრო გვიანდელ ქალაქთა ნაშთები. დასტურდება, რომ ბაგინეთის ქვედა ტერასზე იდგა ტაძრის ტიპის ხის სვეტებიანი ნაგებობა, რომლის სვეტები ოქროს ფურცლებით ყოფილა შემკული. ტაძარი დანგრეულია ძვ. წ. III—II ს. ს. გათხრილია IV—V ს. ს. კუთვნილი ოროთახიანი ნაგებობა, რომლის ჩრდილო შესასვლელში აღმოჩნდა კედლის ორი ქვა არამეული წარწერით. დადასტურდა, რომ არმაზის ციხე-ქალაქს წყალი კარსნის წყაროებიდან მოსდიოდა: კარსნიდან ბაგინეთამდე რამდენსამე უბანზე აღმოჩენილია წყალსადენის მილების ნაშთი.

სამხრეთი ოსეთის ექსპედიციის ანგარიში წარმოდგენილია მეცნ. კანდ. გ. გობეჯიშვილის მიერ. ავტორის მოსაზრებით, ცნობილი „ახალგორის განძის“ მოპოვების ადგილის — საძეგურის სამართვანის ასაკი აქემენიდურ-ელინისტურ-რომაული ეპოქით განისაზღვრება. აქ აღმოჩენილი მასალა გვაფიქრებინებს, რომ ბორცვი თავდაპირველად (ადრეულ ბრინჯაოს ხანაში) ამოუყვანიათ, ხოლო შემდეგ (ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში) ზედ აღუმართავთ სხვადასხვა ნაგებობა, რომელიც ცეცხლს უმსხვერპლია. ამ ნაგებობათა შორის გამოირჩევა წარმართული სამლოცველოები. 1945 წელს გაითხარა ერთი ამათგანი, რომელშიც კარგად იყო შენახული თიხის საკურთხეველი, ზოგიერთი დეკორაციული დეტალი, სიმბოლიკური ნიშნები, დიდალი ჭურჭელი, ზოგიერთი სამეურნეო და საბრძოლო იარაღი, საკულ-

ტო საგნები და აგრეთვე ხორბლეულის ნაშთები. გარდა ამისა კულტურულ ფენებში მოპოვებულია უამრავი მასალა, რომელიც საქმაო წარმოდგენას გვაძლევს ნაცარგორის მშენებელთა სამეურნეო საქმიანობისა და სულიერი კულტურის შესახებ. გორაკის ზედა ფენაში გათხრილია რამდენიმე სამარხი, აღბათ ახ. წ. IV—V ს. ს.

კოლხეთის ექსპედიციის ანგარიში წარმოდგენილია მეცნ. კანდ. ნ. ხოშტარიას მიერ. ექსპედიციამ სოფ. ყულევის ტერიტორიაზე აღმოაჩინა ორი უძველესი მოსახლობის ნაშთები. ეს ნამოსახლარები ზღვის პირას მდებარეობს. ერთი მათგანის ზედა ფენა აღრებიზანტიური დროისაა და წარმოდგენილია აგურით ნაგები, კრამიტით დახურული შენობებით. ამ შენობებში ნაპოვნია ქართული ეპიგრაფიკული მასალა. ნამოსახლართა ქვედა ფენები ეკუთვნის ძვ. წ. IV—III ათასწლეულებს და გვიჩვენებს, რომ დასახლებული ყოფილა განვითარებული. კულტურის მქონე ხალხით. კულტურულ ფენებში აღმოჩენილია კერამიკა, ბრინჯაოს ნივთები და სამსხმელო ყალიბები. ეს ადგილები მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ქალ. ფაზისთან მდინარეებისა და არხების მეშვეობით. აქედან საესებით გასაგები ხდება არიანეს მარშრუტი ქ. ფაზისიდან მდ. ხობამდე არა ზღვით, არამედ არხებითა და მდ. ცივათი. ეს ანგარიში შემოკლებული სახით დაიბეჭდა იკადებით „მოამბეში“.

იმავე თანამშრომლის მიერ ექსპედიციის მასალების მიხედვით დაწერილია გამოკვლევა „ქალ. ფაზისის ლოკალიზაციის საკითხისათვის“. არქეოლოგიური მასალა ადასტურებს, რომ ძეგლი ფაზისი იმავე ადგილას მდებარეობდა, სადაც ახლა ქალაქი ფოთია, თუმცა შესაძლებელია, რომ ამ ორი ქალაქის საზღვრები ერთმანეთს ზურად არ ემთხვეოდეს.

მეცნ. კანდ. ი. გძელიშვილის მიერ წარმოდგენილია ანგარიში აფხაზეთში, წებელდის კრემაციულ სამაროვანზე ჩატარებული დაზვერებით გათხრებისა. ავტორის აზრით: ა) სოფ. ოლგინსკოეში გათხრილი კრემაციული ნაშთები გამონაკლისს არ წარმოადგენს აფხაზეთისათვის; ბ) ეს სამარხები ადგილობრივ ტომებს მიეკუთვნება; გ) მასალა თარიღდება ახ. წ. III ს. დამლევითა და IV ს. პირველი ნახევრით.

იმავე თანამშრომელმა უკვე გაიასცა დასაბეჭდად ნაშრომი „კოლხეთის არქეოლოგიური ძეგლების ტოპოგრაფიული დოკუმენტაციისათვის“. ნაშრომის ძირითადი დასკვნებია: ა) კოლხეთის ძეგლ

მოსახლობათა განლაგების თავისებურების გამო მუდმივი რეპერების საფუძველი ღრმად უნდა ჩაიყაროს; ბ) გათხრები მოითხოვს სპეციალურ დოკუმენტაციას; გ) ძეგლის ტოპოგრაფიული დოკუმენტაცია უნდა ჩატარდეს როგორც გათხრებამდე საინიცირო ღონისძიებათა დასაპროექტებლად, ისე თვით გათხრების პროცესში.

ნაშრომი „ანტიკური საქართველოს არქიტექტურულ ძეგლთა აღდგენისა და დაცვის ტექნიკა“ (არქიტ. ი. ციციშვილი) წარმოადგენს მოკლე ექსკურსს ძველი ქართული არქიტექტურის ისტორიაში: ციკლოპური ნაგებობანი, ანტიკური ნაგებობანი, ფეოდალური ხანის ნაგებობანი. ავტორი აყენებს დებულებას, რომ მეზობელ ქვეყნებთან ცხოველი ურთიერთობის მიუხედავად ქართველ მშენებლებს შეუნარჩუნებიათ და განუვითარებიათ ადგილობრივი ტრადიციები-დან მომდინარე თავისებური სტილი, თუმცა ირანული და ბერძნულ-რომაული ელემენტები ამ ძეგლებში მაინც ჩანს. ამასთანავე მოცემულია ქართული ანტიკური არქიტექტურული ძეგლების დაცვისა და აღდგენის ზოგიერთი მეთოდური მითითება.

მოწესრიგდა და კომპლექსურად დალაგდა სამთავროს სამართვანზე 1938 წელს მოპოვებული ინვენტარი (ნ. უგრელიძე და ნ. ოქროპირიძე).

ეთნოგრაფიის განყოფილებაში მუშაობა წარმოებდა 3 ძირითად ტრადიციულ პრობლემაზე და აგრეთვე ერთი საგანგებო დავალების შესასრულებლად.

ძეგლი მატერიალური კულტურისა და მეურნეობის გადმონაშეთების შესწავლის მიზნით დამუშავდა 4 თემა.

წარმოდგენილია ნაშრომი „დასახლების ტიპი მთიულეთში“. (აკად. წევრ-კორ. გ. ჩიტაია). დადგენილია სოფლის სტრუქტურის ძირითადი ელემენტები და გარკვეულია შერწყმული მეურნეობის (მესაქონლეობა და მიწათმოქმედება) თავისებურებანი მთის ზოლის პირობებში. მეურნეობის დაბალი ტექნიკა და ძნელსავალი გზები აპირობებდნენ სოფლის ტერიტორიის მეტად დიდ სიერცეს, საცხოვრებელი პუნქტების არსებობას სოფლის შიგნით და მის პერიფერიებში. გამოვლენილია ამ გარემოებასთან დაკავშირებული გაერთიანებული შრომის ფორმები („მონდავი“, „დაკვეთილი მუშა“, „შეამხანაგება“, „ქარნადი“, „სხდომა“ და სხვა). დასახლებული მეურნეობის ტიპი და შრომის ფორმები იწვევდა ხალხის კომპაქტურ დასახლებას, რაც აქ მოცემულია გვარისა და გვართა გაერთიანების სახის უბანსა და-

სოფელში; დასახლების ამავე ტიპთან დაკავშირებულია თავდაცვითი ნაგებობანი სოფლის „ციხის“, სოფლის „საწამლიას“ და სოფლის „კარის“ სახით.

შეკრებილია მასალები თემაზე „ვაზის ძელი კულტურა კახეთში“ (მეცნ. კანდ. ლ. ბოჭორიშვილი). ეს მასალები კლასიფიკირებული და შეჯერებულია სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მასალასთან საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. შემონახული ვაზის ჯიშებისა და ვენახის მოვლა-მოშენების წესთა შესახებ.

მეცნ. კანდ. ა. რობაქიძემ წარმოადგინა მასალები თემაზე „მეფუტკრეობა ზემო სვანეთში“. ბალსკვემოური სვანეთის მეფუტკრეობასთან დაკავშირებით გარკვეულია ქართული გეჯების უმთავრესი ტიპები და ყოველი მათგანის გაცრცელების ჯერ კიდევ სავარაუდო არე. გარკვეულია მთის კავკასიური ფუტკრის სამეურნეო ნიშანთვისებანი და მისი ადგილსამყოფელის საზღვრები.

ნაშრომში „ქვის დამუშავება მთიულეთში (ს. ბეღუკაძე) და გენილია, რომ მთიულები ძელი დროიდანვე იღებენ დასამუშავებლად ქვას „საკოხედ“ და „დიდველის ძირად“ წოდებული საპალებიდან. გარკვეულია ქვის დამუშავების წესები: „ქვის გახსნა“, „ქვის გაჭრა“, „გაკოპიტება“, „გათლა“, „ამოლება“ და „დაწერა“.

მთიულეთში ქვის დამუშავება ერთი საგვარეულოს ხელობაა. დახელოვნების მიხედვით გამოიყოფიან „კედლის მგებნი“ და „საფლავის ქვების მთლელნი“. პირველი აქანდაკებენ „ბორჯლიან ქვებს“, „ყოჩებს“, წმინდათა ბარელიეფებსა და ქვის ბოძებს; თლიან „კუთხისა“, „ფაიისა“, „ყრუკედლისა“, „თარლისა“ და „ცადაქნილი თარლის“ ქვებს. მეორენი შეკვეთით თლიან „ჯვრიან“ და „გახატებულ“ „კუბო“ ქვებს.

ძველი სოციალური ურთიერთობის გადმონაშთების შესწავლის ხაზით განყოფილებაში დამუშავდა 2 თემა.

მეცნ. კანდ. რ. ხარაძის მიერ შეკრებილია მასალები თემაზე „ნაერთო სახლი“ ხევში (თემური ვაერთიანება). დამუშავებულია ლიტერატურული ცნობები ხევის ერთობის სახლის შესახებ. ხევის ერთობის სახლთან დაკავშირებით ქართლში ჩატარებულმა სპეციალურმა მუშაობამ დაადასტურა ხევისა და ქართლის ერთობის სახლებს შორის არსებული სტრუქტურული სხვაობა. გაირკვა, რომ ერთობის სახლი ქართლში წარმოადგენს დიდ ოჯახს, რომელიც საგვარო ხასიათის სახლის დაწლის შემდგომ უნდა შექმნილიყო და მისგანვე მიელო ეს სახელწოდებაც.

შრომაში „საქორწინო ინსტიტუტი მთიულეთში“ (ი. ჭყონია) გარკვეულია ქორწინების ინსტიტუტის ძირითადი შემადგენელი ელემენტები: „შეგულება“, „გაჩერეკა“, „მარჯაკლობა“, „ბელგა“, „პატარა ლიშანი“, „დიდი ლიშანი“, „შემოსამპირობო“, „ქორწილი“, „საღვთო“, „ხინკლობა“, „წყლევინება“, „პატარძლის ნასტუმრეობა“. ქორწინების მთავარ მომენტად ითვლება „დიდი ლიშანი“. დადგენილია, რომ მექორწინე მთიულეთში არის არა ინდივიდი, არამედ კოლექტივი „კომი“ და „განაყარი“. დამოწმებულია დედისა, დედის გვარისა და დედის ძმის უფლება-მოვალეობის უპირატესობა. გარკვეულია აგრეთვე ეგზოგამის ფარგლები: უბანი, სოფელი, ხეობა, საღაც გვაროვნულ პრინციპს გარდა მოქმედებს შეზობლური ურთიერთობა, შეპირობებული სამოკეთო დამოკიდებულებით. თავისებურებას წარმოადგენს ერთი წინაპრისაგან მომდინარე გვარების—წიკლაურ-ბექაურების საქორწინო კავშირი (ენდოგამია). ეს ვითარება ანალოგიურია იმ ისტორიული ცნობისა (X ს.), რომელიც შეეხება საქართველოს მთიანეთის ამ ტერიტორიაზე მოსახლე ტომებს—წანარებს.

ძველი სულიერი კულტურის გადმონაშთების შესწავლის ხაზით დამუშავდა 5 | თემა.

მეცნ. კანდ. ვ. ბარდაველიძემ წარმოადგინა მასალები ღვთაება „დალის“ შესწავლისათვის; შედარებითი-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით კლასიფიცირებულია წინა წლებში მოპოვებული მასალები ქართველი ტომების (სვანების, ხევსურების) ნადირობისა და ნადირთ ღვთაებათა შესახებ: ა) ნადირთ ღვთაებანი და ნადირთ მცველები; ბ) მონადირისა და ნადირთ ღვთაების ურთიერთობა; გ) ტაბუაცია ნადირობის სფეროში და სხვა. გამოვლენილია მასალა „დალ შუშეტრიშის“ შესახებ, რომლის მიხედვით დალი ქართველ-კავკასიელთა ცისკრის ღვთაებად ისახება (დალი, დილა, დელია, დალ, დელე). ქართველ-კავკასიელთა ღვთაება შესატყვისობას პოულობს შუმერულ და ძველ აღმოსავლურ ღვთაება „დილ-ბად“ || „დილ-ბატთან“.

ნაშრომში „ქადაგის საკითხისათვის ხევსურეთში“ (თ. ოჩიაური) დადგენილია ქადაგად მომზადების საყებურები; „აყვანა“, „გაწმიდება“ და „გადაბუშება“, გამოვლენილია ქადაგის სოციალური და იდეოლოგიური ფუნქციები, სავარაუდებელია; რომ ხევსურული ქადაგობა გარდამავალ საფეხურს უნდა წარმოადგენდეს შამანობა-სა და ქურუმობას შორის.

6. თოფურიამ წარმოადგინა მასალები „გადმოკემები სვანური ამურყვამების“ შესახებ“. გადმოცემების მიხედვით დასტურდება, რომ შურყვამების მშენებლები ადგილობრივი ხელოსნები იყვნენ. მათ შორის ქალებიც ივარაუდებიან. გადმოცემების მიხედვითვე კოშკების აშენება გმირთა (სვანურად „გამირი“) ხანას, ან „თათრების შემსევათა“ დროს მიეწერება, ან არა და ისინი თამარ მეფის მიერ აშენებულად ითვლება.

წარმოდგენილია მასალები წარმართული რელიგიის შესახებ (ჯ. რუხაძე). ავტორის მიერ კლასიფიცირებულია ნაბეჭდი ლიტერატურიდან ამოკრებილი კონბები. გამოყოფილია მასალები ასტრალური, ხის, მთის, მიცვალებულისა და წინაპრის კულტების შესახებ. აღნიშნული მასალა შედარებულია არსებულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურულ მონაცემებთან.

7. კედელაძემ კლასიფიკაცია უყო მთიულეაში მიცვალებულის კულტის შესახებ შეგროვებულ მასალას.

საანგარიშო წლის განმავლობაში განყოფილების ყურადღების კუნტრაში იდგა და მისი მუშაობის ძირითად საგანს შეადგენდა „საქართველოს ეთნოგრაფიის ნარკვევების“ დაწერა სსრ კავშირის შეცნ. აკად. ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მრავალტომიანი გამოცემისათვის „Народы мириа“. ეს ნარკვევები შედგენილია განყოფილების მიერ წლების განმავლობაში შეგროვებული ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე. შათში რიგი საკითხები ახლებურადაა გაშუქებული. ნაშრომის შესავალი და საერთო ხელმძღვანელობა ეკუთვნის აკად. წევრ-კორ. გ. ჩიტაიას, ნარკვევი „მეურნეობა“ მეცნ. კანდ. ა. რობაქიძეს, „მატერიალური კულტურა“—მეცნ. კანდ. ლ. ბოჭორიშვილს, „საზოგადოება“—მეცნ. კანდ. რ. ხარაძეს, ხოლო „რელიგია“—მეცნ. კანდ. ვ. ბარდაველიძეს, ილუსტრაციები (20 სურათი და 7 ფერადი ტაბულა) მხატვარ ე. ბრაილაშვილს. მასალა უკვე გაეგზავნა სსრ კავშირის მეცნ. აკად. ეთნოგრაფიის ინსტიტუტს.

საანგარიშო წელს განყოფილებამ საექსპედიციო მუშაობაც ჩვეულებისამებრ ინტენსიურად აწარმოვა.

აკად. წევრ-კორ. გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით მოეწყო დაზვერვითი ექსპედიცია ქართლში. ამ ექსპედიციამ მოამზადა პირობები მიმდინარე და შემდგომ წლებში ქართლის მონოგრაფიული აღწერისათვის; ექსპედიციამ იმუშავა შემდეგ სოფლებში: წილკანი,

ერედა, ფრეზეთი, ბაზალეთი, გრემისხევი, ბოდორნა, არანისი და ლაფანაანთ-ქარი. დაზვერვის შედეგად გაირკვა 8 მიკრორაიონი ქართლის მონოგრაფიული შესწავლისათვის: მუხრანის ველი, გორის ველი, ქარელის ველი და სხვა. დაზუსტდა ამ რაიონებში მუშაობის გეგმა. ექსპედიციის მუშაობის ადგილებში დამოწმდა მთიდან გადმოსახლებულთა დიდი რაოდენობა (მთიულები, ხევსურები, ფშავები, ნაოსრები და აგრეთვე კახელები); აქვე დადასტურდა თანაარსებული ეთნოგრაფიული მოვლენები: ლრმად ხენა, დიდი გუთანი, თესლის შენაცვლება, რწყების სისტემა, მოდგამი, დასახლების ტიპი და ერთობის სახლი, ვაზი, გუთანი, ქვევრები და ზედაშე.

ერთი თვის განმავლობაში მუშაობდა კომპლექსური ექსპედიცია მთიულეთში (ხადაში, გუდამაყარსა და ხანდოში) ი. ჭყონიას ხელმძღვანელობით. ექსპედიციამ შეკრიბა მასალები მთიულეთის მოსახლეობის საქმიანობის ძირითადი დარგების და აგრეთვე უბნის, სოფლისა და ხევს შიგნით დასახლებისა და ქორწინების ინსტიტუტის ძირითადი ელემენტის შესახებ. მოპოვებულ იქნა მასალა მთიულთა მიერ ქვის ამოლებისა და დამუშავების შესახებაც.

ერთი მოკლევადიანი ექსპედიცია, მეცნ. კანდ. ა. რობაჭიძის ხელმძღვანელობით, მოეწყო პატარა ლიახვის ხეობაშიც. ექსპედიციის მიერ ჩაწერილია მასალები ფუტკრის მოძებნისა და მოშინაურების ხერხთა შესახებ. აღწერილია ფუტკრის მოვლა-პატრონობისა და თაფლის მიღება-გამოყენების ფორმები; აღნიშნულია ვასტინჯის (ვასკირჯის) ერთ-ერთი ფუნქცია—ფუტკრის მფარველობა; შეგროვილია მასალა გეჯათა ძირითადი ტიპების შესახებ.

ამასთანავე მოეწყო თანამშრომელთა და ასპირანტთა ინდივიდური მივლინებანი.

1. თ. ოქიაურმა იმუშავა „მირგვალ“ ხევსურეთში და მოიპოვა დამატებითი მასალა თემისათვის „ქადაგის საკითხი ხევსურეთში“.

2. თოფურიამ სამეგრელოში შეაგროვა მასალები ისეთი დღეობებისა და რელიგიური წესების შესახებ, რომლებიც ლიტერატურაში ცნობილი არაა.

3. ინალ-იფა აფხაზეთში, ხოლო ზ. გაგლოევი სამხრეთ ისეთში აგრძელებდნენ მასალებს საქორწინო წეს-ჩვეულებათა და ხალხურ დღეობათა შესახებ.

ფილოლოგიის განყოფილება საანგარიშო წელსაც მუშაობდა 2 ძირითად პრობლემაზე: „ქართლის ცხოვრება“ და „ბერძნულ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი“.

„ქართლის ცხოვრების“ მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემის შოსამზადებლად დასადგენია სულ 3 წყაროს ტექსტი: 1. დავით ალმაშენებლის ისტორიკოსისა, 2. სუმბატ დავითის ძისა და 3. ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანისა. 1946 წელს დადგენილია დავით ალმაშენებლის ისტორიკოსის ტექსტი (მეცნ. დოქტ. ს. ყაუხჩიშვილი).

დავით ალმაშენებლის ისტორიკოსის თხზულების ტექსტი დადგენილია, ისევე როგორც „ქართლის ცხოვრების“ სხვა ნაწილებისა, ყველა არსებული ნუსხის მიხედვით. ამ ტექსტზე მუშაობამ და კერძოდ ენობრივმა დაკვირვებებმა დაარწმუნა დამდგენელი, რომ A ნუსხა (ანასეული) მართლაც თხზულებისა და საერთოდ „ქართლის ცხოვრების“ უძველეს სახეს უნდა წარმოადგენდეს.

ბერძნულ-ქართულ დოკუმენტირებულ ლექსიკონზე მუშაობა ორი მიმართულებით მიმღინარეობდა: 1. იწერებოდა ახალი ბარათები (ბერძნული და ქართული ტექსტებით) და 2. ახალი ლექსიკური მასალისა და ახალი გრამატიკული ფორმების გამოვლენის მიზნით წარმოებდა ახალი ტექსტების გადმოწერა (ამოიწერა 32000 ბარათი).

სალექსიკონო ბარათების ამოსაწერად საჭირო ტექსტების (ეფრემ მცირის მიერ ნათარგმნის) გადმოწერაზე მუშაობდნენ: მეცნ. კანდ. ე. დოჩანაშვილი, თ. ბრეგაძე და ე. გამყრელიძე. სალექსიკონო მასალის ბარათებზე ამოწერას აწარმოებდნენ: მეცნ. კანდიდატები ე. დოჩანაშვილი და თ. ყაუხჩიშვილი; მ. კახაძე, თ. ბრეგაძე და ა. გაშეკრელიძე.

გარდა ამ ორი პრობლემისა, განყოფილების ზოგიერთი თანამშრომელი მუშაობდა ცალკეულ პრობლემებზედაც.

თ. ყაუხჩიშვილი 1945 წლიდან მუშაობს საქართველოში შემორჩენილი ბერძნული წარწერების კორპუსის („Corpus inscriptionum graecarum, in Georgia repertarum“) შედგენაზე. საანგარიშო წელს იგი ამუშავებდა წინა წლის ექსპედიციებით დასავლეთ საქართველოში შეკრებილსა და შემოწმებულ ჩასალას და ამასთანავე ზაფხულში აგროვებდა და ამოწმებდა ქართლ-კახეთის ეპიგრაფიკულ მასალას.

ა. გაშერელია მუშაობდა ქართული კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობის მეცნიერული გამოცემის ხაზით. მან შეაგროვა მასალები გ. ორბელიანის „წერილების“ III ტომის შენიშვნებისათვის.

მუსიკალური ფოლკლორის განყოფილებას გეგმაში ორი პრობლემა ჰქონდა: ქართული ხალხური სიმღერების, საგალობლებისა

და სანოტო ნიშნების შესწავლა და ქართული მუსიკალური ფოლკლორის მასალების ჩაწერა.

პირველი პრობლემის ერთ-ერთი თემა („ქართულ საგალობელთა წყობები“, პროფ. დ. არაყიშვილი) შეიცვალა იმავე შემსრულებლის თემით „რაჭული ხალხური სიმღერა“. ეს თემა მიზნად ისახავდა რაჭული ხალხური სიმღერების თავისებურებისა და ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში რაჭული ხალხური მუსიკის აღგილის და-დგენას, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ხალხურ მუსიკასთან შედარების გზით. ნაშრომში გარკვეული იქნა, რომ რაჭულების მდიდარი ხალხური მუსიკა (ხმიერი და საკრავიერი) თავისი სამწილადი ზომის ფერხულებით, ერთი მხრით, უახლოვდება უძველეს სვანურ სიმღერათა ფორმებს და, მეორე მხრით, რთული მოღულა-ციური გეგმებს მქონე სუფრული სიმღერით „ქრისტიანდევით“ — უფრო გვიანდელი ფორმაციის ქართლ-კახურ სიმღერებს; ამიტომ ქართული ხალხური მუსიკის განვითარების ისტორიაში რაჭულ ხალ-ხურ მუსიკა გარდამავალი აღგილი უნდა მიეკუთვნოს. ამასთანავე ნაშრომში დაწვრილებითაა აღწერილი რაჭული სტივირი და ფერ-ხულები.

დამუშავდა პირველი ნაწილი გარდამავალი თემისა „სანოტო ნიშნების სისტემა ძველ ქართველ საეკლესიო ხელნაწერებში X—XII ს. ს.“ (მეც. დოქტ. შ. ასლანიშვილი). ეს თემა მიზნად ისახავს სანოტო ნიშნების დაზუსტებას, გამორკვევას ქართული ნიშნების ურთიერთობისა საშუალო საუკუნეთა დასავლეთ ევროპისა და აღმო-სავლური ქვეყნების სანოტო ნიშნებთან, სიტყვიერ ტექსტთან და-კავშირებით ნიშნების რიტმული განლაგების დადგენას, ცალკეული ნიშნებისა და მათი კომპლექსების ურთიერთობის შესწავლას, თი-თოვეული ქმის სანოტო ნიშნების ფორმულათა დადგენას.

ჯერჯერობით მიღებულია შემდეგი შედეგები: გამორკვეულია, რომ X—XII ს. ს. საქართველოში არსებობდა ზუსტად ჩამოყალიბებული სანოტო ნიშნების სისტემა. ეს სისტემა თვით საქართველოში შექ-მნილა, სხვა ერთა მუსიკალური კულტურისაგან დამოუკიდებლივ. საგალობლები ემყარებიან რვა ქმის სისტემას. ერთდროულად სტრი-ქონს ზემოთ და ქვემოთ მოთავსებული რამდენიმე ნიშანი წარმო-ადგენს მუსიკალური ინტონაციის კომპლექსს. სანოტო ნიშნების სისტემაში შედიოდა პარალელური ნიშნები. ყოველ ქმას გარკვეული სანოტო ნიშნების ფორმულა ჰქონდა. საგალობლის სანოტო ნიშ-

ნების მთელ ფორმულაში ცალკეული შემადგენელი ნაწილები (ფორმულები) პერიოდულად მეორდება. ერთი ან სხვადასხვა ავტორის საგალობლის ერთისა და იმავე ხმის ფორმულის ნიშნები, სიტყვიერ ტექსტთან შეფარდებით, განლაგდებიან მარცვლების იმავე რიგითს რიცხვზე, ან პროპორციულად. XI ს. ზოგი „ძლისპირი“ თანამედროვე სანოტო სისტემითაა ჩაწერილი XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში.

თემა „ქართული ხალხური სიმღერის ყოფა-ცხოვრებითი პირობები“ (თ. ბამალაძე) დამუშავებულია XIX და XX ს. ს მკაფევრების ნაწარმოებთა მიხედვით. შეგროვილი და სისტემაში მოყვანილია დაწვრილებითი ოლწერა და ცალკეული დაკვირვებანი შრომის სიმღერებსა, სადიაცო სიმღერებსა და „ნანასთან“ დაკავშირებული საყოფაცხოვრებო პირობების შესახებ. ამასთანავე დადგენილია წრე აღნიშნულ ჟანრთა სიმღერებისა, რომელიც დაკავშირებულია გარკვეულ საყოფაცხოვრებო პირობებთან.

მეორე მხრივ, განყოფილებამ მოაწყო 2 ექსპედიცია ხალხური სიმღერების ჩაწერის მიზნით. სვანეთში ჩაწერილია 23 სარიტუალო თუ ისტორიული შინაარსის სიმღერა, ხოლო კახეთში წმ. გიორგის კულტთან დაკავშირებული 4 სიმღერა (ალავერდობაზე, წმ. გიორგის „მონებისაგან“).

მედიცინის ისტორიის განყოფილებაში წარმოებდა მუშაობა აგრეთვე ორი პრობლემის ირგვლივ.

საქართველოში მეცნიერული მედიცინისა და ბუნებისმეტყველების განვითარების შესწავლის ხაზით დამუშავდა თემა „ძირითადი მიმდინარეობანი XIX ს. საქართველოს მედიცინასა და ბუნებისმეტყველებაში“ (მეცნ. კანდ. მ. სააკაშვილი). გამოირკვა, რომ XIX ს. ქართველი ერის შეილები საქართველოში და მის გარეშეც ინტენსიურ მეცნიერულ მუშაობას აწარმოებდნენ მედიცინასა და ბუნებისმეტყველებაში ცხოვრების მიერ ნაკარნახევ პრაქტიკულ ამოცანებთან დაკავშირებით. საქართველოს საბუნებისმეტყველო აზროვნებაში წარმოდგენილია მატერიალისტური მიმდინარეობა და ამასთანავე წარმოებს დარგინიზმის პროცეგანდა, მისთვის ბრძოლა. კერძოდ მედიცინის დარგში, ზემოაღნიშნულთან ერთად, ვხედავთ მიმდინარეობას, რომელიც იბრძვის საქართველოში მედიცინის განვითარებისათვის და მოწინავე მეცნიერების მიღწევათა დანერგვისათვის.

ამავე ღროს განყოფილება მუშაობდა სამკურნალო ხელნაწე-

რების შესწავლაზე ქართული მედიცინის ისტორიისათვის მასალე. ბის დამზადების მიზნით. შესწავლისა საქართველოს მუზეუმში დაცული ერთი სამკურნალო ძეგლი (ხეონაწერი, Q 819). გამოირკვა, რომ ეს ძეგლი უნდა მიეკუთვნოს XVIII ს.ს. მასში მრავალი სამედიცინო ზოგად-ისტორიული მნიშვნელობის ცნობა მოიპოვება მეტად საინტერესო ქართული მედიცინის ისტორიისათვის. განზრახულია ძეგლის ცალკე გამოცემაც. ამ ძეგლის წინასწარი შესწავლის შედეგად წარმოდგენილ ნაშრომში გარჩეულია შემდეგი საკითხები:

- ა) ძეგლის თარიღი;
- ბ) ძეგლში დასახელებული 100-ზე მეტი სოფლის სახელწოდების ისტორიულ-გეოგრაფიული მნიშვნელობა;
- გ) „სამკურნალო წიგნის“ უცნობი ავტორის ცხოვრებისა და მოლვაწეობის ზოგიერთი მომენტი;
- დ) სამკურნალო წიგნის, კარაბადინის, ავგაროზის, საეტლოს და ევქალიონის ურთიერთობა და
- ე) საკუთრივ კარაბადინის ფორმალური კლასიფიკაცია.

მეორე პრობლემაზე—ქართული ხალხური მედიცინის ქართველი ხალხის ყოფაში დაცული სათანადო ზასალების შეკრება-შესწავლაზე (ხელმძღვანელი მეცნ. კანდ. მ. სააკაშვილი) მუშაობა მრავალ წელს გასტანს; მისი მიზანია უკვე ჩაწერილი (გამოქვეყნებული და მუშეუმტებში დაცული) მასალების თავის მოყრა განზოგადება და იმავე დროს ექსპედიციების მოწყობა ახალი მასალების შესაგროვებლად.

საანგარიშო წელს მოწყობ ერთი ექსპედიცია (ეთნოგრაფებთან ერთად) პატარა ლიახვის ხეობაში.

საერთოდ თავმოყრილი მასალის შესწავლამ გამოარკვია, რომ ხალხისათვის ცნობილია მრავალი სნეულების ძირითადი ნიშნებიც, მიმდინარეობაცა და შედეგიც. ყოფაში დაცულია ამ სნეულებათა ხალხური წამლობის წესები, ხოლო ზოგჯერ ის წეს-ჩვეულებანი და რიტუალები, რაც ურცა შესრულდეს ავადმყოფის მოვლის პერიოდში თუ შემდგომ. თავმოყრილი მასალები ეხება სნეულებათა შემდეგ ჯგუფებს:

1. ინფექციური სნეულებანი;
2. ქირურგიული სნეულებანი;
3. სხვადასხვა სნეულებანი.

ამასთანავე მასალებში წარმოდგენილია სამკურნალო ხასიათის თქმულებანი, ზღაპრები, შელოცვები და სხვა.

საახგარიშო წელს ინსტიტუტმა ბევრი რამ გააკეთა გეგმის გარეშეც. ინსტიტუტში მომუშავე-სპეციალისტებს ხშირად უხდებოდათ, სათანადო დაწესებულებათა შეკვეთით, რეცენზიათა წერა დისერტაციების, დასაბეჭდი თუ დაბეჭდილი ნაშრომების, ისტორიული რუკებისა და საჯარო ლექციების შესახებ, მეცნიერულ გამოცემათა

რედაქტირება, პოპულარული წერილებისა და ნარკვევების გამოქვეყნება (პრესაში თუ რადიოში) და სხვა; მეორე შხრივ, რიგითანაბმურომლები სისტემატურად კითხულობდნენ საჯარო ლექციებსა და ატარებდნენ პოპულარულ საუბრებს საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის და კომუნისტური პარტიის ისტორიის საკითხებზე; ბევრი გამოღილდა მოხსენებებით საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილ სესიებსა და სხდომებზე.

ამრიგად გეგმის გარეშე შესრულებულია 150-ზე მეტი სხვა-
დასხვაგვარი, მეტნაკლები მნიშვნელობისა და მასტრაბის სამუ-
შაო. დაბეჭდილია 26 ჩაშრომი და პოპულარული წერილი.

გეგმის გარეშე ჩატარებულ სამუშაოთაგან დაწერილი და უკვე გამოქვეყნებული ნაშრომებიდან უნდა აღინიშნოს: 1. აკად. ს. ჯანა-შიათვა „წევნაკი „Об одном примере искачения исторической правды“ (По поводу книги Н. Токарского „Архитектура древней Армении“); 2. მისივე რედაქციითა და შესავალი წერილით გამოსული საუბილეო კრებული გ. შარვაშიძის თხზულებისა; 3. აკად. ნამდ. წევრის 6. ბერძენიშვილის რედაქციით გამოსული აკად. ივ. ჯავახიშვილის წიგნი „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისაოვის“ I; 4. მეცნ. კანდ. გ. მელიქიშვილის წერილი „ურარტუს უზენაეს ლვთაებათა კულტის ცენტრები“; 5. დაზვერვა (და სათანადო მოხსენება) გორის ციხეზე აღმოჩენილი ანტიკური ძეგლისა (მეცნ. კანდ. გ. გობეგვიშვილი); 6. დაზვერვითი გათხრები რუსთავში, „მეტალურგმშენის“ ტერიტორიაზე (მეცნ. კანდ. შ. ივაშჩენკო); 7. დაზვერვა ვანსა და ნოქალაქევში (და სათანადო მოხსენებანი; მეცნ. კანდიდატები ნ. ხოშტარია, ი. გძელიშვილი და ი. ციციშვილი); 8. აკად. წევრ-კორ. გ. ჩიტაიას მოხსენება „ახალი თეორიები ქართველ ტომთა წარმოშობის შესახებ“; 9. მეცნ. კანდ. ვ. ბარდაველიძის ნაშრომი „ასტრალურ ლვთაებათა პანთეონიდან (ლმერთი)“; 10. მისივე „არქაული სარწმუნოების ნაშთები“; 11. მეცნ. კანდ. რ. ხარაძის წერილი „დიდოური კოლატერალური ნათესაობის სისტემა“; 12. მეცნ. კანდ. ლ. ბოჭორიშვილის წერილი „ოქრომჭედლობა სვანეთში“; 13. მეცნ. დოკტ. ს. ყაუხებიშვილის წერილი „ბერძნულ-ქართული სემასიური პარალელები“; 14. მისივე „ეფრემ მცირე და ბერძნულ-ბიზანტიური ლექსტყობის ზოგიერთი საკითხი“; 15. მეცნ. კანდ. ო. ყაუხებიშვილის წერილი „ზოგი ნაწილაკისა და კავშირის მნიშვნელობისათვის ძველ ქართულში“; 16. მ. კახაძის მიერ გამოცემული და გამოკვლევადართული თხზულება ბასილი დიდისა „ექვსთა დღეთა“.

ქართველი ხელოვნების იუზობის ინსტიტუტი

დორექტორი აკად. ნამდ. წევრი გ. ჩუბინაშვილი

ინსტიტუტის კულევის საგანს შეადგენს ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, მხატვრობა, მცირე ხელოვნებანი (ოქრომჭედლობა, ხელნაწერთა მორთულობა, ნაქარგობა) და მატერიალური კულტურის სხვა სახეთა ძეგლები.

მუშაობა წარმოებს ინსტიტუტის ორ განყოფილებაში: ხელოვნების ისტორიისა (გამგე სსრ კავშირის არქიტექტურის აკად. ნამდ. წევრი ნ. სევეროვი) და მატერიალური კულტურის ისტორიისაში (გამგე მერკნ. დოკტ. ილ. აბულაძე).

1946 წელს ინსტიტუტის სამუშაო გეგმა, ისევე, როგორც წინა წლებში, შემდეგ დანაყოფთაგან შედგებოდა:

- ა) ხუროთმოძღვრების შესწავლა,
- ბ) მონუმენტური მხატვრობის შესწავლა,
- გ) მცირე ხელოვნებანი,
- დ) მატერიალური კულტურის შესწავლა,
- ე) სპეციალური სალექსიკონი მუშაობა.

კულაზე უფრო დიდი ადგილი, თემათა და ექსპედიციათა რაოდენობის მიხედვით, ჩვეულებისამებრ, ეჭირა შუა საუკუნეების საქართველოს წამძლოლ ხელოვნებას—ხუროთმოძღვრებას. ინსტიტუტის ახლანდელ მუშაობაში მთავარი ადგილი უჭირავს მომწიფებულ შუა საუკუნეთა ქართული ხელოვნების შესწავლას; ინსტიტუტის მიერ დასახული იგრძეთვე ბევრი თემა (კერძოდ, 1946 წელსაც), რომელიც სკილდება ამ ქრონოლოგიურ ფარგლებს და ეხება როგორც წინაურიდალური ხანის ძეგლებს (გათხრების რაოს მოპოვებულ მასალის), ისე გვიანი ფეოდალური ხანის ხელოვნებასაც. ინსტიტუტის ექსპედიციები ჩვეულებრივ მიზნად ისახავს არა მარტო ცალკეულ ძეგლთა და ანსამბლთა გამოკვლევას, არამედ ძეგლთა რაიონობრივ გამოყენებასა და აქამდე უცნობ ძეგლთა გამომულავნებასაც. ასე იყო 1946 წელსაც.

1946 წლის განმავლობაში ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ შესრულებულია შემდეგი:

ხუროთმოძღვრების შესწავლის დარგში:

დაწერილია გამოკვლევები შემდეგ ძეგლთა შესახებ: პატარა ონი (მეცნ. კანდ. ვ. ვ. ბერიძე), ზემო კრიხი (ვ. ცინცაძე), საბა-წმინდა (რ. მეფისაშვილი), ვერე (მეცნ. კანდ. რ. შმერლინგი), კაცხი (მეცნ. კანდ. ვ. ვ. ბერიძე), საფარის მონასტრის ანსამბლი (მეცნ. კანდ. ვ. ვ. ბერიძე), რკონის ტაძრის ეგვტონები (მეცნ. კანდ. რ. შმერლინგი), თირის მონასტრის ანსამბლი (მეცნ. კანდ. ლ. რჩეულიშვილი) და საბა ტუსიშვილისეული სახლი ნინოწმიდაში (მეცნ. კანდ. ლ. რჩეულიშვილი).

აღნიშვნული შრომები, რომლებიც შეეხება X—XI ს. ს. (პატარა ონი, ზემო კრიხი, საბა-წმინდა, ვერე, კაცხი), XIII—XIV ს. ს. (საფარა, რკონი, თირი) და XVIII ს. (ნინოწმინდა) ძეგლებს, შეიცავს ობიექტების დეტალურ სტილისტიკურ ანალიზს, ძეგლთა ისტორიას და ორნამენტაციის განხილვას. ძეგლები შესწავლილია ეპოქის სხვა ძეგლებთან დაკავშირებით, დიდი შედარებითი მასალის მოშველიებით.

მეცნ. კანდიდატების ნ. ჩუბინაშვილის და ლ. რჩეულიშვილისა და ვ. ცინცაძის და რ. მეფისაშვილის მიერ შესრულებულია წინათ გაზომილი ძეგლების ნახაზები.

ჩატარებულია ექსპერიციები:

1. სამთავისში, სადაც ძირითადად დამთავრდა ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლის, XI ს. კათედრალის დაზომვა (სსრ კავშირის არქიტექტურის აკად. ნამდ. წევრი ნ. სევეროვი, მეცნ. კანდ. ნ. ჩუბინაშვილი);

2. ჯავის რაიონში (რ. მეფისაშვილი და ვ. ცინცაძე), სადაც მიზნად იყო დასახული რაიონის მთლიანი გამოკვლევა ძეგლთა გამოსამედინებლად;

3. სვანეთში (მეცნ. კანდიდატები რ. შმერლინგი და ნ. ჩუბინაშვილი, ს. ბარნაველი, თ. ვირსალაძე, ვ. ცინცაძე და რ. მეფისაშვილი)—ხუროთმოძღვრების, მხატვრობისა და ოქრომჭედლობის ძეგლთა გამოკვლევის მიზნით;

4. ჯავახეთში (მეცნ. კანდ. ლ. რჩეულიშვილი);

5. ახალციხის რაიონში (მეცნ. კანდ. ვ. ვ. ბერიძე), სადაც გარდა საფარის მონასტრისა, გამოკვლეულ იქნა ლიტერატურაში უცნობი ბევრი წევრილი ძეგლი.

მხატვრობის შესწავლის დარგში მუშაობდა თ. ვირსალაძე, რომ შელიც იკვლევდა „თამარის ეპოქის“ შესანიშნავ ძეგლს—ტიმოთესუბნის ფრესკებს.

მცირე ხელოვნებათა დარგში მნიშვნელოვანი აღგილი დაეთ-

მო 1945 წ. პარიზიდან დაბრუნებულ ხელნაწერით შემქულობის კვლევას. ეს მუშაობა ნაწილია იმ მრავალწლიანი მუშაობისა, რომელსაც აწარმოებს მეცნ. კანდ. რ. შეერლინგი ძველი ქართული ხელნაწერი წიგნის დეკორის მთლიანი შესწავლისაოვის.

მეცნ. კანდ. ზ. მაისურაძემ თავისი შრომა მიუქმოვნა ღმანისის ნაქალაქარში აღმოჩენილ კერამიკას, ხოლო მეცნ. კანდ. ნ. ჩუბინაშვილმა — ჯავახეთის ერთ-ერთი ტაძრის სკულპტურულ რელიეფს, რომელიც ანალიზის შედეგად მან XI ს. მიაკუთვნა.

მატერიალური კულტურის ძეგლთა შესწავლის დარგში აღსანიშნავია ს. ბარნაველის შრომა მუზეუმ „მეტეხის“ სასანურ და ქართულ გემათა შესახებ.

სალექსიკონო მუშაობას აწარმოებდა მეცნ. დოქტ. ილ. აბულაძე. მან ამოკრიბა ხელოვნების ტერმინები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერიდან A 19 (მრავალთავი); ამ სახის მუშაობას, გამოქვეყნებულ და გამოუქვეყნებელ ხელნაწერთა საფუძველზე, ინსტიტუტი თავის დაარსებიდანვე აწარმოებს.

ამას გარდა, 1946 წლის განმავლობაში, ინსტიტუტის კოლექტივმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა გეგმის გარეშე; სახელდობრ, ინსტიტუტის თანამშრომლები თვენახევრის განმავლობაში ამჟადებდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლის-თავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენის ხუროთმოძღვრების განყოფილებას; იმავე გამოფენის ოქროამჭედლობის განყოფილება მოწყობილია აკად. ნამდ. წევრის გ. ჩუბინაშვილის გეგმით.

1946 წლის იანვარში მოეწყო ინსტიტუტის I სამეცნიერო სესია, რომელზედაც მოსმენილ იქნა 8 მოხსენება, მიძღვნილი ქართული არქიტექტურის, მხატვრობისა და მცირე ხელოვნებათა საკითხებისადმი. ეს მოხსენებებია:

ვ. ცინცაძისა — „კაცის სვეტი“;

მეცნ. კანდ. ნ. ჩუბინაშვილისა — „კლიკიჯვარი და ლვიარა—VIII—IX ს. ს. ძეგლები“;

მეცნ. კანდ. ლ. რჩეულიშვილისა — „ზემო-ნიქოზის არქიტექტურული კომპლექსის მცირე ტაძრი“;

მეცნ. კადნ. რ. შეერლინგისა — „ატენის სიონის მხატვრობის დათარიღების საკითხისათვის“;

თ. ვირსალაძისა — „შერგილ დადიანის დროინდელი მხატვრობა ხობში“;

მეცნ. კანდ. ვ. ვ. ბერიძისა — „მცხეთის კათედრალი «სვეტიცხოველი» და ქართლის მოქცევის სიუქეტები მის ფრესკებში“;

ს. ბარნაველისა — „საქართველოს გაერთიანებული სამეფოს დროშები“ და

აკად. ნამდ. წევრის გ. ჩუბინაშვილისა — „X—XIII ს. ს. სვანურ საოქრომჭედლო სახელოსნოების საკითხისათვის“.

მასში ინსტიტუტმა 6 მოხსენება გაიტანა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფლების XXIII სესიაზე, რომელიც მთლიან და ძველი ქართული ხელოვნების საკითხებს მიეძღვნა.

ეს მოხსენებებია:

სსრ კავშირის არქიტექტურის აკად. ნამდ. წევრი ნ. სევეროვი — „ქვათახევის ტაძრის არქიტექტურა“;

ვ. ცინცაძე — „იდლეთის ნათლისმცემლის ეკლესია“;

მეცნ. კანდ. ვ. ვ. ბერიძე — „კაცხის ტაძარი“;

მეცნ. კანდ. რ. შმერლინგი — „მცხეთის დავითნის დეკორი“;

მეცნ. კანდ. ნ. ჩუბინაშვილი — „ნიღვარა საურმაგის ძის საქტიონო რელიეფი ჯავახეთიდან“ და

აკად. ნამდ. წევრი გ. ჩუბინაშვილი — „ტაოსა და კლარჯეთის ხუროთმოძღვრული ძეგლები და მათ მიერ წამოჭრილი პრობლემები“.

აკად. ნამდ. წევრმა გ. ჩუბინაშვილმა წაიკითხა აგრეთვე 2 მოხსენება აკადემიის საერთო კრებებზე: „სვანეთის X—XIII ს. ს. საოქრომჭედლო სახელოსნოები“ და „ასათ ოქრომჭედლის ნამუშევარი ქართველთა კურაპალატ დავითისათვის“.

მანვე ჩატარა ლექციათა ციკლი ქართული ოქროსჭედლობის შესახებ ინსტიტუტისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელთათვის.

ამას გარდა ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ წაჟითხულ იქნა ინსტიტუტის გარეთ 7 სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული მობსენება, კერძოდ მწერალთა კავშირში, პიონერთა სასახლეში, სამხატვრო აკადემიაში და სხვა.

ინსტიტუტის მიერ გეგმის გარეშე ჩატარებულია რამდენიმე ექსპედიცია: გელათში, თეძმისა და პატარა ლიახვის ხეობაში და სხვაგან.

წლის განმავლობაში გამოქვეყნდა ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა 4 ნაშრომი; დასაბეჭდად გადაეცა 4 ნაშრომი და ინსტიტუტის შრომების მორიგი ტომი (Ars Georgica, II), რომელიც 10 ნაშრომს შეიცავს.

ინსტიტუტის თანამშრომელმა ჭ. მაისურაძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „დმანისის ანგობიანი კერამიკა“.

ვიღოსოფის ინსტიტუტი

დირექტორი აკად. ნამდ. წევრი პ. შარია

ფილოსოფიის ინსტიტუტი მუშაობდა დიალექტიკური მატერიალიზმის, ფილოსოფიის ისტორიისა და ლოგიკის აქტუალურ საკითხებზე.

1946 წელს დაწყებულ შრომათა ნაწილი წარმოადგენს გარდამავალ თემებს და მათი დამთავრება ნავარაუდევია 1947, 1948 და 1950 წ. წ. 1946 წელს ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები მუშაობდნენ 21 თემაზე. აქედან 8 თემა იხილავს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა (მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის) ფილოსოფიური კონცეფციის ამა თუ იმ აქტუალურ საკითხებს; 2 თემა ეხება უცხოურ ფილოსოფიას, 1 თემა — ფილოსოფიისა და მათემატიკის მეცნიერებათა ურთიერთდამოკიდებულებას, დანარჩენი 10 თემა კი მიზნად ისახავდა ლოგიკის, ესთეტიკისა და შემეცნების თეორიის რიგი საკითხების გადაწყვეტას დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძველზე.

ინსტიტუტის მუშაობის შედეგები 1946 წლის დამლევისათვის მის სამ (დიალექტიკური მატერიალიზმის, ფილოსოფიის ისტორიისა და ლოგიკის) განყოფილებაში დამუშავებული თემებისა და შესრულებული შრომების სახით შემდეგია:

დიალექტიკური შატერიალიზმის განყოფილების (გამგე აკად. ნამდ. წევრი პ. შარია) გეგმა ითვალისწინებდა 6 თემის დამუშავებას, რომელთაგან 4 თემა გარდამავალია.

შრომაში „ი. ს ტალინის სწავლება იდეების როლის შესახებ საზოგადოების განვითარებაში 1901—1907 წ. წ. შრომების მიხედვით“ (დ. კალანდაძე) ნაჩვენებია, თუ როგორ ანვითარებდა ი. ს ტალინი მარქსისტულ მოძღვრებას ანტიმარქსისტულ მიმდინარეობებთან ბრძოლაში, რომელიც მაშინ ძლიერი იყო საქართველოში.

თემაში „ფორმისა და შინაარსის პრობლემა ი. ბ. ს ტალინის აღრინდელ შრომებში“ (მეცნ. კანდ. კ. აქბარჯია) გამოვლენილია ის მნიშვნელობა, რომელსაც ი. ს ტალინი ანიჭებდა ფორმასა და შინაარსს პარტიის პრაქტიკულ მუშაობაში.

შრომაში „მარქსისტულ-ლენინური შემცნების თეორიის ძირი-თადი პრობლემები“ (მეც. კანდ. ა. ქუთელია) მოცემული იქნება შემცნების თეორიის შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სისტემატური დალაგება; მისი მიზანია გვიჩვენოს, რომ ამ საკითხის მართებული გადაწრა შესაძლებელია მხოლოდ დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძველზე. შესრულებულია ამ თემის გეგმით გათვალისწინებული ნაწილი.

თემა „ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთობის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის“ (მეცნ. კანდ. ა. თავაძე) გარდამავალია და საანგარიშო წელს შესრულებულია გეგმით გათვალისწინებული შრომის პირველი ნახევარი, რომლითაც მოცემულია საკითხის მარქსამდელ ტიპიურ გადაწყვეტათა კრიტიკა.

თემა „რიცხვის ცნების ლოგიკური ბუნების შესახებ“ (მეცნ. ღოქტ. ლ. გოკიელი) აგრეთვე გარდამავალია; მისი მიზანია ფილოსოფიისა და მათემატიკის პრობლემათა შორის ურთიერთდამკიდებულების გარკვევა მარქსის მათემატიკური ხელნაწერების საფუძველზე.

მუშაობა თემაზე „თანამედროვე ამერიკული ფილოსოფიის ძირითადი მიმართულებანი“ (აკად. ნამდ. წევრი პ. შარია) გათვალისწინებულია დამთავრებულ იქნეს 1947 წლის დამლევისათვის. შესრულებულია შრომის პირველი ნაწილი, როგორც ეს გათვალისწინებული იყო.

ფილოსოფიის ისტორიის განყოფილება (გამგე აკად. ნამდ. წევრი შ. ნუცუბიძე) ამუშავებდა 8 თემას, რომელთაგანაც 2 გარდამავალია.

შრომა „რუსთაველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა“ (აკად. ნამდ. წევრი პ. შარია) მიზნად ისახავს უდიდესი პოეტის—შოთა რუსთაველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის მიმოხილვას ქართული და მსოფლიო აზროვნების განვითარებასთან დაკავშირებით; მოცემული იქნება კრიტიკა იმ შეხედულებებისა, რომელიც „ვეფხის ტყაოსნის“ ფილოსოფიურ იღებს უკავშირებენ უმთავრესად გარეგნულ იღეოლოგიურ გავლენებს და ნაჩვენები იქნება, რომ რუსთაველის პოემა საქართველოს შინაგანი კულტურული განვითარების პროდუქტს წარმოადგენს. 1946 წლის განმავლობაში ავტორის მიერ შესწავლილ იქნა ამ საკითხზე არსებული ლიტერატურა.

შრომა „მითოლოგიური ეპოსი და ფილოსოფიის საწყისები“ (აკად. ნამდ. წევრი შ. ნუცუბიძე) განიხილავს საკითხს, თუ რა რო-

ლი ითამაში მითოლოგიურმა ეპოსმა ფილოსოფიის წარმოშობაში.. ავტორი მიზნად ისახავს ნათელყოს, რომ ფილოსოფიის საწყისები უფრო ახლოსაა მითოლოგიურ ეპოსთან, ვიდრე რელიგიურ-რიტუალურ შემოქმედებასთან.

გარდა ამისა აკად. ნამდ. წევრმა შ. ნუცუბიძემ დაიწყო მუშაობა „ქართული ფილოსოფიის ისტორიის“ შესადგენად. შრომა ითვალისწინებს ქართული ფილოსოფიის ისტორიის სისტემატიკური კურსის შედგენას უძველესი დროიდან XVIII ს-დე (ჩათვლით).

შრომაში „«კალმასობის» ფილოსოფიური მნიშვნელობა“ გარკვეული იქნება, თუ რა მნიშვნელობა აქვს «კალმასობას» ქართული ფილოსოფიის აზროვნების ისტორიის შესწავლისათვის. შრომაშე მუშაობენ აკად. ნამდ. წევრი შ. ნუცუბიძე და მეცნ. კანდ. ა. ქუთელია.

თემა „ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური და ესთეტიკური შეხედულებანი“ (მეცნ. კანდ. ა. თავაძე) გარდამავალია; შრომის პირველ ნაწილში წარმოდგენილია ი. ჭავჭავაძის ფილოსოფიური თვალსაზრისი ბუნებაზე და საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაზე. ავტორი ამტკიცებს, რომ ი. ჭავჭავაძის თვალსაზრისი მატერიალისტურია. 1946 წელს დამუშავებულ იქნა თემის პირველი ნახევარი („ი. ჭავჭავაძის ფილოსოფიური შეხედულებანი“).

შრომაში „საფრანგეთის განმანათლებლები და მათი გავლენა საქართველოში“ (კ. კაპანელი) ნაჩენებია ფრანგ განმანათლებელთა იდეების თავისებური გარდატეხა საქართველოს სინამდვილეში.

შრომაში „ნიკო ნიკოლაძე და ხალხოსნობა“ (შეცნ. კანდ. ლ-გორგილაძე) მოცემულია ქართველი ხალხოსანის ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობის დახასიათება და მისი შეხედულებები სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებზე; შრომა წარმოადგენს მონოგრაფიას და 1946 წლის გეგმით შესრულებულია მისი ნაწილი.

„არსის პრობლემა პარმენიდეს ფილოსოფიაში“ (შ. ხიდაშელი) წარმოადგენს ავტორის საღისერტაციო შრომას.

ლოგიკის განყოფილებაში (გამგე მეცნ. კანდ. ს. წერეთელი) შემდეგი მუშაობა ჩატარდა:

პროფ. კ. ბაქრაძის შრომაში „დიალექტიკური და ფორმალური ლოგიკის ურთიერთობა“ განხილულია ფორმალური ლოგიკის საგნისა და ამოცანების პრობლემა და მისი კავშირი მარქსისტულენინური შემეცნების თეორიასთან.

მეცნ. კანდ. გ. კალანდარიშვილი მუშაობს უმაღლეს სასწავლებლებისათვის ლოგიკის კურსის დამხმარე სახელმძღვანელოს შედგენა-

ჭე; შესრულებულია ამ სამუშაოს გეგმით გათვალისწინებული ნაწილი. ამავე ავტორის მეორე შრომაში „არასილოგისტური დასკვნების შესახებ“ მოცემულია ცდა იმისი დამტკიცებისა, რომ არა-სილოგისტური დასკვნები არსებითად სილოგისტურია.

თემა „დაუბოლოვებელის დასკვნის პრობლემისათვის“ (მეცნ. კანდ. ს. წერეოელი) დამუშავებული იქნება სამ ნაწილად. 1946 წლისათვის გათვალისწინებული პირველი ნაწილი აღნიშნული შრომისა შესრულებულია.

შრომაში „ლენინის მოძლვრება ლოგიკისა და შემცნების თეორიის ერთიანობაზე“ (მეცნ. კანდ. გ. შუშანაშვილი) განხილულია ლენინის შეხედულება ლოგიკაზე, როგორც შემცნების თეორიაზე.

შრომა „ფორმალური ლოგიკის სტრუქტრები“ (მეცნ. დოქტ. ს. დანელია) განიხილავს ფორმალური ლოგიკის განვითარებისა და მისი გამოყენების ფარგლების პრობლემას. ავტორის მტკიცებით, ფორმალური ლოგიკის ძირითადი პრინციპი და დიალექტიკის პრინციპი ურთიერთთან წინააღმდეგობაში არ იმყოფება, რის გამოც დებულება ფორმალური ლოგიკისა და დიალექტიკის ურთიერთთან ლოგიკური შეუთავსებლობის შესახებ მცდარ დებულებად უნდა ჩაითვალოს.

აკად. ნამდ. წევრმა შ. ნუცუბიძემ დამუშავა შრომა „აზროვნების ძირითადი კანონი“.

საანგარიშო წელს აკად. ნამდ. წევრმა პ. შარიაშ წაიკითხა მოხსენებები: ინსტიტუტში თემაზე „ამერიკული პრაგმატიზმის თანა-შედროვე სახესხვაობა“ და აკადემიის სესიაზე „მეცნიერება და ფილოსოფია“.

აკად. ნამდ. წევრმა შ. ნუცუბიძემ დასწერა პირველი ნაწილი თავისი შრომისა „თანამედროვე ფილოსოფია და ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია“.

გადმოითარგმნა ქართულ ენაზე ჰეგელის „ესთეტიკის“ პირველი ტომი; გადმოითარგმნა და გამოიცა ჩერნიშევსკის „რჩეული ფილოსოფიური თხზულებები“; გადმოითარგმნა და დასაბეჭდად დამზადდა ქართველი ფილოსოფოსის სოლომონ ლოზაშვილის „ლოგიკა“.

1946 წლის დეკემბერში ჩატარდა ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, სადაც წაკითხულ იქნა 8 მოხსენება.

ინსტიტუტის გარეშე მისი თანამშრომლების მიერ წაკითხულია 75 მოხსენება. წლის განმავლობაში გამოქვეყნდა 1 ნაშრომი, გადაუცა დასაბეჭდად 1 და გამოსაქვეყნებლად მომზადდა 3 შრომა.

ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

ღირებულობი აკად. ნამდ. წევრი დ. უზნაძე

1946 წელს ისევე, როგორც გასულ წელს, ინსტიტუტი ზოგადი ფსიქოლოგიის განყოფილების, გენეტიკური ფსიქოლოგიის განყოფილებისა და პათოლოგიური ფსიქოლოგიის განყოფილების შემადგენლობით მუშაობდა.

ძირითადი პრობლემა, რომელიც იდგა ზოგადი ფსიქოლოგიის განყოფილების წინაშე, განწყობის პრობლემა იყო, რომელზედაც ფსიქოლოგიის ინსტიტუტი კარგა ხანია მუშაობს.

1946 წელს წარმოებდა განწყობის იმ ფორმების შესწავლა, რომლებიც სპეციფიკურია ადამიანისათვის. წინა წლების გამოკვლევებმა ნათელი გახადა, რომ ასეთებია, პირველ რიგში, განწყობის ფორმები, რომლებიც აღმოცენებულია: 1. იდეური სტიშულაციის (წარმოსახული სიტუაციის) და 2. ობიექტიცაციის ანუ ყურადღების ნიადაგზე. მუშაობა სწორედ ამ ორი პრობლემის ასპექტით მიმდინარეობდა.

პირველ პრობლემაზე მუშაობის შედეგად, კერძოდ, წარმოდგენის თვალსაჩინოების, როგორც განმაწყობელი ფაქტორის საკითხის შესწავლის შედეგად (მეც. დოქტ. რ. ნათაძე) გამოირკვა, რომ წარმოდგენის თვალსაჩინოების ხარისხი ნაკლები სიძლიერის განმაწყობელი ფაქტორია, ვიდრე პიროვნების აქტიური პოზიცია წარმოდგენილი შინაარსის მიმართ. რაც შეეხება ობიექტიცაციის პრობლემას, მისი შესწავლა წერა-კითხვის ჩვევის დაუფლების პროცესთან დაკავშირებით წარმოებდა (მეც. კანდ. ა. მოსიავა). ჩატარებული გამოკვლევის შედეგად საბოლოოდ დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ წერა-კითხვის სწავლების ძირითადი პრობლემაა არა ბევრის ასოსთან დაკავშირება და შემდეგ ასოების მთლიან სიტყვად შერწყმა, არამედ, პირიქით, უპირველეს ყოვლისა, ბევრის, როგორც ფონემის ობიექტიცაცია. ამაზე ავტორი აგებს წერა-კითხვის სწავლების მეთოდიკის საფუძვლებს.

ზოგადი ფსიქოლოგიის განყოფილების ხაზით გრძელდებოდა

წინა წლებში დაწყებული კვლევითი მუშაობა ჩვევის პრობლემაზე-დაც; კერძოდ, შესწავლილი იყო „მსგავსთა შეფერხების საკითხი“ (მეცნ. კანდ. ზ. ხოჯავა). ამ გამოკვლევაში, მთელ რიგ ექსპერიმენტულ მონაცემთა ანალიზის შედეგად, ავტორი იმ დასკვნამდე მიღის, რომ მსგავსთა შეფერხება ორგვარია: მიულერისეული და რანშბურგისეული. მიულერისეული შეფერხება არ ჩაითვლება „პომოგენურთა შეფერხების“ კერძო შემთხვევად; „პომოგენურთა შეფერხების“ გაუმიჯვნელობა მიულერის მიერ დადგენილი ფაქტისაგან, რაც დღემდე იყო მიღებული, შეცდომას წარმოადგენს.

განწყობის გადანაცვლების პრობლემაზე მუშაობდა მეცნ. კანდ. ნ. ელიავა; მის გამოკვლევაში წარმოდგენილია ახალი მეთოდი განწყობის ფიქსაციისა და ამით დადგენილია ახალი გზები განწყობის ფსიქოლოგიის შესწავლისათვის.

დასასრულ, ზოგადი ფსიქოლოგიის განყოფილებაში გრძელდებოდა მუშაობა ფსიქოლოგიური აზრის ისტორიაზე საქართველოში. მიმდინარე ხუთწლედში განზრახულია დამზადდეს მონოგრაფია ფსიქოლოგიური აზრის ისტორიის შესახებ საქართველოში. 1946 წელს შესწავლილი იყო საბა-სულხან ორბელიანის ფსიქოლოგიური შეხედულებანი. ამ გამოკვლევის ავტორმა მეცნ. კანდ. ა. ფრანგიშვილმა დაადგინა, რომ ქართულ ლექსიკონში ფსიქოლოგიურ ცნებათა განსაზღვრებებში წარმოდგენილია საბა-სულხან ორბელიანის ფსიქოლოგიური შეხედულებების სისტემა. ეს შეხედულებანი ეკლექტიკურია და მათში, უმთავრესად, არისტოტელეს და ნეოპლატონიზმის გავლენა ჩანს.

ამავე განყოფილებაში გრძელდებოდა აგრეთვე ფსიქოლოგიის ისტორიის შესწავლა ზოგადად, ფსიქოლოგიის დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბების პერიოდამდე. 1946 წელს დამთავრდა გამოკვლევა წინასორატელების, სოკრატესი და პლატონის ფსიქოლოგიურ შეხედულებათა შესახებ (მეც. ღოქტ. ა. ბოჭორიშვილი).

გენეტიკური ფსიქოლოგიის განყოფილებაში 1946 წელს შედგენილი იყო სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფსიქოლოგიის სისტემატიკური კურსი (აკად. ნამდ. წევრი დ. უზნაძე).

გრძელდებოდა აგრეთვე მუშაობა ბავშვის ესთეტიკური აღქმის პრობლემაზე. შესრულდა გამოკვლევა ინტელექტის როლის შესახებ სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვის ფანტაზიაში (მეცნ. კანდ. ფ. ხუნდაძე). ავტორმა ექსპერიმენტულად დაადგინა, რომ ბავშვის

ფანტაზიის სტრუქტურის შეცვლა უფროს სკოლამდელი ასაკიდან სასკოლო ასაკში გადასვლის პერიოდში მდგომარეობს ერთგვარი წონასწორობის დამყარებაში ინტელექტური პროცესების მნიშვნელობისა და კონკრეტული წარმოღვენების მოქმედების შორის.

ამ განყოფილებაში წარმოებდა მუშაობა შედარებითი ფსიქოლოგიის პრობლემებზედაც. ძირითადი ამოცანა იყო ცხოველებში განწყობის ფაქტის დეტალური ექსპერიმენტული გამოკვლევა. მრავალი ცდის შედეგად ამ ფაქტის არსებობა ეჭვითუტანელად შეიძლება მივიჩნიოთ. ამრიგად შექმნილია საფუძველი ცხოველთა განწყობის შემდგომი ყოველმხრივი შესწავლისათვის. ცდები წარმოებდა ქათმებზე და ალბინოს ვირთაგვებზე (ნ. ჭრელაშვილი). თბილისის ზოოპარკში მაიმუნების ფიქსირებული განწყობის თავისებურებათა შესწავლის შედეგად დადასტურდა (მეცნ. კანდ. ნ. ადამაშვილი) განწყობის ფიქსაციის ფაქტი მაიმუნებთან და ზოგიერთი მისი თავისებურება (ადვილი აღვზნება, სისუსტე და ა. შ.).

პათოლოგიური ფსიქოლოგიის განყოფილება მუშაობდა პრობლემებზე, რომლებიც აგრეთვე განწყობის ბუნებას ეხება. ძირითად პრობლემას წარმოადგენდა განწყობის ლოკალიზაციის პრობლემა, რომელიც განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს არა მარტო განწყობის პროცესის სომატური საფუძვლების გარკვევის სპეციფიკური თვალსაზრისით, არამედ განსაკუთრებით ლოკალიზაციის საკითხის გარკვევის თვალსაზრისითაც. ჩატარებული მუშაობის შედეგად (მეცნ. ლოქტ. ი. ბერლავა) დადასტურდა, რომ განწყობის სპეციფიკური ცენტრები თავის ტვინის ქერქში არ არსებობს.

იგივე განყოფილება აწარმოებდა მუშაობას ადამიანის ქარაჭტეროლოგიური ტიპოლოგიის პრობლემაზე (მეცნ. კანდ. ვ. ნორაკიძე), რომლის ცალკეული საკითხები იყვლეოდა წინა წლებში. 1946 წელს იგი დაყენებული იყო როგორც მთლიანი პრობლემა. ავტორმა ქლინიკურ-ექსპერიმენტული გამოკვლევებით დაადასტურდა, რომ არსებობს ცველა საბუთი ცდისათვის, ადამიანის ქარაჭტეროლოგია აგებულ იქნეს მისი განწყობის თავისებურებათა საფუძველზე.

აღსანიშნავია ცალკე გამოკვლევა ფსიქასთენიის ფსიქოლოგიური ბუნების შესახებ (მეცნ. კანდ. ქ. მდივანი). ავტორმა დაადგინა, რომ ფსიქასთენიით დაავადებული სუბიექტები ხასიათდებიან კონსტრანტური, სუსტი, ძნელად აღვზნებადი, ტლანქი, დინამიკური, ლაბილური ფიქსირებული განწყობით. ამის გამო განცდის ინტენცია

ბოლომდე ვერ სრულდება და სუბიექტი ამგვარ განცდებს თავს ვერ აღწევს, რაკი ფსიქასთენიკის აკვიატებულობის ძირითად სინდ-რომში ვლინდება.

1946 წელს ჩატარდა ინსტიტუტის სამეცნიერო სესია. სესია მთლიანად მიძღვნილი იყო 7 წლის ბავშვის ფსიქოლოგიურ თავი-სებურებათა პრობლემებისადმი. რახან 1944/45 სასწავლო წლიდან სკოლაში მისალებ ბავშვთა ასაკი 7 წლით განისაზღვრება, ინსტი-ტუტშა ფართო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ჩატარა 7 წლის ბავშვის ფსიქოლოგის პრობლემებზე. ამ მუშაობის შედეგები შე-ჯამებული იყო აღნიშნულ სესიაზე, სადაც მოსმენილ იქნა შემდეგი მოხსენებები:

1. „7 წლის ბავშვის სკოლისათვის მომწიფებულობის საკითხი“ (აკად. ნ. მ. წევრი დ. უზნაძე);

2. „7 წლის ბავშვის აღქმის განვითარების დონე და შესაძლე-ბლობანი“ (მეცნ. კანდ. ბ. ხაჭაპურიძე);

3. „მასალები 7 წლის ბავშვის ყურადღების საკითხისათვის“ (მეცნ. კანდ. ა. მოსიავა);

4. „ცნების შემუშავება 7 წლის ასაკში“ (მეცნ. დოქტ. რ. ნა-თაძე);

5. „7 წლის ბავშვის ნებელობისათვის“ (მეცნ. კანდ. შ. ჩხარტი-შვილი);

6. „7 წლის ბავშვის ფანტაზიის თავისებურებისათვის“ (მეცნ. კანდ. ფ. ხუნდაძე);

7. „7 წლის ბავშვის ლიტერატურულ-ესთეტიკური აღქმა“ (მეცნ. კანდ. დ. რამიშვილი).

1946 წელს გადაეცა გამომცემლობას და დაიწყო ბეჭდვა „ფსი-ქოლოგის“ კრებულის IV ტომისა, რომელშიაც 11 შრომა შედის.

ინსტიტუტის გარეშე მისი თანამშრომლების მიერ წაკითხულია წლის განმავლობაში 22 სამეცნიერო-პოპულარული მოხსენება.

1946 წელს ინსტიტუტის 2-მა მეცნიერმა თანამშრომელმა დაი-ცვა საკანდიდატო დისერტაცია: ნ. ელიავამ თემაზე „გადანაცვლე-ბის პროცესი და მისი მიმღინარეობა“ და ქ. მდივანმა თემაზე „ფსიქასთენის ფსიქოლოგიური ბუნების საკითხისათვის“.

ეკონომიკის ინსპირაცია

დირექტორი მეცნ. ლოებ. პ. გუგუშვილი

ეკონომიკის ინსტიტუტში სამი განყოფილებაა—მრეწველობისა ეკონომიკისა, სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და სახალხო მეურნეობის ისტორიისა.

საანგარიშო წელს მუშაობა ორი ძირითადი მიმართულებით წარმოებდა: საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა ქტუალურ პრობლემებზე და საბჭოთამდელი საქართველოსი და ამიერკავკასიის და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ისტორიის შესწავლისათვის.

მრეწველობის ეკონომიკის განყოფილების (გამგე მეცნ. კანდ. ი. ბაჯაძე) გეგმა ითვალისწინებდა საქართველოს სსრ მრეწველობის ძირითად დარგთა შემდეგი პრობლემების დამუშავებას: საქართველოს მრეწველობის დარგობლივი სტრუქტურის შესწავლა, საქართველოს ელექტროენერგიის ბალანსი და ნავთობისა და თამბაქოს, მრეწველობის ეკონომიკის საკითხები.

საანგარიშო წელს შესრულებულია შემდეგი სამუშაოები:

„საქართველოს სსრ მსხვილი მრეწველობის სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა და მისი ძირითადი დარგები“ (მეცნ. კანდ. ი. ბაჯაძე); ნაშრომში მოცემულია საქართველოს სსრ მსხვილი მრეწველობის განვითარების განზოგადება, მისი დინამიკა და ცვლილებათა მიზეზები მეოთხე ხუთწლიანი გეგმის ამოცანათა თვალსაზრისით. ნაშრომი შესავალი ნაწილია პრობლემისა—„საქართველოს სსრ მსხვილი მრეწველობის დარგობლივი სტრუქტურა“:

„საქართველოს სსრ ნავთობის მრეწველობა 1941—1946 წ.წ.“ (პროფ. ს. ბერაძე); მოცემულია საქართველოს მრეწველობის ამახალგაზრდა დარგის მუშაობის ანალიზი, მისი მიღწევები და მისი ეკონომიკის კალკე საკითხების შესწავლა.

„ელექტროენერგიის წარმოება და მოხმარება საქართველოში სამ სტალინურ ხუთწლედში“ (მეცნ. კანდ. ვ. მელქაძე); შესწავლილია ელექტროენერგიის წარმოების ეკონომიკის ძირითადი საკითხები,

მისი მრეწველური მოხმარება და სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობა.

„მრეწველური საწარმოს ეკონომიკური ანალიზის მეთოდიკა“ (მეცნ. კანდ. ნ. დგებუაძე); კონკრეტული მასალების შესწავლის -საფუძველზე ავტორი იძლევა მრეწველური საწარმოს ეკონომიკური ანალიზის გაუმჯობესებული მეთოდის პროექტს.

„საქართველოს თამბაქოს მრეწველობა სამი სტალინური ხუთწლედის მანძილზე“ (მეცნ. კანდ. ვ. ბახტაძე); შრომაში ნაჩვენებია საქართველოს თამბაქოს მრეწველობის ინტენსიური ზრდა 1928—1940 წ. წ. და დასახულია ზოგიერთი ოონისძიება მისი შემდგომი აღმავლობისათვის.

სოფლის მეურნეობის ეკონომიკის განყოფილება (გამგე მეცნ. კანდ. ნ. იაშვილი) მუშაობდა კოლმეურნეობრივი მიწის ფონზების გამოყენების ინტენსივობის, მევენახეობის განლაგების, ჩაის საბჭოთა მეურნეობების პროდუქციის თვითონირებულების, მტს-ების მშენებლობისა და ტიპიურ და მოწინავე კოლმეურნეობათა მონოგრაფიული შესწავლის საკითხებზე.

შესრულდა თემები:

„კოლმეურნეობრივი მიწის ფონზების გამოყენების ინტენსივობის ზრდა საქართველოში 1930—1944 წ. წ.“ (მეცნ. კანდ. ნ. ია. შვილი); შესწავლილია საქართველოში კოლმეურნეობრივი მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციის პირობები, გზები და პროცესი.

„ჩაის საბჭოთა მეურნეობების პროდუქციის თვითონირებულება და მისი შემცირების გზები“ (მეცნ. კანდ. ა. ფაცურია); შესწავლილია ჩაის პროდუქციის წარმოებრივი ხარჯები და საბჭოთა მეურნეობების ტექნიკურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების საფუძველზე ნაჩვენებია პროდუქციის თვითონირებულების შემცირების შესაძლებლობანი.

მტს-ების მშენებლობა საქართველოში 1932—1945 წ. წ.“ (მეცნ. დოქტ. ი. ჯაში); შესწავლილია საქართველოს მტს-ების წარმოებრივი და მეურნეობრივი საქმიანობის ფორმები, შინაარსი და მასშტაბები და მათი როლი კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-მეურნეობრივი განმტკიცების საქმეში.

„ხუთი კოლმეურნეობის მონოგრაფიული შესწავლა“ (კ. ლოლობერიძე, მ. გველესიანი და სხვანი); ოემის მიზანია კოლმეურნეობათა მონოგრაფიული შესწავლის საფუძველზე გამოავლინოს კოლ-

შეურნეობრივი წყობილების უპირატესობა და მიღწევები სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდისა და კოლმეურნეობრივი გლეხობის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების საქმეში.

როგორც ეს თემები, აგრეთვე თემა „მევენახეობის განლაგება საქართველოს სსრ“ (მეცნ. კანდ. ნ. იაშვილი) შესრულდა 1946 წლისათვის გათვალისწინებული მოცულობით.

სახალხო მეურნეობის ისტორიის განყოფილება (გამგე მეცნ. დოქტ. პ. გუგუშვილი) მიზნად ისახავდა როგორც საბჭოთამდელი საქართველოსი და ამიერკავკასიის ეკონომიკური ისტორიის, აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების საკითხების შესწავლას.

საანგარიშო წელს შესრულდა თემები:

„კერძო მიწათმფლობელობის ევოლუცია საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1801—1920 წ. წ.“ (მეცნ. დოქტ. პ. გუგუშვილი); ნაშრომში შესწავლილია კერძო მიწათმფლობელობის ევოლუცია საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1801—1920 წ. წ., მისი წოდებრივი ხასიათი, მიწის იჯარის ვადები, ფორმები, მიწათსარებელობისა და მიწათმფლობელობის თავისებურებანი სოფლის მეურნეობის კულტურებთან დაკავშირებით.

„ადგილობრივი გადასახადები რეფორმამდელ საქართველოში 1801—1864 წ. წ.“ (მეცნ. კანდ. ვ. ჩანტლაძე); ნაშრომში გამოვლენილია ის კოლონიური პოლიტიკა, რომელსაც ცარიზმი ატარებდა საქართველოში ფინანსების მეშვეობით.

„ფაბრიკულ-ქარხნული მრეწველობა ქართველოში 1913—1920 წ. წ.“. (მეცნ. კანდ. ვ. პაპავა); შრომის მიზანია უჩვენოს მრეწველობის მდგომარეობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტისათვის. თემის დამუშავება 1947 წელს დასრულდება.

„საქართველოს სსრ ფინანსები სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის ბრძოლის პერიოდებში (1926-29—1931-34 წ. წ.)“ (მეცნ. კანდ. ა. კაკაბაძე); შრომაში შესწავლილია საქართველოს სსრ ფინანსების განვითარება აღნიშნულ პერიოდებში და მათი როლი სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

„რუსულ-ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგია“ (მეცნ. დოქტორები ფ. გოგიჩაიშვილი და პ. გუგუშვილი, მეცნ. კანდ. ვ. ჩანტლა-

ძე); უნიციფირებულია ქართული ტერმანოლოგია.

1946 წლის გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოთა გარდა სპეციალური დაგალებით დაიწერა წიგნი „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარება 25 წლის მანძილზე (1921—1946 წ.წ.)“; წიგნის დაწერაში მონაწილეობას იღებდა ინსტიტუტის მთელი კოლექტივი.

ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანასთან ხელშეკრულებით ინსტიტუტი ხელმძღვანელობდა წიგნის დაწერას — „საქართველოში შავი მეტალურგიის განვითარების საკითხები“; წიგნის ერთი თავი „საქართველოს შავი მეტალურგიის განვითარების ნარკვევი“ დაწერილია ინსტიტუტის თანამშრომლის მეცნ. კანდ. ნ. დგებუაძის მიერ.

1946 წელს ინსტიტუტში წაკითხულ იქნა 9 მოხსენება, ხოლო ინსტიტუტის გარეშე მისი თანამშრომლების მიერ 12 მოხსენება.

1946 წ. გამოიცა ინსტიტუტის „შრომების“ I ტომი, რომელშიც მოთავსებულია 7 გამოკვლევა; მომზადდა „შრომების“ II ტომში მოსათავსებლად 5 გამოკვლევა.

ინსტიტუტის პორტფელში დაცულია 17 მონოგრაფია საქართველოს ტიპიურ და მოწინავე კოლმეურნეობათა შესახებ.

სამეცნიერო მუშაობის შედეგების ფართო საზოგადოებისადმი მიწოდებისა და მათი პრაქტიკაში დანერგვის მიზნით, ინსტიტუტში წარმოედა ცალკე საკითხების განხილვა მეურნეობის შესაბამისი დარგების ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ამ კავშირის გაფართოვებისა და გაღრმავების მიზნით ინსტიტუტმა მრეწველობის ეკონომიკის განყოფილების თანამშრომლები მიამაგრა ეკონომიკის შესასწავლად.

ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალი

დორექტორი ც. გაბაშვილი

ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის ამოცანას შეადგენს ვარძიის გამოქვაბულთა დაცვა-შესწავლა, ზემო ქართლის ხუროთმოძღვრების ძეგლთა შესწავლა და აგრეთვე ვარძიისა და მის მახლობელ ძეგლთა პოპულარიზაცია. ამიტომ მუზეუმის მუშაობა სამეცნიერო-კვლევითი და სამუზეუმო-საორგანიზაციო მიმართულებით წარმოებდა.

1946 წლის გეგმა მოიცავდა: ა) ვარძიის გამოქვაბულთა გაწმენდა-აზომვას, რაც აუცილებელია მათი შესწავლისა და გენერალური გეგმის შედგენისათვის; ბ) ასპინძის და ახალქალაქის რაიონში უკვე აზომილ ძეგლთა ნახაზების შესრულებას, იასპინძის რაიონის რამდენიმე, ჯერ დაუთვალიერებელი პუნქტის ნახვას, ძეგლთა გამოვლენას და აზომვას.

კვლევით მუშაობასთან ერთად გეგმაში დიდი აღგილი ეომობოდა სამუზეუმო-საგამოფენო საქმეს—აღგილზე (ვარძიაში) გამოფენის შეგსებას, საჩვენებელ გამოქვაბულთა და მათთან მისასვლელთა გაწმენდას და ექსკურსანტების მომსახურებას.

ვარძიის გამოქვაბულთა (10 გამოქვაბული) გაწმენდა-გასუფთავებასა და აგეგმვისათვის (ც. გაბაშვილი, რ. გვერდწითელი და ც. გოგნიაშვილი) დაიზომა მარნის ჯგუფი მთავარი ეკლესის აღმოსავლეთით ქვედა სართულში; დასავლეთ ნაწილში დაზომილია ორსართულიან გამოქვაბულთა ჯგუფი და შოხატული „ანანურის“ სახელბის ეკლესის ჯგუფი. ამასთანავე გამოვლენილია პირამდე მიწით ამოვსებული სამი გამოქვაბული, რომელთა გაწმენდა და დაწომვა 1947 წ. გეგმაშია შეტანილი.

წარმოებდა ასპინძისა და ახალქალაქის რაიონებში 1945 წ. დაზომილი ძეგლების მასალების დამუშავება (ეკლესია სოფ. თოვის მახლობლად, ჩუნჩხის ეკლესია, ნასოფლარ მურჯიკანის ეკლესია და სხვა); შესრულებულია რვა აზომილი ძეგლის სუფთა ნახაზები (ც. გაბაშვილი, რ. გვერდწითელი და გ. გაბაშვილი).

ჩატარებულია მუშაობა ზემო ქართლის არქეოლოგიური რუკის ნაწილის, კერძოდ, ასპინძის რაიონის რუკის დასამთავრებლად. დაზუსტებულია სოფელთა, ნასოფლართა და ყოველგვარი ძეგლების ადგილმდებარეობა და, რამდენადაც შესაძლებელია, დადგენილია მათი სახელწოდებანი. დაზომილია დამატებით ნასოფლარი ალჯვის და ახჩიის ეკლესიები. შეღენილია ბარათები (პასპორტიზაცია) ასპინძის და ახალქალაქის რაიონის 25 ძეგლზე ანოტაციით, დამახსიათებელი გრაფიკული მასალით, წარწერა-მინაწერებით, ბიბლიოგრაფიული მასალით და სხვა (ც. გაბაშვილი და ა. გვერდწითელი).

ტამალის ეკლესია, ეკლესიის საკურთხეველში ჩაშენებული ორი სტელა და საფლავის ქვები დაზომილი და გრაფიკულად შესრულებულია 1944—1945 წლებში. ძველი მეტად საინტერესოა როგორც გეგმით, ისევე დეკორით. მისი მეცნიერული გამოკვლევა და დათარიღება გარკვეულ წვლილს შეიტანს ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში. 1946 წელს დამთავრებულია მისი სრული აღწერა და შეგროვილია მასალა თემის საბოლოო დამუშავებისათვის (რ. გვერდწითელი).

წარმოებდა ვარძიის გამოფენის შევსება ახლად მოპოვებული მასალით. მხატვარი შ. მაყაშვილის მიერ შესრულებულია ფერებით შვიდი სურათი: ვარძიის საერთო ხედი, ვარძიის სამრეკლო, ვანის ქვაბების საერთო ხედი, წუნდის ეკლესია, თმოვეის ციხე და სხვა.

1946 წელს ჩატარებულია ექსკურსიები ვარძიის კომპლექსში და მის მახლობლად მდებარე ძეგლებზე: ზედა-ვარძიაში, ვანის ქვაბებსა და თმოვეის ციხეში; მიღებულია 416 ექსკურსია 7583 კაცის მონაწილეობით. მომსვლელნი უცნობოდნენ ვარძიის აშენების ისტორიას, საქართველოს იმდროინდელ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, სამხედრო ძლიერებას და საერთოდ გმირულ წარსულს.

ექსკურსიებს მომსახურებას მუხეუმ-ნაკრძალის მთელი პერსონალი უწევდა.

1945 წ. გამოცემული ვარძიის გზამკვლევი დიდი ხანია არ იშოვება. ამიტომ დამზადდა დასაბეჭდად გზამკვლევი „ვარძია“ რუსულ ენაზე და აგრეთვე ქართულად მეორე შევსებული გამოცემისათვის (ც. გაბაშვილი).

კლდის მუდმივი შლის გამო ტარდებოდა საჩვენებელი გამოჭვაბულებისა და მათთან მისასვლელი ბილიკების შეკეთება-გაწმენდა, რაც ყოველწლიურად და წელიწადში რამდენჯერმეა საჭირო.

გეგმის გარეშე შესრულდა შრომები:

„შენიშვნები ქვემო ოშორის ეკლესიის წარწერის შესახებ“; მოცემულია ძეგლის აღწერა, წარწერის წაკითხვა და ამასთან დაკავშირებით წარწერის დათარიღების ცდა. წარწერა ერთხელ განთქმიუნებულია აკად. ნამდ. წევრის ე. თაყაიშვილის მიერ 1907 წ., მაგრამ ახალი წაკითხვა მთლიანად არ ემთხვევა ძევლს და აგრეთვე დათარიღებაც განსხვავებულია (ც. გაბაშვილი).

„ვარძიის გამოქვაბულთა ორი ჯგუფის აღდგენის საკითხი“ (კ. მელითაური).

1946 წელს გადაცემულია დასაბეჭდად აკადემიის „მოამბეში“ რ. გვერდწითლის „შრომა „წედა-თმოგვის წარწერები“.

მათემატიკისა და გუნდისმეზურებელების მეცნიერებათა განყოფილება

თავმჯდომარე აკად. ნამდ. წევრი ა. ჯანე ლიძე

1946 წლის დასაწყისს მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა განყოფილებაში გაერთიანებული იყო 8 სამეცნიერო დაწესებულება. ბიოლოგიისა და მედიცინის მეცნიერებათა განყოფილების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით განყოფილებას გამოეყო ზოოლოგიის ინსტიტუტი და აკად. ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტი. ამრიგად, განყოფილებაში დარჩა 6 დაწესებულება: ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტი, ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტი, ქიმიის ინსტიტუტი, გეოლოგისა და მინერალოგიის ინსტიტუტი, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტი და აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია.

1946 წლის დასასრულს ჩატარებული არჩევნების შედეგად აკადემიის ნამდვილ წევრებად მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა განყოფილებაში არჩეულ იქნენ: ი. ვეკუა (მათემატიკა), ვ. კუპრაძე (მათემატიკა) და ი. ქუთათელაძე (ფარმაკოქიმია); ამას გარდა ი. ვეკუა არჩეულ იქნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

1946 წელს მოწვეულ იქნა განყოფილების 2 სამეცნიერო სესია, რომელზედაც 8 მოხსენება გაკეთდა. ერთი სესიათაგანი მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავს; ამ საიუბილეო სესიაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები—აკად. ნამდ. წევრის ი. ვეკუასი—„სპეციალურ ფუნქციათა თეორიისათვის“, აკად. ნამდ. წევრის რ. აგლაძისა—„მანგანუმის შესწავლა“ და აკად. წევრ-კორ. პ. ქომეთიანისა—„კუნთში კალიუმის დანიშნულების ბიოქიმიური შესწავლა“.

მეორე სესია მიეძღვნა ასტრონომიის საკითხებს. სესიას მოხსენდა აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის სამეცნიერო მუშაობაში მიღწეული ზოგი შედეგი. მოხსენებებით გამოვიდნენ: მეცნ. კანდ. ე. ხარაძე—„გალაქტიკური შთანთქმის პრობლემა და

სელექტიური შთანთქმის შესწავლა მკრთალ გარსკვლავობა კოლორ-ინდექსების საფუძველზე” (2 მოხსენება), სსრ კავშირის მეცნ. აკად. წევრ-კორ. ვ. ამბარუმიანი—„გალაქტიკის აგებულების ზოგიერთი თავისებურების შესახებ კოსმოსური შთანთქმის პრობლემასთან დაკავშირებით”, მეცნ. კანდ. მ. ვაშაკიძე—„გარეგალაქტიკურ ნისლეულთა კოლორ-ინდექსები“ და მეცნ. კანდ. ვ. ნიკონოვი—„აბასთუმნის ობსერვატორიის ელექტროორგანიზმის სამუშაოები“.

ბიოლოგიისა და მედიცინის მეცნიერებათა განყოფილების გამოყოფასთან დაკავშირებით, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა განყოფილებამ აირჩია თავისი ბიურო ახალი შემადგენლობით: აკად. ნამდ. წევრები ა. ჯანელიძე (განყოფილების თავმჯდომარე), ი. ვეკუა და ა. ნ. ჯავახიშვილი; არჩეულ იქნა აგრეთვე სწავლული მდივანი მეცნ. კანდ. დ. კვესელავა.

1946 წელს განყოფილების გამგებლობაში მყოფ სამეცნიერო დაწესებულებებში დამუშავდა 161 თემა. თეორიულ გამოკვლევებთან ერთად, მიღებულია სახალხო შეურჩეობის შემდგომი განვითარებისათვის მნიშვნელოვანი პრაქტიკული შედეგებიც.

პერიოდულ გამოცემებში 1946 წელს გამოქვეყნებულია 97 ნაშრომი, რომელთა ავტორებია აკადემიის ნამდვილი წევრები, წევრ-კორესპონდენტები და განყოფილების დაწესებულებებში მომუშავე სხვა მეცნიერი თანამშრომლები; კიდევ უფრო მეტი რაოდენობა შრომებისა გამზადებულია, ან უკვე გადაცემულია დასაბეჭდად.

განყოფილების დაწესებულებების სამეცნიერო სემინარებსა და სხდომებზე მოსმენილია 269 მოხსენება, ხოლო აკადემიის გარეთ წაკითხულია 188 სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული მოსწენება.

1946 წელს განყოფილების დაწესებულებათა 2-მა თანამშრომელმა დაიცვა დისერტაცია მეცნიერებათა დოქტორისა, ხოლო 6-მა მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

ა. ჩაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტი

დირექტორი აკად. ნ. მუსხელიშვილი

ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტი 1946 წლის განმაღლობაში წინანდებურად შედგებოდა სამი განყოფილებისაგან: თეორიული მათემატიკის განყოფილება (გამგე მეცნ. დამს. მოღვ. პროფ. ა. ხარაძე) *, გამოყენებითი მათემატიკის განყოფილება (გამგე აკად. ნამდ. წევრი ი. ვეკუა) და გამოთვლითი მათემატიკის განყოფილება (გამგე მეცნ. დოქტ. შ. მიქელაძე).

თეორიული მათემატიკის განყოფილებაში მნიშვნელოვანი შედეგებია მიღებული ორი ცვლადის ფუნქციათა თეორიის ზოგიერთ საკითხში. სახელდობრ: დადგენილია ის პირობები, რომელთაც უნდა აქმაყოფილებდეს ორი ცვლადის ფუნქცია, რათა მისი (გარკვეული აზრით) შეულლებული ფურივის მწურივი კრებაზი იყოს თითქმის ყეელგან ჩეზაროსებური გაგებით (მეცნ. კანდ. ვ. ჭელიძე); შესწავლილია ლაპლასის ორმაგი გარდაქმნის ზოგიერთი ახალი თვისება (მეცნ. კანდ. ლ. მაღნარაძე); გლემენტარული მეთოდით, რომელიც დამყარებულია გაუსის თეორემაზე სამცვლადიანი ფორმების გვარის შესახებ, გარკვეულია რიცხვის წარმოდგენის შესაძლებლობა სამცვლადიანი ფორმების საშუალებით (მეცნ. დოქტ. ა. ვალფიში); დაწერილია შრომა, რომელიც შეიცავს ჩებიშევის მეცნიერული მემკვიდრეობის ძირითადი დარგებისა და მათი შემდგომი განვითარების მიმოხილვას (პროფ. ა. ხარაძე); მიღებულია ახალი შედეგები ორადობის პომომორფიზმის ბირთვისა და სახის შეფასებისათვის (მეცნ. დოქტ. გ. ჭოლოშვილი); შემოტანილ იქნა ტოპოლოგიურ სივრცეთა მიმდევრობის ზღვარის ცნება და ამ ცნების საფუძველზე შესწავლილია ძირითადი თვისებანი კრებადი მიმდევრობისა (მეცნ. კანდ. გ. არეშკინი); შესწავლილია ქართველ ხალხში გავრცელებული და შორეული წარსულიდან მომდინარე გამოთვლის ხერხები, რისთვისაც

* პროფ. ა. ხარაძის სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო, განყოფილების გამგე დ 16.X.46-დან მეცნ. კანდ. ვ. ჭელიძეა.

განხილულ იქნა სამი ხელნაწერი X, XIII და XVIII საუკუნეებისა (მეცნ. კანდ. დ. ცხაკაია).

გამოყენებითი მათემატიკის განყოფილებაში შესრულებულ თემათაგან ისევე, როგორც წინა წლებში, აღსანიშნავია დრეკადობის თეორიის, კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიისა და ჰიდრომექანიკის დარგში მიღებული შედეგები.

აკად. ნ. მუსხელიშვილის მიერ ძირითადად დამთავრებულ იქნა მისი ცნობილი მონოგრაფიის „Некоторые основные задачи математической теории упругости“ მესამე გადამუშავებული გამოცემის მომზადება, რომელშიაც შეტანილ იქნა როგორც ავტორის, ისე სხვა მათემატიკოსების მიერ უკანასკნელ წლებში მიღებული შედეგები.

აკად. ნამდ. წევრის ი. ვეკუას მიერ, ერთი მხრივ, მიღებულია უფრო მარტივი და პირდაპირი გზით სფერული გარსის დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის ამონესნათა ზოგადი წარმოდგენა ოთხი ჰოლომორფული ფუნქციის მეშვეობით, ხოლო, მეორე მხრივ, დამუშავდა მცირე სფერული გარსების თეორია. სახელდობრ, ასეთი გარსების სასაზღვრო ამოცანები მიყვანილ იქნა კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის სასაზღვრო ამოცანებამდე, ხოლო სფერული სემინტის შემთხვევაში სასაზღვრო ამოცანები ეფუძნებოდა იქნა ამონესნილი.

მიღებულია რიგი ახალი შედეგი ჰილბერტის სასაზღვრო ამოცანებისა და სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემების თეორიაში და განხილულია მათი ზოგიერთი გამოყენება (მეცნ. კანდ. ნ. ვეკუა).

გამოკვლეულ იქნა ძაბვების განაწილების საკითხი სენცენანის ზოგიერთ განხილვადებულ ამოცანაში; მიღებული შედეგები, წინა წლების შედეგებთან ერთად, თავმოყრილია ერთი ნაშრომის სახით, რომელიც ავტორს (მეცნ. კანდ. ი. რუხაძე) განზრახული აქვს წარადგინოს დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის რიმან-ჰილბერტის ერთი ამოცანის გამოყენებით, ამონესნილია ბრტყელი ჰიდროლინამიკის ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანა მრავლადბმულ არეში (მეცნ. კანდ. დ. კვესელავა). იმავე ავტორმა გასულ წელს ამონესნა კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ამოცანა.

მეცნ. დოქტ. დ. დოლიძის მიერ შესწავლილია ცილინდრის-

გარსდენის სტაციონარული სასაზღვრო ამოცანა შესაბამი არასტა-
ციონარული ამოცანის ამოხსნაში ზღვარზე გადასვლის გზით.

მეცნ. კანდ. ა. გორგიძემ ლუნგის (კუნტრის განსაზღვრის სა-
კითხი ზოგად შემთხვევაში (ნებისმიერი ფორმის განივევეთისათვის)
დაიყვანა ნეიმანის ამოცანის ამოხსნამდე და გამოიკვლია ამ უკანა-
სკნელი ამოცანის ამოხსნადობის საკითხი.

ი. ვეკუას მეთოდის გამოყენებით მიღებულ იქნა ელიფსური
ტიპის დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის ამოხსნების ზოგა-
დი წარმოდგენა მატრიცული ალნიშვნების შენარჩუნებით და შესწავ-
ლილ იქნა ამოხსნების ზოგიერთი თვისება (მეცნ. კანდ. ა. ბიჭაძე);
იმავე ავტორის მიერ შესწავლილია თანაბარი წნევის ქვეშ მყოფი
თხელი დრეკადი წრიული ფირფიტის რხევის ამოცანა.

დადგენილ იქნა კოში-ლებეგის ინტეგრალთა ზოგიერთი ახალი
თვისება; შესწავლილია, გარკვეულ შეზღუდვებში, სინგულარული
ინტეგრალური განტოლება კოში-ლებეგის ინტეგრალებში და მიღე-
ბულია წრეში ჰარმონიული და ჰოლომორფული ფუნქციების ინტე-
გრალური წარმოდგენები (მეცნ. კანდ. ბ. ხვედელიძე).

მეცნ. კანდ. ღ. ხარაზოვის მიერ დადგენილია ჰარამეტრზე და-
მოკიდებული გულიანი წრფივი ინტეგრალური განტოლებების ზო-
გიერთი თვისება.

ი. ვეკუას შეთოდით შესწავლილ იქნა მეტაჰარმონიული გან-
ტოლების ამოხსნების ძირითადი თვისებები ნახევარსიბრტყეში და
ამოიხსნა დირიხლეს და ნეიმანის სასაზღვრო ამოცანები ალნიშნულ
არეში (მეცნ. კანდ. ღ. ავაზაშვილი).

მეცნ. კანდ. ვ. ულენტის მიერ აგებულია ფირფიტის რხევის
დიფერენციალური განტოლების სასაზღვრო ამოცანების ეფექტური
ამოხსნა ნახევარსიბრტყისათვის.

მეცნ. კანდ. ი. ქარცივაძემ ბრტყელი დრეკადობის თეორიის
ზოგიერთი საკონტაქტო ამოცანა მიიყვანა აკად. ნ. მუსხელიშვილის
ახალი მეთოდით ფრედჰოლმის ინტეგრალურ განტოლებამდე.

გამოთვლითი მათემატიკის განყოფილების მუშაობა კონცენ-
ტრირებული იყო დიფერენციალურ და ინტეგრალურ განტოლებათა
რიცხვითი ამოხსნის შესწავლაზე. მნიშვნელოვანი შედეგებია მიღებუ-
ლი წრფივი დიფერენციალური განტოლებების წყვეტილი ამოხსნე-
ბის ირგვლივ (მეცნ. ღოვტ. შ. მიქელაძე); შ. მიქელაძის სასრულო
სხვაობათა მეთოდი გამოყენებულია მეცნ. კანდ. თ. ცხადაის მიერ

ჩარჩოიანი ღეროსათვის კრიტიკული ძალის გამოსათვლელად პლასტიურ არეში; დადგენილია ღეროების სიგრძივი ღუნვის მდგრადობის კოფიციენტების გამოთვლასთან დაკავშირებული დეტერმინანტის ფესვების დადგებითობა (თ. მარუაშვილი).

1946 წლის დასაწყისში ქ. მოსკოვს გამოვიდა აკად. ნ. მუსხელიშვილის მონოგრაფია „Сингулярные интегральные уравнения“, რომელშიაც თავმოყრილია ამ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე აკად. ნ. მუსხელიშვილის და ინსტიტუტის ზოგიერთი სხვა თანამშრომლის მიერ მიღებული შედეგები სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიაში და ამ თეორიის გამოყენებანი მათემატიკური ფიზიკის ამოცანებში.

ამავე ხანებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ გამოსცა მეცნ. დოქტ. შ. მიქელაძის მონოგრაფია „ინტერპოლირების თეორია და პრაქტიკა“.

მოხსენებული მონოგრაფიების გრძა ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებულია 18 ნაშრომი; დასაბეჭდად გადაცემულია 14, ხოლო დასაბეჭდად გამზადებულია ერთი მონოგრაფია — „ახალი მეთოდები ელიფსური ტიპის დიფერენციალურ განტოლებათა თეორიაში“ (აკად. ნამდ. წევრი ი. კეკუა) და 23 სხვა ნაშრომი.

ინსტიტუტში მუშაობდა სამი სამეცნიერო და ორი რეფერატული სემინარი, რომელთა სხდომებზე მოსმენილ იქნა 46 სამეცნიერო, და 41 რეფერატული ხასიათის მოხსენება.

სემინარების მუშაობაში ინსტიტუტის თანამშრომელთა გარდა მონაწილეობდნენ სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტისა და სხვა დაწესებულებათა თანამშრომლებიც.

ინსტიტუტის თანამშრომლებმა ინსტიტუტის გარეთ წაიკითხეს 4 მეცნიერული და 3 სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის მოხსენება.

ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ დაიწერა 5 სადოქტორო და 9 საკანდიდატო დისერტაციის რეცენზია. 5-მა თანამშრომელმა (მეცნ. კანდიდატები ვ. ჭელიძე, ა. რუხაძე, თ. ცხადაია, ლ. მალნარაძე და გ. არეშევინი) ისარგებლა სამეცნიერო მივლინებით ქ. მოსკოვს.

1946 წელს ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა

ნ. ვეკუამ დაიცვა საღოქტორო დისერტაცია თემაზე „Границы задачи Гильберта, системы сингулярных интегральных уравнений и некоторые их приложения“, ხოლო უმცროსმა მეცნიერმა თანა-შრომელმა ი. ქარცივაძემ საკანდიდატო, თემაზე „Динамика фокусов трансформаций в задаче Гильберта“.

ინსტიტუტის ორმა ასპირანტმა (კ. გახარიაშ და მ. ვიშიკმა) დაამთავრა ასპირანტურა და წარადგინა დისერტაცია მეცნიერება-თა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

ჭირვისა და გეოგრაფიკის ინსტიტუტი

დირექტორი მეცნ. კანდ. მ. მირიანა შვილი

ინსტიტუტში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ხუთი პრობლემის მიხედვით მიმდინარეობდა, რომელთაგან ძირითადი იყო — ფიზიკურარგუმი ატომგულის თეორია, ხოლო გეოფიზიკაში — საქართველოს სრ ტერიტორიის საერთო გეოფიზიკური დახასიათება, ძიების გეოფიზიკური მეთოდების დამუშავება და მათი გამოყენება გეოლოგიურ საქმეში.

ფიზიკის დარგში მიღებულია შემდეგი მთავარი შედეგები: ატომგულის პერიოდულობის საკითხის შესწავლის შედეგად (მეცნ. დოქტ. ვ. მამასახლისოვი) მოცემულია ზოგიერთი მნიშვნელოვანი ფაქტის ახსნის ცდა ატომგულთა იზოტოპების განაწილების შესახებ. არსებული დიდი ექსპერიმენტული მასალის დამუშავების საფუძველზე ახსნილია ის ფაქტი, რომ კენტი ატომური ნომრის ქიმიურ ელემენტებს გააჩნია ერთი ან ორი იზოტოპი, ხოლო ლუწი ატომური ნომრის ელემენტს — მრავალი იზოტოპი. ლუწი Z-ის შემთხვევები არ არსებობს ზოგიერთი იზოტოპი, თუმცა არსებობს მისი მეზობელი იზოტოპები. ნაშრომში მოცემულია აგრეთვე მასა-ეფექტის მრუდები ნეიტრონ-პროტონისა და ა-ნაწილაკთა მოდელის მიხედვით.

მეზოტრონების განპნევაზე ველის რეაქციის გამოანგარიშებისას დადგენილ იქნა მელერის მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა (მეცნ. კანდ. მ. მირიანა შვილი), რაც დღემდე ცნობილი არ იყო. საკითხი შეეხება როგორც დამუხტულ ნაწილაკთა ველის რეაქციის გამოთვლას, ისე მეზოტრონების გაფანტვის შემთხვევას.

ჩატარდა მცირე სიჩქარის მქონე ატომთან დაჯახების შემთხვევაში გამოსხივების პოლარიზაციის შესწავლა (მეცნ. კანდ. ი. მირცულავა). დღემდე გულისხმობდნენ, რომ გაბნეული ელექტრონის ტალღური ვექტორი ემთხვევა დაცემული ელექტრონის ტალღურ ვექტორს, რაც სამართლიანია მხოლოდ დიდი სიჩქარის მქონე ელექტრონების შემთხვევაში; ავტორი არ მიმართავს ამ დაშვებას და იღებს შედეგს, რომელიც გამოსაღებია აგრეთვე მცირე სიჩქარის მქონე ელექტრონებისათვისაც.

ნახევარი სპინის ნაწილაკების თეორიის განხილვამ (მეცნ. კანდ. ნ. პოლიევქტოვი-ნიკოლაძე) ცხადჰყო, რომ პირობები, რომლებსაც დირაკის მატრიცები აქმაყოფილებს, შეიძლება გამოყვანილ იქნას დირაკის განტოლების ლორენცის გარღაჭმების მიმართ ინვარიანტობის მოთხოვნიდან, მეორე რიგის განტოლების დახმარების გარეშე.

აღმოჩნდა, რომ ადიტიურად შეღებილ KI და KCl-ის კრისტალებში ბნელი დენები დამოკიდებულია წინასწარი განათების ინტენსივობაზე და ეს დამოკიდებულება ნაჯერობის მრუდის ხასიათს, ატარებს (მეცნ. კანდ. ნ. კალაბუხოვი). სპექტრალურმა ანალიზმა გამოარკვია, რომ დენის მაქსიმუმი ხვდება სპექტრის გრძელტალიან არეს: გამოკვლევის შედეგად გამოითქვა ჰიპოთეზი კრისტალური ბადის ოპტიკური დისოციაციის შესაძლებლობის შესახებ.

გეოფიზიკის დარგში მიღებული შედეგებიდან აღსანიშნავია:

ქანების დამაგრიტების შესწავლა ბუნებრივ პირობებში დაიწყო ინსტიტუტში ამ ორი წლის წინათ (მეცნ. დოქტ. მ. ნოლია); ბაკურიანისა და ციხისჯვრის მიდამოებში შმიდტის მაგნიტური სასწორის შემწეობით ჩატარებული გაზომვებისა და აგრეთვე წინა წლების მასალების გამოყენების საფუძველზე გაშუქებულ იქნა ანომალური ველის სტრუქტურისა და მისი გამომწვევი მიზეზების საკითხი. აღსანიშნავია, რომ ამ კვლევა-ძიებასთან დაკავშირებით ხსენებულ რაიონებში აღმოჩნდილ იქნა ორი ცენტრი განსაკუთრებული სიმძლავრის მაგნიტური ანომალიისა, რომელთა ინტერპრეტაცია ზოგიერთ ფრიად საგულისხმო შედეგს იძლევა.

ქანების სიმკვრივის, ფორმიანობისა და ტენიანობის შესწავლა ჩატარდა კახეთში, უმთავრესად ნავთის საბადოებისა და გრავიმეტრიული პუნქტების მიღამოებში (მეცნ. კანდიდატები მ. აბაკელია და ბ. ბალავაძე). მრავალრიცხოვანი გაზომვების საფუძველზე შესაძლებელი გახდა ქანებისა და გეოლოგიური ფორმაციების (იურული წყებიდან თანამედროვე ნალექებამდე) დახასიათება სიმკვრივის მიხედვით. ასეთი სიფართოვით ეს სამუშაოები საქართველოში პირველად ჩატარდა; ისინი მიზნად ისახავენ საქართველოს ტერიტორიაზე სიმკვრივის განაწილების რუკის შედგენას, რასაც გამოყენება ექნება, ერთი მხრივ, გრავიმეტრიული სამუშაოების დაპროექტებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, სიმძიმის ძალის ანომალიების გამოთვლისა და შათი გეოლოგიური და გეოფიზიკური ინტერპრეტაციის დროს.

ტუკია-თუთიის კვაისის საბადოს ელექტრომეტრიული მეთოდით შესწავლის შედეგად (მეცნ. კანდიდატები ჩ. ქებულაძე და მ. აბაკელია) გამოვლენილი ანომალური ზოლების გეოლოგიური ინტერპრეტაციის მონაცემები დაღასტურდა იმ სამთო სამუშაოებით, რომლებიც შემოწმების მიზნით ჩაატარა საქართველოს ფერადი ლითონების ძიების კონტორამ; გამოკვლევის შედეგები დაინერგა წარმოებაში.

სეისმური მოვლენების შესასწავლად თბილისში, გორში, ბორჯომში, აბასთუბანსა და ზუგდიდში მუშაობს რეგიონული სეისმური სადგურები, ხოლო თბილისში აგრეთვე ტელესეისმურიც. სადგურებში წარმოებს ყოველდღიური ინსტრუმენტალური დაკვირვებები მიწისძვრებზე და გროვდება მაკროსეისმური მონაცემები. ამ მონაცემების ანალიზის შედეგად დგება კვარტალური სეისმური ბიულეტენები, რომლებიც ეგზავნება მსოფლიოს ყველა სეისმოლოგიურ დაწესებულებას (ხელმძღვანელები მეცნ. დამს. მოლვ. ე. ბიუსი და მეცნ. კანდ. ა. ცხაკაია).

მრავალწლიური მაკროსეისმური მონაცემების საფუძველზე ე. ბიუსმა დაამუშავა ამიერკავკასიის სეისმური პირობების საკითხი და შეაღინა ამიერკავკასიაში მომხდარ მიწისძვრათა ქრონოლოგია დაწესდული V საუკუნიდან ვიდრე 1945 წლამდე. ეს მონოგრაფია დიდ დახმარებას გაუწევს ამიერკავკასიაში მომუშავე სეისმოლოგებსა და მიწისძვრის გამძლე ნაგებობათა მშენებლებს.

მიწისძვრის პიპოცენტრების სხვადასხვა სილრმის შემთხვევისათვის თეორიული პოლიგრაფების ავების საკითხში მიღწეულია ახალი შედეგები (მეცნ. კანდ. გ. თვალთვაძე); დამყარებულია ფუნქციონალური დამოკიდებულება პიპოცენტრების სხვადასხვა სილრმესა. და ეპიცენტრის შორის და აგებულია შესაბამისი თეორიული პოლიგრაფები.

ატმოსფეროს ფიზიკის დარგში მიღებული შედეგებიდან აღსანიშნავია აღმოსავლეთ საქართველოში მაისის თვის ნალექების გენეზისის გამოკვლევა (მეცნ. დოქტ. ა. ბალაბული). დადგენილია მაკროცირკულაციური პროცესების ძირითადი პირობები, რომლებიც განსაზღვრავს მაისის თვის ნალექების ხასიათს როგორც ნორმალურ, ისე ანომალურ მემთხვევებში.

საანგარიშო წელს გამოქვეყნდა ინსტიტუტის თანამშრომლების 35 სამეცნიერო ნაშრომი, დასაბეჭდად გადაეცა 8 შრომა, ხოლო

დასაბეჭდად მომზადდა 15 ნაშრომი. 1946 წ. გამოვიდა ინსტიტუტის „შრომების“ IX ტომი ორ ნაწილად — „ფიზიკა“ და „გეოფიზიკა“ და სეისმური ბიულეტენი ტომი XII, № 3.

ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ 1946 წელს წაკითხულია სამეცნიერო და 150-ზე მეტი პოპულარული ხასიათის მოხსენება.

ინსტიტუტის მციდრო სამეცნიერო კავშირი ჰქონდა სსრ კავშირის ჩეცნ. აკად. თეორიული გეოფიზიკის, სეისმოლოგიის და ფიზიკის პრობლემათა ინსტიტუტებთან; უკვე რამდენიმე წელიწადია იგი მათთან ერთად ამუშავებს თემებს ფიზიკისა და გეოფიზიკის დარგში. კერძოდ, 1946 წელს სეისმოლოგიის ინსტიტუტთან ერთად წარმატებით ჩატარდა მინგეჩაურის მძლავრი აფეთქების სეისმური ეფექტის ინსტრუმენტალური რეგისტრაცია თბილისი — ბაქოს ხაზზე (ჩეცნ. კანდიდატები ე. კორიდალიშვილი და გ. თვალთვაძე). გარდა ამისა, ინსტიტუტის ორი თანამშრომელი მონაწილეობდა ფიზიკურ პრობლემათა ინსტიტუტის კოსმოსური სხივების შემსწავლელ ექსპედიციაში აღავეზზე.

ქიმიის ინსტიტუტი

დირექტორი მეცნ. დოქტ. მ. შიგნია შვილი

ფიზიკური ქიმიის ლაბორატორიაში შესწავლილია სორბციული მოვლენები ხსნარებიდან და აირად ფაზიდან მყარ სორბენტებზე—ურანილის მარილებისა მანგანუმის აქტიურ ორეანგზე, მანგანუმის მაღანგზე და სილიკიუმის ორეანგზე და იგრეთვე წყლისა და ალკო-ჰოლების ორთქლთა სილიკიუმის ორეანგზე.

დადგენილია ურანილ იონის ზოგიერთი ელექტროქიმიური მაჩვენებელი (ელექტრული პოტენციალი, მდგრადობა Ph-ის სხვადა-სხვა ზღვარებში). გამოირკვა, რომ ურანილის იონი კარგად ადსორბირდება აქტიური მანგანუმის ორეანგზე და ჭიათურის შავი ქვის ტიპურ ნიმუშებზე. სილიკაგელზე და ქალცედონზე ურანილ იონის ადსორბცია შედარებით სუსტად მიმდინარეობს. კვლევის შედეგების საფუძველზე გამოკვლეულია ურანის მიგრაცია და ჭიათურის შავი ქვის მაღანებში მისი დაგროვების პირობები (მეცნ. დოქტ. დ. ერის-თავი).

ჩატარებულია სილიკაგელის, ასკანიტის და ნახშირის სორბციული უნარიანობის კვლევა ალკოჰოლებისა და წყლის ორთქლის მიმართ და დადგენილ იქნა, რომ სილიკაგელის და ასკანიტის სორბციული უნარი სპირტების მიმართ ერთმანეთს უახლოვდება, ხოლო ნახშირის სორბციული ტევადობა აღემატება სილიკაგელის და ასკანიტის სორბციულ ტევადობას (მეცნ. კანდ. გ. ციციშვილი).

კოლოიდური ქიმიის განყოფილების ნიადაგის კოლოიდთა ლაბორატორიაში კოლოიდურ და დისპერსულ სისტემებში ელექტროქიმიური და ადსორბციული მოვლენების შესწავლის შედეგად ნაჩვენებია, რომ სუფთა ალუმინილიკატური გელები წეიტრალურ ნაერთებს წარმოადგენენ; ისინი ელექტროლიტთა ქემოსორბციის შედეგად ძნელადხსნად ელექტროლიტთა თვისებებს იძენენ და კათონთა მაღალი ადსორბციული ტევადობით ხასიათდებიან (მეცნ. დოქტ. მ. შიგნიაშვილი და ა. ბაკანაძე).

გამოირკვა აგრეთვე, რომ წითელმიწა ნიადაგებიდან პეპტიზი-

რებული მაღალძაბვიანი ელექტროდიალიზით მიღებული სუფთა ზოლები ელექტრო-ქიმიური თვისებების მიხედვით ნეიტრალურ უმუსტო ალუმინიუმისა და მეცნ. კანდ. ე. ნანობაშვილი).

წითელმიწა ნიადაგთა კოლოიდებისა და სხვადასხვა ელექტროლიტის ურთიერთმოქმედების შესწავლის შედეგად გამორკვეულია (მეცნ. დოქტ. მ. შიშნიაშვილი და მეცნ. კანდ. ს. პაპუაშვილი), რომ ელექტროლიტთა ადსორბციის დროს ადგილი აქვს აგრეთვე ზედაპირულ-ქიმიურ (ქემოსორბციულ) მოვლენებს; ნაჩვენებია კონკრეტრიჩებული მუავებით მოქმედების გარკვეულ პირობებში წითელი მიწებიდან ალუმინიუმის უანგის გამოყოფის შესაძლებლობა 80—85%—დე; მიღებული ალუმინიუმის უანგი შეიცავს 1—2% რკინის უანგს, რომლის შემდგომი ჩამოცილება შეიძლება ქიმიური მეთოდით.

ზოგადი და არაორგანული ქიმიის განყოფილების არაორგანული ქიმიის ლაბორატორიაში შესწავლილია ნორიოს და სუფსის ნავთობის საბადოების ახალ ჭაბურლვილთა წყლების ქიმიური შეზაღვენლობა, რის შედეგადაც დადგენილია, რომ ეს წყლები შეიცავს იოდს და ბრომს სამრეწველო მნიშვნელობის მქონე რაოდენობით (მეცნ. კანდ. პ. გოგორიშვილი).

სინთეზირებულია სტრონციუმ-ვოლფრამის ახალი ბრინჯაოები ($\text{Sr}_2\text{W}_2\text{O}_6$, SrW_3SO_4 , და $\text{Sr}_2\text{W}_4\text{O}_{12}$) და შესწავლილია მათი ფიზიკა-ქიმიური თვისებები (მეცნ. კანდ. ა. კალანდია).

მარილების ქიმიის ლაბორატორიაში დამთავრებულია მერისის (აჭარა) სპილენძის მაღნისა და ბათუმის ნავთსახდელი ქარხნების ნარჩენებში შერჩენილი გოგირდმუავას გამოყენების საფუძველზე შაბიამნის სამრეწველო რაოდენობით მიღების ტექნოლოგიური სქემისა და მეთოდიკის დამუშავება. კვლევის შედეგების მიხედვით : საქართველოს სსრ საგეგმო კომისია ამუშავებს ლონისძიებებს ინსტიტუტში დადგენილი მეთოდის ნახევრად საქარხნო ლაბარატორიებზე შესამოწმებლად, მისი მრეწველობაში დანერგვის მიზნით (მეცნ. კანდ. გ. კუპერმანი).

ორგანული ქიმიის ლაბორატორიაში, ჩაის თესლის ქიმიურ შესწავლასთან დაკავშირებით, გამოყოფილია პროვიტამინებისა და საპონინების რიგის ნაერთები; დადგენილია მათი სტრუქტურა და სინთეზირებულია ნაერთების ახალი კლასი—სტერინის რიგის ნაერ-

თებში მეექვსე ნახშირბადთან ჩანაცვლებული ნახშირწყალბადები (მეცნ. კანდ. ვ. გოგუაძე). ჩატარებული მუშაობის შედეგების პრაქტიკული გამოყენების მიზნით შერჩეულია ლაბორატორულ პირობებში. ჩაის თესლიდან საპონინების გამოყოფის რაციონალური მეთოდი.

დაღვენილია, რომ საპონინების ჩვეულებრივი წნევისას ჩატარებული პიდროლიზის დროს ხდება ნახშირწყალების მოლეკულების მოწყვეტა (მეცნ. კანდიდატები გ. ქიქოძე და ი. რუხაძე).

ნავთობის ქიმიის ლაბორატორიაში, საქართველოს ნავთობების ქიმიური ბუნების შესწავლის შედეგად, გამოვლინებულია სუფსის ბენზინში ღიმეთილციკლოპენების ცალკეული იზომერების ოდენობრივი შემცველობა. დადგენილია, რომ დეპიდროგენული კატალიზის დროს ადგილი არა აქვს მათ იზომერიზაციას. მირზაანის ბენზინში დაღვენილია ოდენობრივი ცვლილება ექვსწევრიანი ნაფტენებისა პორიზონტების მიხედვით (მეცნ. კანდ. ქ. არეშიძე).

შესწავლილია ინდივიდუალურ ექვს და შვიდწევრიან ნახშირწყალბადებზე და მათ ნარევებზე მაქსიმალური ანილინის წერტილთა შესაბამისი კონცენტრაციების ინგარისნტობის პირობები. გამოვლენილია, რომ ჰომოლოგიური რიგის მიხედვით კრიტიკული კონცენტრაციის მნიშვნელობა მუდმივია ნახშირწყალბადთა ერთისა და იმავე კლასის წარმომადგენელთათვის, ხოლო იცვლება ნახშირწყალბადთა ცალკეული კლასებისათვის (მეცნ. კანდ. ლ. მელიქაძე).

ნახშირის ქიმიის ლაბორატორიაში გრძელდებოდა საქართველოს ნახშირების ქიმიური ბუნების კვლევა. შესწავლილია ტყიბულის ვიტრენის და ახალციხის კლარენის ბიტუმები და შედგენილია მათი ფიზიკა-ქიმიური დახასიათება.

დადგენილია, რომ ახალციხის კლარენის ბიტუმის მთავარ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს დაბალი მოლეკულური მეუკების რთული ეთერები და თავისუფალი ფისოვანი მეუკები. ტყიბულის ვიტრენი წარმოადგენს ჰჰუმუსოვან და არა საპროპელიტურ-ჰუმუსოვან წარმოადგენს; მისი ბიტუმის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ფისები (მეცნ. კანდ. პ. ცისკარიშვილი).

1946 წელს ხელმძღვანელ ორგანოთა დავალებით წარმოებდა დასავლეთი საქართველოს კირქვებისა და ქალცედონების შესწავლა (შესრულდა 3152 ქიმიური განსაზღვრა); კირქვები და ქალცედონები წარმოადგენს ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მომავალი მუშაობისათვის საჭირო მდნობს. გამოკვლევის შედეგად საქართვე-

ლოს გეოლოგიურ სამმართველოს შესაძლებლობა მიეცა შეერჩია საბადოში კირქვისა და ქალცედონების შემდგომი ექსპლოატაციისათვის გამოსადეგი შრები.

ნახშირის ქიმიის ლაბორატორიაშივე შესრულებულია ახალცახისა და გელათის ნახშირების ფიზიკა-ქიმიური დახასიათება (79 ელემენტური და 121 ტექნიკური ანალიზი; მეცნ. კანდ. პ. ცისკარიშვილი, თ. ამბოკაძე და ი. ოოსავა).

ანალიზური ქიმიის ლაბორატორიაში შედგენილია საქართველოს ბარიტების ქიმიური დახასიათება საქართველოს ნავთის მრეწველობის საჭიროებისათვის (ა. დავითაშვილი, ე. ჯაფარიძე, მ. ნადარეიშვილი, შ. გიორგობიანი, ნ. შელია, ვ. კულგინა).

ინსტიტუტის ინიციატივით დამუშავდა ახალციხის მურა ნახშირის გამოყენების შესაძლებლობისა და საჭიროებისა და მისი საკოქსე კაზში დაახლოებით 40—50%-ის რაოდენობით შეტანის საკითხი, რომელიც დაკავშირებულია რესპუბლიკის საკოქსე ბაზის არსებით გადიდებასთან (მეცნ. კანდ. პ. ცისკარიშვილი).

დამთავრებულია ტუნგოს ზეთის რაფინირებით სტანდარტული პროდუქტის მიღების ლაბორატორიულად დამუშავება (მეცნ. კანდ. ვ. გოგუაძე).

ინსტიტუტმა 1946 წლის განმავლობაში მრავალგვარი დახმარება გაუწია სამეცნიერო ჟონსულტაციის, ტექნიკური დახმარებისა და ექსპერტიზის სახით საქართველოს სახალხო მეურნეობის მრავალწარმოებასა და სხვადასხვა ორგანიზაციის.

ინსტიტუტის უმცროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ს. პაპუა-შეილმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ელექტროლიტების აღსორბციის შესწავლა წითელმიწა ნიადაგის ბუნებრივ ნიმუშებზე“.

საანგარიშო წელს ინსტიტუტის თანამშრომლებმა გამოაქვეყნეს 19 შრომა და სემინარებში წაიკითხეს 36 სამეცნიერო და რეფერატული ხასიათის მოხსენება.

გეოლოგისა და მინერალოგის ინსტიტუტი

დირექტორი აკად. ნამდ. ჭევრი ა. ჯანე ლიძე

გეოლოგისა და მინერალოგის ინსტიტუტის 1946 წ. მუშაობა მისი წინა წლების მუშაობის ბუნებრივ გავრცელებას და განვითარებას წარმოადგენს. ინსტიტუტის მუშაობა გეოლოგიის თითქმის ყველა წამყვან დარგში წარმოებდა, სახელდობრ, პალეონტოლოგიაში, ჰიდროგეოლოგიაში, მაგმური და დანალექი ქანების პეტროგრაფიაში და მინერალოგიაში.

პალეონტოლოგია და სტრატიგრაფია. ცნობილია, რომ დანალექი ფორმაციები, რომელიც საქართველოს ტერიტორიის შემადგენლობაზი მონაწილეობს, ძირითადად წარმოდგენილია იურული, ცარცული და მესამეული დროის ნალექებით. ამ ნალექების დეტალური პალეონტოლოგიური და სტრატიგრაფიული შესწავლა ჩვენი ქვეყნის გეოლოგიური აგებულების სწორი გაგების აუკილებელ პირობას წარმოადგენს და გასული წლების მანძილზე ამ საქმეში ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ მნიშვნელოვანი წვლილი არის შეტანილი.

1946 წელს დაიწყო დაგროვილი მდიდარი ლიასური ფაუნების დამუშავება (აკად. ნამდ. ჭევრი ა. ჯანელიძე და მეცნ. კანდ. ქ. ნუცუბიძე). თავთფეხიანების, შესწავლა უკვე დამთავრებულია და ამ საფუძველზე შესაძლებელი შეიქნა ძირულის მასივის, ლოქის მასივისა და კავკასიონის ლიასის სტრატიგრაფიის რიგი საკითხების გადაჭრა.

გრძელდებოდა დასავლეთი საქართველოს ქვედა ცარცის სტრატიგრაფიის დაზუსტება (მეცნ. კანდ. მ. ერისთავი). პალეონტოლოგიურად დადგენილია ბერიასული სართული რაჭა-ლეჩხუმის ცარციში. იქვე ავტორმა შესძლო აპტური ნალექების ზონებად დაყოფა და ალბურში კლანსეურის დაღასტურება.

კავკასიონის სამხრეთი ფერდობის ნალექების ნუმულიტილების ხანგრძლივი კვლევის შედეგად (აკად. ჭევრ-კორ. ი. კაჭარავა) მოცემულია ამ მხარეში ეოცენის სამაღლი დანაწილება (ქვედა, შუა და ზედა ეოცენი); დამთავრებულია სათანადო ფაუნის აღწერა.

დისა ხანია გეოლოგების უურადღებას იპყრობს ქისათიბის დიატომიტისა და გოდერძის ვულკანოგენური წყლების ნეოგენური ფლორები. ამ ფლორათა შესწავლამ გამოარკვია მათი შემადგენლობითი და ასაკობრივი სხვადასხვაობა. გოდერძის მცენარეთა სუბტროპიკული იერი (პალმები, ლავრები და სხვა) მათი უფრო ძველი ასაკის მაჩვენებელი უნდა იყოს (მეცნ. კანდ. მ. უზნაძე).

რეგიონული გეოლოგია. დამთავრდა საქართველოს იურული ნალექების მონოგრაფიული აღწერა (მეცნ. დოქტ. ი. კახაძე).

რეგიონული გეოლოგის განმავლობაში გრძელდებოდა აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზოლის გამოკვლევა (მეცნ. კანდ. პ. გამყრელიძე); დამთავრებულია ამ მნიშვნელოვანი გეოტექტონიკური ერთეულის გეოლოგიური აგეგმვა და აღწერა, გაშუქებულია მისი ტექტონიკური დამოკიდებულება ჩრდილოეთით შედებარე საქართველოს ბელტთან, ერთი მხრივ, და სამხრეთით მდებარე აზერბაიჯან-სომხეთის ბელტთან (პ. გამყრელიძისავე ჰიპოთეზი), მეორე მხრივ; მან მოგვცა მთელ ამ რაიონში ნაოჭთა ლერძების და წყვეტის ხაზების გამოკვლევა და ცალკეული კუთხეების (ახალციხის აუზი და სხვა) დახასიათება და სხვა.

1946 წლის ზაფხულიდან შეუდგა მუშაობას ინსტიტუტის კახეთის ექსპედიცია (ხელმძღვანელი აკად. ნამდ. წევრი. ა. ჯანელიძე, მონაწილენი—მეცნ. კანდიდატები გ. ჭელიძე, მ. რუბინშტეინი და სხვანი). ექსპედიციის მიზანია აღმოსავლეთ საქართველოს ნავთიანი რაიონების სტრატიგრაფიის, ტექტონიკისა და გეომორფოლოგიის შესწავლა. ეს მხარე, რომელიც ამავე დროს სამგორის საირიგაციო მშენებლობის მთელ ტერიტორიას შეიცავს, წარმოადგენს გეოტექტონიკურ კვანძს, სადაც საქართველოს და აზერბაიჯანის ბელტები და აჭარა-თრიალეთისა და კახეთის ნაოჭა ქედები ერთბანეთს ხვდება, მისი შესწავლა დაკავშირებულია მნიშვნელოვან პრაქტიკულ ამოცანებთან; იგი გულისხმობს ინსტიტუტის მუშაობის პროცესში წამოჭრილი მთელი რიგი თეორიული საკითხების გაშუქებასა და გადაჭრას. მუშაობა რამდენიმე წელს გრძელდება და მიღებულია საინტერესო შედეგები გეომორფოლოგიის, ტექტონიკისა და ფაციესთა განაწილების თვალსაზრისით.

მინერალოგია და პეტროგრაფია. საქართველოში ცნობილ ძველ და ახალ ინტრუზიულ ქანებთან დაკავშირებული მა-

დნეული საბალოების წარმოშობის პირობების გარკვევა და მათი პერსპექტივიანობის შეფასება ამ ქანების პეტროგრაფიულ შესწავლას მოითხოვს, რაც ინსტიტუტში სისტემატურად წარმოებს. 1946 წელს აღიწერა ლოქის კრისტალური მასივი (მეცნ. დოქტ. გ. ზარიძე და მეცნ. კანდ. ნ. თათრიშვილი).

რაც შეეხება ეფუზიურ და ვულკანოგენურ ფორმაციებს, შესწავლილ იქნა და დეტალურად აღიწერა სამხრეთი საქართველოს მიოკენის შემდგომი ვულკანოგენური წყება, რომლის პეტროგრაფია დღემდე უცნობი იყო (მეცნ. კანდ. ნ. სხირტლაძე). ვულკანოგენური წყების მომდევნო ეფუზივები, ავტორის აზრით, ორ ეფუზიურ ციკლ-თან არის დაკავშირებული — ნაწილი პლიოცენურია, ნაწილი კი მეოთხეული.

საქართველოს მიოკენის წინა ვულკანოგენური ნალექების შედარებითი შესწავლა მრავალწლიანი კვლევის ამოცანას წარმოადგენდა (მეცნ. კანდ. გ. ძოჭენიძე). ეს მუშაობა დამთავრებულია და მან მრავალი მნიშვნელოვანი შედეგი მოგვცა. კერძოდ, პირველად არის დადგენილი ვულკანური მოვლენების კავშირი საქართველოს გეოტექტონიკურ განვითარებასთან.

ვულკანოგენურ წყებებთან მრავალი პოსტვულკანური წარმონაქმნი არის დაკავშირებული. 1946 წელს დადგენილი და შესწავლილია პოსტვულკანური მინერალების ვრცელი რიგი როგორც ბაიოსურ, ისე მესამეულ ვულკანოგენურ წყებებში (მეცნ. კანდ. გ. გვახარია). პირველად არის აღნიშნული რკინისა და მარგანეცის შემცველი ლეონქარდიტის სახეობა — ელაგიტი და გამოყოფილია კალციტის რთული კრისტალების „ბაჯიური“ ტიპი.

ჰიდროგეოლოგის დარგში დაკავშირებულია საქართველოს მიწისქვეშა წყლების რესურსების გარკვევისა და წყალმომარაგების საკითხებთან. უკვე კარგა ხანია ინსტიტუტი (მეცნ. კანდ. ი. ბუაჩიძე), საქართველოს გეოლოგიურ სამმართველოსთან ერთად, აწარმოებს კახეთის ჰიდროგეოლოგიის შესწავლას. ამ მუშაობის მნიშვნელოვანმა შედეგებმა (არტეზიული წყლის აღმოჩენა ალაზნის წყებაში) გამოიწვია მუშაობის გაფართოება იმ რაიონებში, რომელიც განსაკუთრებით შევიწროებული არის უწყლობის გამო. ძიებასთან ერთად წარმოებს წყლიან ფენების დეტალური გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური შესწავლა. შესრულებულია კახეთის ქედის აღმოსავლეთი ნაწილის ჰიდროგეოლოგიური აგეგმვა.

დასასრულ, ჩატარებულია საქართველოს მინერალური წყლების შესახებ არსებული მთელი ჰიდროკიმიური და გეოლოგიური მასალების შეჯამება (მეცნ. კანდ. ს. ჩიხელიძე). ამან საშუალება მისცა ავტორს დაეყო საქართველოს მინერალური წყაროები 5 ძირითად გეოქიმიურ ტიპად და დაედგინა ამ ტიპების გეოლოგიური განაწილების კანონზომიერებანი.

ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა საანგარიშო წელს დაბეჭდეს 8 შრომა, იბეჭდება 10, ხოლო გამზადებულია დასაბეჭდად 21 შრომა. 1946 წელს დაიბეჭდა ინსტიტუტის „შრომების“ II (VII) ტ., ნაკვ. 2.

ინსტიტუტის მუდმივი სემინარის სხდომებზე, როგორც ჩვეულებრივ, იკითხებოდა სამეცნიერო მოხსენებები და სულ 33 სხდომაზე წაკითხულ იქნა 37 მოხსენება. გარდა ამისა, ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ წაკითხულ იქნა მოხსენებები ინსტიტუტის გარეთ — სულ 16 მოხსენება, მათ შორის 5 პოპულარული ხასიათისა.

1946 წელს ინსტიტუტი განაგრძობდა სამეურნეო ორგანოების უშუალო დავალებების შესრულებას. პირველ რიგში აღსაჩიშნავია ის მუშაობა, რომელიც ჩატარდა აკად. ნამდ. წევრის ა. ჯანელიძის, მეცნ. დოქტ. ი. კახაძისა და მეცნ. კანდ. პ. გამყრელიძის მიერ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ნახშირის რესურსების დადგენისა და მომავალ საძიებო სამუშაოების წარმართვის საკითხის გასაარკვევად საქართველოს სსრ მთავრობის მიერ გამოყოფილ კომისიაში (თავმჯდომარე აკად. ნამდ. წევრი ა. ჯანელიძე).

როგორც წინა წლებში, ინსტიტუტი და მისი მეცნიერი თანამშრომლები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი მონაცესავე დაწესებულებებთან, სახელდობრ, საქართველოს გეოლოგიურ სამმართველოსთან, ფერადი და იშვიათი ლითონების ტრესტთან, ნახშირის ძიების ტრესტთან, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიის ინსტიტუტთან და სხვა. ინსტიტუტის თანამშრომლები ამოწმებდნენ ამ დაწესებულებათა საძიებო პარტიების ანგარიშებს, ეწეოდნენ კონსულტაციას და პეტროგრაფიული ნიმუშებისა, ნამარხი ფაუნისა და ფლორის შესწავლა-განსაზღვრას აწარმოებდნენ. ზემოთქმულის გარდა ინსტიტუტმა კონსულტაცია გაუწია აგრეთვე აზერბაიჯანის და სომხეთის მეცნ. აკადემიათა გეო-

ლოგიის ინსტიტუტების მეცნიერ თანამშრომლებს სტრატიგრაფიისა და პალეონტოლოგიის ზოგ საკითხში.

1946 წელს რეგიონული გეოლოგიის განყოფილების გამგემ ი. კახაძემ დაიცვა საღოქტორო დისერტაცია თემაზე „Грузия в юр-ское время“, ხოლო საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა ინსტიტუტის ოთხმა მეცნიერმა თანამშრომელმა, სახელდობრ: ი ბუაჩიძემ თემაზე „Инженерно-геологические условия Аджарис-Цхальской ГЭС“, მ. რუბინშტეინმა თემაზე „Грузинская глыба и элементы ее мезо-зойской истории“, თ. ბაგრატიშვილმა თემაზე „Да саэлгети საქართველოს ბარიტის საბადოების მინერალოგია“ და ლ. გაბუნიამ თემაზე „Биостратиграфическая параллелизация среднеплиоценовых отложений Западной Грузии (Абхазии, Мегрелии и Гурии)“

ვახეშვილის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტი

დირექტორი აკად. ნამდ. წევრი ა. ნ. ჯავახიშვილი

1946 წელს ინსტიტუტი განაგრძობდა მუშაობას შრომაზე „საქართველოს გეოგრაფია“, რომელშიაც გაშუქებულია საქართველოს ბუნება, ბუნებრივი რესურსები და სახალხო მეურნეობის განლაგება.

თემაში „ბუნებრივი პირობების დახასიათება“ გაშუქებულია საქართველოს რთული რელიეფის მრავალფეროვანი ფორმების ცალკეული ტიპები და დადგენილია მათი გავრცელების რაონები; მოცემულია ატმოსფეროს ცირკულაციური პროცესები და კლიმატური ელემენტების განაწილება აღგილობრივ ფიზიკა-გეოგრაფიულ პირობებთან დაკავშირებით; გამოყოფილია კლიმატის ტიპები და მათი გავრცელების ზონები; დახასიათებულია წყლის ობიექტები ჰიდროგრაფიულად და ჰიდროლოგიური რეჟიმის მიხედვით; აღწერილია საქართველოს ნიადაგის ტიპები და დადგენილია მათი გავრცელების რაიონები; გაშუქებულია მცენარეული საფარის (ტყეების) ხასიათი და ცხოველთა სამყარო. და მათი გავრცელების რაიონები. ამ აღწერილობის საფუძველზე შესაძლებელი გახდა საქართველოს ტერიტორიის დარაიონება ბუნებრივ ლანდშაფტებად. აღწერილია აგრეთვე შავი ზღვა საქართველოს სსრ ნაპირებთან; დახასიათებულია შავი ზღვის გავლენა საქართველოს კლიმატზე და სანაპიროს მოხაზულობაზე (აკად. ნამდ. წევრი ა. ნ. ჯავახიშვილი, აკად. წევრ-კორ. მ. საბაშვილი, მეცნ. კანდიდატები ი. შაქარიშვილი, მ. კორდახია, შ. ყიფიანი, თ. ნუცუბიძე, ლ. ვლადიმიროვი, თ. კიკილაშვილი, ბ. კლოპოტოვსკი და გ. ჭარაქაძე, ე. ნაფეტვარიძე და სხვანი).

თემა „ბუნებრივი პირობების საწარმოო მნიშვნელობა“ იხილავს ფიზიკა-გეოგრაფიულ ფაქტორებს (კლიმატი, წყლები, ნიადაგები, მცენარეულობა და ცხოველები), როგორც საწარმოო ძალებს, რომელთა საფუძველზე ვითარდება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგი (მეცნ. კანდიდატები კ. კელენჯერიძე, გ. ჭირაქაძე, ლ. ვლადიმიროვი და სხვანი).

თემაში „ექონომ-გეოგრაფიული აღწერილობა“ მოცემულია სახალხო მეურნეობის დარგები (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და სხვა), მათი განლაგება და შემდგომი ზრდა-განვითარების არსებული შესაძლებლობანი IV ხუთწლედის ამოცანათა გათვალისწინებით (მეცნ. დოქტ. გ. გეტმანი, პროფ. ტ. ათაბეგოვი, მეცნ. კანდიდატები ლ. კარბელაშვილი, გ. გურგენიძე და სხვანი).

სათანადო სპეციალისტების მიერ საქართველოს სსრ გეოგრაფიული ატლასისათვის შედგენილი რუკებიდან დახაზულია 14 რუკა (ს. ცხაკაია, ი. პავლიაშვილი, ი. მათურელი, მ. ქავთარაძე).

ინსტიტუტის თანამშრომლებმა სხვადასხვა სამეცნიერო სესიაზე გააკეთეს 7 მოხსენება, მათ შორის აკად. ნამდ. წევრმა ა. ნ. ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება სსრ კავშირის მეცნ. აკად. ბუნების-მეტყველების ისტორიის ინსტიტუტში ქალ. მოსკოვს.

ამას გარდა ინსტიტუტის სამეცნიერო სხდომებზე „საქართველოს სსრ გეოგრაფიის“ შედგენასთან დაკავშირებით წარითხულ იქნა 29 მოხსენება როგორც ინსტიტუტის თანამშრომლების, ისე მოწვეულ პირთა მიერ.

1946 წელს დაიბეჭდა ინსტიტუტის თანამშრომლების 10 შრომა, 7 გადაცემულია დასაბეჭდად და 2 გადასაცემად არის მომზადებული.

სსრ კავშირის მეცნ. აკად. გეოგრაფიის, ნიადაგომცოდნეობისა და ბუნებისმეტყველების ისტორიის ინსტიტუტებთან უწინდებური კავშირის გარდა, ინსტიტუტს კავშირი ჰქონდა აგრეთვე თავის მუშაობაში რესპუბლიკის სამეცნეო უწყებებსა და დაწესებულებებთან. როგორც მისთვის საჭირო მასალების მათგან მიღების მხრივ, აგრეთვე თავისი ფონდებიდან ცნობების გაცემითა და კონსულტაციებითაც.

ზოგი პედაგოგიური ინსტიტუტის (გორი, ზუგდიდი) თანამშრომელი თავიანთ საღისერტაციო შრომების ცალკეულ საკითხებს გეოგრაფიის ინსტიტუტში ამუშავებდა.

დასასრულ, სომხეთისა და აზერბაიჯანის მეცნ. აკადემიების გეოგრაფიის ინსტიტუტებთან დამყარდა ბეჭდვითი პროდუქტების გაცვლა-გამოცვლა.

აბასთამნის ასტროფიზიკის მუზეუმის მოსახვაზოგის

დირექტორი მეცნ. კანდ. ე. ხარაგა

ობსერვატორიის თემატიკა 1946 წლის განმავლობაში ეხებოდა ვარსკვლავთა ასტრონომიისა და ასტროფიზიკის რამდენიმე ძირითადი პრობლემის შესწავლას. ამათგან მთავარს წარმოადგენდა გალაქტიკაში კოსმოსური შთანთქმის გამოკვლევა, რაც საერთოდ ობსერვატორიის ძირითად სამეცნიერო-კვლევით პროფილს განსაზღვრავდა უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე. 1946 წელს სრულიად დამთავრდა დიდი მოცულობის სამუშაო, რომელიც შეეხება კაპტეინის 43 არეში 14. ათასამდე მკრთალი ვარსკვლავის კოლორ-ინდექსების განსაზღვრას (მეცნ. კანდ. ე. ხარაგა). ამ მიზნით შესრულებული საშუალო და მაღალი გალაქტიკური განედების არეებში მდებარე ვარსკვლავთა კოლორიმეტრია წარმოადგენს უკანასკნელ ეტაპს ვარსკვლავთა კოლორ-ინდექსების კატალოგის აგების საქმეში. ამით დასრულდა იმ მასალის მომზადება; რომლის დისკუსია უახლოეს ხანში მოგვკემს შემოწმებულ განსაზღვრებსა და ახალ ცნობებს გალაქტიკურ სივრცეში შთამნთქმელი ნივთიერების განაწილების ხასიათისა და ბუნების შესახებ.

ასევე საინტერესოა მეორე, აგრეთვე სისტემატურ დამზერაზე დამყარებული სამუშაო, სახელდობრ, ე. წ. ცეფეის ტიპის ვარსკვლავთა კოლორ-ინდექსების განსაზღვრა (მეცნ. კანდ. მ. ვაშაკიძე). ამ გარსაზღვრათა დისკუსია ახალ მასალას მოგვცემს შთამნთქმელი თვისებების შესახებ გალაქტიკური სიბრტყის მახლობლად და გალაქტიკის მთელ სივრცეზე.

აღსანიშნავია ნ. მაღალაშვილის შრომა (საკანდიდატო დისერტაცია) ერთი ბნელებადი ცვალებადი ვარსკვლავის ულექტროკოლორიმეტრიის შესახებ. ავტორის მიერ ფოტოგრაფიულსა და ფოტოვიზუალურ სხივებში გამოთვლილი და აგებული მრუდეები სიკაშუაშის ცვალებადობისა საშუალებას იძლევა არა მარტო მიღებულ იქნეს ამ ბნელებადი ცვალებადი სისტემის საერთო დაშახასიათებელი (შასა, რაღიუსები, ფართობა და სხვა) და კომპონენტის ორბიტის

ელემენტები, არამედ განხორციელდეს აგრეთვე ფიზიკური ინტერ-პრეტაცია სიკაშების მრუდეების ზოგიერთი შენიშნული მოვლენისა-განფენილი ატმოსფეროს კონცეფციის საფუძველზე. მიღწეული შედე-გების შესახებ ნ. მალალაშვილმა გააკეთა მოხსენება ქ. მოსკოვს ცვა-ლებადი ვარსკვლავების მკვლევართა სრულიად საკანშირო ყრილო-ბაზე.

ასტროფიზიკური მეთოდიკის დარგში აღსანიშნავია სპექტრუ-ლი პარალელების განსაზღვრის საობიექტივო პრიზმის გამოყენება-ზე დაფუძნებული ხერხი, რომელიც ათვისებულია ობსერვატორია-ში (ნ. კალანდაძე მეც. კანდ. მ. ვაშაკიძის ხელმძღვანელობით).

ძირითადად დამთავრებულია ბინდის მრავალწლიანი კოლორი-მეტრიული დამზერის მონაცემთა დისკუსია (ბინდის ელექტროკოლო-რიმეტრია) და გამოთვლილია სტრატოსფეროს მაღალი ფენების ტემპერატურა და სიმკვრივე (თ. მეგრელიშვილი). ამ მასალის ნია-დაგზე და ობსერვატორიასთან სამეცნიერო კოოპერირების წესით სსრ კავშირის მეცნ. აკად. თეორიული გეოფიზიკის ინსტიტუტის ატმოსფეროს ოპტიკის ლაბორატორიაში დაწყებულია მეორადი გაბნევის თეორიის დამუშავება ბინდის მოვლენებში გამოყენების შე-მთხვევისათვის.

საერთოდ ობსერვატორიამ გააცხოველა ურთიერთობა სსრ კავშირის წამყვან ასტრონომიულ ობსერვატორიებთან, რაც არა მარტო საერთო სამუშაოთა განხორციელებაში გამოიხატება, არა-მედ აგრეთვე იმაშიაც, რომ ობსერვატორიამ მოიწვია ლენინგრადი-დან და მოსკოვიდან სპეციალისტები, რომელთაც აბსერვატორიის თანამშრომელთა სემინარზე აბასთუმანში წაიკითხეს სხვადასხვა დროს ლექციები და მოხსენებანი ატმოსფეროს მაღალი ფენების ფიზიკურ თვისებათა შესწავლის დარგში (პროფ. ხვოსტოვსკი), კოს-მოსური შთანთქმის დარგში (პროფ. პარენაკო), ახალ ვარსკვლავ-თა შესახებ (პროფ. ვორონცოვ-ველიამინოვი) და პლანეტურ ასტრო-ნომიაში (პროფ. მარკოვი).

საანგარიშო წელს შედგა აკადემიის მათემატიკურ და საბუ-ნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო სესია ასტრონომიის თემატიკაზე.

სოფლის მეურნეობის მასნიერებათა განყოფილება

თაგმჯდომარე აკად. ნამდ. წევრი ნ. კაცხველი

1946 წელს ჩატარებული არჩევნების შედეგად განყოფილებას შეეძლო 1 ნამდვილი წევრი, იქამდე აკად. წევრ-კორ.: ვ. გულასა-შვილი. (მეტყევეობა), და 3 წევრ-კორესპონდენტი: ლ. ყანჩაველი (ფიტოპათოლოგია), ლ. ქალანდაძე (ენტომოლოგია) და ი. ლომო-ჭრი (მემცენარეობა).

საანგარიშო წელს განყოფილების გამგებლობაში იყო 11 სა-შეცნიერო დაწესებულება, რომელთაგან ნიაღაგთმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტი 1946 წ. დაარსდა. 11 და-წესებულებიდან 6 ინსტიტუტია—ბოტანიკის, მცენარეთა დაცვის, სატყეო, მევენახეობა-მეღვინეობის, მემინდვრეობის და ნიაღაგთ-მცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის, 3 საცდელი საღვუ-რო—მეხილეობის, მევენახეობა-მეღვინეობის და მემინდვრეობისა და 2 ბოტანიკური ბალი—თბილისისა და სოხუმის.

1946 წელს დისერტაციები დაიცვეს მეცნიერებათა დოქტო-რის ხარისხის მოსაპოვებლად 2-მა და მეცნიერებათა კანდიდატის ჟარისხის მოსაპოვებლად 12-მა თანამშრომელმა.

1946 წლის თემატიკური გეგმა შედგენილი იყო IV ხუთწლე-ლის ამოცანების შესაბამისად. სულ წარსულ წელს დამუშავდა 191 თემა.

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სამინისტროსთან, საქარ-თველოს შამპანიური ღვინოების კომბინატურა და „სამტრესტოან“ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე 1946 წელს დაიწყო ფართო მუშაობა ვაზის ქლოროზის პრობლემის ირგვლივ, რომე-ლიც დაეკისრა ბოტანიკის, მევენახეობა-მეღვინეობისა და მცენა-რეთა დაცვის ინსტიტუტებს, განყოფილებასთან დაარსებული ქლოროზის კომისიის საერთო ხელმძღვანელობით.

განყოფილებაშ ჩატარა 3 სამეცნიერო სესხა (VII, VIII და IX), რომლებზედაც მოსმენილი იქნა 16 მოხსენება. VII სესიი მო-

წვეული იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავთან დაკავშირებით. VIII სესია მიეძღვნა მევენახეობა-მეღვინეობისა (6 მოხსენება), ხოლო IX სესია მეხილეობის საკითხებს (8 მოხსენება).

განყოფილების დაწესებულებათა მიერ გამოქვეყნდა 50 ნაშ-რომი, აქედან: მათი „შრომები“ ცალკე წიგნებად—3, მეთესლეო-ბისა და მემცენარეობის დელექტუსი—2, სამეცნიერო წერილები პერიოდულ გამოცემებში—15 და წერილები ცენტრალურ და ადგი-ლობრივ გაზეთებში—30.

გადაცემულია დასაბეჭდად 35 ნაშრომი: „შრომები“ ცალქე წიგნებად—5, სამეცნიერო წერილები პერიოდულ გამოცემებში—16 და მეცნიერულ-პოპულარული ბროშურები—14.

წლის განმავლობაში გადაცემულია 20-ზე მეტი რადიოლექცია-წარმოებას გადაეცა წინადადებანი, მითითებანი და ინსტრუქ-ციები 24 საკითხზე და გაეწია 500-მდე კონსულტაცია.

ბოგანივის ინსტიტუტი

დირექტორი მეცნ. კანდ. ი. თ უმაჯანოვი

ინსტიტუტის მუშაობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს საქართველოს ფლორის ყოველმხრივი შესწავლა—ფლორისა და მცენარეულობის გენეზისი, შემაღენლობა და განვითარება, ექსპერიმენტულ ფორმათა წარმოქმნის საკითხები, ვეგეტატიური გამრავლება და გამძლეობის ფიზიოლოგია.

დასრულების პროცესშია „საქართველოს ფლორას“ შედგენა (მთავარი რედაქტორი აკად. ნამდ. წევრი ნ. კეცხოველი, პასუხისმგებელი რედაქტორი აკად. წევრ-კორ. დ. სოსნოვსკი); ორი ტომი უკვე გამოცემულია, ხოლო III ტომის ქართული ტექსტის რედაქცია დამთავრებულია (რედაქტორი მეცნ. კანდ. ან. ხარაძე) და გადაეცა აკადემიის გამომცემლობას.

საქართველოს ფარგლებში ჩრდილო კავკასიონის დამატებითი შესწავლის მიზნით მოეწყოთ ორი ექსპედიცია: ქლუხორის-ტული ექსპედიცია (მეცნ. კანდიდატები ლ. კემულარია-ნათაძე, ო. კაჭელერი, ა. შეიანი, შ. ქუთათელაძე) და ხევის ფლორისტული ექსპედიცია (მეცნ. კანდ. ან. ხარაძე). ექსპედიციების მიერ გამოვლინდა საქართველოს კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე მდებარე ნაწილის ნაკლებ შესწავლილი ადგილების (ქლუხორი, ხევი) ფლორის შემაღენლობა. მარშრუტული გამოკვლევის შედეგად შეგროვილია მცენარეთა 4000 საჰერბარიო ფურცელი, რომელთა შორის მრავალი ახალი სახეობაა.

დასავლეთ საქართველოს ალგოფლორის შესწავლისას (მეცნ. კანდ. თ. იმერლიშვილი) აჭარის დაბლობში (ბათუმი-ქობულეთი) და ფოთის მიდამოებში დაღგენილია 67 ფორმა, რომელიც წყალიცენარეთა 8 სხვადასხვა ოჯახსა და ჯგუფს ეკუთვნის.

შედგენილია მიმოხილვა „გვარი *Cetraria* საქართველოში“ (ვ. პახუნოვა), სადაც ალტეროლია საქართველოში არსებული *Cetraria*-ს 10 წარმომაღენელი, რომელთა შორის მოიპოვება

პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე სახეობა (მღებავ ნივთერებათა შემცველი).

შესწავლილ იქნა ტებერდის ნაკრძალის ტყის მცენარეულობა (მეცნ. კანდ. ი. თუმაშანოვი), ფიტოცენოლოგიური და ტოპოეკოლოგიური თვალსაზრისით (დინამიკა, ურთიერთობა და განვითარების ისტორია); შესრულებულ შრომაში მოცემულია ნაკრძალის ტყის მცენარეულობის აღწერა ცალკე ლანდშაფტური პროფილების მიხედვით და ტყის ფორმაციების მთლიანი დახასიათება.

შესწავლილ იქნა ალაზნის სათავის ტყის მცენარეულობის განახლების დინამიკა (მეცნ. კანდ. ა. ლოლუხანოვი); როგორც იჩვევა:

ა. წიფლნარების განახლების უნარიანობა და ინტენსივობა დაკავშირებულია უშუალოდ კორომის სიხშირესთან, ქვეტყესთან და ბალახოვან საფარითან;

ბ. უთხოვრის კორომის გაფანტულობა ამ მცენარის გამრავლების თავისებურებით აიხსნება, ხოლო მისი არეალის შეკვეცა კი ადამიანის მოქმედების შედეგია.

ჯავახეთის მაღალმთის მცენარეულობის შესწავლის შედეგად დადგენილია სათიბების ძირითადი ტიპები და მათი სამეურნეო დახასიათება (მეცნ. კანდ. შ. ნახუცრიშვილი). კერძოდ, მოცემულია მათი დინამიკა, ფიტოცენოზთა შენაცვლება სხვადასხვა ასაკის ნასვენზე და, ბოლოს, ძიგვიანებისა და სიბალდიას ფორმაციის ტიპოლოგია.

შესწავლილია უროიანი ველის ძირითადი ასოციაციები (მეცნ. კანდ. ა. კაკულა), დადგენილია შვიდი სხვადასხვა ასოციაცია და მოცემულია მათი ზუსტი გეობოტანიკური და სამეურნეო დახასიათება.

საქართველოს მუხების ეკოლოგიის შესწავლის შედეგად (მეცნ. კანდ. ვ. მათიკაშვილი) დადგენილია გრძელყუნწა მუხის (*Quercus longipes*) და პონტის მუხის (*P. pontica*) გავრცელების პირობები. პირველი გავრცელებულია მდინარეთა მიერ შექმნილ ტერასებზე და ხშირად აღწევს მთის კალთამდე; იგი არ კქმნის წმინდა ცენოზებს და უმთავრესად სხვა ჭიშებთან შერეული გახვდება. პონტის მუხა კი კქმნის თავისებურ ცენოზებს მარად-

ჰერვანე ქვეტყის სინუზით; იგი გავრცელებულია დასავლეთი სა-კართველოს მთიან ზონაში (1200—1700 მტ. სიმაღლეზე ზღვის უანიდან), ხასიათდება თავისებური ეკოლოგიით და ამჟღავნებს უიდ კონსერვატიულობას, რაც უმთავრესად გამოიხატება მძინ არეალის მკვეთრ ლოკალიზაციაში.

შესწავლით იქნა წითლის გავრცელება საქართველოში (აკად. ნამდ. წევრი ვ. გულისაშვილი) და, როგორც ჩვევა, ჩვენში წითლის გავრცელება მეტად თავისებურია; იგი თვალსაჩინოდ სცილდება თავის ბუნებრივ სარტყელს და იჭრება ნაძვისა და სოჭის ზორაში; ბარში იგი ჩამოდის ზღვის სანაპიროშდე, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 700—800 მეტრამდე ზღვის დონიდან. იგი არ არის მესხეთ-ჯავახეთში და ამას ავტორი ხსნის ჰავის სიმშრალით და ნალექების სიმცირით.

მნიშვნელოვან მუშაობას ატარებს ინსტიტუტი კულტურული მცენარეების ფორმათა წარმოქმნის პროცესების საკითხების ირგვლივ (მეცნ. დოქტ. ვ. მენაბდე და მეცნ. კანდიდატები ა. ერიციანი, გ. კანდელაკი, ნ. ბრეგაძე). კვლევის ძირითად ამოცანას შეადგენს ევოლუციური პროცესების ექსპერიმენტული შესწავლა; წარმოებდა კულტურულ მცენარეთა ფილოგენეტიკური შესწავლა და ახალ სახეობათა დადგენა.

ამ სახის კველვითი მუშაობა წინა წლებიდან მომდინარეობს, ხოლო 1946 წელს შემდეგი შესრულდა:

ა. დადგენილია მიღებულის ამფიდიპლოიდის *Tr. timococcum*-ის ($2n=46$ ქრ.) ცვალებადობის დიაპაზონი და მისი გენეტიკური დამოკიდებულება გვარ *Triticum*-ის სისტემაში; თუმცა ეს ახალი სახეობა კარიოსტრუქტურულად რბილ ხორბალთა ჯგუფს ეკუთვნის, მაგრამ მას საგრძნობლად ემიჭნება და უფრო მჭიდრო გენეტიკურ კავშირს მაგარი ხორბლის ჯგუფთან ($2n=28$ ქრ.) ამერავნებს. ეს ფაქტი კი უარყოფს რბილ ხორბალთა აუტოპოლიპლოიდური წარმოშობის შესაძლებლობას.

ბ. ხორბალ ჭანგას (Triticum \times Agropyrum) შორის ფორმების წარმოქმნის პროცესის შესწავლის შედეგად დადგენილია ხორბალთა მრავალწლიანი ფორმები, რომლებიც ხორბლის კულტურულ ტიპს წარმოადგენს. სელექციური შესწავლისათვის ასეთი

მრავალწლიანი ხორბლის 25 ფორმა საქართველოს სახელმწიფო სელექციის სადგურს გადაეცა.

გ. დადგენილ იქნა ატმისა და ნუშის ჰიბრიდთა ზოგიერთი ანატომიური ნიშნის (ჭურჭელ-ბოჭკოვანთა კონები) მემკვიდრეობითი ხსიათი.

დ. შესწავლილ იქნა სტადიურობის მემკვიდრული ბუნება, რომლის შედეგადაც პირველ თაობაში „მოკლე სტადიის“ დომინირება ყოველთვის არ მუღავნდება.

ჩატარებულია გამოკვლევები ღომის ქართული ჯგუფის ბოტანიკური შემადგენლობის შესასწავლად (მეცნ. დოქტ. ვ. მენაბდე და მეცნ. კანდ. ა. ერიციანი) და დადგენილია ქართულ პოპულაციაში ღომის ორი ჯგუფი—კულტურული და ველური. „ველური ღომი“ გვხვდება როგორც ნათესებში (სარეველა), ისე რუდერალურ მდგომარეობაშიც. „ველური ღომი“ მორფოლოგიური ნიშნებით მკვეთრად განირჩევა კულტურული ღომის ჯგუფისაგან და საჭირო შეიქნა მასი ცალკე სახეობად გამოყოფა *Setaria Ketzhchowelii*-ს სახელწოდებით. ღომის კულტურულ ჯგუფში დადგენილია 16 სახესხვაობა, რომელთა შორის 11 ავტორთა მიერ პირველადაა მოყვანილი.

ციტოფიზიოლოგიურ რეაქციათა შესწავლის დროს მცენარეთა განვითარებასა და მემკვიდრეობაში (მეცნ. კანდ. ნ. კახიძე) დადგენილია, რომ თითოეული ორგანიზმი უჯრედთა თავისებური რეაქციით ხსიათდება. თუმცა უჯრედული რეაქციები იცვლება ორგანიზმის ხნოვანობისა და გარემოს ზეგავლენით, მაგრამ ციტოფიზიოლოგიურ რეაქციათა პრინციპი შედარებით უცვლელი რჩება.

შესწავლილია ყლორტის ფიზიოლოგიური პოლარობა (მეცნ. კანდიდატები ე. მაკარევსკაია და თ. კეზელი); გარკვეულია ვაზის კალმების დაფესვიანების პირობები და ყლორტის მეტამეტების სხვაობა. როგორც ჩანს, კალმების რეგენერაციული უნარიანობის ხელშემწყობი პირობები უშუალოდ კალმების გამოცოცხლების წინ დამუანგველ პროცესთა მსვლელობის შეფერხებაში გამოიხატება; ამგვარ ზემოქმედებას იჩენს წყალშემცველობის შეცვლა, პეტერო-აუქსინი და უარყოფითი ტემპერატურა. ყლორტის რეპროდუქციის პრიმუმს შეესაბამება წყლის მეტი შემცველობა კვირტებში და.

ქერქში კალმის აპიკალურ მხარისაკენ; კარგ დაფუქვიანებას კი შეე-
საბამება წყლის მეტი შემცველობა კალმის ბაზალურ მხარეზე.

შესწავლილ იქნა ღეროს სტრუქტურა, როგორც რეგენერა-
ციის თვისებების გამომხატველი (მეცნ. კანდ. ნ. ანელი). ავტორის
აზრით კალმის დამოუკიდებელ მცენარედ გადაქცევა რეგენერა-
ციის სრულიად საჭინაალმდეგო მოვლენას წარმოადგენს; ამ მოვ-
ლენას ის „პროგენერაციას“ უწოდებს. დადგენილია დაფუქვიანე-
ბის ტიპები, ფესვადობის კერები და კალმის ნაირთვისებიანობა
ფესვადობის მიმართ. გარკვეულია ქერქის მერისტემატურ ქსო-
ფილთა ბუნება და განსაკუთრებით კამბიუმის როლი ფესვადობაში.

მნიშვნელოვანია მუშაობა, რომლის მიზანს შეადგენდა აღდგე-
ნა-დაუანგვითი მეტაბოლიზმის შესწავლა ქლოროზოვან მცენარე-
ებში (მეცნ. კანდიდატები ლ. ჯაფარიძე, თ. კეზელი, მ. ჭრელაშვი-
ლი, ე. მაკარევსკაია, თ. სულაკაძე და ლ. ვასილევსკაია).

გამოირკვა, რომ ქლოროზით დაავადებულ ფოთლებში სუნთ-
ქვის ინტენსივობა მეტად იზრდება, მხოლოდ ოდნავ მატულობს სუნ-
თქვის კოეფიციენტი. ფერმენტი პიროქსიდაზა უმეტეს შემთხვევა-
ში ძალიან მაღალ მაჩვენებლებს იძლევა; ფერმენტი კატალაზა ჯან-
სალ ვაზში ნაკლები მაჩვენებლებით ხასიათდება, ხოლო ქლორო-
ზიანი ვაზი კატალაზას მეტ აქტიურობას ამჟღავნებს. გექსურონის
მჟავა ვეგეტაციის პირველ ნახევარში მეტია ქლოროზოვან მცენა-
რეებში, ხოლო ვეგეტაციის დასასრულს ის გაცილებით მეტია ნორ-
მალურ მცენარეებში. კაროტინი და გლუტატიონი ყოველთვის ნაკ-
ლებია ქლოროზოვან მცენარეებში. მაშასადამე, ქლოროზი იწვევს:
დაუანგვითი პროცესების საგრძნობ გაძლიერებას.

შესწავლილია პროტოპლზმას ფიზიურ-ქიმიური თვისებები.
ყინვის მიმართ გამობრძმელის პროცესში (მეცნ. კანდ. თ. სულა-
კაძე). მოცემულია, რომ გამოუბრძმედავი ხორბლის ეპიდერმისის
უჯრედების ბირთვები არ იმყოფება პარანეკროტულ მდგომარეო-
ბაში, როგორც ეს აღნიშნულია ზოგიერთ შრომაში; ისინი იმგვა-
რად არ იღებებიან, როგორც ნორმალური უჯრედების ბირთვები.
გამობრძმედილი პროტოპლაზმის პლაზმოლიზური სახის შენარჩუ-
ნება ყოველთვის არ მოწმობს უჯრედის ცოცხალ მდგომარეობას.

1946 წ. განმავლობაში ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ
დაბეჭდილია 20 შრომა, გადაეცა დასაბეჭდად—12 და ღამზადებუ-
ლია დასაბეჭდად 22 შრომა.

დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაცულ იქნა დისერტაცია ვ. მენაბდის მიერ თემაზე „საქართველოს ხორბლები“, ხოლო კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციები დაიცვეს გ. კანდელაკმა თემაზე „ფეტვნაირებში ქლოროპლასტის აგებულების თავისებურებათა შესახებ“, ვ. პაპავაშ თემაზე „კავკასიის კოწახურები“ და თ. ღუმბაძემ თემაზე „გვ-*Centraurea*-ს კავკასიის წარმომადგენელთა კრიტიკული მიმოჭილვა“.

თბილისის ბოზანიკური ბაზი

დირექტორი აკად. ნამდ. წევრი ვ. გულისა შვილი

ბალის თემატიკური გეგმა ითვალისწინებდა უცხო მერქნიანი ჯიშების აკლიმატიზაციისა და აღგილობრივი ჯიშების სისტემატიკური და დეკორაციული თავისებურებების შესწავლის გაგრძელებას, აღგილობრივი ყვავილოვანი მცენარეების კულტურაში დანერგვა-გამოყენებისა და დეკორაციული მცენარეების ავადმყოფობათა და მავნებლებისაგან დაცვის საკითხებს.

ბალში მყოფი უცხო ჯიშების ვეგეტაციის რიტმის შესწავლისას (აკად. ნამდ. წევრი ვ. გულისა შვილი) მიღებულია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით საინტერესო დასკვნები; მრავალ მერქნიან ჯიშს ახასიათებს თავის სამშობლოს პირობებში გამომუშავებული ვეგეტაციის განსაზღვრული რიტმი, რომელიც თბილისის ბოტანიკური ბალის კლიმატური პირობების ზეგავლენით არ შეიცვალა; ასე, მაგალითად, ჩრდილოეთი ამერიკის ხემცენარე *Gimnocladus canadensis* თბილისის პირობებშიაც მოკლე ვეგეტაციით ხასიათდება. ამავე დროს სამხრეთის მცენარეების *Parratia persica*, *Cereis siliquastrum*, *Brussonctia pefirifera* და სხვანი უფრო ხანგრძლივი ვეგეტაციით ხასიათდება, ვიდრე აღგრძლობრივი ჯიშები. მრავალი ჯიშის ზრდის რიტმი არ იცვლება თბილისის პირობებში, მეტადრე იაპონია-ჩინეთის ჯიშებისა (*Cipressus funebris*, *Quercus aquata*), რომელთაც როგორც სამშობლოში, ისე თბილისშიაც ზრდის ორი პერიოდი ახასიათებს—გაზაფხულისა და შემოღვიძისა, რაც ამ ჯიშების კონსტიტუციის კონსერვატიულობის მაჩვენებელია. იგივე ითქმის ყვავილობის შესახებაც.

ზოგი უცხო მერქნიანი ჯიში კი იცვლის ვეგეტაციის პერიოდულობას და ზრდის რიტმს თბილისის ჰავის ზეგავლენით. მაგალითად, ხმელთაშუაზღვის მცენარეების ვეგეტაცია, აღგილობრივი მერქნიანი მცენარეების მსგავსად, ბალის პირობებში იწყება გაზაფხულზე ნალექების და ტემპერატურის მატებასთან ერთად; ზაფხულში

ზრდა სრულიად წყდება ნალექების დაკლებასთან ერთად, ხოლო შემოღვომაზე აღარ ახლდება იმისდა მიუხედავად, რომ თავიანთ სამშობლოში შემოღვომაზე მათ ახასიათებს ინტენსიური ვეგეტაცია (მეცნ. კანდ. ვ. სხიერელი). აღნიშნულ მოვლენებს მნიშვნელობა აქვს მცენარეთა აკლიმატიზაციის საკითხში.

გორის, სტალინირისა და სხვა პარკების დეკორაციული მცენარეების გამოკვლევის შედეგებში შესაძლებელი გახდა ქართლის პირობებში ახალი დეკორაციული ბალ-პარკებისათვის მტკიცე ასორტიმენტის დადგენა (მეცნ. კანდ. ვ. მათიკაშვილი).

შესწავლილ იქნა აღმოსავლეთის ნაძვის (*Picea orientalis* L.) გეოგრაფიული ფორმები (მეცნ. კანდ. დ. მანჯავიძე). ამ გამოკვლევების შედეგად პირველად არის დადგენილი აღმოსავლეთის ნაძვისათვის შემდეგი ფორმები—ლუზუსები: 1. სავარცხლისებრი ან მტირალი ფორმების ტიპი, რომელიც სწრაფი ზრდით ხასიათდება; 2. ხერხისებრი ტიპი; 3. კომპაქტური ტიპი; 4. ბრტყელტოტიანი ტიპი; 5. უხეშტოტიანი ტიპი და 6. ორმხრივ რკალისებრი ტიპი. ნაძვის დადგენილი ფორმები მნიშვნელოვანია საპარკო მშენებლობის თვალსაზრისით.

გვარ *Celtis*-ს შესწავლის (ქ. გაჩეჩილაძე) შედეგად დადგენილია, რომ ბოტანიკური ბალის ფარგლებში ძირითად ნარგაობას ჰქმნის. *Celtis caucasica* Wild, რომელიც იძლევა გარდამავალ ფორმას ფოთლებისა და ნაყოფის თავისებურებათა ჩრდილოების მიერ გვარის შესწავლამ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონში გვიჩვენა, რომ აფხაზეთში გავრცელებულია განსხვავებული სახეობა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულია ძირითადად *Celtis caucasica* Wild, რომლიდანაც შეიძლება გამოიყოს წვრილფოთლებიანი და ფართოფოთლებიანი ფორმები. ძელქვა *Zelkova carpinifolia*-ს შესწავლით (მ. ექვთიმიშვილი) თბილისის ბოტანიკურ ბაღში, დასავლეთ საქართველოში და კახეთში დადგენილ იქნა, რომ დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ძელქვა უნდა მიეკუთხნოს *Zelkova carpinifolia*-ს, მხოლოდ კახეთის ძელქვა კი, რომელსაც „ავლუხს“ უწოდებენ, უფრო ახლო უნდა იდგეს ლენქორანში გავრცელებულ *Zelkova hyrcana*-სთან.

ლამაზად მოყვავილე ველური მცენარეების კულტურაში და-

ნერგვის საკითხზე (მეცნ. კანდ. ბ. სერდიუკოვი და თ. ღუმბაძე) ჩატარებული მუშაობის შედეგად საქართველოს ცალკეულ კუთხე-ში გამოვლენილია სხვადასხვა დეკორაციული სახეობა. წარმოებს ამ მცენარეთა დეკორაციული თვისებების გარდაქმნა სხვა-დასხვა აგროლონისძიების მეოხებით.

დეკორაციული მცენარეების მავნებლების შესწავლისას (მეცნ. კანდ. დ. ლოზოვოი) გამოვლენილ და შესწავლილ იქნა ნეკერჩხალის მავნებელი *Cassus cossus* L.; შესწავლილია მისი ძირი-თადი ეკოლოგიური მომენტები და დამუშავებულია პროფილაქტი-კური და გამანადგურებელი ხასიათის ღონისძიებები. შესწავლი-ლია ჭანჭყატის ფარიანას ბიო-ეკოლოგია და დადგენილია ემულ-სიის კონცენტრაცია და მისი შესხურების პერიოდი, რომლის დრო-საც ფარიანა ისპობა.

კვლევითი მუშაობის გარდა, ბაღმა ჩატარა საკმაოდ დიდი სამუშაო მცენარეთა ინტროდუქციის ხაზით. იაპონია-ჩინეთის გეო-გრაფიულ ნაკვეთზე დაირგა 45 ძირი მცენარე (*Magnolia dentata*, *Sophora vicifolia* და სხვა); „ჩრდილოეთი ამერიკის“ ნაკვეთზე დარ-გულია 12-ნაირი სახეობის 129 ხე-მცენარე, რომელთვისაც აღსა-ნიშნავია *Rhus canadensis*, *Prunus virginiana* და სხვა.

შევსებულია „აღმოსავლეთი საქართველოს ტყის“ ნაკვეთი 25 ძირი ხე-მცენარით და თვით ბალის ნარგაობის სხვადასხვა კუთხე კი 421 ძირი ხე-მცენარით. შექმნილია ახალი ხეივანი აბრეშუმის აკაციისა და სხვა.

ბოტანიკური ბაღის დენდროკოლექციის გასამღილრებლად შემოტანილია 32 სახეობის ხე-მცენარე და ბუჩქი, აქედან 30 სახე-ობა სომხეთის სააკლიმატიზაციო პუნქტიდან. ამასთან ერთად ბაღ-ში საკმაოდ გაამდიდრა ყვავილოვან მცენარეთა კოლექცია. ამათში აღსანიშნავია პოლანდიიდან მიღებული 116 ცალი ტიულპანი.

ბაღმა გამოსცა და დაუგზავნა სხვადასხვა სამეცნიერო დაწე-სებულებას *delectus seminum*; მან 21 ორგანიზაციას გაუგზავნა თეს-ლების 326 ნიმუში და თითონაც მიღილო თესლები როგორც უცხოე-თაიდან, აგრეთვე კავშირის სხვადასხვა ბოტანიკური ბაღიდან.

სოხუმის პოზანიკური გაღი

დირექტორი პ. რატიანი

1946 წლის მუშაობა ძირითადად დაკავშირებული იყო აფხა-ზეთში ინტროდუქცირებული, უმთავრესად, სუბტროპიკული და აგრეთვე სხვადასხვა მერქნიანი და ბალაზეული მცენარების ბოტანიკურ შესწავლასთან.

დამთავრდა მუშაობა თემაზე „სიონის ბოტანიკური ბალის რეკონსტრუქციის პროექტის მეცნიერული დასაბუთება“ (მეცნ. დოქტ. ა. კოლაკოვსკი).

ბალი დიდ მუშაობას ატარებს დასავლეთი საქართველოს ეკზოტიკური მერქნიანი ფლორის შესასწავლად; დამთავრებულია II ტომი შრომისა, სადაც აღწერილია მერქნიანი ეკზოტების 460 სახეობა. ამავე დროს ჩატარდა ქვემო და ზემო იმერეთის დენდროლტგიური გამოკვლევა; გამოვლინებულია 148 სახეობა, დადგენილია მათი გეოგრაფიული გავრცელება და განვითარების ბიოლოგიური თავისებურებანი დასავლეთი საქართველოს სუბტროპიკების ზემო საზღვრებზე (მეცნ. კანდ. ა. ვასილევი).

დამუშავდა მეთოდური საკითხები კოლხიცინის ზემოქმედების შედეგად ყვავილოვან დეკორაციულ მცენარეთა პოლიპლოიდური ფორმების მიღებასთან დაკავშირებით; დადგენილია კოლხიცინის ოპტიმალური დოზირება და ექსპოზიცია.

საანგარიშო წელს გრძელდებოდა მუშაობა ადგილობრივი გარეული დეკორაციული მნიშვნელობის მცენარეთა გამოკვლენაზე შავი ზღვის სანაპიროების პირობებში. აფხაზეთის სხვადასხვა რაიონში შეგროვდა 56 სახეობა; ჩატარებული გამოკვლევისა და დაკვირვების მიხედვით ზოგიერთი მათგანი მეტად პერსპექტიულია დასახული მიზნისათვის. ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობის შედეგად აქამდე გამოკვლენილია 400-დე დეკორაციული მნიშვნელობის გარეულ მცენარეთა სახეობა (მეცნ. კანდ. გ. რაზრივა).

სუბტროპიკულ ზონაში დეკორაციულ მცენარეებს სხვადასხვა მავნებელი მეტად აზიანებს. 1946 წელს ჩატარდა აფხაზეთის საპარკო ნარგაობათა გამოკვლევა, რის შედეგადაც გამოვლენილია მავნებლების 56 სახეობა; მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და მრავალრიცხოვანია კოქციდების სახეობანი (30), შემდეგ მცენარეთა ტილები, ტრიპსები, მხერხავები და სხვა. მათთან საბრძოლველად გამოცდილია რამდენიმე ახალი შხამ-პრეპარატი: ჰეზაროლი, ჰექსაქლორანი, „დდტ“ (დიქლორ-დიფენილ-ტრიქსორეტანი), რომელთაგანაც საუკეთესო შედეგს პრეპარატი „დდტ“ იძლევა (მეცნ. კანდ. ვ. ვაშაძე).

საქართველოში მანანასებრთა ოჯახის მცენარეების შესწავლისას გამოვლენილია 5 ახალი ქვესახეობა და სახესხვაობა; დადგენილია საქართველოში გავრცელებულ სახეობათა ნათესაობრივი კავშირი სხვა ქვეყნებში გავრცელებულ სახეობებთან და შედგენილია ცალკეულ სახეობათა გავრცელების რუკა (გ. კვარაცხელია).

საანგარიშო წელს დაიბეჭდა ბალის მცენარეებისა და თესლეულის „დელექტუსი“.

გადაცემულია დასაბეჭდად 7 სამეცნიერო შრომა, მათ შორის მეცნ. ღოქტ. ა. კოლაკოვსკის „Флора Абхазии“, ტ. III და 6 წერილი სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში.

მომზადებულია დასაბეჭდად 3 შრომა, მათ შორის აღსანიშნავია მეცნ კანდ. ა. ვასილევის „Флора древних экзотов“, ტ. II.

ბალის თანამშრომელთა მიერ სხვადასხვა თათბირზე გაკეთებულია 4 მეცნიერული მოხსენება.

საანგარიშო წელს ბალის ორმა მეცნიერმა თანამშრომელმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: ვ. ვაშაძემ თემაზე „მასალები ვაშლის ნაყოფჭამიას წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების შესწავლის შესახებ“ და ვ. იაბროვამ თემაზე „აფხაზეთის მაღალმთის საძოვრები და მათი გაუმჯობესების საკითხები“.

1946 წელს განახლდა ომის დროს შეწყვეტილი კავშირი სხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან; მაგალითად სსრ კავშირის მთავარ ბოტანიკურ ბალს ქ. მოსკოვში გაეგზავნა 3232 ძირი ცოცხალი მცენარე, ლენინგრადის ბოტანიკურ ბალს ომის დროს დაღუპული საორანჟერეიო მცენარეების აღსაღვენად გაეგზავნა საკუთარი ნარგავებიდან 1230 ძირი ცოცხალი მცენარე (პალმები, აგავები), 1600 დაფესვიანებული კალამი და სხვა.

საგყელო ინსტიტუტი

დირექტორი აკად. ნამდ. წევრი ვ. გულისაშვილი

ინსტიტუტი 1946 წლის განმავლობაში მუშაობდა 5 პრობლემის ირგვლივ.

ბუნებრივი განახლების პროცესის შესწავლამ წიფლნარ კორომებში (მეცნ. კანდ. ვ. მირზაშვილი) დაადასტურა, რომ წიფლის ბუნებრივ განახლებას შეიძრო კავშირი აქვს კორომის სიხშირეთან, მაგრამ კორომების სიხშირის განსაზღვრა უნდა მოხდეს არა ხეების მკერდის სიმაღლეზე კვეთის ფართობების, არამედ ვარჯთა პროექციის მიხედვით. ამასთან დაკავშირებით გამოიიჩვა, რომ ღილი სიხშირის წიფლნარებში ერთჯერადი და ძლიერი ჭრების ჩატარების შემდეგ ტყის საბურველის სრული დარღვევის გამო, ყინვეზი და სარეველა ბალახების მომძლავრება აბრკოლებს ბუნებრივ განახლებას თითქმის 15—20 წლის მანძილზე. ეს პერიოდი საჭიროა კორომში დარჩენილ ხეთა ვარჯების იმ ზომამდე განვითარებისათვის, რომელიც წიფლის ბუნებრივ განახლებას შესაფერ პირობებს შეუქმნის.

შესწავლილია ჭრის სისტემის გავლენა წყლის რეჟიმზე და ეროვნულ პროცესებზე (ხელმძღვანელი აკად. ნამდ. წევრი ვ. გულისაშვილი, შემსრულებელი მეცნ. კანდ. გ. ტარასაშვილი).

ლაგოდეხის სატყეოში მოეწყო მეტეოროლოგიური სადგურები ხელუხლებელ, ჭრით გამეჩერებულ კორომში და პირწმინდად ნაკაფში. მოწყობილია ჰიდრომეტრიული პუნქტები ორი მდინარის აუზში—ერთ მათგანში ტყე გამეჩერებულია ჭრით, ხოლო მეორეში—ხელუხლებელი ტყის კორომები გვაქვს. შეისწავლება წყლის ზარჯი, ზედაპირული ჩამოლენა, ეროზიული პროცესები და სხვა.

ინსტიტუტის მუშაობაში საკმაოდ თვალსაჩინო აღგილი ეჭირა მოვლითი ჭრების თემატიკას. ამ საკითხების გადაწყვეტას საფუძვლად დაედო საქართველოს მუსნარსა და ნაძვნარ-ფოთლოვან კორომებში ჯიშთა ცვლის პროცესის შესწავლა (ხელმძღვანელი აკად. ნამდ. წევრი ვ. გულისაშვილი, შემსრულებელი—დ. სარაჯიშვილი

და პ. მეტრეველი). გამოირკვა, რომ აღმოსავლეთი საქართველოს მთის მუხნარების პირალებითი ჭრების შედეგად მუხის ფორმაცია იცვლება ან ველის, ან ჯაგ-ეკლიანი, ან, უკეთეს შემთხვევაში, მუხნარ-ჯაგრცხილიანი ფორმაციით, საღაც ჯაგრცხილა და სხვა ჯი-შები სჭარბობს ძვირფას ჯიშს—მუხას. ომის დამუშავებისას ჩატარდა მუხნარ-ჯაგრცხილიან ფორმაციაში მოვლითი ჭრების ცდები მუხნარების სრული აღდგენის მიზნით და გამომუშავდა ჭრების სისტემა. ფოთლოვანი ჯიშების შენარევ ნაძვნარში პირწმინდა ჭრების შედეგად აღგილი აქვს ჯიშთა ცვლას; ნაძვი იცვლება ვეგეტაციურად მიღებული წიფლით და რცხილით; ამ პროცესს აღგილი აქვს მთის როგორც შუა, ისე ზედა სარტყელში.

ინსტიტუტმა გაშაობა საქართველოს გამეჩერებული კორომების ხელოვნურად აღდგენის ირგვლივ (ა. ჭრელაშვილი). ჩატარებული დაკვირვებების შედეგად გამოირკვა, რომ ფართობების აღდგენისას საუკეთესო შედეგს იძლევა კანადის ვერხვი, იფანი და თელა.

ინსტიტუტის მუშაობაში საქმაოდ დიდი აღგილი დაეთმო უცხო, ძვირფასი ტექნიკური ჯიშების საქართველოს პირობებში მოშენების მეთოდიკის გამომუშავებას. შესწავლილია კორპის მუხის მოშენების შედეგები (გ. ბრეგვაძე); დადგენილია, რომ დასავლეთ საქართველოში კორპის მუხა შესაძლებელია მოშენდეს ზღვის დონიდან 500—600 მტ. სიმაღლემდე, უმთავრესად დიდი დაქანების ფერდობებზე; კირნარ ნიადაგებზე მისი მოშენება სასურველია არ არის. აღმოსავლეთ საქართველოში კორპის მუხა შეიძლება გავრცელდეს ალაზნის მარცხენა ნაპირზე.

შესწავლილ იქნა აგრეთვე ქალალისა და ზოგი სხვა წარმოებისათვის ძვირფასი ჯიში კრიპტომერია—*Criptomeria japonica* (მეცნ. კანდ. ი. აბაშიძე). აღმოჩნდა, რომ დასავლეთ საქართველოში მისი მოშენება უფრო ხელსაყრელია ყვითელმიწა, წითელმიწა და სუსტად გაეწერებულ ნიადაგებზე, რომლებზედაც იგი საუკეთესო და სწრაფ ზრდას იძლევა. არ არის სასურველი მისი გაშენება ჭარბტე-ნიან მძიმე თიხნარ ნიადაგებზე და თხელ განუვითარებელ და მცირე სისქის ნიადაგებზე; აქ იგი სუსტი ზრდით ხასიათდება.

ინსტიტუტმა დაამუშავა და წარმოებას გადასცა წაბლის, ხურმის, ნეკერჩლის, არყის, ცაცხვის, პანტის, ჭანდრის, იფნის, ფიჭვის, კრიპტომერიის, ვერხვისა და ტირიფის აგროწესები.

ინსტიტუტის ტყის ტრანსპორტისა და მექანიზაციის განყოფილებამ დაამუშავა სამთო ცალრელსიანი და ორჩელსიანი ტყის საზიდი გზების საცდელი ნიმუშების ტექნიკური პროექტი (მეცნ. კანდ. ბ. გულისაშვილი). ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს მთის ტყეებიდან ხე-ტყის გამოზიდვის გაადვილებისა და ამით მისი თვითლირებულების გაიაფების თვალსაზრისით.

ამასთან ერთად დამუშავდა საკითხი მთაგორიან პირობებში მორთრევისა და პირველადი საწყობების მოწყობის შესახებ (მეცნ. დოქტ. დ. თავხელიძე). თემა წარმოადგენს მორთრევის საშუალებათა ვარიანტების შედარების თეორიულ განზოგადებას. შედგენილია საბოლოო ნომოგრამა, რომლის მიხედვითაც შეიძლება გამოვარკვიოთ მერქნის მოცულობის ერთეულის მორთრევის ღირებულების ცვალებადობა სალიკვიდაციო მასივის, მორთრების მანძილისა, საზიდი გზების ღირებულებისა და მორთრევის საშუალებათა შესაბამისად.

ინსტიტუტის ახალდაბის საცდელი სადგური ატარებდა მუშაობას უცხო მერქნიან მცენარეთა აკლიმატიზაციის ხაზით. ამ მიზნით სადგურის მიერ მოწყობილია სხვადასხვა ვერტიკალურ სარტყელში (800 მეტ. ზღ. დონ.—ახალდაბა, 1200 მეტ. ზღ. დონ.—წალვერი და 1500 მეტ. ზღ. დონ.—ბაკურიანი) სააკლიმატიზაციო ფართობები, საღაც დარგულია უცხო მერქნიანი მცენარეების 40 სახეობამდე და წარმოებს მათი ზრდა-განვითარების შესწავლა.

მიმღინარე წელს ინსტიტუტს გადმოეცა, როგორც კვლევითი მუშაობის საცდელ-საჩვენებელი ბაზა, თბილისის სატყეო მეურნეობა — 10.000 ჰექტარის ფართობით და გორის სატყეო მეურნეობა — 60.000 ჰექტარის ფართობით.

საანგარიშო წელს სატყეო ინსტიტუტების საკავშირო კონფერენციაზე ქ. მოსკოვს აკად. ნამდ. წევრმა ვ. გულისაშვილმა გააკეთა მოხსენება ინსტიტუტის მუშაობის შესახებ.

მცენარეთა ჩატვის ინსტიტუტი

დირექტორი აკად. წევრ-კორ. ლ. ყანჩაველი

საანგარიშო წელს ინსტიტუტის მთელი მუშაობა სამი ძირითადი პრობლემის გარშემო ტარდებოდა: სოფლის მეურნეობის კულტურებისა და ტყის ჯიშების დაცვა მავნებელთა და ავაღმყოფობათაგან; მინერალური და მცენარეული რესურსებიდან მისაღები ახალი ჟხამასალების დადგენა; თეორიული და მეთოდური საკითხების გადაჭრა.

პირველი პრობლემის შესწავლის ობიექტები სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა ძირითად დარგს შეეხება (სუბტროპიკული, მემინდვრეობის, მეზილეობის, სატყეო და მებოსტნეობის კულტურები, ტყის ჯიშები და სხვა).

ლიმონების ახალი ავაღმყოფობის ე. წ. მალ სეკოს მიზეზების შესწავლისა და მის საწინააღმდეგო ღონისძიებათა დადგენის საქმეში (აკად. წევრ-კორ. ლ. ყანჩაველი და მეცნ. კანდ. ქ. გიკაშვილი) გამორკვეულია მალ სეკოს ნამდვილი მიზეზი და იგი შესწავლილია სწავლასთვის სუბსტრატზე; შესწავლილია ავაღმყოფობის გავრცელებისათვის ხელშემწყობი პირობები და დამუშავებულია ღონისძიებათა სისტემა მასთან საბრძოლველად; იგი გადაეცა უკვე ოპერატიული მუშაობისთვის, როგორც დროებითი ღონისძიება.

ინსტიტუტს დიდი მუშაობა აქვს ჩატარებული პომიდორის ვირუსოვანი ავაღმყოფობის—სტოლბურის ანუ ქაჩალას შესწავლისათვის (მეცნ. კანდიდატები ეკ. ერისთავი და ნ. საყვარელიძე; ე. სამუნჯევა, მ. თარგამაძე და ს. ტიტვინიძე). დადგენილია ზოგიერთი აგროტექნიკური ღონისძიების გავლენა სტოლბურის განვითარებაზე და გამოვლენილია სტოლბურის გადამტანი მწერი ჭიჭინობელი (*Hyalestes Mlakosiewiczi*); ამის ნიადაგზე შემუშავებული დაავადების საწინააღმდეგო ღონისძიებანი წარმოებას გადაეცა.

საქართველოში გავრცელებული ლელვის ალურას შესწავლამ (მეცნ. კანდ. ჭ. ჰაჯიბეილი) გამოარკვია ლელვისათვის ამ მეტად სა-

ზიანი მავნებლის ბიო-გეოლოგია და მასთან ბრძოლის საშუალება.. დასრულდა აგრეთვე ლობის მემარცვლიას ბიო-ეკოლოგიისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესწავლა (მეცნ. კანდ. ნ. თულაშვილი).

გამოვლენილია ხეხილის ტოტების კიბოსებრ ავადმყოფობათა მიზეზები ქართლის პირობებში (მეცნ. კანდ. ე. ხაზარაძე) და დასა- ხულია ღონისძიებანი მათ საწინააღმდეგოდ.

დღიდი მუშაობა ჩატარდა აღმოსავლეთ საქართველოში კართო- ფილის ჭინობის მიზეზების დაღგენისათვის (მეცნ. კანდ. ი. შოშია- შვილი) და შესწავლილია აგროტექნიკურ ღონისძიებათა გავლენა- ჭინობის ღინამიკაზე (იაროვიზაცია, თესვის ვაღები, ჩათესვის, სიღ- რმე).

ჩატარდა მუშაობა საქართველოს ნაკრძალების სატყეო სანერ- გების (ტებერდა, ბეჭვინთა) და ტყის მასივების (ზემო სვანეთი, აბასთუმანი) მავნე მწერებისა და სოკოვან ავადმყოფობათა შემად- გენლობის გამორკვევისათვის. დაზუსტებულია მათი მიკოფლორა, ენტომოფაუნა და გავრცელების კერები. ინსტიტუტმა წარმოებას გადასცა ამ მავნებლებისა და ავადმყოფობების წინააღმდეგ ბრძო- ლის ღონისძიებათა სისტემა (მეცნ. კანდ. შ. სუპატაშვილი და ა. ში- შკინა).

ამ დარგის სამუშაოთა რიგში შედის საქართველოს სასოფლო- სამეურნეო კულტურების მავნე ფლორისა და ფაუნის ინვენტარი- ზაციაც. ამ შერივ გამოვლენილია კულტურულ მცენარეებზე *Phy- comycetes*-ების პარაზიტული წარმომადგენლები (მეცნ. კანდ. ნ. სა- ყვარელიძე), იაპონური ხურმის პარაზიტული მიკოფლორა (მეცნ. კანდ. ე. ხაზარაძე), კურკოვანი კულტურების მავნე ენტომოფაუნა- აღმოსავლეთ საქართველოში (მეცნ. ღოქტ. ი. ბათიაშვილი და ი.. თვალავაძე), გერანის პარაზიტული მიკოფლორა (მეცნ. კანდ. ს.. ისარლიშვილი); კერძოდ გერანზე აღნიშნულია მეცნიერებისათვის. აქამდე უცნობი პარაზიტული სოკო *Spaceloma* Sp.

საქართველოს მინერალური და მცენარეული რესურსებიდან ახალი შხამ-მასალების გამოვლენის მიმართულებით დაღგენილია ტუნგოზე გავრცელებული სუროს ფარიანას (*Aspidiotes hederae*) საწი- ნააღმდეგოდ ფუმიგაციისა და მინერალური ზეთების გამოყენების ეფექტურობა (მეცნ. ღოქტ. ს. ქარუმიძე, მეცნ. კანდ. ტ. ნოვიცკაია და გ. გეგენავა).

მცენარეული რესურსებიდან შესწავლილია ჩვენში ფართოდ გავრცელებული შხამასი (*Veratrum*) და ხარისძირას ფესურების ტოქსიკური თვისებები ზოგი მავნებლის მიმართ. (მეცნ. დოქტ. ს. ქარუმიძე და ა. ჩალოვლი).

საპნის ხარჯვის ეკონომის მიზნით შეცვლილია აქამდე სმარებული კონცენტრატების დამზადების რეცეპტი. ინსტიტუტში წამუტ შავებული რეცეპტით საპნი უწინდელთან შედარებით 2-4 ჯერ ნაკლები იხარჯება (კალიფორნიის ფარიანასთან ბრძოლაში). ამავე დროს გამოირკვა თიხებით საპნის მთლიანად შეცვლის შესაძლებლობა (მეცნ. დოქტ. ს. ქარუმიძე).

შესწავლილია სინთეტიკური კაუჩუკის ნარჩენების გამოყენების. შესაძლებლობა დეფიციტური დეზინფექტორების შეცვლის მიზნით და გამოირკვა, რომ, მაღალი ტოქსიკური თვისებების მიუხედავად, ნარჩენების არასტანდარტულობა ხელს უშლის წარმოებაში მათი გამოყენების საქმეს (მეცნ. კანდიდატები ლ. წერეთელი და ნ. ჭანტურია; ნ. ნიშნიანიძე).

მეთოდური და თეორიული ხასიათის თემებიდან აღსანიშნავია ფიტოფიზიოლოგიური მეთოდის გამოყენება ვირუსოვან ავადმყოფობათა შესწავლის დროს. ეს ახალი მეთოდია და პირველად ჩვენს ინსტიტუტშია გამოყენებული. მისი საშუალებით ვირუსოვან ავადმყოფობათა დიაგნოსტიკურ ნიშნებს თეორიული დასაბუთება-მიეცა (მეცნ. კანდ. ეკ. ერისთავი).

იმავე ფიტოფიზიოლოგიური მეთოდის გამოყენებით წარმოებდა მცენარისა და სიკოს უჯრედზე ფუნგიცილების ტოქსიკური მოქმედების მექანიზმის შესწავლა (მეცნ. დოქტ. ი. ელენგორნი, მეცნ. კანდიდატები ლ. წერეთელი და ნ. ჭანტურია). გამოირკვა, რომ ფუნგიციდები, მათი სპეციფიკურობის მიუხედავად, მოქმედებს მცენარეულ უჯრედზე როგორც მუავები, ან როგორც ტუტეები. ამ კვლევის შედეგად შხამების ციდური და სტატიკური მოქმედება ცოცხალ უჯრედზე შეიძლება განისაზღვროს ახალი მეთოდებით, რომელებიც უჯრედის საპასუხო რეაქციაზე და ელექტროსტატიკაზე წენება დამყარებული.

ინსტიტუტმა წლის განმავლობაში კონსულტაცია გაუწია 50 კოლ-მეურნეობას, 20 საბჭოთა მეურნეობას და 12 სატყეო მეურნეობას; ვაკეთდა 160-მდე ნიმუშის ლაბორატორიული ანალიზი და მიეცა წერილობითი კონსულტაცია.

ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალი მონაწილეობდა სამინისტროებისა და ტრესტების მიერ მოწყობილ კომისიებსა და თათბირებული, კერძოდ საკავშირო კომისიის მუშაობაში ლიმონების ავადმყოფობის მაღ სეკოს საკითხზე (აკად. წევრ-კორ. ლ. ყანჩაველი, მეცნ. კანდიდატები ლ. წერეთელი და ქ. გიკაშვილი), თათბირში ხეხილის მავნებლებ-ავადმყოფობებთან ბრძოლის საკითხებზე ვარიანის საბჭოთა მეურნეობაში (აკად. წევრ-კორ. ლ. ყანჩაველი, მეცნ. დოქტორები ი. ბათიაშვილი და ს. ქარუმიძე, მეცნ. კანდიდატები ლ. წერეთელი, ქ. გიკაშვილი).

1946 წელს დამუშავდა და გადაეცა წარმოებას:

1. ლონისძიებანი სუროს ფარიანას წინააღმდეგ ბრძოლისათვის ტუნგოზე—ტუნგოს საბჭოთა მეურნეობის ტრესტს (მეცნ. დოქტ. ს. ქარუმიძე);

2. ნავთობის ზეთის კონცენტრატების ქარხნული წესით დამზადების რეცეპტები—საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სამინისტროს (მეცნ. დოქტ. ს. ქარუმიძე);

3. ბიჭვინთისა და რიჭას ტყეებში გავრცელებული ექვსკბილა ქერქიჭამიასი და ფიჭვის დიდი მებალის წინააღმდეგ ბრძოლის ლონისძიებანი—საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალთა სამმართველოს (მეცნ. კანდ. შ. სუპატაშვილი).

ტყის მავნებლებთან ბრძოლის საკითხებზე ჩატარებულია სატურულ მეურნეობათა მუშაკებთან 8 ლექცია-საუბარი და გადაცემულია ასამისი სამსახური (მეცნ. კანდ. შ. სუპატაშვილი). გაზეთებში გამოქვეყნდა 4 წერილი.

ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლების მიერ 1946 წლის განმავლობაში წაკითხულია ინსტიტუტის გარეშე 3 სამეცნიერო მოხსენება.

ინსტიტუტის თანამშრომელთაგან კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია 2-მა კაცმა—ა. შიშკინამ. თემაზე „კორპის მუხის მელნის ავადმყოფობის ეკოლოგია“ და თ. წიქაძემ თემაზე „მონილიები ხეხილებზე ქართლის პირობებში“.

საქართველოს მეცნიერებათა ჯადების „მოამბეში“ 1946 წელს დაიბეჭდა ინსტიტუტის თანამშრომელთა 3 შრომა. გადაცემულია დასაბეჭდად 20 და გამზადებულია დასაბეჭდად 22 შრომა.

დირექტორი აკად. შევრ-კორ. მ. საბაშვილი

ინსტიტუტი დაარსდა 1946 წლის მაისს.

ამავე წელს ჩატარდა წიაღაგების გამოკვლევა:

1. რაჭა-ლეჩხუმში (მეცნ. კანდიდატები გ. ტალახაძე და დ. თორთლაძე; ს. ცინცაძე) 50.000 ჰექტარის ფართობზე 1:50000 მასშტაბის რუკის შესადგენად;

2. მესხეთში (მეცნ. კანდ. ბ. კლოპოტოვსკი) 25.000 ჰექტარის ფართობზე, და

3. ღმანისის რაიონში (მეცნ. კანდიდატები ვ. ამბოკაძე და ვ. ჩხი-კვიშვილი).

რაჭა-ლეჩხუმში და მესხეთში გამოკვლევა ძირითადად მევენახეობის ზონას შეეხო და მის შედეგად შედგენილია ნიაღაგების მიმოხილვა და რუკები; მოცემულია წიაღაგების გეოგრაფიული გავრცელების, შემადგენლობისა და მევენახეობის თვალსაზრისით მათი აგრძელების დახასიათება.

ღმანისის რაიონში გამოკვლევა ჩატარდა მთანი ველებისა და მდელოების ზონის ფარგლებში დაახლოებით 2200 მტ-დე ზღვის დონიდან; მთავარი ყურადღება მიწათმოქმედების ზონის ნიაღაგებს მიექცა, ხოლო ნაწილობრივ გამოკვლეულია საძოვრების ნიაღაგებიც.

შედგენილია საქართველოს ნიაღაგების გენეზისურ-საწარმოო კლასიფიკაცია, რომელიც ასახავს ნიაღაგების გენეზისის ძირითად ფაქტორებს და აგრეთვე ნიაღაგების გაკულტურებას და აგრძელებას მაჩვენებლებს (აკად. შევრ-კორ. მ. საბაშვილი).

დაწყებულია ახალი მეთოდების გამოყენებით საქართველოს ძირითადი ნიაღაგების ორგანული ნივთიერებისა და კოლოიდური ნაწილის შესწავლა (ს. ცინცაძე), სამგორის ვაკის ნიაღაგების ღრმა ფენების შესწავლა რელიეფის პირობებთან დაკავშირებით (პროფ. დ. გეღვევანიშვილი), აღმოსავლეთი საქართველოს ნიაღაგების დამ-

ლაშებისა და ბიცობიანობის საკითხების დაზუსტება აგროსაწარმოო თვალსაზრისით (მეცნ. კანდ. გ. ტალახაძე) და მორწყვის გავლენის შესწავლა ნიადაგების ფიზიკურ და ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებზე (მეცნ. კანდ. გ. ჩხიკვიშვილი).

აგროქიმიის დარგში ყურადღების ღირსია საქართველოში გავრცელებული უმთავრესი ერთწლიანი კულტურების მიერ ნიადაგებიდან საკვებ ნივთიერებათა გამოტანის შესწავლა (მეცნ. კანდ. შ. ჭანიშვილი); დადგენილია საკვებ ნივთიერებათა გამოტანის რაოდენობა სიმინდისა და მზესუმზირაც მიერ სარწყავ პირობებში.

შესწავლილია მიკროელემენტების გავლენა შაქრის ჭარხლის და სხვა კულტურების მოსავლიანობაზე ქართლის პირობებში (მეცნ. კანდიდატები ა. მენალარიშვილი და ვ. ლეუავა) და სასუქების ხანგრძლივად გამოყენების გავლენა ნიადაგის თვისებებსა და უმთავრეს კულტურათა მოსავლიანობაზე (მეცნ. კანდ. ი. სარიშვილი).

მევენახეობა-მელვინეობის ინსტიტუტი (თეღავი)

დირექტორი მეცნ. კანდ. ს. დურუ რმიშიძე

ინსტიტუტის 1946 წლის გეგმა ითვალისწინებდა 8 პრობლემას, რომელთა გარშემო 26 თემა მუშავდებოდა.

განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა დათმობილი საქართველოს მევენახეობის მოწინავე აგროტექნიკის დამუშავების პრობლემას..

მრავალწლიური მონაცემების საფუძველზე გამომუშავდა ვაზის გასხვლისა და ფორმირების წესები კახეთის ძირითადი მევენახეობის რაიონებისათვის, რითაც შეიძლება მოსავლიანობა 25—30 პროც. გაიზარდოს (მეცნ. კანდ. ს. ლომკაცი). ამ წესებიდან ზოგი უკვე დანერგილია წარმოებაში და ამჟამად თვალსაჩინო ეფექტი იძლევა.

დაზუსტებულია სავენახე ნიაღავის დამუშავების წესები მევენახეობის მთავარ რაიონებში და დამთავრდა ნამყენის სიგრძის საკითხის შესწავლა მევენახეობის სხვადასხვა რაიონისათვის (მეცნ. კანდ. ს. ახვლედიანი); პირველი თემის შედეგებმა გამოხატულება პპოვა მევენახეობის აგროწესების ახალ გამოცემაში, ხოლო მეორე თემით მიღებული შედეგების მეოხებით შესაძლებელი ხდება ამერიკულია ვაზის ლერწის საგრძნობი ეკონომია და მოსავლიანობის გადიდება.

წინა წლებისა და ძირითადად შარშანდელი მუშაობის შედეგად საბოლოოდ დადასტურდა და დაზუსტდა მესხეთის (ახალციხისა, ასპინძისა და აღიგენის) რაიონებში მევენახეობის აღდგენა-განვითარების შესაძლებლობანი. შეირჩა ვაზის სათანადო ჯიშები (მეცნ. კანდ. დ. ტაბიძე) და შემუშავდა მეთოდი ვაზის საწარმოო ჯიშის ფარგლებში დიდმოსავლიანი მოდგმების გამოსავლენად (მეცნ. კანდ. ვ. ლოლაძე). 1946 წლიდან ამ მეთოდით უკვე დაიწყო მუშაობა კახეთის და ქართლის ვენახებში.

კაბერნეს შემდგომი გავრცელებისათვის ჩატარდა გამოკვლევა კახეთში თელიანის მსგავსი მიკრორაიონების აღმოსაჩენად და შედენილია კაბერნეს სრული მონოგრაფია (მეცნ. კანდიდატები დ. ტაბიძე და გ. ბერიძე). ჯიშთა შეჯვარებით მიღებულია ვაზის ახალი

ფორმები და ოთხი პერსპექტიული ჭიში (მეცნ. კანდ. ვ. ლო-ლაძე).

ყურძნის ჭის წინააღმდეგ გამოიცა ახალი პრეპარატი „დდტ“ (დიქლორ-დიფენილ-ტრიქლორეტანი); ამ გამოცდამ დამატებულობების შედეგი გამოილო (მეცნ. დოქტ. ნ. ალექსიძე). შესწავლილია ამიერკავკასიის მარმარილოს ღრაჭას ბიო-ეკოლოგია და მასთან ბრძოლის ღონისძიებებითან კაუფტოროვანი ნატრიუმის ეფექტურობა მისატყუებელი მოშხამული მასალების სახით (მეცნ. კანდ. ი. რუსიაშვილი). დაზუსტდა თეთრი სიღამპლის გამომწვევი სოკოს ბიო-ეკოლოგია და გამომუშავდა მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები (ა. ნაცარაშვილი).

ზოგი საკითხი კომპლექსურად მუშავდებოდა ინსტიტუტის სხვა-დასხვა განყოფილების მონაწილეობით; მაგალითად, ფიზიოლოგიის ლაბორატორია სწავლობდა ვაზის ასიმილაციის და სუნთქვის ინტენ-სივობას მის გასხვლა-ფორმირებასთან დაკავშირებით (მეცნ. კანდ. პ. თავაძე). უკანასკნელ საკითხთან დაკავშირებით წარმოებდა აგრე-თვე აგრომეტეოროლოგიური მაჩვენებლების შესწავლა (მეცნ. კანდ. გ. ჩხეიძიანიშვილი).

საკმაოდ დიდი მუშაობა ჩატარდა ვაზის ქლოროზით დაავადების გამომწვევი მიზეზების შესასწავლად. გამორკვეულია კირის სხვა-დასხვა ფორმების გავლენა ნიადაგში ქლოროზით დაავადებაზე (მეცნ. კანდ. შ. ბალდასარაშვილი).

თვალსაჩინო აღგილი ეჭირა თემატიკაში ხარისხოვანი მეღვი-ნეობის განვითარების საკითხებს. დამუშავდა ღვინის ფერმენტირე-ბულ ქლერტზე დაყენების წესი, რომელიც ღვინის წარმოებაში ახა-ლი საშუალება და საკმაოდ აუმჯობესებს კახური ტიპის სუფრის ღვინოებს (მეცნ. კანდ. გ. ბერიძე). შესწავლილია პანკისის და ატენის ხეობები ღვინის ტიპების თვალსაზრისით და შემუშავებულია ატე-ნის ღვინის დაყენების ტექნოლოგია (მეცნ. კანდ. გ. ბერიძე).

დაღგენილია ტკბილი ღვინის ტიპის (ქინძმარაული, ქალიაყვანა, კუნაშაური) დაყენების წესები (მეცნ. კანდ. გ. ბერიძე და ხ. ხოს-როშვილი). შესწავლილ იქნა დიდი წარმოების მანქანა-იარაღების გავლენის საკითხი, ზოგიერთი სამარკო ღვინოების ხარისხზე (მეცნ. კანდ. გ. ბერიძე).

მეთოდური ხასიათის საკითხებიდან განსაკუთრებით აღსანიშნა-

ესა მთრიმლავ და საღებავ ნივთიერებათა ცალ-ცალკე განსაზღვრის. მეთოდების დამუშავება, რისი საშუალებაც მეღვინეობის პრაქტიკას დღემდე არ გააჩნდა. გამომუშავდა წითელი ღვინის საღებავ ნივთიერებათა განსაზღვრის ორიგინალური მეთოდი (მეცნ. კანდ. ს. დურმიშიძე); იმავე ავტორის მიერ მოცემულია წითელ ღვინოში ტანინის რკვევის ახალი მეთოდიც.

1946 წელს გაგრძელდა ორგანულ მუავათა ღინამიკის შესწავლა ყურძნის სიმწიფის სხვადასხვა პერიოდში (თ. კანანაძე) და განახლდა მუშაობა მაღალშაქრიანი ტკბილების ღასაღულებელი საფურარის წმინდა კულტურების გამოსაყოფად (გ. მოსიაშვილი).

საინტერესო შედეგებია მიღებული იმ ქიმიური და ბიოქიმიური გარღავმნების შესწავლის შედეგად, რომელნიც მიმდინარეობს ღვინოში დაძველების ღროს; გამოირკვა კანონზომიერება, რომელსაც ემორჩილება წითელი საღებავი ნივთიერების ენიდინის გარდა ქმნა ღვინის დაძველების პროცესში (მეცნ. კანდ. ს. დურმიშიძე).

ინსტიტუტმა დიდი მუშაობა ჩაატარა მევენაზეობის აგროწესების ახალი გამოცემის მოსამზადებლად. აგროწესების ახალ პროექტში შეტანილია ყველა ის მიღწევა, რომელიც ინსტიტუტსა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებს აქვთ; პროექტი წარდგენილია ღასამტკიცებლად საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სამინისტროში.

ინსტიტუტის მეღვინეობის განყოფილების მიერ შედგენილია ღვინის დაყენებისა და მოვლის თანამედროვე წესები. შრომა წარედგინა საქართველოს სსრ საგემოვნო მრეწველობის სამინისტროს, როგორც „მეღვინეობის ტექნიკური წესების“ პროექტი.

ინსტიტუტმა 1946 წელს მონაწილეობა მიიღო აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო სესიებზე. VII სესიაზე ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ წაკითხული იქნა ორი მოხსენება. VIII სესიაზე ჩატარებული იქნა ექვსი მოხსენება, მიძღვნილი საქართველოს მევენაზეობისა და მეღვინეობის აქტუალური საკითხებისადმი. საკავშირო თათბირებზე და ყრილობებზე საანგარიშო წელს ჩატარებული იყო სამი მოხსენება (მოსკოვი, ყირიმი).

ჩატარდა ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია, რომელზედაც მოსმენილ იქნა ათი ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკის მოხსენება.

გამოცემულია ინსტიტუტის „შრომების“ III ტომი, რომელიც შეიცავს 18 ნაშრომს; დასაბეჭდად გადაეცა „შრომების“ IV ტომი (18 ნაშრომი); გამზადებულია დასაბეჭდად 10 სამეცნიერო-პოპულარული ბროშურა.

ინსტიტუტის ერთმა მეცნიერმა თანამშრომელმა ი. რუსიაშვილმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „მასალები ამიერკავკასიის მარმარილოს ღრაჭას ბიო-ეკოლოგიისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“.

დირექტორი ა. გიგინე იშვილი

1946 წელს ჩატარებული მუშაობის შედეგებიდან აღსანიშნავია: ცალმხრივი და ორმხრივი გიუიოს, ოთხმოსახვევისა და კაზენავას ფორმირების გამოცდა სხვადასხვა სიღილის კვების არეზე, 1946 წელს, წინა წლების მსგავსად, იმ დასკვნას იძლევა, რომ ფორმირება ორმხრივი გიუიოს წესით კვების არეზე $1,5 \text{ მ} \times 1,5 \text{ მ}$, ფორმირების სხვა წესებისა და კვების არესთან შედარებით, უფრო მეტი მოსავლის მომცემია (მეცნ. კანდ. თ. კვარაცხელია და ლ. ქოჩიაშვილი).

ცის განსის (ვაზის მწვანე ოპერაცია) გავლენის შესწავლისას გამოირკვა, რომ ამ ოპერაციას არა აქვს თვალსაჩინო გავლენა მოსავლიანობის ხარისხსა და რაოდენობაზე (მეცნ. კანდ. თ. კვარაცხელია).

შესწავლილია გასხვლის წესების გავლენა ფრანგულ შამპანურ ჯიშთა მოსავალზე, რამაც გამოარკვია, რომ ერთისა და იმავე დატვირთვის პირობებში გრძელი გასხვლა შედარებით უფრო მეტ მოსავალს იძლევა (მეცნ. კანდ. თ. კვარაცხელია და გ. გაფრინდაშვილი).

დადგენილია, რომ მინერალური სასუქებით ვენახის განოყიერებისას გვარჯილას მარილები შეტანილი უნდა იყოს გაზაფხულზე სეგეტაციის დაწყების წინ 150 კგ აზოტის ანგარიშით, ფოსფორ-მჟავა სასუქები კი ღრმა შემოდგომით 150—200 კგ ფოსფორმჟავას რაოდენობით ჰექტარზე (ი. დონჭაშვილი).

ვაზის შამპანური, სუფრისა და ღვინის ჯიშთა გამოცდამ ზესტაფონის, მაიაკოვსკისა და საჩხერის რაიონებში დაადასტურა, რომ ძირითადი საწარმოო ჯიშების (ციცქა, ცოლიკოური, ქვიშური) გარდა აქ პერსპექტიულია შამპანურისა და სუფრის ღვინისათვის ალიგოტე და თეთრი კაპისტონი, ხოლო სუფრის ყურძნისათვის ჰამბურგის მუსკატი, ცილიოუიელო, შასლა დორე და თავრიზული (მეცნ. კანდა. მიროტაძე).

გამოყოფილია ციცქას დიდმოსავლიანი კლონი, რომელიც 3 წლის განმავლობაში კარგ მოსავალს იძლევა პირველადი შესწავლის ადგილზე; ამ ვაზების შთამომავლობა სხვა ადგილზე გადატანილი 6 წელიწადს ისევ დიდ მოსავალს იძლევა—ძირიდან 4—5 კგ ყურძენს (მეცნ. კანდ. ა. მიროტაძე).

ციცქას და შარდონეს შეჯვარებით მიღებულია პერსპექტიულნ ჰიბრიდი, რომელმაც სიმწიფე დახსლოებით ერთი თვით აღრე იცის და სხვა საუკეთესო თვისებები მიღებული აქვს ორივე მშობლისაგან (მეცნ. კანდ. ა. მიროტაძე).

საანგარიშო წელს გრძელდებოდა დასავლეთი საქართველოს ისტორიულად ცნობილი და ახალი მიკრორაიონების ლგინოების შესწავლა.

1946 წელს დაყენებული ლვინოებიდან საუკეთესოა ოჯალეში — სალხინო-გეგეჭკორის რაიონში, ჩხავერი — ჩოხატაურის რაიონში და ოცხანური საფერე — ცხრა წყაროში — ზესტაფონის რაიონი (ვ. კინწურაშვილი და მ. ჩხეიძე).

დაყენებულმა ცდამ დაადასტურა წინა წლებში მიღებული დასკვნა იმის შესახებ, რომ იმერული ტიპის თეთრი ლვინის მისაღებად საჭიროა 12 დეკალიტრ ტკბილზე 3—10 კგ ჭაჭის დამატება, რომელიც მთლიანად დაადუღებს და დაჩქარებით სწმენდს მას და ლვინის გემოსაც აუმჯობესებს (ვ. კინწურაშვილი).

მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის „შრომებში“ დაიბეჭდა შრომა „ყვავილცვენის და წვრილმარცვლიანობის თვისების მქონე ვაზის ჯიშებზე წვეროების წაწვეტა ერთ-ერთი ღონისძიებაა მოსავლის გასაღიდებლად“ (მეცნ. კანდ. თ. კვარაცხელია და ლ. ქოჩიაშვილი); მომზადებულია დასაბეჭდად შრომა „იმერეთის ნიადაგების დახასიათება“ (ი. ღონჯაშვილი).

დირექტორი მეცნ. დოქტ. ნ. ხომიშვილი

1946 წელს სადგურის მუშაობა ძირითადად ხეხილის ბალის მოსავლიანობის გადიდებისა და მოსავლის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს ეხებოდა. მუშავდებოდა აგრეთვე თემები საქართველოს კაკლოვან კულტურათა ჯიშური რესურსების გამოვლენის, საქართველოს რაიონებისათვის ხეხილის სორტიმენტის დაღვენის, ხეხილის კულტურათა ახალი ჯიშების გამოყვანის, ბოსტნეულ კულტურათა მოსავლიანობის გადიდებისა და მეთესლეობის საუკეთესო წესების დაღვენის საკითხების ირგვლივ.

ხეხილის ბალში ჩადაგის მოვლის საუკეთესო წესების დასაღვენად მუშაობა წარმოებს 1941 წლიდან ვარიანის საბჭოთა მეურნეობაში. ცდების შედეგების შეჯამებით დადგენილია ნიაღაგის მოვლა-დამუშავების ოთხმინდვრიანი სისტემა სამუშაო ხნოვანებისა (10—25 წ.) და ძერლი ბალებისათვის (25 წ. ზევით). თემა კომპლექსურად მუშავდება (ხელმძღვანელი მეცნ. დოქტ. ნ. ხომიშვილი, შემსრულებელი—მეცნ. კანდიდატები ა: სკვორცოვი და ნ. სიფროშვილი; მ. დედაბრიშვილი და თ. შელია).

ქართლის ნიაღაგების ფიზიკურ თვისებათა გაუმჯობესების წესების საკითხი 1945 წლიდან მუშავდება; თემის მიზანია ქართლის ნიაღაგების ნაყოფიერების გადიდების ხერხების დაღვენა. გამოტანილია უკვე ზოგიერთი დასკვნა სახნავი ნიაღაგების უსტრუქტურობის ძირითად მიზეზთა, აგრეგატების მექანიკური სიმკვრივის გადიდების, მრავალწლიანი ბალახების თესვის ეფექტიურობისა და ნიაღაგის დამუშავებისას წყლის რეჟიმის შესახებ (მეცნ. კანდ. ა. სკვორცოვი).

კაკლის ჯიშის ფორმების შესწავლა და სუკეთესო ჯიშების გამოვლენა 1944 წლიდან მიმდინარეობს; საქართველოს რაიონებში გამოყოფილია 175 სუკეთესო ფორმა, რომელიც მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება—ნაყოფის სიმსხვილე, თხელნაჭუჭიანობა, ნიგვზის ხარისხი, გამოსავლიანობის პროცენტი და ცხიმიანობა.

საუკეთესო საძირების შერჩევა ხეხილის სხვადასხვა კულტურისათვის 1943 წლიდან დაიწყო გორის საბჭოთა მეურნეობაში; გამორკვეულია ბლის და გარგარის ნარგავების ნააღრევი ხმობის მიზეზები და დადგენილია ამ კულტურებისათვის სუკეთესო საძირები.

ვაშლის ნაგალა ფორმისათვის სუსტ საძირედ შერჩეულია საქართველოში ძველთაგანვე ცნობილი ხომანდული (მეცნ. კანდ. ელ. ქერისთავი):

„კოლხეთშენთან“ დადებული ხელშეკრულებით ინსტიტუტი მუშაობდა კოლხეთის დაბლობის კოლმატირებული ნიაღაგების გაკულტურებისა და ხეხილის ბაღებისათვის ათვისების ხერხების დასადგენად (მეცნ. კანდ. ა. სკვორცოვი).

წარმოებდა აგრეთვე ხეხილის თესლოვანი კულტურებისათვის ორგანული და მინერალური სასუქის სხვადასხვა ნორმების ეფექტიურობის შესწავლა, სკრის საკოლექციო ნარგაობაში არსებული კულტურების ჯიშთა გამოცდა, ვაშლის სხვადასხვა ჯიშის შედარებითი გამძლეობის შესწავლა მთავარ მავნებელთა და ავადმყოფობათა მიმართ და სხვ.

1946 წელს ინსტიტუტის ერთმა თანამშრომელმა ნ. სიფროშვილმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ვაშლის ნაყოფჭამიას ჰიო-ეკოლოგია და მასთან ბრძოლა“.

სადგურმა მონაწილეობა მიიღო აკადემიის სოფლის მეურნეობის შეცნიერებათა განყოფილების სესიაზე ხეხილის მოსავლიანობის ფადიდების საკითხებზე. მოხსენებები წაიკითხეს: მეცნ. დოქტ. ნ. ხოშიზურაშვილმა—„საქართველოს მეხილეობა და მისი განვითარების შერსპექტივები“; მეცნ. კანდ. პ.-კაჭარავამ—„ხეხილის ბაღში ნიაღავის დამუშავების საუკეთესო წესის დადგენის საკითხისათვის“ (თესლოვანთათვის); მეცნ. კანდ. ა. სკვორცოვმა—„მასალები ხეხილის ბაღში ნიაღავის მოვლის სისტემის დასასაბუთებლად“; მეცნ. კანდ. ელ. ერისთავმა—„ხეხილის საძირეთა შერჩევის საკითხისათვის“; თ. ცერცვაძემ—„ნუშის ჯიშების პირველი გამოცდის წინასწარი შედეგები“; მეცნ. კანდ. ნ. სიფროშვილმა—„ქართლის მეხილეობის მთავარი მავნებლები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა ჩატარების ვადების დაზუსტება“; ნ. ახმეტელმა—„კალიფორნიის მავნე ფაუნა ქართლში“; თ. შელიამ—„ვაშლის ქეცის განვი-

თარება ქართლში და მის წინააღმდეგ სხვადასხვა ვადაში ჩატარებული წამლობის „შედეგები“.

დამზადებულია დასაბეჭდად ინსტიტუტის „შრომების“ I ტომი.

სადგური ეხმარებოდა საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებს მოწინავე აგროტექნიკის დანერგვისა და მორიგი ოპერაციული ამო-კანების გადაჭრის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით კოლმეურნეობებში ჩატარდა ბრძოლა კალიფორნიის მავნე ფარიანასა და მინდვრის თაგვის წინააღმდეგ.

ქართლის რაიონულ გაზეთებში წლის განმავლობაში გამოქვეყნებულაა სადგურის მეცნიერ თანამშრომელთა ხუთი წერილი და ერთი სტატია რადიოთი. აკადემიის „მოამბეში“ მოთავსებულია ორი შრომა. გადაეცა გამოსაცემად მ. დედაბრიშვილის ბროშურა ხე-წილის გასხვლის წესის შესახებ და ინსტრუქცია ხეხილის გაახალგა-ზრდავების საკითხზე.

მემინდვარობის ინსტიტუტი (გარეაბანი)

1946 წელს ინსტიტუტი შემდეგ პრობლემებზე მუშაობდა: მარცვლეული კულტურების აგროტექნიკის, ნიადაგის განვიყიერებისა და დამუშავების სისტემის დადგენა თესლბრუნვის ფონზე აღმოსავლეთი საქართველოს სხვადასხვა ზონებში; ტექნიკური კულტურების (შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას, ბამბიკა და სხვა) აგროტექნიკის დამუშავება ჭართლის რაიონებისათვის; მრავალწლიანი სათესი ბალახების აგროტექნიკის დამუშავება ბალახმინდვროვან თესლბრუნვაში; წელიწადში ორი მოსავლის მისალებად კულტურებისა და ჯიშების შერჩევა და მათი აგროტექნიკის დამუშავება სარწყავი მეურნეობის პირობებში; მინდვრის კულტურების მორწყვის რეჟიმის დადგენა აღმოსავლეთი საქართველოს სარწყავ რაიონებში; უმთავრესი ბოსტნეული კულტურებისა და კარტოფილის აგროტექნიკის დამუშავება და სტაციონარული მინდვრის ცდების დაზუსტება სარწყავ ნაკვეთებზე.

ჩამოთვლილი პრობლემების გარშემო ინსტიტუტი ამუშავებდა 33 თემას, რომელთაგანაც საბოლოოდ დამთავრებულია 6 თემის დამუშავება.

მიღებული ქირითადი შედეგები ასეთია:

დამთავრდა მუშაობა თემით „სანაწვერლო კულტურები, როგორც წინამორბედნი საშემოდგომო ხორბლისა და სიმინდისათვის სარწყავ პირობებში“ (მეცნ. კანდ. შ. ჭანიშვილი); მიღებული მონაცემების მიხედვით დადგენილია, რომ სათანადოდ შერჩეულ სანაწვერლო კულტურას შეუძლიან მომდევნო საშემოდგომო ხორბლის პოსავლიანობის გადიდება 5—6 ცენტნერით, ხოლო სიმინდისა 7—8 ცენტნერით ჰექტარზე. გამოირკვა აგრეთვე, რომ ლობიო მარცვლად საუკეთესო წინამორბედს წარმოადგენს საშემოდგომო ხორბლისათვის, ცერცველა კი ჩასახნავად—სიმინდისათვის. ამა თუ იმ სანაწვერლო კულტურის აგროტექნიკური მნიშვნელობა მომდევნო ძირითადი კულტურისათვის დამოკიდებულია უმთავრესად იმაზე, თუ რა როლს ასრულებს იგი ნაწვერლის სარეველებისაგან გაწმენდის.

საქმეში და რა პირობებსა ჰქმნის შემდგომი კულტურისათვის აზო-
ტური კვების მხრივ.

შესწავლილია სიმინდის კვების არე და დადგენილია, რომ კვების
ლპტიმალურ არედ გარდაბნის სარწყავ პირობებში შეიძლება მივიჩ-
ნიოთ $0,80 \times 0,20$ მტ. სიმინდის მოსავალი ამ შემთხვევაში უსა-
სუქო ფონზე აღწევს 54. და სასუქიან ფონზე 69 ცენტნერს ჰექტარ-
ზე. აღნიშნული არის შემცირებით სიმინდის მოსავალი ეცემა
(ზ. ვაჩაძე).

შეჯამებულია ცდების შედეგები ნაიონჯარის დამუშავებაზე
საშემოდგომო ხორბლისათვის (მეცნ. კანდ. ვ. ჩხიკვიშვილი და ნ.
ბაშბეუქ-მელიქოვი); როგორც ირკვევა იონგით დაკორდებულ ნია-
დაგზე პირველ წელს „დოლი—35/4“ უმეტეს შემთხვევაში ჩაწო-
ლით ხასიათდება, რაც მოსავლიანობას ამცირებს. მაგარი ხორბალი
(თავთუხი) კი ნაიონჯარზე პირველ წელს არა წვება და მაღალ მოსა-
ვალს იძლევა. აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ, სარწყავ ზონა-
ში იონგით დაკავებული ნიადაგები უკეთესია მოიხსა იონგის მეო-
რე და მესამე გათიბვის შემდეგ და შემოდგომითვე მაგარი ხორბალი
(თავთუხი) დაითესოს.

დამთავრებულია თემა „შერეული ბაქტერია-კულტურების ეფექ-
ტურობა პარკოსნებზე გარდაბნის ნიადაგებში“ (მ. მაჭავარია).
მიღწებული მასალებიდან დასტურდება, რომ შერეული ბაქტერია-
კულტურები მნიშვნელოვნად აღიდებს პარკოსნების (ლობიო, ონ-
ჯა და ცერცველა) მოსავლიანობას.

ინსტიტუტმა ღიღი მუშაობა ჩატარა კარტოფილის აგროტექ-
ნიკისა და კერძოდ კარტოფილის წვეროს წანაჭრების დარგვის სა-
კითხებზე ზამთრის განმავლობაში (ა. მიქელაძე). ცდების მასალებით
დადგენილია, რომ გარდაბნის ველის სარწყავ პირობებში
კარტოფილის წვეროს წანაჭრების რგვა ზამთარში თავისუფლად
შეიძლება და უფრო ეფექტურია, ვიღრე გაზაფხულის ნარგავი.
ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს კარტოფილის წვეროს წანაჭ-
რები დაგროვებისთანავე გამოვიყენოთ სარგავ მასალად და გაზა-
ფხულამდე სარდაფში მათი შენახვა თავიდან ავიცილოთ.

შესწავლილია ხახვის საშემოდგომო თესვის ვადები (მეცნ. კანდ.
გ. კვაჭაძე). გამოირკვა, რომ გვიან შემოდგომით (1—10 ნოემბერი)
ნათესი ხახვი გარდაბნის პირობებში უმეტესად იღუპება ქარებისა

და ყინვებისაგან. უფრო ეფექტურია ოქტომბრის შუა რიცხვებში— ნათესი. აღრე ნათესების უარყოფითი მხარე აღერებაში მდგომა- რეობს; ხახვის აღრეული ნათესები შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ მწვანე ხახვის სახით.

საყურადღებო შედეგებია მიღებული თემით „შალაფას ბიოლო- გია და მის საწინააღმდეგო ღონისძიებათა დადგენა“ (ა. კვანტალია- ნი); შესწავლილია ფესურების გავრცელება ნიადაგში სხვადასხვა- სიღრმეზე სარწყავ ნაკვეთებზე. როგორც ირკვევა, ფესურების უმ- იავრესი მასა მოთავსებულია 0—10 სმ ფენაში, ხოლო ფესურები ამონაყარს იძლევიან 30 სმ სიღრმიღდანაც კი.

გრძელდებოდა მუშაობა ნარევი მარცვლოვან-პარკოსანი ბალა- ხების შესასწავლად აღმოსავლეთი საქართველოს ძირითადი ზონე- ბისათვის (ა. კვანტალიანი და დ. ცალქალამანიძე); შერჩეულია მთა- ვარი პერსპექტიული პარკოსანი და მარცვლოვანი ბალახები და მა- თი ნარევები ზოგიერთი ზონისათვის. ჩატარებული ცდების მიხედ- ვით მარცვლოვანი ბალახებიდან ნარევებში საუკეთესო შედეგს ადგი- ლობრივი პირობების მიხედვით იძლევა ფრანგული კოინდარი, უფ- ხო შვრიელა და ტიმოთელა.

შესწავლილია სათესლე იონჯის აგროტექნიკის ზოგიერთი სა- კრთხი; სათესლედ უმჭობესია დატოვებულ იქნას პირველი მოსა- ვალი (დ. ცალქალამანიძე და ა. კვანტალიანი).

მორწყვის ტექნიკის საკითხებზე ჩატარებული მუშაობიდან საყურადღებოა თემა „ნიადაგის ტენიანობის რეგულირება მორ- წყვით სიმინდის მაღალი მოსავლის მისაღებად“. დადგენილია, რომ სიმინდის განვითარების ცალკე ფაზებში შესაფერისი ტენიანობის დონის შენარჩუნება ნიადაგში საგრძნობლად ზრდის მოსავლიანობას; (მეცნ. კანდ. ი. ანჯაფარიძე).

საანგარიშო წელს დაიწყო მუშაობა მარნეულის ხახვისა და გარდაბნის ბაღრიჯნის ჭიშების განხილვა-გაუმჭობესებისათვის (მეცნ. კანდ. გ. ესიტაშვილი).

შარშან ინსტიტუტმა მოაწყო ერთი სამეცნიერო სესია. სესიაში შემდეგი მოხსენებები მოისმინა: მეცნ. კანდ. შ. ჭანიშვილი—„სიდე- რაცია აღმოსავლეთი საქართველოს მემინდვრეობის სარწყავ რაიო- ნებში“; მეცნ. კანდ. ა. ჭაფარიძე—„ნაწვერალზე თავთავიანი კულ- ტურების მოყვანის უარყოფითი მხარეების შემცირების ზოგიერთი“.

აგროტექნიკური საშუალება“; მეცნ. კანდ. ვ. ჩხიძევიშვილი—„მაგარი ხორბლის ადგილი თესლბრუნვაში ქვემო ქართლის სარწყავ პირობებში“; ქ. ჯაფარიძე—„ზოგიერთი მასალა სათესი ბალახების შესწავლისათვის“; მეცნ. კანდ. გ. კვაჭაძე—„მებოსტნეობის მდგომარეობა და მასი განვითარების გზები“; მ. მიქელაძე—„კარტოფილის ტუბერების წვეროს წანაჭრების დარგვა ზამთარში“; დ. ცალკელამანიძე—„მასალები შაქრის ჭარხლის მეთესლეობისათვის საქართველოში“.

1946 წელს გამოიცა ინსტიტუტის „შრომების“ I ტომი და აკადემიის „მოამბეში“ დაიბეჭდა ერთი სამეცნიერო წერილი (მეცნ. კანდ. შ. ჭანიშვილისა); დასაბეჭდად გადაცემულია „შრომების“ II ტომი (რვა წერილი) და გამზადებულია დასაბეჭდად 4 შრომა და „შრომების“ III ტომი.

მემინდვრობის სამღები საგანგი (ეჯამეთი)

დირექტორი მეცნ. კანდ. მ. დალაქიშვილი

1946 წლის დამლევისათვის სადგურის მიერ შესწავლილი და გამზადებულია წარმოებაზე გადასაცემად მინდვრის კულტურების მოსავლის გადიდების რიგი ღონისძიება.

ბალახმინდვროვანი თესლბრუნვის შემოღებასთან დაკავშირებით შესწავლილია პერსპექტიული მრავალწლეული ბალახები და მათი ნარევები დასავლეთი საქართველოს დაბლობი ზონისათვის, როგორც თესლბრუნვის ძირითადი და აუცილებელი ელემენტი (მეცნ. კანდ. მ. დალაქიშვილი); ამ მხრივ უკეთეს შედეგს იძლევა ფრანგულისა და ადგილობრივი კოინდრის ნარევები იონჯასთან.

— დადგენილია საშემოდგომო ხორბლის თესვის ოპტიმალური ვალები და ჩორმები დასავლეთი საქართველოს დაბლობი ზონისათვის (მეცნ. კანდ. მ. დალაქიშვილი).

გამოვლენილია უფრო მოსავლიანი და სხვა საუკეთესო სამეურნეო თვისებების მქონე საშემოდგომო ხორბლის ჯიშები დასავლეთი საქართველოს დაბლობი ზონაში შემოღებულ თესლბრუნვებში დასათესად. ასეთებია, მაგალითად, გრძელთავთავი, იფქლი და სხვა (მეცნ. კანდ. მ. დალაქიშვილი).

შესწავლილია ნაწვერლის დამუშავებისა და გამოყენების წესები მომდევნო სიმინდის კულტურის მოსავლის გადიდების თვალსაზრისით (მეცნ. კანდ. მ. დალაქიშვილი); პერსპექტიულ ღონისძიებად ისახება ნაწვერლის გამოყენება თესლბრუნვაში შემდეგი წესით — სიმინდის მოყვანა მარცვლად მეორე მოსავლის სახით ნაწვერალზე და შემდეგ ცერცველას დათესვა მწვანე სასუქად.

დადგენილია დასავლეთი საქართველოს დაბლობი ზონაში საშემოდგომო ხორბლის შემდეგ მეორე მოსავლის მიღების შესაძლებლობა და მისი გავლენა ნიადაგის შემდგომ ნაყოფიერებაზე; მეორე მოსავლის მისაღებად გამოცდილი კულტურებიდან საუკეთესო შედეგს იძლევა აღრეული სიმინდი, მზესუმზირა და სოია.

დადგენილია გაეწერებულ ნიაღაგებზე ადგილობრივი იაფთასიანი სასუქების (კირი, ტკილი და დეფეკაციური ტალახი) მაღალი ეფექტიანობა სიმინდის მოსავლიანობის გასაღიღებლად და დაზუსტებულია ამ სასუქების გამოყენების წესი და დოზები (მეცნ. კანდ. ბ. ჯმნაძე).

დადგენილია აგრეთვე მდინარის ლამის სასუქად გამოყენების წესი და დოზები (ვ. გორდაძე).

სადგურის კვლევითი მუშაობის შედეგების წარმოებაში დაწერგვის მიზნით ჩატარდა მიწათმოქმედების მუშაკთა სარაიონთაშორისო თათბირი, რომელზედაც 4 მოხსენება გაკეთდა.

სადგური ატარებს ცდებს ზესტაფონის, ქუთაისის, წულუკიძის, აბაშის, ლანჩხუთისა და ამბროლაურის რაიონის კოლმეურნეობებში და ყოველმხრივ დახმარებას უწევს მათ აგრონომიული რჩევა-დარიგებით.

გადაცემულია დასაბეჭდად სადგურის „შრომების“ I ტომი (8 წაშრომი) და მეცნ. კანდ. ი. ბახტაძის წიგნი „საცდელი საქმის მეთოდიკა“.

შექნიკის მეცნიერებაშია განვითალება

თავმჯდომარე აკად. ნამდ. წევრი გ. წულუკიძე

ტექნიკის მეცნიერებათა განყოფილება დაარსდა 1945 წელს და მუშაობას 1946 წლის დასაწყისიდან შეუდგა; მის შემადგენლობაში შედიოდა აკად. ვ. ნამდ. წევრი და 1 წევრ-კორესპონდენტი.

სანგარიშო წლის დამლევს განყოფილებას შეემატა აკად. ერთი ნამდ. წევრი რ. აგლაძე და ერთი წევრ-კორ. გ. მუხაძე; ამ ხნის განმავლობაშივე განყოფილების ბიუროში დამატებით არჩეულ იქნა აკად. 2 ნამდ. წევრი—რ. აგლაძე და კ. ზავრიევი.

განყოფილების გამგებლობაში სამი დაწესებულებაა—ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტი, ენერგეტიკის სექტორი და ანტისეისმური მშენებლობის ბიურო.

დაარსებისთანავე განყოფილებამ, ფართო სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებრივობის მონაწილეობით და ხელმძღვანელი ორგანოების მითითებათა საფუძველზე, განსაზღვრა ტექნიკურ მეცნიერებათა განვითარების ძირითადი მიმართულება საქართველოში უახლოესი დროისათვის; იგი უნდა წარიმართოს ენერგეტიკის, მეტალურგიის, სამთო საქმის, სააღმშენებლო საქმის, ქიმიური ტექნოლოგიისა და ქალაქების კეთილმოწყობის დარგების ხაზით.

ამის შესაბამისად დამუშავდა და აღიძრა საკითხი ენერგეტიკის სექტორისა და ანტისეისმური მშენებლობის ბიუროს ენერგეტიკის ინსტიტუტად და სააღმშენებლო საქმის ინსტიტუტად გარდაქმნის თაობაზე; ამუამად ეს საკითხი საბოლოო გადაწყვეტის პროცესშია.

განყოფილების დაწესებულებათა 1946 წლის გეგმები 26 თებას შეიცავდა.

შესრულებულ სამუშაოთაგან უმთავრესად უნდა აღინიშნოს:

მეტალურგიის დარგში მიღებულია ელექტრული წესით თუთია მანგანუმის შენაღნობები და შესწავლილია ჭიათურის ფორებიანი მაღალი მეტალურგიული თვისებები.

სამთო სქაქმის ხაზით შესწავლილია ახალციხის მურა ნახშირის, გვერდითი ქანების ბურცვის საერთო ხასიათი და დაიწყო აგრეთვე ნავთობის საბადოთა შახტური წესით ექსპლოატაციის პრობლემის შესწავლა საქართველოს პირობებში.

აკად. ნამდ. წევრის გ. წულუკიძის ხელმძღვანელობით ჭიათურაში ჩატარდა ცდები მისი და ინკ. ე. ალექსანდროვის ახალი კონსტრუქციის გადასატანი ხის ბიგების გამოსაცდელად. ეს ბიგები და აგრეთვე მათი მეორე კონსტრუქცია—ბიგების გადასატანი ქუსლები ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მიერ მიღებულია წარმოებაში დასანერგად; ამ კონსტრუქციების გამოყენება სამთო საქმეში ხეტყისა და რკინის დიდ ეკონომისს იძლევა.

ენერგეტიკის დარგში დამუშავებულია საქართველოს ჰიდროენერგეტიკული რესურსები, აღრიცხვის ახალი მეთოდოლოგია და ჰოცემულია მდინარე რიონსა და მტკვარზე 8 მსხვილი ჰიდროენერგეტიკული ობიექტის სქემა, რომელიც დიდი პრობლემის— „საქართველოს მსხვილი ენერგეტიკა“—ნაწილს წარმოადგენს; დამუშავებულია ენერგეტიკისათვის ფრიად მნიშვნელოვანი მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურების არჩევის მეთოდები საქართველოს პირობებში.

სააღმშენებლო საქმის ხაზით შესწავლილია სეისმოგამძლე კონსტრუქციები, ჩატარებულია საქართველოს ზოგი რაიონის მიკროსეისმოდარაიონება და ჩატარდა ექსპედიცია შუა აზიაში მომხდარი მიწისძვრების შესასწავლად.

ღითონისა და სამთო საქმის ინსპიციური

დირექტორი აკად. ნამდ. წევრი რ. აგლაძე

1946 წელს ინსტიტუტში 17 თემა მუშავდებოდა და ძარითა-ჭად შემდეგი შედეგებია მიღწეული:

მიღებულ იქნა თუთია-მანგანუმის შენადნობები. უშუალოდ მათი მარილების წყალხსნართა ელექტროლიზით (აკად. ნამდ. წევრი რ. აგლაძე); ამ შენადნობებში მანგანუმის შემცველობა 0,24-დან 6,0 პროც-მდე აღწევს; თუთია-მანგანუმის შენადნობების ელექტროლიზის გზით მიღება, სხვა წესებთან შედარებით, უფრო მარტივია და უფრო იაფიც ჯდება.

ჭიათურის-მანგანუმის ფორებიანი მაღნის მეტალურგიული თვისებების შესწავლის შედეგად (აკად. ნამდ. წევრი რ. აგლაძე) დადგენილია, რომ შეიძლება მისი გამოყენება კაზმში სილიკო-მანგანუმის მისაღებად, რაც გააიაფებს სილიკო-მანგანუმს.

შესწავლილია აჯამეთის საბადოს სპონგოლიტების გამოყენების შესაძლებლობა ფეროსილიციუმის მისაღებად (მეცნ. კანდ. გ. მიქელაძე). ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა ფეროსილიციუმის მისაღებად იყენებს აჯამეთის საბადოს ქალცედონს, ხოლო ამ საბადოში ქალცედონთან ერთად მოიპოვება დიდი რაოდენობით სპონგოლიტები; ქალცედონის, მოსაპოვებლად საჭიროა ერთდროულად სპონგოლიტების ფენების დამუშავება, ხოლო სპონგოლიტებს კი პრაქტიკული გამოყენება ჯერ არ ჰქონია. ჩატარებულმა მუშაობამ დაადგინა, რომ აღმდგენლად კოქსის ხმარების ღროს, 45-პროცენტიანი ფეროსილიციუმის კაზმში წარმატებით შეიძლება და პროც. ქალცედონის ნაცვლად სპონგოლიტების შეტანა, რაც აუმჯობესებს ღუმელის მუშაობის ძირითად მაჩვენებლებს (ელექტროენერგიის ხარჯი, სილიციუმის გამოყენების კოეფიციენტი და სხვა). სპონგოლიტების შეტანა კაზმში 50 პროც-ზე მეტი რაოდენობით ხელსაყრელი არ არის, რადგანაც ლითონში ფოსფორის შემცველობას ზრდის; თუ აღმდგენელი კოქსისა და ტყიბულის

ნარევიდან შეღება, კაზმში შემავალი სპონგოლიტების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 25 პროც-ს; 75-პროცენტუანი ფეროსილიციუმის კაზმში სპონგოლიტების გამოყენება 25 პროც. რაოდენობით აუმჯობესებს ღუმელის მუშაობას, თუ აღმდგენლად კოქსი იხმარება.

შესწავლილია საჩხერისა და თრიალეთის არქეოლოგიურ გათხრებში მოპოვებული სპილენძისა და ბრინჯაოს ნივთების (შუბი, ცული, ხანჯალი, გრძელი ცული, დანა, მახათა და სხვა) მაკროსტრუქტურა და ნაწილობრივ მიკროსტრუქტურაც (მეცნ. კან. ფ. თავაძე). ნიმუშების ქიმიური ანალიზებიდან ჩანს, რომ ყველა ნიმუშში მცირე რაოდენობით ანტიმონი შედის; გამორიცხული არ არის, რომ ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ ანტიმონის მიღება და საგანგებოდ უმატებდნენ მას შენაღნობების მისაღებად.

შესწავლილ იქნა საქართველოს დოლომიტებიდან მეტალური მანგანუმის მიღების შესაძლებლობა (აკად. ნამდ. წევრი რ. აგლაძე, მეცნ. კანდ. ნ. ნიკოლაიშვილი); დოლომიტების სინჯების ჩატარებული სრული ანალიზები უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საქართველოს დოლომიტები თავიანთი ქიმიური შემადგენლობით აკმაყოფილებს საწარმოო მოთხოვნილებას მეტალური მაგნიუმის მისაღებად.

ჭიათურის მანგანუმის კარბონატული მაღნის ზოგიერთი ქიმიური, ფიზიკური და ფიზიკურ-ქიმიური თვისების შესწავლით (აკად. ნამდ. წევრი რ. აგლაძე) დადგენილია, რომ კარბონატული მაღანი წარმოადგენს ფრიად სასარგებლო მეტალურგიულ ნედლეულს და მისი ექსპლოატაცია სრულიად მიზანშეწონილია.

ჩატარებულია ჰიდრავლური პარაშუტის ანალიზური გამოკვლევა საშახტო ამჟევი მექანიზმებისათვის და საცდელი მოდელის კონსტრუქციის შემუშავება (მეცნ. კანდ. კ. ბარამიძე); თეორიულად დადგენილია ჰიდრავლური პარაშუტების უპირატესობა, არსებულ საშახტო პარაშუტებთან შედარებით.

ახალციხის მურანახშირის გვერდითი ქანების დეფორმაციის მიზეზების შესასწავლად დაგროვებული მასალებიდან (მეცნ. კანდ. რ. ჭიქია) ჩანს, რომ ქანების ბურცვის მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ორი ფაქტორის ერთობლივი მოქმედება — ქანების გამო-

წწნებება ზემდებარე მასის წწნევით და თინის გაფართოება წყლის შეწოვის გაძღ.

შვეგროვდა მასალები და დაიწყო ახალი პრობლემის დამუშავება საქართველოს ნავთობის საბადოთა შახტური წესით ექსპლოატაციის შესახებ; სისტემატიზებულია შახტური მეთოდის სხვადასხვა წესი და არჩეულია ობიექტები საცდელი სამუშაოების ჩასატარებლად (აკად. ნამდ. წევრი გ. წულუკიძე, მეცნ. კანდ. ა. ძიძიგური); ასეთი წესით ნავთობის დამუშავება საბჭოთა კავშირის პრაქტიკაში ჯერჯერობით მიღებული არ არის და, ინსტიტუტის აზრით, საქართველოს პირობებში მას დიდი მომავალი აქვს.

თავის მუშაობაში ინსტიტუტს კავშირი ჰქონდა წარმოებასთან — ზესტაფონის ფეროშენაღნობთა ქარხანასთან, ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანასთან, კომბინატ „საქნახშირთან“ და ჭიათურის მარგანეცის ტრესტთან; ინსტიტუტი ასრულებდა მათვეის სამუშაოებს და ტექნიკურ კონსულტაციას უწევდა.

რამდენიმე თემას მჭიდრო კავშირი აქვს ხუთწლედის გეგმით დასახულ ახალ სამთო და მეტალურგიულ წარმოებათა მშენებლობის საკითხებთან; ასეთებია, მაგალითად — დაშქესანის რკინის მაღნის აღდგენილობის შესწავლა და რუხი თუჭების დაჯდომის სიღიდის დამოკიდებულება ჩამოსხმული თუჭის სტრუქტურისაგან.

1946 წლის განმავლობაში ინსტიტუტის თანამშრომლებმა 5 ნაშრომი გამოაქვეყნეს და 13 შრომა კი გამზადებულია დასაბეჭდად. მათ სხვადასხვა დაწესებულებათა სამეცნიერო სესიებზე 15 სამეცნიერო მოხსენება გააკეთეს.

ინსტიტუტის ორმა თანამშრომელმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: ა. ბოჭგუამ თემაზე „თვითმავალი დაკიდული საბაგირო გზებში მქნევარათი“ და კ. ჯაფარიძემ თემაზე „ნატრობისულფატური და მონოსულფატური თუთხების რეგენერაცია მცენარეთა მასალების დოლიგიფიკაციის დროს“.

Նյութօններու պատճեն կամ գլուխութեաց գույքը 9

Սակարա առաջին ազգական հանձնաժողովի ուժում ուժում մեջ մուշկի բառի սահմանափակությունը կապահանջանակ է կամ պարագաների բառի սահմանափակությունը:

Ըստ մեզ առաջին ազգական հանձնաժողովի ուժում մուշկի բառի սահմանափակությունը կապահանջանակ է կամ պարագաների բառի սահմանափակությունը:

Մեջնա պահանջանակ է կապահանջանակ առաջին ազգական հանձնաժողովի ուժում մուշկի բառի սահմանափակությունը կապահանջանակ է կամ պարագաների բառի սահմանափակությունը:

Մուշկի բառը պահանջանակ է կապահանջանակ առաջին ազգական հանձնաժողովի ուժում մուշկի բառի սահմանափակությունը կապահանջանակ է կամ պարագաների բառի սահմանափակությունը:

Մուշկի բառը պահանջանակ է կապահանջանակ առաջին ազգական հանձնաժողովի ուժում մուշկի բառի սահմանափակությունը կապահանջանակ է կամ պարագաների բառի սահմանափակությունը:

რკინიგზების ელექტროფიკაციის ხაზით დამუშავდა ორი თემა. ერთი შეეხება ელექტრული რკინიგზების მუშაობას კვების იძულებითი სქემის შემთხვევაში; დამუშავებულია საკონტაქტო ქსელის დაცვა მოკლე ჩართვის დენებისაგან, წევის ანგარიში მატარებლებში პანტოგრაფზე ცვალებადი ძაბვის შემთხვევაში და სხვა. ამ საკითხებს პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ა.-კ. რკინიგზების მუშაობისათვის (მეცნ. კანდ. ლ. აბელაშვილი).

მეორე თემა შეეხება მოხეტიალე და უკუწრედში გამავალ დენებს; შესწავლილი და სავსებით დამუშავებულია რკინიგზების ხსენებული დენებისა და პოტენციალების ოცნრის დატვირთვებისა და ქვესაღგურების ნებისმიერი გადანაწილების შემთხვევაში. თემას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს კოროზიის მოვლენებისაგან მიწისქვეშა ნაგებობათა დაცვის თვალსაზრისით (მეცნ. კანდ. ბ. ლორთქიანიძე).

შესწავლილია ახალციხისა და გელათის ნახშირების წვის პროცესები ქვაბების საცეცხლურებში და სამრეწველო ლუმელებში; გამოცდების შედეგად მიღებულია ხსენებული ნახშირების წვის ეკონომიკური და საწარმოო მაჩვენებლები (მეცნ. კანდიდატები შ. ჯანჯლავა და ა. ხილაშვილი).

ახალციხის ნახშირისათვის დამუშავდა სტაციონარული გაზოგენერატორის კონსტრუქცია; ამ გაზოგენერატორის საშუალებით შეიძლება საწარმოო ლუმელების და ორთქლის ქვაბების გადაყვანა იხელი საწვავიდან აირჩე (მეცნ. კანდ. ა. ვაშაკიძე).

გამოკვლეულია ორთქლმავლების მუშაობის საექსპლოატაციო თვალსებები კვამლსაწვავი მიღების შემცირებული რიცხვით; სექტორის სქემის მიხედვით გადაკეთებული ინ თრთქლმავალი გამოიცადა საექსპლოატაციო პირობებში (მეცნ. კანდ. შ. ჯანჯლავა).

წლის განმავლობაში გამოქვეყნდა სექტორის თანამშრომელთა 5 ნაშრობი და დასაბეჭდად გადაეცა 2.

ასპირანტმა ვ. გომელაურმა დაამთავრა ასპირანტურა თბოტექნიკის დარგში და დაიცვა საკანდიდატო ღისერტაცია თემაზე „მილის სითბოგადაცემა სითხეს განის ნაკადში“.

1946 წელს სექტორის თანამშრომლებმა წაიკითხეს 8 სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული მოხსენება.

ანგილისმარი მშენებობის პიური

თავმჯდომარე აკად. ნაშდ. წევრი კ. ზავრიევი

1946 წლის განმავლობაში ბიუროს მუშაობა გამოიხატებოდა სეისმომდგრადი კონსტრუქციების შესწავლაში. ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენდა თაღებისა და გარსების კვლევა (აკად. ნამდ. წევრი კ. ზავრიევი). იღეა მდგომარეობს ქვის თაღების მსუბუქი ბეტონის თაღებით შეცვლაში, რაღაც ქვის თაღი სეისმური თვალსაზრისით საშიშ კონსტრუქციას წარმოადგენს. შესწავლილია მსუბუქი ბეტონის თბოტექნიკური თვისებები და შესრულებულია თაღის ანგარიში. თემა მოკლე ხანში მონოგრაფიის სახით გამოქვეყნდება.

არსებული ინსტრუქცია ანტისეისმური მშენებლობისათვის, რომელიც გამოიცა სარ კავშირის აღმშენებლობის სახალხო კომისარიატის მიერ 1943 წ., საჭიროებს ზოგიერთი ნაწილის გადასინჯვას, დაზუსტებასა და შეცვებას (მაგალითად, სეისმურ რაიონებში თაღების გამოყენების საკითხი). ბიუროს თანამშრომლებმა წინანდელი კვლევის შედეგთა სისტემატიზაციისა და ახალი კვლევის ჩატარების ნიაღაგზე დაამუშავეს თაღების გამოყენების საკითხი, გამორკვეულია, რომ თაღების სეისმომდგრადობა მით უფრო მეტია, რაც მეტია საყრდენების სიხსისტე; საყრდენების არასაკმარისი სიხისტის შემთხვევაში საჭიროა მჭიმის მოწყობა. კარგ შედეგს იძლევა ორმაგი სიმრუდის თაღები. ეს ვარაუდი გამართლდა პრაქტიკაში ჩრდილოეთი ფერგანის მიწისძვრის დროს, როდესაც ორმაგი სიმრუდის (უზბეკისტანის სისტემის) თაღებმა თითქმის არავითარი დაზიანება არ განიცადა.

თაღოვანი და გარსოვანი კონსტრუქციების განვითარებასთან დაკავშირებით, ხშირად ხდება თხელკედლიანი კონსტრუქციით საკმარისად დიღი სააღმშენებლო მალების გადახურვა. ამ შემთხვევაში თხელკედლიანი გარსების მდგრადობის შემოწმებას პრაქტიკული ინტერესი აქვს. თემის შემსრულებელმა (მეცნ. კანდ.

ო. ონიაშვილი) მიიღო შედეგები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება კრიტიკულ ძალთა რიცხობრივი გამოთვლა სხვადასხვა შემთხვევისათვის; კვლევის მიზანია გარსების მდგრადობის ანგარიშის არსებული მეთოდების შევსება და განვითარება პროფ. ვ. ვლასოვის მიერ დაზუსტებული გარსთა მომენტური თეორიის საფუძველზე.

შემდეგ პრობლემას საქართველოს სეისმოდარაიონება წარმოადგენს. ჩატარდა ტყიბულის და ტყვარჩელის საჭარმოო რაიონების მიკროსეისმოდარაიონება (მეცნ. დოქტ. ა. ნაზაროვი, მეცნ. კანდ. ი. გძელიშვილი).

ბიურომ მოაწყო ექსპედიცია (ინჟ. შ. ჯაბუა და მეცნ. კანდიდატები რ. ლორთქიფანიძე, ა. ჩუროიანი და ი. გძელიშვილი), რომელიც გაემგზავრა უზბეკეთის და ყირგიზეთის რაიონებში 1946 წლის 3 ნოემბერს მომხდარი მიწისძვრის შედეგების შესასწავლად.

ეს მიწისძვრა ზიბერგის კლასიფიკაციით მიეკუთვნება მსოფლიო კატეგორიის მიწისძვრებს; ექსპედიციამ დიდი მუშაობა ჩაატარა; მისი შედეგების მეცნიერული გადამუშავება საფუძვლად დაედება ახალი ინსტრუქციის შედგენას ანტისეისმური მშენებლობისათვის და დაზუსტების სეისმომდგრად ნაგებობათა თეორიას.

წინა წლების მუშაობის შედეგად დაიბეჭდა აკად. ნამ. წევრის კ. ზავრიევის ნაშრომი „ნაგებობათა დინამიკა“, რომელიც ინუინერ-შექნებლებისთვის სახელმძღვანელო წიგნი იქნება. მშენებელ ინჟინერ-ტექნიკოსთა სამეცნიერო საზოგადოებასთან ერთად ბიუროს თანამშრომლებმა, აკად. ნამ. წევრ. კ. ზავრიევის ხელმძღვანელობით, შეადგინეს ცემენტის ეკონომიკის ინსტრუქცია, რომელიც დაკანონებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ.

ბიუროს თანამშრომელთა მიერ წლის განმავლობაში წაკითხული იქნა 5 პრაქტიკული და საჭარმოო ხასიათის მოხსენება.

1946 წლს დაიბეჭდა 3 ნაშრომი, გადაეცა დატაბეჭდად 1 დაშად არის დასაბეჭდად აგრეთვე 1.

ა. ჩუროიანმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „მიღისის“ წყობის სეისმომდგრადობა“. საღისერტაციო შრომას აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა; მის შედეგად 1943 წლის ანტისეისმური მშენებლობის ნორმებით აკრძალული „მიღისის“ წყობა დასაშვები ხდება სეისმურ რაიონებში გარკვეული პირობებას დაცვით.

ბიოლოგიისა და მედიცინის მასწავლებათა განყოფილება

თავმჯდომარე აკად. ი. ბერიტაშვილი *

ბიოლოგიისა და მედიცინის მეცნიერებათა განყოფილება ჩა-
შოუალიბდა 1946 წლის მარტში. მის გამგებლობაში მათემატიკისა
და ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა განყოფილებიდან გადმო-
ვიდა ზოოლოგიის ინსტიტუტი და აკად. ი. ბერიტაშვილის სახ.
ფიზიოლოგიის ინსტიტუტი. ამ დაწესებულებებს დაემატა ახლად
დაარსებული ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი, ექს-
პერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და ჰემატოლოგიის ინ-
სტიტუტი და კარდიოლოგიის სექტორი, რომელიც მოკლე ხანში
კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგის ინსტიტუტად
გადაკეთდა. ამრიგად 1946 წელს სულ ხუთი დაწესებულება მუ-
შაობდა.

განყოფილებამ წლის განმავლობაში ორი სამეცნიერო სესია
ჩაატარა.

პირველი სესია მიეძღვნა ფიზიოლოგიას, კერძოდ, ცენტრა-
ლური ნერვული სისტემის საკითხებს. სესიაზე გაკეთდა 5 მოხსენე-
ბა, რომლებშიაც მოცემულია ხერხემლიანი ცხოველების ცენტრა-
ლური ნერვული სისტემის ელექტრული მოვლენების დახასიათება
და გაშუქებულია ამ მოვლენების წარმოშობა და ბიოლოგიური
მნიშვნელობა; დაგენილია შემდეგი კანონზომიერებანი: ელექ-
ტრული რხევები შედგება სწრაფი და ნელი პოტენციალებისაგან;
ნელი პოტენციალები გამოხატავს შეკავების პროცესს და წარმოი-
შობა იმ ლოკალური პროცესების სუმაციის შედეგად, რომლებსაც
ადგილი აქვს სინაპსების არეში (აკად. ი. ბერიტაშვილი).

* აკად. ი. ბერიტაშვილის განყოფილების თავმჯდომარეობიდან მისივე
თხოვნით განთავისულების გამო 11.II.47-ს განყოფილების თავმჯდომარედ არ-
ჩეულ იქნა აკად. ნამდ. წევრი ა. ნათიშვილი.

გაშუქებულია ნათხემის ქერქის (კატის) მიმღებლობითი ფუნქციის საკითხი მის ბიოელექტრულ მოქმედებასთან დაკავშირებით; დადგენილია, რომ ნათხემის ქერქის ბიოელექტრული პოტენციალები არ წარმოიშობა თვით ნათხემის ქერქში, არამედ წარმოადგენს ლოკომინას მიკროფონულ პოტენციალებს (მეცნ. ლოქტ. ა. ბაკურაძე და მეცნ. კანდ. ლ. ცეიფურიძე).

ბაყაყის კანის რეცეპტორთა მოქმედების ელექტროგრაფიული შესწავლის შედეგების საფუძვლიანი ანალიზით დადგენილია: ბაყაყის კანში თერმორეცეპტორები არ უნდა არსებობდეს, ტკივილის და შეხების, რეცეპცია კანში გამოთიშულია, კანში არსებობს რამდენიმე ტიპის მექანორეცეპტორი და ა. შ. (მეცნ. კანდ. ნ. რიძიშვილი).

წარმოდგენილია შეხედულება, რომ კეფის წილის ქერქის განსაზღვრული არე მონაწილეობს ემოციათა გარეგანი გამოხატულების განხორციელებაში; ეს იმითი დასტურდება, რომ კატის კეფის წილის ამ არის პირდაპირი ელექტრული გაღიზიანების შედეგად აღგილი აქვს არა მხოლოდ კარდიო-ვასკულურ ძრებს, არამედ ერთდროულად რთულ აგრესიულ რეაქციასაც (კად. წევრ-კორ. დ. გელეგანიშვილი).

გაშუქებულია საერთოდ სინაპსოლოგის თანამედროვე მდგომარეობა; საკუთარი გამოკვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ ემბრიონულ და ნაადრევ პოსტემბრიონულ პერიოდში აღილა აქვს ასინაპსურ ინტეგრაციას (ქათმის ცენტრალურ ნერვულ სისტემაში). სინაპსური ინტეგრაცია ზანგრძლივი მორფოლოგიურ-ფუნქციური მომწიფების შედეგია; პათოლოგიურ შემთხვევებში ასინაპსური მოქმედება შესაძლებელია მოზრდილებშიც (სსრ კავშირის მეცნ. აკად. წევრ-კორ. ა. ზურაბაშვილი).

წლის განმავლობაში ფიზიოლოგიის დარგში მიღწეული შედეგებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

დადგენილია ელექტროგრაფიული მეთოდით, რომ შეკავების პროცესი პირობადებულია ელექტრული პოტენციალის ნელი რხევებით; ელექტრული რხევები კი ზურგისა და თავის ტვინის სხვადასხვა ნაწილებში ვითარდება ყოველგვარი პერიფერიული გაღრზიანების შედეგად; გაშუქებულია აღგზნების გატარებისა და გადაცემის მექანიზმი ცენტრალურ ნერვული სისტემის სხვადასხვა ნეირონებში, ლოკალური პროცესების მნიშვნელობა და ელექ-

ტრულ პოტენციალთა ბიოლოგიური დანიშნულება (აკად. მ. ბერი-ტაშვილი, მეცნ. დოქტ. ა. ბაკურაძე, მეცნ. კან. ა. როიტბაკი).

შუამდებარე ტვინის პოტენციალების შესწავლით გამორკვეულია, რომ მათი პერიოდული გაძლიერებისა და შესუსტების ხანგრძლიობას ნარკოზი ამოქლებს; სწრაფი და ნელი რხევები ერთი და იმავე სუბსტრატით არ წარმოიშობა; აღნიშნულია რეგულარული რიტმი, რომელიც განსაზღვრული გარეგანი პირობების გავლენით ძლიერდება (აკად. წევრ-კორ. დ. გელევანიშვილი).

დადგენილია, რომ პროპრიოცეპტული გალიზიანების საპასუხო ზურგის ტვინის პოტენციალები უმთავრესად წარმოდგენილია ნელი რხევების სახით, რომლებსაც შეუძლიან თავის ტვინიდან კუნთებისაკენ მიმდინარე რეგულარული რიტმის შეკავება (მეცნ. დოქტ. ს. ნარიკაშვილი).

ნათხემის პოტენციალების შესწავლის ნიაღაზე დადგენილია ურთიერთობა ნელ პოტენციალებსა და ცხოველის მოძრაობის შორის (მეცნ. კანდ. ლ. ცეიფურიძე).

დადგენილია, რომ ძალლის ინდივიდური ქცევის გამომუშავების სხვადასხვა პერიოდში „განწყობის“ წარმოშობის მიზეზი სხვადასხვა ფაქტორი ხდება და რომ „განწყობა“ შედეგია აღზნებადობის მატებისა დიდი ტვინის ქერქის განსაზღვრულ მამოძრავებელ ცნონტრებში (აკად. ი. ბერიტაშვილი, ნ. დედაბრიშვილი და ო. ქუჩავაძე).

გაშუქებულია მაიმუნის (მაკაკას) ქცევის აქტები და სხვადასხვა სახის ინდივიდურ რეფლექსების ურთიერთობა (მეცნ. დოქტ. ა. ბრეგაძე).

გამომუღავნებულია ზოგიერთ მნიშვნელოვან ფერმენტულ (სუკცინოქისილაზა, ქოლინესთერაზა და სხვა) სისტემათა მოქმედების ერთნაირი ინტენსივობა დიდი ტვინის ქერქის სხვადასხვა არქიტექტონიკურ არეში და, პირიქით, ამ მოქმედების ინტენსივობის შევეთრი განსხვავება ქერქსა და ქერქქვეშა ელემენტებში (აკად. წევრ-კორ. პ. ქომეთიანი).

გაშუქებულია სინაპსური აპარატების ონთოგენეზური. განვითარების ეტაპები და სხვადასხვა ასაკის ცხოველის და ადამიანის ზურგისა და თავის ტვინის სხვადასხვა არქიტექტონიკურ უბანში სინაპსური აპარატის დამახასიათებელი თავისებურებანი (სსრ კავშირის მედიცინის მეცნ. აკად. წევრ-კორ. ა. ზურაბაშვილი):

გამოაშკარავებულია ცალკეული პერიფერიული ნერვების კონკრეტული შორის ანასტომოზების მრავალი მნიშვნელოვანი ურთიერთობა (აკად. საპატიო წევრი ვ. ვორონინი).

მეორე სამეცნიერო სესიაზე, რომელიც მიეძღვნა ზოოლოგიას და კერძოდ განვითარების მექანიკას, გაშუქებულია ღეტერმინაციის პრობლემა ცხოველის ონტოგენეზში; სესია ჩატარდა ძირითადად ზოოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლების მონაწილეობით.

სესიაზე გაკეთდა 7 მოხსენება, რომლებშიაც:

გაშუქებულია ნაკლებად შესწავლილი საკითხი უჯრედთა შორის კავშირის მნიშვნელობის შესახებ ემბრიოგენეზში და გამახვილებულია ყურადღება მეზოდერმის უჯრედთა შორის კავშირის განვითარებაზე; განსაკუთრებით ხაზგასმულია ამ პროცესში ძირითადი ნივთიერების დიდი მნიშვნელობა (აკად. საპატიო წევრი ვ. ვორონინი).

გამომყდავნებულია, რომ ხერხემლისანთს თვალის ონტოგენეზში ბროლის უჯრედოვანი მასალა, ბადურას ასეთსავე მასალასთან ერთად, ერთ მთლიანს წარმოადგენს და ბუნებრივია ბროლის უჯრედოვანი მასალა ემბრიოლოგიური ბადურას უჯრედოვანი მასალის ერთმნიშვნელოვან ჰისტოლოგიურ კანონზომიერებებს როგორც *in vivo* ისე *in vitro*; ამ კანონზომიერებითა შესწავლა ბროლისა და ბადურას მაგალითზე იძლევა მტკიცების საშუალებას, რომ ორგანოგენეზი არ გრძელდება იმ სტადიიდან, რომელშიაც ტრანსპლანტაცია ან ექსპლანტაციაა ნაწარმოები, არამედ რამოდენიმედ „უკან დაბრუნება“ ხდება და პროცესი მიმდინარეობს ონტოგენეზის დაწყებითი სტადიების თუ არა სრული განმეორებით, ყოველ შემთხვევაში მათ მსგავსად (მეცნ. კან. პ. ჭანტურიშვილი).

დადგენილია თვალისა და ბროლის მასალების მთლიანობის დამამტკიცებელი ფაქტი—თვალის ნასახის ექსტირპაციის შემთხვევაში და აუცილებლად აღდგება, თუ აღგილზე დატოვებული იყო საბრჭოლო მასალა (თვალის მფარავი ეპითელი) და, პირიქით, იგი არ აღდგება თუ თვალის ნასახთან ერთად ამოიკვეთა თვალის მფარავი ეპითელიც (ბ. კანკავა).

დადგენილია მნიშვნელოვანი ფაქტები ემბრიონული ტიპის ინდუქციის შესახებ ონტოგენეზის მოგვიანებულ საფეხურზე; თავკომბალას თვალიდან ამოლებული ბროლის ადგილას კუდის რეზორ-

ბუიული ეპითელის გადანერგვისას, ეს ეპითელი წარმოქმნის ბაოლს, რაც თვალის ბაღურას კარგ „მაორგანიზებელ“ როლს უნდა შეიწეროს; სრულფასიანი ბროლი წარმოიშვება რეზორბციული ეპითელისაგან ამ ეპითელთან ერთად ფარისებრი ჭირკვლის გადანერგვისას, რაც იმას მოწმობს, რომ ბაღურას „მაორგანიზებელი“ საწყისი მოქმედებს მაშინაც კი, როდესაც რეზორბციული ეპითელის ახლოს ჰემორალური ხასიათის საწყისია (მეცნ. კანდ. თ. სიხარულიძე).

გამორკვეულია, რომ ამფიბიათა კიდურის პრეზემპციული მასალა, სახელდობრ მეზენჯიმა დეტერმინებულია ჯერ კიდევ საწყისი სტადიის დაწყებამდე; საკიდურო მეზენჯიმას დეტერმინაცია ხდება გასტრულაციის და ნეირულაციის დროს მეზობლასტში არსებული დორზოვენტრული და აქსიალური გრადიენტების გარკვეულ ფონეზე; შეიძენს რა მეზენჯიმა ამ დროს სპეციფიკურ თვისებებს, შემდეგში კიდურის განვითარება ხდება მეზენჯიმაში არსებული ფაქტორებისა და ექტოდერმულ ეპითელთან მათი ურთიერთობის საშუალებით, რაც საბოლოოდ აპირობებს კიდურის სრულ განვითარებას (მეცნ. კანდ. ა. მაჩაბელი).

ამის გარდა ზოოლოგიის დარგში ჩატარებული მუშაობის შეღებებიდან აღსანიშნავია:

გაშუქებულია საკითხი ბაკურიანის მიღამოების სუბალპური ზონის ბიოცენოზებში გავრცელებული უხერხემლო და ხერხემლისანი ცხოველების სახეობრივი შემაღენლობის, ამ სახეობათა თანაფარდობისა და ვერტიკალური გავრცელების შესახებ (მეცნ. დოქტ. დ. კობახიძე, თ. უიულაშვილი, გ. ენუქიძე).

დაღვენილია რომ საქართველოში გავრცელებული რწყილების ფაუნა წარმოდგენილია 42 სახეობით (მეცნ. კანდ. რ. სავენკო).

დამთავრებულია მონოგრაფია საქართველოში გავრცელებული მინდვრულების ქვეოჯახის (Microtinae) შესახებ (მეცნ. კანდ. მ. შიდლოვსკი).

დამთავრებულია მონოგრაფია საქართველოში გავრცელებული ჩლიქონუნების შესახებ (მეცნ. კანდ. ა. ჯანაშვილი).

გამორკვეულია წყლის ვირთხის ბიო-ეკოლოგიის თავისებურებანი საქართველოს მთის ზონის პირობებში (მეცნ. კანდ. ზ. ექვთიმიშვილი).

გამორკვეულია კუმისის ტბის პიღროფაუნის სახეობრივი შემადგენლობა, პიღრობიონტების ფორმებით სეზონური ცვლა, ამ ტბის პიოცენოზები და სხვა (თ. კაკაურიძე).

ექსპერიმენტული მორფოლოგიის დარგში მიღებული შედეგებიდან აღსანიშნავია:

შესაფერი ცდების მეოხებით ძალლის წვრილი ნაწლავის კაულური ნაწილის მიღამოში დადგენილია, რომ კოლატერალების განვითარებისათვის და იშემის თავიდან აცილებისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სისხლის მილის კედელში არსებული ვაზოკონსტრიქტორები, არამედ ნაწლავისაკენ მიმავალი ნერვებიც; მათი დაზიანების აცილება შესაძლებლად ხდის ნაწლავის საკვები ძარღვების მეტი რიცხვის გამოთავას, დაშორებულ არტერიულ წყაროთა შორის კოლატერალების განვითარებასა და ნაწლავის ნეკროზის არადებას (აკად. ნამდ. წევრი ა. ნათიშვილი, მეცნ. დოქტ. მ. კომახიძე, მეცნ. კანდ. ნ. ჯავახიშვილი-კომახიძე).

ცხენის მასალაზე დადგენილია ის, რაც ავტორის წინა შრომებში პირველად ოღინიშნა აღამიანისა და ზოგიერთ სხვა ძუძუმწოვართა შარდგამტარ ორგანოთა გარდამავალი ეპითელის შესახებ, ე. ი. ამ ეპითელის შემადგენელი უჯრედების ზონალური განლაგება და დაყოფა (გერმინაციული, შუამდებარე და საფარი ზონები). ასეთი დაყოფა ზონებად დასაბუთებულია უჯრედებში თანმიმდევრობით მიმდინარე სეკრეციული ცვლილებებით; სეკრეცია ჰოლოკრინულია, სეკრეტი ზოგ შემთხვევაში ლორწოა, ზოგში—ლორწოს-თან ახლომყოფი ნივთიერება (მეცნ. კანდ. ა. ლეუავა).

დადგენილია დიდ მასალაზე ქართველ ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განვითარების კანონზომიერებანი და სასტანდარტო ნორმები, რომელთა საფუძველზე შედგენილია ფიზიკური განვითარების განზოგადოებული. ცხრილები. ცხრილებში მოცემულია ფიზიკური განვითარების დინამიკა 12 ნიშნის შესწავლით და განვითარების 7 პერიოდზე დაყოფით, დაბადებიდან პირველი წლის ბოლომდე—თვეების მიხედვით, ხოლო პირველი წლიდან 20 წლამდე —წლების მიხედვით (აკად. ნამდ. წევრი ა. ნათიშვილი).

ქარდიოლოგიის დარგში, დიდ კლინიკურ მასალაზე დაყრდობით, საფუძვლიანად გაშუქდა თირკმლის ფაქტორის მნიშვნელობა ვ. წ. ჩენული ჰიპერტონიის წარმოშობაში (აკად. ნამდ. წევრი მ. წინამდლვრიშვილი).

გარდა ამისა, თბილისის საქმაოდ დიდი პათოანატომიური მასალის შესწავლის ნიადაგზე დაღგენილია გულსისხლმილთა დაავადებების სიხშირე და ხასიათი ჩვენში (აკად. წევრ-კორ. ვ. ულენტი).

ქირურგისა და ჰემატოლოგის დარგში საკუთარ მასალაზე დაყრდნობით გაშუქებულია კუჭისა და თორმეტგოჭა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებების პათოლოგიისა და ქირურგიის მნიშვნელოვანი საკითხები: ფართო რეზექციის უპირატესობა (აკად. ნამ. წევრი გრ. მუხაძე და მეცნ. დოქტ. ე. ფიფია); წყლულოვანი კუჭის პათომორფოლოგია (აკად. ნამდ. წევრი გრ. მუხაძე, მეცნ. დოქტ. მ. ჩაჩავა, მეცნ. კანდ. ა. ჯორბენაძე); კუჭის ფართო რეზექციის გავლენა ანემიის განვითარებაზე (მეცნ. კანდ. ე. სემენსკია და მ. ბარნოვა), ჰემოდინამიკაზე (მეცნ. კანდიდატები თ. უვანია, გ. ფავლენიშვილი), ცილისა და რკინის მეტაბოლიზმზე სისხლში (მეცნ. კანდიდატები შ. წვერავა და ა. ანთელავა), თირკმლების ფუნქციაზე (მეცნ. კანდიდატები ა. გზირიშვილი და ე. წვერავა, ე. ბაკურაძე) და სხვა.

ამის გარდა, გაშუქებულია კუჭნაწლავის ტრაქტის სარკომის სიმპტომატოლოგია (მეცნ. დოქტ. დ. მამამთავრიშვილი), შესწავლის მუხურის წყლის გავლენა (ვენაში შეეყვანისას) სისხლის შედედებაზე და წებლვნობაზე (მეცნ. კანდ. ლ. ანჯაფარიძე და თ. მეზუზლაძე) და სხვა.

განყოფილების დაწესებულებათა მიერ მოწყობილია სამეცნიერო ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში:

ზოოლოგიის ინსტიტუტის მიერ — აფხაზეთის მღვიმეთა შესწავლის მიზნით (ხელმძღვანელი აკად. ნამდ. წევრი ფ. ზაიცევი), ბაკურიანის მიღამოებში მაღალი მთის ლანდშაფტური ზონის ბიოცენოლოგიური გამოკვლევის მიზნით (ხელმძღვანელი მეცნ. დოქტ. დ. კობახიძე), მთის სამეგრელოში და ყაზბეგში დიდი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე გავრცელებული მღრღნელების, მწერიჭამიებისა და ხელფრთიანების შესწავლის მიზნით (ხელმძღვანელი მეცნ. კანდ. მ. შიდლოვსკი);

ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის მიერ ქართლში და ხევსურეთში მოსახლეობის ანტროპოლოგიური შესწავლისათვის (ხელმძღვანელი აკად. ნამდ. წევრი ა. ნათიშვილი);

კლინიკური და ექსპერიმენტული ქირურგიისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტის მიერ ქართლში კანის მწვავე შეშუპების შესაბაზავლად (ხელმძღვანელი აკად. ნამდ. წევრი გრ. მუხაძე) და კახეთში ბრუცელოზის ქირურგიული ფორმის შესწავლის მიზნით (მეცნ. დოქტ. ნ. ანთელავა).

აკადემიის წევრთა ახალი არჩევნებით განყოფილებას საანგარიშო წლის ბოლოს შეემატა 3 ნამდვილი წევრი—ი. ქუთათელაძე (მანამდე აკად. წევრ-კორ.), ა. ალადაშვილი, ნ. ყიფშიძე და მ. წინამძღვრიშვილი და 3 წევრ-კორესპონდენტი—ვს ასათიანი, დ. გელევანიშვილი და ვ. ულენტი.

განყოფილების ჩამოყალიბებიდანვე მისი ბიუროს შემაღენლობაში შედიოდნენ—აკად. ი. ბერიტაშვილი (თავმჯდომარე), აკად. ნამდ. წევრი ა. ნათიშვილი და აკად. წევრ-კორესპონდენტი—ი. ქუთათელაძე და პ. ქომეთიანი (სწავლული მდივანი).

განყოფილების გამგებლობაში მყოფ დაწესებულებათა მიერ წლის განმავლობაში დამუშავდა 56 თემა.

სულ ინსტიტუტების მეცნიერ თანამშრომელთა მიერ გამოქვეყნდა 18 ნაშრომი, დასაბეჭდად გადაეცა 29 და დამზადდა დასაზუჭდად 26 ნაშრომი.

საანგარიშო პერიოდში დაცულ იქნა 2 სადოქტორო და 1 საკუნლიდატო დისერტაცია.

წლის განმავლობაში განყოფილების სამეცნიერო დაწესებულებათა თანამშრომლებმა წაიკითხეს აკადემიის გარეშე 32 სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის მოხსენება.

• დირექტორი აკად. ნამდ. წევრი ფ. ზაიცევი

ინსტიტუტი მუშაობდა 22 თემის გარშემო. მათი დადგი ნაწილი—8 თემა დაკავშირებულია საქართველოს ფაუნის შესწავლის პრობლემასთან.

დამთავრდა საქართველოში შინაურ და გარეულ ძუძუმწოვანებზე გავრცელებული რწყილების სახეობრივი შემადგენლობის გამოკვლევა (მეცნ. კანდ. რ. სავენკო); გამორკვეულია, რომ ხსენებული რწყილების ფაუნა წარმოდგენილია 42 სახეობით.

გრძელდებოდა მუშაობა საქართველოში გავრცელებული *Ixodidea*-ს ტკიპების ფაუნის შესასწავლად (მეცნ. კანდ. ნ. ჯაფარიძე), რისთვისაც დუშეთის, გორის, მანგლისის, ბაქურიანის, ლაგოდეხისა და სოხუმის რაიონებში შეგროვდა საჭმალ დიდი ფაქტიური მასალა; იგი მნიშვნელოვნად ავსებს ცნობებს საქართველოში ცხოველებზე გავრცელებული დასახელებული ტკიპების დღემდე თითქმის შეუსწავლელი ფაუნის შესახებ.

დიდი კავკასიონის სამხრეთი კალთების რაიონებში გავრცელებული მღრღნელების, მწერიჭამიებისა და ხელფრთიანების შესწავლის მიზნით ჩატარდა ექსპედიციები მთის სამეგრელოში და ყაზბეგის რაიონში; ამ ექსპედიციებმა გამოარკვიეს ცხოველთა ამ ჯგუფების სახეობრივი შემადგენლობა და ეკოლოგიურ-გეოგრაფიული გავრცელება შესწავლილ რაიონებში (ხელმძღვანელი მეცნ. კანდ. მ. შიდლოვსკი).

დამთავრდა მონოგრაფიის შედგენა საქართველოში გავრცელებული მემინდვრიების ქჩეოჯახის *Microtinae*-ს შესახებ (მეცნ. კანდ. მ. შიდლოვსკი), რისთვისაც წინასწარ დამუშავდა წინაწლებში ინსტიტუტის მიერ შეგროვილი მდგრარი მასალა.

ლიტერატურაში არსებულ მონაცემთა კრიტიკული ანალიზის და აზალი ფაქტიური მასალის დამუშავების საფუძველზე შედგე-

ნილია მონოგრაფია „საქართველოში გავრცელებული ჩლიქოსნები“ (მეცნ. კანდ. ა. ჯანაშვილი).

დაწყებულია საქართველოში გავრცელებულ ბადეფრთიანთა ფაუნის შესწავლა (ე. შენგელია); ამისათვის 1946 წლის განმავლობაში დამუშავდა საქართველოს მუზეუმში დაცული და აგრეთვე ქართლის ზოგიერთ რაიონში თემის შემსრულებლის მიერ შეგროვებული ფაქტიური მასალა. წინასწარი შედეგის სახით მოპოვებულია ცნობები ბადეფრთიანთა ჭახეობრივი შემადგენლობის შესახებ, რაც შევსებული იქნება 1947 წლის მუშაობით.

საქართველოს ჰელმინთოფაუნის შესასწავლად გამოკვლეულია პარამფისტომას სახეობრივი შემადგენლობა და საქართველოში მისი გავრცელება (მეცნ. კანდ. პ. ბურჯანაძე), შესწავლილია ვერცხლოვანი მელას ჰელმინთოფაუნა (მეცნ. კანდ. თ. როდონაია) და დაიწყო საქართველოს სამონადირო-სარეწაო ფრინველთა ჰელმინთოფაუნის შესწავლა (მეცნ. კანდ. ბ. ყურაშვილი).

დაწყებულია აფხაზეთის მღვიმეთა ფაუნის გამოკვლევა (აკად. ნამდ. წევრი ფ. ზაიცევი და მეცნ. კანდ. ა. საღოვსეი); ამ მიზნით ჩატარებულმა ექსპედიციამ გამოიკვლია 8 მღვიმის ფაუნა, შეაგროვა დიდი ფაქტიური მასალა (მოლუსკები, კიბოსებრნი, ობობები, მრავალფეხანი და სხვა), რომელიც ამჟამად მუშავდება. ამავე ექსპედიციის მიერ აბლასკირის მღვიმეში ნაპოვნი და შეგროვილია გამოქვაბულის დათვის კარგად შენახული ძვლების დიდი რაოდენობა და აღმოჩენილია პირველყოფილი ადამიანის სადგომის ქვალი.

დამთავრდა მაღალმთიანეთის ლანდშაფტები ზონის ბიოცენოლოგიური გამოკვლევა ბაკურიანის მიღამოებში (მეცნ. ღოქტ. დ. კობახიძე, შემსრულებლები თ. უიულაშვილი და გ. ენუქიძე); მიღებულია საინტერესო მონაცემები ბაკურიანის სუბალპური და ალპური ზონის ბიოცენოზებში გავრცელებულ უხერხემლო და ხერხემლიან ცხოველთა სახეობრივი შემადგენლობისა, ამ სახეობათა რაოდენობითი თანაფარდობისა და ვერტიკალური გავრცელების შესახებ.

დამთავრდა წყლის ვირთხის ბიო-ეკოლოგიის შესწავლა ბაკურიანის მიღამოებში (მეცნ. კანდ. ზ. ექვთიმიშვილი) და გამოირკვა

მისი ბიო-ეკოლოგიის თავისებურებანი საქართველოს მთის ზონის პირობებში.

საქართველოს წყალსატევების ბიოლოგიურ შესწავლასთან და მათი თევზის მეურნეობისათვის გამოყენების ამოცანებთან დაკავშირებით დაწყებულია მღინარე ალაზნის ჰიდრობიოლოგიური და იხტიოლოგიური გამოკვლევა (მეცნ. კანდიდატები ა. სადოვსკი და რ. ელანიძე); ჩატარებული ექსპედიციების შედეგად მიღებულია მონაცემები მდ. ალაზნის იხტიოფაუნის შემადგენლობის და განაწილებისა და აგრეთვე თევზის საკვები რესურსების მდგომარეობის შესახებ.

დამთავრდა კუმისის ტბის ჰიდრობიოლოგიური გამოკვლევა (თ. კაკაურიძე), რომელმაც გამოარკვია ამ ვეძა ტბის ჰიდროფაუნის ზუსტი სახეობრივი შემადგენლობა და ჰიდრობიონტების ფორმათა სეზონური ცვლა წყლის მარილიანობის ცვალებადობის კვალობაზე; დადგენილია ტბაში არსებული ბიოცენოზები და თიტო-ეული მათგანისათვის დამახასჭათებელი თვისიობრივი და რაოდენობითი მაჩვენებლები (ბიომასა და სიმჭიდროვე).

ცხოველთა ონტოგონეზში დეტერმინაციის მოვლენის პრობლემასთან დაკავშირებით გამოკვლეულ იქნა საკითხები: ცალკე ორგანოთა ჩანასახების შორის კონტაქტის როლი ფორმის წარმოქმნის დეტერმინაციაში (მეცნ. კანდ. პ. ჭანტურიშვილი); თვალის ონტოგენეზში პოლარობის ფაქტორების მნიშვნელობა (ვ. კანკავა); ონტოგენეზში ზოგიერთი ორგანოს თვითდიდერენცირების შესახებ (მეცნ. კანდ. თ. სიხარულიძე) და ამფიბიათა კიდურ-გვერდის არის მეზენჯიმას მორფოგენეზურ თვისებათა შედარებითი ექსპერიმენტული შესწავლა (მეცნ. კანდ. ა. მაჩაბელი).

ინსტიტუტმა მონაწილეობა მიიღო აკადემიის ბიოლოგიისა და მედიცინის მეცნიერებათა განყოფილების II (XIII) სამეცნიერო სესიაში, სადაც შემდეგი 7 მოხსენება გაკეთდა: „თანამედროვე ემბრიოლოგიის ისტორიის ზოგიერთი საყურადღებო მომენტი და ზოოლოგიის ინსტიტუტის ცხოველთა განვითარების მექანიზის ლაბორატორიის ამოცანები“ და „მასალები თვალის განვითარების რექანიკის გადასიხვისათვის“ (მეცნ. კანდ. პ. ჭანტურიშვილი); „მონაცემები თვალისა და ბროლის მასალის მთლიანობის საკითხი-სათვის განვითარების მექანიკაში“ (ვ. კანკავა); „მასალები ემბრიონული ტიპის ინდუქციის შესახებ ონტოგენეზის გვიან საფეხურ-

ზე“ (მეცნ. კანდ. თ. სიხარულიძე); „უჭრედთა შორის კავშირის როლი ემბრიოგენეზში“ (აკად. საპატიო წევრი ვ. ვორონინი); „ამ-ფიბიათა კიდურის დეტერმინაციის პროცესის კომპლექსურობის შესწავლისათვის“ (მეცნ. კანდ. ა. მაჩაბელი) და „დეტერმინაციის მოვლენა ჰრილობის შეხორცების პროცესში“ (მეცნ. დოქტ. შ. ჭერ-შვილი).

წლის განმავლობაში დაიბეჭდა 8 სახელშოდების წიგნი, მათ შორის ინსტიტუტის „შრომების“ VI ტომი, სადაც მოთავსებულია 13 ნაშრომი; გადაცემულია დასაბეჭდად 8 და დასაბეჭდად მომზადებულია 13 შრომა.

- ინსტიტუტის თანამშრომელმა თ. როდონაიამ დარცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „მასალები მეგრული თხის ჰელმინთოს-ფაუნის შესწავლისათვეს“.

დირექტორი აკად. ი. ბერიტა შვილი

ინსტიტუტი განაგრძობდა გასულ წლებში დაწყებულ მუშაობას თავისი პრობლემატიკის საკვანძო საკითხების ორგვლივ.

ასცილოვრაფიული წესით შესწავლილ იქნა ცენტრალური ნერვული სისტემის სხვადასხვა ნაწილის (ზურგის ტვინის, შუამდებარე ტვინის, ნათხემისა და დიდი ტვინის ჰემისფეროების) ელექტრული პოტენციალები. განსაკუთრებით ინტენსიურად წარმოებდა ზურგის ტვინის ფუნქციების შესწავლა.

შესწავლილია ცივსისხლიან (ბაყაყის) და თბილსისხლიან (კატის) ცხოველთა ზურგის ტვინის პოტენციალები სხვადასხვა პერიფერიული გალიზიანებისა და სხვადასხვა მდგომარეობისას. ცენტრალური შეკავების ბიოელექტრული გამოვლინების დეტალური შესწავლით გამოირკვა, რომ ცენტრალური შეკავება პირველყოვლისა პირობადებულია იმ ნელი რხევებით, რომელნიც აღიძვრის ზურგის ტვინის უკანა ნაწილის ელემენტებში (აკად. ი. ბერიტა-შვილი, მეცნ. დოქტ. ა. ბაკურაძე და მეცნ. კანდ. ა. როიტბაკე).¹

ამავე პრეპარატებზე შესწავლილია აგრეთვე ხანგრძლივი ტეტანური გალიზიანების გავლენა ზურგის ტვინის პოტენციალებზე; ამ პირობებში როგორც ნელი, ისე სწრაფი რხევები ჯერ ძლიერდება, მერე კი სუსტდება და ისპობა. სწრაფი რხევები გაცილებით უფრო მაღალ სუსტდება და ისპობა, ვიდრე ნელი. აქედან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ნერვული ელემენტები მათში მიმდინარე ლოკალური პროცესების ზეგავლენით (რაც პოტენციალის ნელ რხევებს აპირობებს) გაცილებით უფრო გვიან იღლება, ვიდრე აღვიჩნების ტალღათა ზეგავლენით. ამავე ცდებით ორკვევა, რომ ცენტრალური დაღალვა ვითარდება არა მარტო ნერვულ ელემენტთა დაღალვის გამო, არამედ აგრეთვე ნელი რხევების შემაკავებელი ზეგავლენის შედეგად.

ინსტიტუტი სწავლობდა აგრეთვე ზურგის ტვინის პოტენცია-

ლებს პროპრიოცეპტული გალიზიანების საპასუხოდ (მეცნ. ღოქტ-ს. ნარიკაშვილი). ამ მიზნით იწერებოდა კატის ზურგის ტვინისა და მისი ფესვების ელექტრული პოტენციალები სხვადასხვა კუნ-თების გაჭიმვისა და მათი ნერვების გალიზიანებისას. აღნიშნულ გალიზიანებათა საპასუხოდ ზურგის ტვინში აღიძვრის უმთავრესად ნელი ჩერვები, რომელთაც თავის ტვინიდან კუნთებისაკენ მიმდინარე რეგულარული რიტმის (50—60) შეკავების უნარი აქვთ.

შუამდებარე ტვინის პოტენციალების შესწავლამ (აკად. წევრ-კორ. დ. გელევანიშვილი) გვიჩვენა: ა. მათი ფაზების თავისებური მიმღინარეობა, რაც იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ სწრაფი და ნელი ჩერვები ერთი და იმავე სუბსტრატით არ წარმოიშობა და ბ. ისევე როგორც ქერქში, თავისებური რეგულარული რიტმი (50—60), რომელიც განსაზღვრული გარეგანი პირობების გავლენით ძლიერდება.

დიდი მუშაობა ჩატარდა ნათემის პოტენციალების შესწავლი-სათვის (მეცნ. კანდ. ლ. ცქიფურიძე). ცდები წარმოებდა მწვავე და ქრონიკულ პირობებში. ნათემის პოტენციალებიდან ყველაზე ლაბილური აღმოჩნდა ნელი ჩერვები; ყოველგვარი გალიზიანების საპასუხოდ და აგრეთვე ნებითი მოძრაობის დასაწყისში ისინი სწრაფად ისპობა. აქედან გამომდინარეობს, რომ ცხოველის მოსვენებული მდგომარეობა პირობადებულია, სხვათა შორის, აღნიშნული ნელი პოტენციალებით გამოწვეული შეკავებით. ყოველ შემთხვევაში, ნათლად ჩანს, რომ, მოისპობა თუ არა ნელი პოტენციალები, მოძრაობაც მაშინვე იწყება.

ქცევათმეცნიერების დარგში ხდებოდა თავისუფალ მოძრაობათა შეთოდით განწყობის ფსიქო-ფიზიოლოგიური საფუძვლების შესწავლა (აკად. ი. ბერიტაშვილი, ნ. ლედაბრიშვილი და თ. კუკავაძე). ცდების შედეგად გამოირკვა ინდივიდური ქცევის აქტების გამომუშავების სხვადასხვა პერიოდში გარემოს სხვადასხვა ელემენტების გავლენა ცხოველის (ძალის). ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, რის გამოც ქცევის გამომუშავების სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ფაქტორი ხდება „განწყობის“ წარმოშობის მიზეზი; დადგენილია, რომ განწყობა შედეგია დიდი ტვინის ქერქის განსაზღვრულ მამოძრავებელ ცენტრებში აღზნებადობის მომატები-

სა, რომელიც ვითარდება როგორც საკვების ადგილმდებარეობის შესახებ წარმოდგენის რეპროდუქციის, ისე ქერქის სხვადასხვა ნაწილთა შორის დროებითი კავშირების დამყარების შედეგად. საილუსტრაციო ცდები გადაღებულია კინოფილმის სახით.

ამავე დარგში შესწავლილია მაიმუნის (მაკაკის) ქცევის აქტები (შედარებითი ფიზიოლოგიის თვალსაზრისით) და სხვადასხვა სახის ინდივიდური რეფლექსების ურთიერთობა, რასაც მნიშვნელობა აქვს ექსპერიმენტული ნევროზების განვითარებისა და ბუნების გაგებისათვის (მეცნ. ლოქტ. ა. ბრეგაძე).

ადამიანის ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედების შესწავლა განისაზღვრებოდა, ერთი მხრივ, მცირეწლოვან ბავშვთა ულექტრონენცეფალოგრაფიით (მეცნ. ლოქტ. ა. ბრეგაძე) და, მეორე მხრივ კი, სულით ავალმყოფთა ელექტრონენცეფალოგრაფიით (ცკად. ი. ბერიტაშვილი და მეცნ. კანდ. ნ. ძიძიშვილი).

გამოირკვა, რომ მცირეწლოვან (3—4 წლის) ბავშვებში არა ჩანს ადამიანისათვის დაშახასიათებელი ალფა-რიტმი; მათ ელექტრონენცეფალოგრამაში სჭარბობს უფრო იშვიათი და ისიც არა-სულარული რიტმი (ძირითადი აქტივობა); ამრთვად დასტურდება ალფა-რიტმის ონტოგენეზურად ძირითადი აქტივობიდან წარმოშობა.

ბიოქიმიის პრობლემებიდან ინსტატუტი იკვლევდა თავის ტვინის სხვადასხვა ნაწილში ზოგიერთ მნიშვნელოვან ფერმენტულ ესუქცინოქსიდაზა, ქოლინესთერაზა და სხვა) სისტემათა მოქმედების ინტენსივობას (აკად. წევრ-კორ. პ. ქომეთიანი). გამოირკვეულია, რომ ამ ფერმენტულ სისტემათა მოქმედების ინტენსივობა დადი ტვინის ქერქის სხვადასხვა არქიტექტონიკურ არეში ერთნაირია; სამაგიეროდ, მკვეთრად განსხვავდება მათი მოქმედების ინტენსივობა ქერქსა და ქერქქვეშა ელემენტებში. განსაზღვრული სხვაობა აღმოჩენილია აგრეთვე დადი ტვინის ქერქსა, მოგრძო ტვინსა და შუამდებარე ტვინის ზოგიერთ ფერმენტულ სისტემათა მოქმედების ინტენსივობაში.

ჰისტოლოგიის პრობლემებიდან მუშაობა მიმდინარეობდა პერიფერიული ნერვული ლეროს სტრუქტურის შესწავლად (აკად. საპატიო წევრი ვ. ვორონინი) და აგრეთვე სინაპსურ აქარატთა აღნაგობისა და თავისებურების გამოსარკვევად (სსრ კავ-

შირის მედიცინის მეცნ. აკად. წევრ-კორ. ა. ზურაბაშვილი). სინაპ-სების აღნაგობის შესწავლისათვის გამოყენებული იყო ზურგის ტვინისა და თავის ტვინის სხვადასხვა ნაწილთა და არეთა მასალები, მიღებული სხვადასხვა ასაკის ცხოველებზე და ადამიანებზე. ჯამთირკვა, რომ სხვადასხვა არქიტექტონიკურ უბნებში (სხვადასხვა შრეებში და ბირთვებში) სინაპსური აპარატი დამახასიათებლად არის წარმოდგენილი; შესწავლილია აგრეთვე სინაპსურ აპარატთა ონტოგენეზური განვითარების ეტაპები, რასაც ნერვული მოქმედების განვითარების გაგებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

1946 წლის გაზაფხულს შედგა ბიოლოგიისა და მედიცინის შეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო სესია, რომელზედაც წაკითხული იყო შემდეგი 5 მოხსენება: აკად. ი. ბერიტაშვილი— „Характеристика, происхождение и биологическое значение электрических явлений в центральной нервной системе позвоночных животных“; მეცნ. დოქტ. ა. ბაკურაძე და მეცნ. კანდ. ლ. ცეიფურიძე— „ნათემის ქერქის მიმღებლობითი ფუნქცია მის ბიოელექტრულ მოქმედებასთან დაკავშირებით“; სსრ კავშირის მედიცინის მეცნ. აკად. წევრ-კორ. ა. ზურაბაშვილი— „სინაპსოლოგიის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ“; აკად. წევრ-კორ. დ. გელეგანიშვილი— „გულიკა და სისხლძარღვთა მდგომარეობის ცვლილებანი აგრესიული რეაქციის ქერქული ცენტრის გაღიზიანებისას“; მეცნ. კანდ. ნ. ძიქიშვილი— „კანის რეცეპტორთა მოქმედების ელექტროგრაფიული ანალიზი“.

გარდა აღნიშნული მოხსენებებისა, ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ წაკითხული იყო სხვადასხვა ღროს 14 მოხსენება.

საანგარიშო წელს დაბეჭდილია სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში 7 შრომა, გადაცემულია დასაბეჭდად 16 და გამზადებულია დასაბეჭდად 7 შრომა.

ინსტიტუტის 2-მა თანამშრომელმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია— ს. ნარიკაშვილმა თემაზე „მხედველობის კვალის პროცესი და მისი ცვლილებანი სხვა გრძნობის ორგანოთა გაღიზიანების გავლენით“ დ ა. ბაკურაძემ თემაზე „მასალები პანკრეასის ეკზოკრინტორული ფუნქციისათვის“.

ეკსპერიმენტები მოჩვრების ინსტიტუტი

დირექტორი აკად. ნამდ. წევრი ა. ნათიშვილი

ინსტიტუტი დაარსდა 1946 წლის 1-ლი აპრილიდან.

მისი გეგმით განზრახული პირველი პრობლემის — „! ისხლ-შარლვთა და ნერვული სისტემის განვითარება“, მიხედვით გათვალისწინებული იყო ექსპერიმენტული თემის დამუშავება „წვრილი ნაწლავის დისტალური ნაწილის ვასკულარიზაციის თავისებურობანი“. გამოირკვა, რომ წვრილი ნაწლავის კაუდალური ნაწილის სისხლძარღვების სხვადასხვა რაოდენობით და ცვალებადი მოდიფიკაციით გადაკვანძვა ძალის ორგანიზმში სხვადასხვა რეაქციას იწვევს; მოქმედების თვალსაზრისით მკვებავი ძარღვების გამოთიშვა ყველაზე უფრო მძიმე შედეგს იძლევა სისხლძარღვთა კონის მთლიანი en masse გადაკვანძვის შემთხვევებში; ამავე დროს ნაწლავის სისხლძარღვთა იზოლირებულ გადაკვანძვას, ნერვებისა და ჭორჭლის დაუზიანებლად, ძალები მეტ ფარგლებში იტანენ.

ამრიგად აშკარავდება, რომ კოლატერალურების განვითარებისათვის და იშემიური მოვლენების თავიდან აცილებისათვის მნიშვნელობა აქვს არა მარტო სისხლის ძარღვის კედელში არსებულ ვაზოკრონსტრიქტორებს, არამედ თვით ნაწლავისაკენ მძმავალი ნერვის დაუზიანებლობასაც.

ეს წინასწარი შედეგები სრულიად ახალ პერსპექტივებსა შლის; ისინი, ერთი მხრივ, კოლატერალური სისხლის მიმოქცევის განვითარების პროცესში ნერვული აპარატის ზეგავლენისა და, მეორე მხრივ, ნაწლავის მკვებავი წყაროების გამოთიშვის ფარგლების გამორკვევის შესაძლებლობას იძლევა (აკად. ნამდ. წევრი ა. ნათიშვილი, მეცნ. დოქტ. მ. კომახიძე, მეცნ. კანდ. ნ. ჯავახიშვილი-კომახიძე).

მეორე პრობლემასთან — „ქსოვილთა ევოლუცია“, დაკავშირებით შესწავლილია თემა „გარღამავალი ეპითელის ჯირკვლოვანი წარმოქმნები“. მისი დამუშავების დროს გამოირკვა, რომ ცხენის

თირკმლის მენჯის და შარლსაწვეთის წინა ნაწილის ლორწოვან გარსში ნამდვილად მოიპოვება ლორწოვანი ხასიათის მარტივი, დატოტიანებული, ლულისებრი ფორმის ჭირკვლები. კვიცის თირკმლის შენჯში ბლომადა მარტივი ლულისებრ ჭირკვლები, რომლებიც ჭერ კადევ დატოტიანებული არ არის. შუახნის ცხენის ჭირკვლები მარტივია და უხვად დატოტიანებული. ეს ჭირკვლები კარგად არის განვითარებული და მათ მიერ გამოყოფხლი სექრეტიც მაქსიმალურ რაოდენობას აღწევს. ბებერი ცხენის ჭირკვლები უკვე რედუქციას განიცდის და მათი გამონაყოფიც შედარებით მცირე რაოდენობითაც. აღსანიშნავია, რომ ბევრი ჭირკვალი ამ ასაკში სავსებით ირლვევა და ქრება. ასაკთან დაკავშირებით იცვლება აგრეთვე ჭირკვლების გამონაყოფის ხასიათიც — რეაქცია მუცინ-კარმინზე. კვიცის და ცნენის ჭირკვლები ჰოლოკრინულ მონოპტიურია. ეს ძლიერ საინტერესო ფაქტია, ვინაიდან საფარველი ეპითელი ვერტიკალურ-ანიზომორფულია და მეტად მრავალშრიანი აგებულებისა არის. ბებერი ცხენის ლორწოვან გარსში მონოპტიურ-ჰოლოკრინულ ჭირკვლებთან ერთად ვხვდებით აგრეთვე პოლიპტიურ-ჰოლოკრინულ ჭირკვლებსაც.

ბებერი ცხენის ჭირკვლების რედუქციის შედეგად ღრმად მდებარე ნაწილებში ჩერება გამოყოფილი სექრეტი, რომელიც თავისუფლად ჰდებარებოს შემაერთებელ ქსოვილში. სექრეტი სრულიად არ არის გამიჯნული შემაერთებელი ქსოვილის ელემენტებისაგან; პირიქით, იგი დიფუზურად ვრცელდება უკანასკნელის ნაპრალებში და ახდენს მისი ტერიტორიის გაუღენთვას სხვადასხვა ფართობზე.

გამოირკვა, რომ ჭირკვლებისა და მათი ელემენტების ხარჯის პარალელურად მცირდება საფარველი ეპითელის სისქეც. ინსტიტუტის მასალის საფუძველზე ირკვევა, რომ გარდამავალი ეპითელი ორი სხვადასხვა ბუნების ელემენტისაგან შედგება. ამას ადასტურებს საფარველი ეპითელის უჯრედების მკვეთრი გამიჯვნა ჭირკვლოვანი ეპითელის უჯრედებისაგან და გარდამავალი ეპითელის სისქეში ორგვარი — ჩვეულებრივი და ე. წ. მუქი უჯრედების არსებობა.

მუქი უჯრედები, მიღებული მასალის მიხედვით, უეჭველად ლორწოს გამოყოფი ჭირკვლოვანი ელემენტებია; ამ მხრივ დამა-

ჭასიათებელია ისიც, რომ, როდესაც ბებერი ცხენის ჯირკვლები თავიანთი ფუნქციის ამოწურვის საზღვარს აღწევს, საფარველი ეპითელი მუქ უჭრედებს, უკვე აღარ შეიცავს. სიბერეში, ჯირკვლების დაშლა-გადაგვარების შედეგად, საფარველ ეპითელში ჩნდება დეფექტები; ამ დეფექტების საზღვარზე მდგბარე საფარველი ეპითელი დანაკლისის ამოვსების ტენდენციას არ იჩენს—იგი დეფექტების მიმართ ინდიფერენტული რჩება (მეცნ. კანდ. ა. ლეუავა).

მესამე პრობლემით—„ადამიანის სისტემათა და ორგანოების განვითარების კანონზომიერებანი“, მუშავდებოდა თემა „ქართველ ბავშვთა და მოზარდთა განვითარების სტანდარტები დაბადებიდან 20 წლამდე (0—20)“.

შრომა შეიცავს ფიზიკური განვითარების ცხრილებს, რომლებშიაც მოცემულია ფიზიკური განვითარების თორმეტი ნიშნის ცვლილებების დინამიკა, დაბადებიდან პირველი წლის ბოლომდე თვეების მიხედვით, ხოლო 1 წლიდან 20 წლამდე—წლების მიხედვით. ამის გარდა შედგენილია ცხრილები ფიზიკური განვითარების შვიდი პერიოდის მიხედვით, რაც კვლევა-ძიების ორიგინალურ ნაწილს წარმოადგენს. დასასრულ, შრომის მონაცემები გაშუქებულია ქართველ ბავშვთა ფიზიკური განვითარების კანონზომიერებათა აღნუსხვით (აკად. ნამდ. წევრი ა. ნათიშვილი).

1946 წელს დასაბეჭდად გადაცემულია 1 შრომა და მომზადებულია დასაბეჭდად აგრეთვე 1.

ექსპერიმენტი და კლინიკური პირუაგისა და ჰამაზოლოგის ინსტიტუტი

დირექტორი აკად. ნამდ. წევრი გრ. მუხა ძე

1946 წელს მუშაობა მიმდინარეობდა 15 ოქმაზე 5 პრობლემის:
ირგვლივ.

კუჭის წყლულოვანი დაავადების 300 შემთხვევაზე დადგენი-
ლია, რომ კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავა-
დების ღრის ქირურგიული მკურნალობის მეთოდთა შორის უპი-
რატესობა აქვს ვრცელ (ფართო) რეზექციას (აკად. ნამდ. წევრი
გრ. მუხაძე და მეცნ. დოქტ. ე. ფიფიძე).

რეზექცირებული წყლულოვანი კუჭის პათოანატომიური-
ცვლილებების შესწავლით დადასტურდა, რომ ამ ღრის ძირითა-
დად საქმე გვაქვს შეუბრუნებელ, შეუქცეველ პათოლოგიურ პრო-
ცესთან (აკად. ნამდ. წევრი გრ. მუხაძე, მეცნ. დოქტ. მ. ჩაჩავა და
მეცნ. კანდ. ა. ჭორბენაძე).

შესწავლილი მასალით დასტურდება, რომ წყლულოვანი კუჭის
ვრცელი რეზექცია მიმდევნო 2 წლის განმავლობაში ანემიას არ
იძლევა (მეცნ. კანდ. ე. სემენსკაია და შ. ბარნოვა).

აღმოჩნდა აგრეთვე, რომ წყლულოვანი კუჭის ვრცელი რეზექ-
ციით ჰემოდინამიკა არ იცვლება (მეცნ. კანდიდატები თ. უგანია და
გ. ფავლენიშვილი) და აგრეთვე არ ირღვევა სისხლში ცილისა და
რკინის მეტაბოლიზმი (მეცნ. კანდიდატები ე. წვერავა და ა. ანთე-
ლავა).

აღმოჩნდილია წყლულოვანი კუჭის ვრცელი რეზექციის შემდეგ-
საერთო სიმუავიანობის მკვეთრი დაქვეითება და თავისუფალი მა-
რილ-მჟავასი და პეტსინის 30%-ს სრული გაქრობა (მეცნ. დოქტ.
მ. ჩაჩავა და თ. ბურჯანაძე).

წყლულოვანი კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის დაავადებისას
ისევე, როგორც კუჭის ვრცელი რეზექციის ღრის, თირკმლების
მხრივ ინდიგო-კარმინის გამოყოფა არ იცვლება; ქლორიდების და
აზოტის ცვლა შარტში და სისხლში ჭერ შესწავლის პროცესშია
(მეცნ. კანდიდატები ა. გზირიშვილი და ე. წვერავა; ე. ბაკურაძე).

კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების ღრის დადგენილია, რომ არ ემჩნევა მუდმივი შეფარდება და კანონზომიერი დამოკიდებულება პირის ღრუს მიკროფლორასა, ლეიკოციტების იმიგრაციასა და პერიფერიული სისხლის შემადგენლობის შორის (მეცნ. კანდ. ე. სემენსკაია, გ. მუხაძე და ს. იზა-შვილი).

დადგენილია და ჩამოყალიბდა კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სარკომების კლინიკური სიმპტომ-კომპლექსი (მეცნ. დოქტ. დ. მამა-მთავრიშვილი).

ჩატარებული კლინიკური დაკვირვებებით დადგენილია მუხუ-შის წყლის ვენაში შეცვანით სისხლის შედედების საგრძნობი დაკლება, ხოლო წებოვნების მომატება (მეცნ. კანდ. ლ. ანჯაფარიძე და თ. მეხუზლა).

დადგენილია, რომ თბილისის ხორციომბინატის მიერ დამზადებული ღვიძლის ექსტრატი ჰიპერენომული ანემიების ღრის აქტიურ სამკურნალო საშუალებას წარმოადგენს (მეცნ. კანდ. ლ. ანჯაფარიძე და თ. მეხუზლა).

წლის განმავლობაში ჩატარებული ექსპედიციებით (ხელმძღვანელი აკად. ნამდ. წევრი გრ. მუხაძე) გამოირკვა, რომ საქართველოს მოსახლეობაში—ღუშეთში, კასპში, გორში, სვანეთში და სხვაგან, გაზაფხულობით, მწვავე მზიანპერიოდში—მაის-ივნისში, გვხვდება კანის მწვავე შეშუპება, რომელიც დღემდე ლიტერატურაში აღწერილი არ ყოფილა. ექსპედიციებითვე (ხელმძღვანელი მეცნ. დოქტ. ნ. ანთელავა) აღნუსხულია: აღმოსავლეთ საქართველოს (თელავი, ახმეტა, ყვარელი, სიღნაღი, წითელი-წყარო, ღმანისი და სხვა) მოსახლეობაში გავრცელებული ბრუცელოზის ჭირული გიული ფორმის 400 შემთხვევა.

ინსტიტუტის თანამშრომლებმა სხვადასხვა ყრილობებსა და კონფერენციებზე მონაწილეობისას წაიკითხეს 14 მოხსენება.

1946 წელს ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებულია 3 შრომა, დასაბეჭდალ გაღაეცა 4 და გამზადდა დასაბეჭდალ 5 ნაშრომი.

ინსტიტუტს კავშირი ჰქონდა თბილისის ხორც-კომბინატოან; იგი აწარმოებს მის მიერ დამზადებული პრეპარატების კლინიკურსა და ექსპერიმენტულ შესწავლა-შეფასებას, რის შემდეგაც პრეპარატების დამზადება ინერგება წარმოებაში და ხმარებაში შედის.

დოკუმენტი აკად. ნამდ. წევრი მ. წინა მძღვანელობის მინისტრი

1946 წლის აპრილიდან აკადემიის სისტემაში დაარსდა კარდიო-ლოგიის სექტორი; იმავე გაზაფხულს იგი გარდაიქმნა კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტად.

ინსტიტუტის მეცნიერული მუშაობა წლის განმავლობაში წარ-შოდგენილია შემდეგი ხასიათის შრომებით:

„არტერიული ჰიპერტონიის რენული გენეზისის პრობლემისა-თვის“; აქ ფართო კლინიკური მასალის საფუძველზე გამორჩეულია, რომ ბოლო ხანებში, განსაკუთრებით ამერიკელი ავტორების მიერ გამოქვეყნებული, ცხოველებზე მიღებული ექსპერიმენტული მონაცემები თირკმლის წამყვანი როლის შესახებ არტერიული ჰიპერტონიის წარმოშობაში, არ შეიძლება გადავიტანოთ ადამიანზე; კლინიკური ფაქტები, პირიქით, მიუთითებს, რომ არავითარი კანონზომიერი დამოკიდებულება თირკმლის ფაქტორსა და არტე-რიული ჰიპერტონიის შორის არ არსებობს; არ არსებობს აგრეთვე არავითარი კანონზომიერი დამოკიდებულება თირკმლის ფაქტორსა და არტერიული ჰიპერტონიის ინიციალური სიმპტომების, სისხლის ცირკულაციის ადგილობრივი მოშლილობის შორის—გულში, თვა-ლის ფსკერში და ტვინში (აკად. ნამდ. წევრი მ. წინა მძღვანელობის მინისტრი).

საქმარისად დიდი პათოანატომიური მასალის შესწავლის ნია-დაზე დადგენილია გულსისხლმილთა დაავადებების სიხშირე და ხასიათი საქართველოში (აკად. წევრ-კორ. ვ. ქლენტი).

მონოგრაფიულ შრომაში „ვიტამინების და მათი მნიშვნელობა“ მოცემულია კრიტიკული მიმოხილვა როგორც საბჭოთა, ისე უც-ხოური ლიტერატურული მონაცემებისა ვიტამინების შესახებ; ფართოდ გაშუქდა ვიტამინების ქიმიის, ფიზიოლოგიის და ფარმა-კოლოგიის, ადამიანისა და ცხოველთა ორგანიზმისათვის მათი მნიშვნელობის და აგრეთვე ვიტამინების აღმოჩენის მეთოდებისა

და თერაპიული გამოყენების საკითხები (აკად. წევრ-ქორ. ვ. ასა-
თიანი).

სამივე დახასიათებული შრომა მზად არის დასაბეჭდად.

კარდიოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა წლის განმავ-
ლობაში წაიკითხეს 4 მოხსენება აკადემიის დაწესებულებათა
გარეშე.

აკად. ნ. მარის სახ. აფხაზეთის ასსრ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

დირექტორი ა. ჭოჭ უა

1946 წელს ინსტიტუტი მუშაობდა ენისა და ლიტერატურის, ისტორიისა და ეთნოგრაფიის და აფხაზეთის ასსრ საწარმოო ძალთა შემსწავლელი განყოფილებების შემაღენლობით. საწარმოო ძალთა შემსწავლელი განყოფილებას 1946 წლის აგვისტოში ჩამოყალიბდა, ჯერ დაკომპლექტებული არ იყო და ამიტომ მისი მუშაობა სრულად ვერ გაიშალა.

პრობლემით „აფხაზური ენა“ მუშავდებოდა ომები: „სუფრისაცია აფხაზურ ენაში“ (მეცნ. კანდ. გ. შაყრილი) და „აფხაზური ენის ბზიფის დიალექტი“ (მეცნ. კანდ. ხ. ბლაუბა).

აფხაზეთის ფოლკლორის პრობლემით იქრიბებოდა. ნართების ეპოსის მასალა და თქმულებანი აბრსკილის შესახებ „აფხაზეთში“ (მეცნ. კანდიდატები ხ. ბლაუბა, ბ. შინქუბა და კ. შაყრილი).

აფხაზურ-ქართულ-რუსული ლექსიკონის პრობლემის ხაზით მომზადდა დასაბეჭდად „საფეიქრო საქმის აფხაზური ლექსიკონი“ (ბ. ჯანაშია).

აფხაზური ენის სახელმძღვანელოთა პრობლემით გრძელდებოდა მუშაობა აფხაზეთის დასაწყის სკოლებში ქართული და აფხაზური ენების სახელმძღვანელოს შესადგენად (ა. ჭოჭუა); შედგენილია ქართული ენის 30 გაკვეთილი აფხაზურის ნაწილში აფხაზეთის მოზრდილი მოსახლეობისათვის (ა. ჭოჭუა, ბ. ჯანაშია და ნ. ბასილაიძია) და აფხაზური ენის სახელმძღვანელო დასაწყისი სკოლების III და IV კლასებისათვის (მეცნ. კანდ. დ. გულია, ბ. ჯანაშია და კ. ხარაზია).

საქართველოს ისტორიის პრობლემით მუშავდებოდა ომები: „პირველყოფილ - გვაროვნული საზოგადოება აფხაზეთის ტერიტორიაზე“ (მეცნ. კანდ. ა. მელიხოვი), „რუსეთისა და საქართველოს კულტურული კავშირი XIX საუკუნეში“ (მეცნ. კანდ. ბ.

ოლონეცკი) და „აფხაზეთი 1941—1945 წ. წ. სამამულო ომში“ (მეცნ. კანდ. გ. ძიძარია); დამთავრდა მონოგრაფიის „შედგენა „საქართველო 1812 წ. სამამულო ომში“ (მეცნ. კანდ. ი. ანთელავა).

პრობლემით „საქართველოს ქალაქები“ დამთავრდა მონოგრაფიული ნარკვევის „შედგენა „ქ. სოხუმის ისტორია უძველესი დროიდან“ (მეცნ. კანდ. ა. ოლონეცკი და ლ. სოლოვიოვი).

პრობლემით „აფხაზთა ეთნოგრაფია“ „შედგენილია მონოგრაფიული ნარკვევი „აფხაზთა საცხოვრებელი ბინა“ (ი. აჯინჯალი) და ნარკვევი „აფხაზეთის პირველი ეთნოგრაფი—მხარეთმცოდნე სოლომონ ზვანბა“ (მეცნ. კანდ. გ. ძიძარია), დამზადდა დასაბეჭდად ეთნოგრაფი ნ. ჭანაშიას ნაშრომთა კრებული (მეცნ. კანდ. ხ. ბლაუბა) და წარმოებდა აგრეთვე მასალების შეგროვება თემისათვის „აფხაზთა სულიერი კულტურა“ (მეცნ. კანდ. დ. გულია).

პრობლემით „აფხაზეთის სასარგებლო ნამარხები“ წარმოებდა (ვარცის საბალოების გამოკვლევა ახალი ათონისა და სათანხოს მიღამოებში (ვ. ზუბბაია).

გ. ვასილჩენკო მონაწილეობდა სსრ კავშირის. მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის კომპლექსური ექსპერიციის ენერგეტიკის რაზმის მუშაობაში მდინარეების კოდორისა და ენგურის აუზებში; იან შეადგინა ანგარიში „გეოლოგიური დახასიათება ტბებისა მდინარეთა კოდორისა და ენგურის აუზებში და მდინარე კოდორის ხეობისა ბაგადის კლდეთა მიღამოებში“.

1946 წელს ინსტიტუტის თანამშრომლებმა წაიკითხეს 24 მოხსენება სხვადასხვა ორგანიზაციებში და კრებებზე სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარულ და პოლიტიკა-ეკონომიკურ თემებზე; დასაბეჭდად გადაეცა მათი 3 ნაშრომი და დამზადდა დასაბეჭდად 7.

ინსტიტუტის თანამშრომლები მონაწილეობდნენ მეთოდიკის საკითხების დამუშავებაში აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროში და აგრეთვე კონსულტაციების მიცემაში სხვადასხვა საკითხების გამო აფხაზეთის ასსრ საგეგმო კომისიასა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის.

გ. ძიძარიამ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „აფხაზეთი 1917—1918 წლებში“.

სამხრეთი რესეტის ავთონომიური რელექს სამაცნიარო- კვლევითი ინსტიტუტი

დირექტორი მეცნ. კანდ. ვ. აბავვი

ინსტიტუტი მუშაობდა სამი განყოფილების შემადგენლობით: ენისა და ლიტერატურის, ისტორიისა და ეთნოგრაფიის და ოლქის საწარმოო ძალთა შემსწავლელი განყოფილებანი.

წლის განმავლობაში შემდეგი თემები შესრულდა:

„ელბიძის ბრიტავი, როგორც ოსური დრამატურგიის ფუძე-ძღებელი“ (ა. ბიაზირევი); შრომაში მოცემულია ბრიტავის დრა-მატურგიულ ნაწარმოებთა სრული ანალიზი.

„ოსური ფოლკლორის ჩანაწერთა დამუშავება“ (ნ. ხანიკაევი და ქ. გუგუაევი); დამუშავდა და დასაბეჭდად დამზადდა 120 ჩანა-წერზე მეტი.

„გლეხთა განთავისუფლების რეფორმა სამხრეთ-ოსეთში“; თემა შესრულებულია მეცნ. კანდ. ზ. ვანეევის მიერ; გამოკვლეულია როგორც რეფორმის გატარების პირობები, აგრეთვე მისი ეკო-ნომიკური და სტატისტიკური მაჩვენებლები.

„ოსური ტანსაცმელი და მისი ისტორიული განვითარება“ (ხელ. დამს. მოლვ. ს. ტუგანოვი); განხილულია ოსური ეროვნული ტანსაცმელის განვითარება და მის მიერ დღევანდელი სახის მიღება.

თემები: „კირ-თაბაშირის ცემენტი“, „თიხა-ცემენტი აგურ-კრამიტის ნაწარმოების მონარჩენების ბაზაზე“ და „სამხრეთ-ოსე-თის ტუფები, როგორც სააღმშენებლო მასალა“ შესრულებულია მეცნ. ლოქტ. ს. ველერის მიერ. ამ ნაშრომებში შესწავლილია სტალინირის რაიონის ვულკანური ტუფების ფიზიკა-მექანიკური თვისებები და გამოვლინებულია მათი ვარგისიანობა, როგორც სა-აღმშენებლო ქვისა; მიღებულია იაფი ცემენტი (თიხა-ცემენტი) სტალინირის აგურის ქარხნის აგურ-კრამიტის წარმოების მონარჩენებიდან (ნატეხი აგური), რომელიც ვარგა როგორც ჰიდრაგლიკური შემკვრელი კედლების ამოსაყვანად ტენიანი ნიადაგის პირო-

გეგში; მიღებულია სამკომპონენტიანი (კირ-თაბაშირ-პუცოლანის) ცემენტი ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე:

თემა „სილოსი და მისი მნიშვნელობა მეცხოველობისათვის“ (პ. ტოპორი) წარმოადგენს დაწვრილებით მონოგრაფიას სილოსის მნიშვნელობისა და ამ საქმის წარმართვის შესახებ ოლქის მეცხოველობის განვითარების თვალსაზრისით.

დასასრულ, თემა „სამხრეთი ოსეთის საქვები ბაზა მეცხოველეობის განვითარებისათვის“ შესრულებულია ს. აბაევის მიერ.

დანარჩენი თემების დამუშავება, რომელთაც თემატიკური გეგმა ითვალისწინებდა, 1947 წელს უნდა დასრულდეს.

1946 წლის მაისს ინსტიტუტმა ჩაატარა თავისი II სამეცნიერო სესია, რომელსაც დაესწრნენ აკადემიის, ოლქის ხელმძღვანელობის და ქ. სტალინის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სესიაზე წაკითხულ იქნა მოხსენებები: „მეცნიერება საბჭოთა საქართველოში 25 წლის მანძილზე“ (აკადემიის აკადემიკოსი-მდიდანი გ. ახვლედიანი), „ოსური ეროვნული სახვითი ხელოვნება“ (ს. ტუგანოვი), „გვაროვნული წესწყობილება ოსეთში“ (მეცნ. კანდ. ზ. ვანეევი), „პურის პრობლემა საქართველოში“ (მეცნ. კანდ. ვ. აბაევი) და „სამხრეთი ოსეთის მინერალური ნედლეულის ბაზის შესწავლა სააღმშენებლო მასალების წარმოებისათვის“ (მეცნ. დოქტ. ს. ველერი).

საანგარიშო წელს ინსტიტუტმა მოამზადა და გამოსცა თავისი „მაუწყებელის“ V ნომერი, რომელშიაც ინსტიტუტის 10 სამეცნიერო ნაშრომი გამოქვეყნდა. მომზადებულია გამოსაცემალ 15 ნაშრომი.

ინსტიტუტის თანამშრომელმა ზ. ვანეევმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „საშუალო საუკუნეთა ალანია“.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

დირექტორი შეცნ. კანდ. ა. ა ფაჭიძე

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი შედგება ორი ძირითადი განაყოფისა და 7 განყოფილებისაგან.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული განაყოფი შეიცავს ოთხ განყოფილებას: ხელნაწერთა, არქეოლოგიის, ისტორიისა (ისტორიული ხანის არქეოლოგია და მატერიალური კულტურა) და ეთნოგრაფიისას; ისტორიის განყოფილებასთან არსებობს სამი კაბინეტი; ნუმიზმატიკის, სფრაგისტიკა-გლიპტიკისა და აკად. ივ. ჯავახიშვილს სახელობისა, რომელიც სწავლობს და ამზადებს გამოსაცემად აკად. ივ. ჯავახიშვილის გამოუქვეყნებელ შრომებს.

საბუნებისმეტყველო განაყოფი შეიცავს სამ განყოფილებას: გეოლოგიის, ბოტანიკისა და ზოოლოგიისას:

მუზეუმი იძენდა ექსპონატებს, როგორც ექსპედიცია-მივლინების მოწყობის საშუალებით, ისევე შემოწირულებისა და შესყიდვის გზით.

სამუზეუმო მასალების შეგროვებისა და შესწავლის გაღრმავების მიზნით საანგარიშო წლის განმავლობაში მოეწყო 5 ექსპედიცია:

1. დაზვერვითი-სამარშრუტო არქეოლოგიური ექსპედიცია საჩიხერესა, წყალტუბოს რაიონსა და აფხაზეთში (ხელმძღვანელი ავსტრ. ნამდ. წევრი ბ. კუფტინი);

2. გეოლოგიური ექსპედიცია ახალქალაქის მიდამოებში (ხელმძღვანელი აკად. წევრ-კორ. ი. კაჭარავა);

3. ბოტანიკური ექსპედიცია თელავის, ყვარელისა და ლაგოდეხის რაიონებში (ხელმძღვანელი მეცნ. კანდ. ვ. პაპავა);

4. ბოტანიკური ექსპედიცია ატენის ხეობაში (ხელმძღვანელი ე. ქიქოძე);

5. ზოოლოგიური ექსპედიცია ატენის ხეობაში (ხელმძღვანელი ი. ჩხიცვიშვილი).

ამავე მიზნით მოეწყო მუზეუმის თანამშრომელთა რამდენიმე

მივლინება. ზოოლოგიის განყოფილებაში ფენოლოგიური დაკვირვებისათვის ჩაატარა თბილისის მიღამოებში 60 ექსკურსია.

მუზეუმის 10 მეცნიერი თანამშრომელი მონაწილეობდა აკად. რვ. ჭავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მიერ წარმოებულ მცხვეთის არქეოლოგიურ გათხრებში.

საანგარიშო წლის განმავლობაში მუზეუმს შეემატა სულ 10947 ექსპონატი, აქედან:

ხელნაწერთა განყოფილებას	117,
არქეოლოგიის განყოფილებას	130,
ისტორიის განყოფილებას	1105,
ნუმიზმატიკის კაბინეტს	51,
გლიპტიკის კაბინეტს	8,
ეთნოგრაფიის განყოფილებას	321,
გეოლოგიის განყოფილებას	1540,
ბოტანიკის განყოფილებას	2000,
და ზოოლოგიის განყოფილებას	5675.

წლის დამლევისათვის მუზეუმს სულ 718716 ექსპონატი ჰქონდა.

შენაძენებიდან განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს:

ქვემო-სვანეთის სოფ. ჩუკულის მთავარანგელოზის ეკლესიის ხის ჩუქურთმიანი კარი XII ს.; ქართული დედანი ილია ჭავჭავაძის წერილისა „ბ-ნ იანოვსკის წერილის გამო“, რომელიც დაბეჭდილი იყო გაზეთ „Кавказ“-ში (შემომწირავი მეცნ. კანდ. მ. ფოფხაძე); ვაჟუშტი ბატონიშვილის ავტოგრაფული კრებული, რომელშიაც მოთავსებულია შანშოვანის ქართული გრამატიკის დღემდე უცნობი დედანი და ანტიკური ხანის ბერძენ ფილოსოფოსების თხზულებები, გადმოთარგმნილი თვითონ ვახუშტის ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით; საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავის აღსანიშნავად საბჭოთა სომხეთის მშრომელთა პიერ ქართველი ხალხისათვის მოძღვნილი შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსნის“ ძვირფასი ხელნაწერი, რომელიც მუზეუმს გადმოეკა (ხელნაწერი XVII ს. მეორე ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს); უცნობი ქართველი მეცნიერის („ბრძენთა მთავარი“) ზაზა ფანასეკერტელის მიერ შემზადებული, ვახტანგ VI ნაქონი XV ს. კარაბაღინი, რომელშიაც ჩადებული აღმოჩნდა ვახტანგ VI საკუთარი ხელით დაწერილი ანდერძი; კახეთის მეფის ალექსანდრეს წყალობის წიგნი XVI ს. დამლევისა; ერეკლე II სამეფო სასამართლოს

ვადაწყვეტილება ქ. თბილისში ორ მონასტერს შორის სამამულო დავის გამო; გორკის ოლქიდან ჩამოტანილი ვახტანგ VII, მისი შემოწილის ალექსანდრე ბაქარის ძის, ანტონ კათოლიკოსისა და სხვათა ზეთის საღებავებით შესრულებული პორტრეტები.

შემოწირულების გზით შემოვიდა რ0-დე საბუთი; კერძოდ, XVIII ს. საბუთები მუზეუმს შემოსწირა მეცნ. კანდ. მ. ჩიქოვანმა.

მუზეუმმა შეიძინა ქ. მოსკოვს მოქ. სტოგოვისაგან ხუთი რუსული საბუთი, რომელიც ეხება არჩილ მეფის ემიგრაციას რუსეთში და არკვევს დღემდე უცნობ საინტერესო დეტალებს. შეძენილი იქნა აგრეთვე დოკუმენტი დიდი რუსი მხედართმთავრის გენერალისიმუსი ა. სუვოროვის ბავშვობის შესახებ; იგი წარმოადგენს 1742 წლის ოქტომბრის 26-ით დათარიღებულ „ვალდებულებას“, რომელიც მის მამას ვ. სუვოროვს მიუცია ლეიბ-გვარდიის სემიონვის პოლკის საპოლკო კანცელარიისათვის. ეს დოკუმენტია შუზეუმბა საჩუქრად ვაჟაუგზავნა ცენტრალურ საჭელმწიფო სამხედრო ისტორიულ არქივს ქ. მოსკოვს.

1946 წელს შეძენილი მონეტებიდან მნიშვნელოვანია: ალექსანდრე მაკედონელის სტატერის ე. წ. ქართული მიბაძვა (ნაპოვნია ვანში); თეოდოსი დიდის მონეტა (ნაპოვნია თეთრი წყაროს რაიონში); X:IV—XV ს. ს. ბიზანტიური ოქროს მონეტა (ნაპოვნია ალავერდის მიდამოებში, სოფელ მადანში); არაბული ოქროს დინარი 706—707 წ. წ. ჩვ. წ. აღ. (აღმოჩენილია ლაგოდეხის რაიონში); XVIII ს. ვენეციური ოქრო (ნაპოვნია თეთრი წყაროს რაიონში); X:VI—X:VII ს. ს. ევროპული ტალერები (7 ცალი; ნაპოვნია საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარზე); თბილისში მოჭრილი თურქული წარწერიანი ოქროს ფული 1703—1704 წ. წ., რომელზედაც აღმოჩენილია თურქეთის სულთან ჰამედ II სახელი (ნაპოვნია ქუთაისში).

საბუნებისმეტყველო კოლექციებიდან ყურადღებას იპყრობს პალეონტოლოგიური და პეტროგრაფიული კოლექცია ახალქალაქის მიდამოების შუა და ქვედა ეოცენის ნუმულიტიდებისა, რომელიც განყოფილებაში მანამდის არ მოიპოვებოდა, და ჩრდილო-აღმოსავლეთი და ცენტრალური ირანის მნიშვნელოვანი მინერალოგიური და პალეონტოლოგიური კოლექცია.

მუზეუმმა დიდი მუშაობა ჩატარა სამუზეუმო კოლექციების

დაცვისა, აღდგენა-რესტავრაციისა, აღრიცხვა-აღწერისა და მოწეს-რიგებისათვის.

დიდი მუშაობა ჩატარდა აგრეთვე გამოფენათა გაშლის საქმეში.

ამ მუშაობის მეტი ნაწილი დაკავშირებული იყო საქართველო-ში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლის მიზნით აღნიშვნას-თან. აღდგენილ იქნა ომის დროს დახურული გამოფენები: ხევ-ისურეთის ეთნოგრაფიული გამოფენა, XIX ს. ქართული კოსტიუმების გამოფენა და ქართული ხალხური ჩუქურთმა ხეზე.

ახლად მოეწყო ექვსი გამოფენა: ქსოვილების შემკულობის ქართული ნიმუშები, ქსოვილი ხალიჩები, ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენა უძველესი დროიდან XIX ს. -დე, ქართული XVII—XIX ს. ს. მხატვრობის გამოფენა, ქართული ოქრომჭედლობის, ფერწერისა და ხელსაჯმის ნიმუშების გამოფენა და საქართველოს ცარცისა და პალეოგენის მხართფეხანები.

ამჟამად მუზეუმში 21 გამოფენა მოქმედებს; მათ შორის 2 სა-სეიფო ტიპის დახურული გამოფენაა.

მუზეუმის გამოფენები წლის განმავლობაში 26224 ინახველია დაათვალიერა, ხოლო ექსკურსიათა საერთო რაოდენობა 1393-ს აღწევს.

გამოფენების გარდა მუზეუმი თავის საფონდო მასალებით მოშ-სახურებას უწევდა სხვადასხვა მეცნიერების მუშაკებს.

მუზეუმის საბეჭინიერო-კვლევითი მუშაობის საგანს შეადგენდა სამუზეუმო ფონდების შესწავლა, გამოსაყენებლად მომზადება და მათ საფუძველზე სამეცნიერო ხასიათის ნარკევების და კომენტარების შედგენა.

მუზეუმის შვიდი ძირითადი განყოფილების მიხედვით დამუშავდა სულ 23 თემა და ჩატარებულია შემდეგი ხასიათის მუშაობა:

არქეოლოგიის განყოფილებაში:

აკად. წევრ-კორ. გ. ნიორაძის მიერ აღწერილი და შესწავლილია ქვიშარის (რაჭა) არქეოლოგიური დაზვერვით მოპოვებული ძეგლები. გარკვეულ იქნა ქვიშარში აღმოჩენილი ცულების ორა (ტიპი). პირველ ტიპს მიეკუთვნება ყუადაქანებული სპილენძის ცულები, რომელიც ყობანის ანუ კოლხური ცულების პროტოტიპებად უნდა ჩაითვალოს; ისინი თარიღდება მეორე ათასწლეულის პირვე-

ლი ნახევრით ჩვ. წ. აღ-მე და გამოყენებული უნდა ყოფილიყო საკულტო მიზნებისათვის.

მეორე ტიპის ცულებს მიეკუთვნება ორი სხვადასხვა სახის ყო-
შანის ტიპის ბრინჯაოს ცული. ერთ მათგანზე მოცემული სპირალის
სახის ორნამენტები უნდა წარმოადგენდეს გველის სურათის სტი-
ლიზებულ გადმოცემას, ხოლო სატარეს ნახვრეტზე გამოყვანილი
სახეობანი კი—ირმის რქების სიმბოლურ გამოხატულებას.

როგორც ყობანის ტიპის ცულები, ისევე მათთან ერთად აღმო-
ჩენილი სხვადასხვა სახის ბრინჯაოს ნივთები (სატეხი, ნამგალი, ეჩო,
საჟაფური და სხვ.) თარიღდება მეორე ათასწლეულის მეორე ნა-
ხვრით ჩვ. წ. აღ-დე.

ხელნაწერთა განყოფილებაში:

გრძელდებოდა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო სა-
ზოგადოებრი ყოფ. მუზეუმის ხელნაწერი წიგნების აღწერა და
წლის განმავლობაში მეცნიერულად აღიწერა და სასტამბოდ მომ-
ხდდა 477 ხელნაწერი წიგნი.

შემსრულებელნი: მეცნ. კანდიდატები ლ. მეფარიშვილი, ე. მე-
ტრეველი, მეცნ. დოქტ. შ. ჩხეტია, ლ. ქუთათელაძე და ნ. კასრაძე).

მეცნ. კანდ. ლ. მეფარიშვილმა გეგმის გარეშე დამუშავა თე-
მა „თეიმურაზ ბატონიშვილის ერთი ავტოგრაფისათვის“. იგი წარ-
მოადგენს ხელნაწერის № 2225 კრიტიკულ ისტორიულ-ფილო-
ლოგიურ განხილვას. როგორც ირკვევა, ეს ხელნაწერი სპარსეთში
დაწერილ ლექსთა კრებულია. კრებული გადაწერილია თეიმურაზ
ბატონიშვილის მიერ 1811 წ. ქ. პეტერბურგს და ავტოგრაფს წარ-
მოადგენს. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს ამ კრებულში
შემავალი თხზულება „სამოცეული“; მისი ავტორი დღემდის ცნო-
ბილი არ იყო და ახლა ირკვევა, რომ იგი თეიმურაზ ბატონიშვილის
თხზულებას უნდა წარმოადგენდეს.

შ. გოზალიშვილმა, აგრეთვე გეგმის გარეშე, დაამუშავა თემა:
„სხვიტორელის ვინაობის საკითხისათვის“. როგორც ირკვევა, ამ
ცნობილი ფსევდონიმის მატარებელი ყოფილა დავით წერეთელი —
უფროსი ძმა დიდი პოეტი აკაკისა და არა თვითონ აკაკი, როგორც
დღემდის ითვლებოდა.

ისტორიის განცოლილებაში:

1945 წელს მოწყობილ სამარშრუტო-არქეოლოგიური ექსპედიციით მოპოვებული-შასალების ლაბორატორიული და კამერალური დამუშავების შედეგად აკად. წევრ-კორ. ბ. კუფტინმა შეადგინა ნაშრომი თემაზე „მდინარეების ლიახვის, ფრონისა და ყვირილის აუზებში მოწყობილი 1945 წლის სამარშრუტო - არქეოლოგიური ექსპედიციის მასალები“.

ნაშრომი შეიცავს:

წინასწარ არქეოლოგიურ გამოკვლევას სტალინირის მახლობლად მდებარე საკულტო ბორცვის ნაცარგორასი;

საკულტო ბორცვებისა და სამარხების არქეოლოგიური დაზერვის შედეგებს ავლევში, ნულში, ჯავაში, სტირფასში და სხვა;

„ცარცატეს“ ძველი დასახლებული ადგილების და სამხრეთი ოსეთის ციკლოპური სიმაგრეების არქეოლოგიური დაზერვის შედეგებს;

შუა და ძველი ბრინჯაოს ეპოქათა ყორლნისგარი ბორცვების არქეოლოგიურ დაზერვის შედეგებს საჩერეში (ცარცატესი) და ქორეთში.

ა. ი. ჯავახიშვილმა დაამუშავა თემა „არმაზის პიტიახშთა სამარხებში აღმოჩენილ ოქროს ნივთთა დამუშავების ტექნიკა“; 1940—1944 წლების არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილი ოქროს ნივთების დამზადების ტექნიკის შესწავლის საფუძველზე დადასტურებულია სამი ძირითადი სამისო ხერხი: ჩამოსხმა, ჭედვა და დაკავშირება.

თ. ლომოურმა დაამუშავა თემა „სოფ. ალში აღმოჩენილი განძის XIV ს. ჯუჩიდური ფული“. 1925 წელს სოფ. ალში აღმოჩენილი ჯუჩიდების ფულების განძის შესწავლით დაისკვნა: საქართველოში ჯუჩიდური ფული შემოდიოდა არა თითო-ოროლა ცალის რაოდენობით, არამედ მასიურადაც; ალის განძში შემავალი ჯუჩიდური ფული შემოსულია საქართველოში დარიალანით და არა დარუბანდის გზით და, დასასრულ, ალის განძის შესწავლა ავსებს წერილობით ცნობებს XIV ს. საქართველოსა და ოქროს ურდოს შორის არსებული ურთიერთობის შესახებ.

დ. კაპანაძემ დაამუშავა თემა „შენაშვნები უძველესი ქართული

ოქროს ფულის შესახებ“. ნაშრომი შეეხება ალექსანდრე მაკელო-
წელისა და ლისიმაქეს სტატერების მიბაძვებს. ავტორს აღნუსხუ-
ლი აქვს საქართველოში ასეთი მონეტების აღმოჩენის 36 შემთხვე-
ვა. შეკრებილი ცნობებისა და ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით
ლადგენილია, რომ მონეტების ორივე ჭავული ქართული წარმოშო-
ბისაა; ალექსანდრე მაკელონელის სტატერების მიბაძვები ჩნდება
ლასავლეთი საქართველოს მთიან აღგილებში, ხოლო ლისიმაქეს
სტატერების მიბაძვები კი—შავი ზღვის სანაპიროებზე. მიბაძვების
მოქრა დაწყებულია I საუკუნეში ჩვ. წ. აღ-დე და, როგორც ჩანს,
გრძელდებოდა ჩვ. წ. აღ. II საუკუნეშიაც.

თ. აბრამიშვილმა დაამუშავა თემა „ქართული ფულის დამლე-
ბი“, რომელიც მიზნად ისახავდა დამლების გადიდებული სურათე-
ბისათვის მასალების შემზადებას. ქართულ ფულზე მუშაობის
ღრის აღმოჩენილია ცამეტი სხვადასხვა სახის დამღა, მათ შო-
რის ცხრა დამღა აღწერილი აქვს ე. პახომოვს, ორი წარმოადგენს
უკვე ცნობილი დამლების სახესხვაობას, ხოლო ორი ახალია.

ეთნოგრაფიული განყოფილებაში:

ი. ნანობაშვილმა დაამუშავა თემა „ვაზის გაშენების ხალხური-
წესები ქიზიყში“, რომელშიაც განხილულია ვაზის გრშენების ძვე-
ლი წესები: ვაზის აჭრილი ლერწების ჩაყრა გაჭრილი მიწის კვალ-
ში—გაშენებისათვის და მთლიანი ვაზების გადაწვენა მიწის თხრი-
ლებში—განახლებისათვის.

მანვე. დაამუშავა მეორე თემაც: „გიორგი ბალიაურის საეთნო-
გრაფიო მასალები“.

ე. მაჭავარიანმა დაამუშავა თემა „ბავშვის აღზრდის წესები
მთიულეთში“ (აკვნის ხანში), სადაც დახსასიათებულია მთიულური-
აკვნის ტიპი და გარევეულია ბავშვის დაბადებასა და აღზრდასთან
დაკავშირებული წესები.

მეცნ. კანდ. ნ. რეხვიაშვილმა დაამუშავა თემა: „ოკრიბული რკი-
ნის დამუშავება“, რომელშიაც გარევეულ იქნა ოკრიბული რკინის
დამუშავების ძველი წესები.

გეოლოგიის განყოფილებაში:

განყოფილების კონსულტანტმა აკად. წევრ-კორ. ი. კაჭარავაშ
მეცნიერულად დაამუშავა ახალცხის მესამეულის აუზის მდი-
ჟარი პალეონტოლოგიური კოლექცია.

მეცნ. კანდ. მ. ფოფხაძემ საბოლოოდ დაამუშავა ცარცისა და შესამეულის მხართფეხიანების კოლექცია.

ი. ხეჩინაშვილმა აღწერა ცარცის ბელემნიტები და დაამუშავა თემა „საჭართველოს ცარცული ბელემნიტები“.

მუზეუმში სამუშაოდ მოვლინებულმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პალეონტოლოგიის ინსტიტუტის ღოქტორანტშან ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩმა აღწერა განყოფილებაში დაცული პირველყოფილი სპილოს *Elephas primigenius* Blum.-ის კბილი.

აკად. წევრ-კორ. ი. კაჭარავაძ დაამუშავა თემა „მასალები ახალციხის დეპრესიის გეოლოგიური განვითარების შესახებ“.

ბოტანიკის განყოფილებაში:

დამზადებულია დასაბეჭდად ორი მეცნიერული ნაშრომი: განყოფილების კონსულტანტის აკად. წევრ-კორ. დ. სოსნოვსკისა „Дубы Грузии из коллекции Т. Кохи, хранящиеся в гербарии Музея Грузии“ და ი. ღილევსკაიასი „Материалы к познанию листостебельных мхов Грузии“, ნაწილი I.

მეცნ. კანდ. ტ. ანჩაბაძე მუშაობდა თემაზე „ქაღალდის დამშელელი სოკოები“, რომელსაც მუზეუმისათვის სპეციფიკური ნიშვნელობა აქვს, რადგან იგი მიზნად იქანონის უძვირფასესი ხელნაწერების მოვლა-მომსახურებას, მათი დაავადებისაგან დაცვის წესების გამომუშავებას და ამ წესების პრაქტიკულ განხორციელებას.

ზოოლოგიის განყოფილებაში:

განყოფილებაში დაცული მასალების შესწავლისა და ბუნების წიაღში დაკვირვებების საფუძველზე ი. ჩხაკვიშვილმა დაამუშავა თემა „მასალები ქართლის ფრინველების ბიო-ეკოლოგიისათვის“. აგტორის დასკვნით: ქართლში მოსახლე ფრინველთა შორის სჭარბობენ ბეღურასნაირნი, ხოლო ამათგან პირველი ადგილი უჭირავთ მთის გრატასა და ჩიტ-ბატონას; შედარებით მრავლად ბუდობს გარეული მტრედი; სუბ-ალპურ ზონაში მცირე რაოდენობით მოიპოვება კავკასიის როჭო. ზოგი ფრინველი (ოვსადი, მთის გრატა) შედარებით დაგვიანებით ბუდობს, რაც ნაწილობრივ მათი საბუდარი აღვილების სიმაღლით აიხსნება.

განყოფილებაში დაცული მასალების მეცნიერულად შესწავლის საფუძველზე დამუშავდა სამი თემა მწერებისა და ფრინველების ჯავრცელების არეალების რუკების დართვით, სახელდობრ:

მეცნ. კანდ. ვ. ლევავა—„მასალები ქართლის ენტომოფაუნისათვეს“ (ხარაბუები), ა. ვაშაკიძე—„მასალები ქართლის ენტომოფაუნისათვეს“ (ქერცლფრთიანები) და ლ. ჩინჩალაძე—„ქართლის ბელურასნაირნი“.

ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიაში მიმღინარე სარესტავრაციო სამუშაოების პარალელურად წარმოებდა მეცნიერული კვლევაც.

ქიმიკოსი თ. გვალია მუშაობდა ლითონის ექსპონატების ქიმიური დამუშავების მეთოდებზე—სპილენძისა და მისი შენადნობების ნივთების გასუფთავებაზე. მან შეისწავლა საჩხერისა და თრიალეთის არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული კოლექციებიდან 11 ბრინჯაოს ნიმუშის შემაღენლობა; მიღებულია დასკვნა, რომ უძველესი ბრინჯაო წარმოადგენს თითქმის სუფთა სპილენძს 2–2,5% მინარევით (კალის, ტყვიის, ნიკელის და სხვა).

საანგარიშო წლის განმავლობაში მუზეუმის ოთხმა მეცნიერმა თანამშრომელმა დაიცვა საკანდიდატო ღისერტაცია: მ. ფოფხევაძე თემაზე „საქართველოს ცარცისა და პალეოგენის მხართფეხიანები“, ვ. პაპავაშ თემაზე „კავკასიის კოწახურები“, ტ. ანჩაბაძემ თემაზე „ბამბუკის მიკოფლორა საქართველოს სსრ პირობებში და მდგრ. ზოგიერთი მთავარი დავადება“ და ე. მეტრეველმა თემაზე „რამდენიმე საკითხი ნიზამისა და რუსთაველის ლიტერატურული ურთიერთობიდან“.

1946-წლს გამოიცა „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“ ტომი I და დასაბეჭდად გადაეცა ამ აღწერილობის III ტომი.

იბეჭდება აკად. ივ. ჭავახიშვილის წიგნი „სინას მთის ქართული ხელნაწერების აღწერილობა“ და მუზეუმის „მოამბის“ ორი მორიგი ტომი XIII და XIV.

მომზადდა დასაბეჭდად საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენების მაჩვენებელი, შედგენილი აკად. წევრ-კორ. გ. ჩიტაიად და მეცნ. კანდიდატების ვ. ვ. ბერიძისა და ა. აფაქიძის მიერ.

წლის განმავლობაში მუზეუმის განყოფილებათა სხდომებზე წა-

კითხულ იქნა 12 სამეცნიერო მოხსენება; ამას გარდა მოეწყო ორი საჯარო მოხსენება და მუზეუმის გარეთ მისმა თანამშრომლებმა წაიკითხეს 3 პოპულარული ლექცია.

წინა წლების მაგალითით ხელნაწერთა განყოფილებამ მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია ი. სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტებს სამუზეუმო მუშაობის პრაქტიკულად გაცნობაში.

ძველ ხელნაწერებზე მუშაობის გასააღვილებლად ხელნაწერთა განყოფილებამ დაამუშავა სქემა პოპულარული ნაშრომისათვის „ძველი საქართველოს საზოგადო მოღვაწეები სურათებსა და ავტოგრაფებში“, რომელიც საშუალებას მისცემს ფართო მკითხველს გაეცნოს საქართველოს გამოჩენილ სახელმწიფო, კულტურულ და სამხედრო მოღვაწეების სურათებს და ხელნაწერის ნიმუშებს—ავტოგრაფებს.

ნუმიზმატიკის კაბინეტის გამგის დ. კაპანაძის ინიციატივით აღიძრა საკითხი ძველი ქართული ფულის ლითონის მულაუების ტაბულების ანუ პლანშეტების დამზადებისა და გავრცელების შესახებ სკოლებსა და სამხარეთმცოდნეო მუზეუმებში; ეს საქმე პრაქტიკული განხორციელების გზაზეა.

მუზეუმის თანამშრომლები კონსულტაციას უწევდნენ სხვალ—სხვა სამეცნიერო დაწესებულებებსა და საჭავლებლებს—ქართველ მწერალთა მუზეუმის და პიონერთა სასახლის თანამშრომლებს, საშუალო სკოლის-მასწავლებლებსა და სხვა.

მუზეუმმა გაუგზავნა მარშალ ჩიობალსანის სახ. ულან-ბატორის ახლად დაარსებულ უნივერსიტეტს, ომის დროს დაზარალებულ კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტს და კიდევ რამდენიმე სხვა დაწესებულებას მათთვის საინტერესო თავისი სამეცნიერო გამოცემები.

საქართველოს სსრ სანარმოო ქალების შემსწავლელი საკაზო

თავმჯდომარე აკად. ნამდ. წევრი ა. თვალჭრელიძე

1946 წელს მოხდა საბჭოს მუშაობის მიმართულების შეცვლა და მისი შემადგენლობის გაფართოება. საბჭოს ამოცანად დაესახა ბუნებრივი საწარმოო ძალების კომპლექსური შესწავლის ორგანიზაცია უმთავრესად აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებათა ამ მუშაობაში ჩაბმის გზით. თვით საბჭოს კი დაევალა შეაჯამოს შის მიერ წარმოდგენილი გეგმით ჩატარებული მუშაობის შედეგები და შეამზადოს ღონისძიებანი ქვეყნის ბუნებრივი საწარმოო ძალების სამეურნეო ათვისების მიზნით.

გასულ წელს გადახალისდა საბჭოს შემადგენლობა. იგი 14 წევრისაგან შედგება და მათ შორის 10 აკადემიის ნამდვილი წევრია.

საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად გამოყოფილი არიან აგრეთვე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს, ტრესტი „საქნახშირის“ და საქართველოში სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის რწმუნებულის სამმართველოს წარმომადგენელი.

წლის განმავლობაში დამუშავდა ხუთი თემა.

თემას „ნახშირის რესურსები საქართველოში“ მიზნად ჰქონდა დასახული კომპლექსურ შრომაში ქვანახშირის მრეწველობის მდგრამარეობის ეკონომიკური ანალიზის მოცემა, საბადოთა გეოლოგიური თავისებურების გაშუქება და ჩვენი ნახშირების მოპოვებისა და გადამუშავების უახლოესი პერსპექტივების გარკვევა; თემამ განსაკუთრებული აქტუალობა მიიღო, რადგან ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ამუშავებით საქართველოს ნახშირის ბალანსს მეტად დაძაბული ხასიათი მიეცემა.

სსრ კავშირის დასავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს თხოვნით საბჭომ დაამუშავა საკითხთა კომპლექ-

სი, რომელიც დაკავშირებულია უშუალოდ საქართველოში ნახში-
რების რესურსების შესწავლასა და მათ სამეურნეო ათვისებასთან.
ეს შრომა ოთხი ნაწილისაგან შედგება — ეკონომიკური, გეოლოგი-
ური, სამთოტექნიკური და ტექნოლოგიური.

სამუშაო შესრულებულია სპეციალისტთა ბრიგადის მიერ აკად.
ნამდ. წევრების ა. თვალჭრელიძისა და გ. წულუკიძის ხელმძღვანე-
ლობით.

თემა „ჩათახის რკინის მაღნის გამოყენების შესაძლებლობა
ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისათვის“ დამუშავებულია საბ-
ჭოს. მიერ თვით მეტალურგიული ქარხნის დაკვეთით. არსებული
მასალების გულდასმითი და ყოველმხრივი შესწავლის შედეგად საბ-
ჭო იმ დასკვნამდე მივიღა, რომ ჩათახის რკინის მაღნის საბაზო
დღემდე მთლიანად შესწავლილი არ არის და პრობლემის გადასა-
ჭრელად აუცილებელია ამ საბაზოს პირველ რიგში გეოფიზიკური
გამოკვლევა, გეოლოგიური საძიებო რაზმის თანხლებით.

თემა „შავი ზღვის მაგნიტური ქვიშა, როგორც თიხის ხსნა-
რის „დამამძიმებელი“ მასალა“ შესრულდა სსრ კავშირის ნავოის
მრეწველობის სამინისტროს თხოვნით.

მაგნიტური ქვიშის შესწავლა აღნიშნული მიზნისათვის მიმდი-
ნარეობდა ტექნიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით, ხოლო მი-
სი გამოცდა წარმოებდა ჩვეულებრივ ხმარებაში მყოფ თიხებზე.
ამასთან ერთად შესწავლილია სხვადასხვა რეაგენტის გავლენა
დამძიმებული თიხის ხსნარების თვისებებზე.

გამოირკვა, რომ შეიძლება შავი ზღვის მაგნიტური ქვიშის გა-
მოყენება თიხის ხსნარის „დამამძიმებელ“ მასალად და მას ბარი-
ტის შეცვლა შეუძლიან, რაც „დამამძიმებელ“ მასალათა ბალანსის
დაძაბულობას შესაძინევად შეანელებს.

როგორც „დამამძიმებელი“ მასალა შესწავლილ იქნა აგრეთვე
დიაბაზი (ყაბბეგიტი) და ალავერდის პირიტი; პირველი არ გამოდ-
გება თიხის ხსნარის „დასამძიმებლად“, ხოლო ალავერდის პირიტი,
თუმცა თიხის ხსნარის კარგ „დამამძიმებელს“ წარმოადგენს, მაგრამ
საჭიროა მისი ხსნარებიდან რეეგენრაციის საკითხის შესწავლა.

ამ თემით მუშაობას ხელმძღვანელობდა პროფ. ს. ფილატოვი,
ხოლო მუშაობაში მონაწილეობდნენ მეცნ. კანდიდატები ნ. ლუცენ-
კო და ბ. ბარნოვი.

თემა „ქარის ენერგიის რესურსები საქართველოში“ წამოი-

ჭრა საბჭოს წინაშე საქართველოს ენერგეტიკის საკითხის კომპლექსურ შესწავლასთან დაკავშირებით. 1944 წ. საბჭოს მიერ დადგენილ იქნა ქარის ენერგიის საერთო თეორიული მარაგი რესპუბლიკაში და ამ მარაგის განაწილება რაიონების მიხედვით. 1945—46 წ. წ. მუშაობა წარმოებდა ქარის რეჟიმის შესასწავლად ნავთლულ-რუსთავის, დილომისა და სამგორის რაიონებში, რათა შემზადებულიყო მასალები ქარის ენერგიით მომუშავე დანადგარების დასაპროექტებლად.

მუშაობის შედეგებმა პრაქტიკული გამოყენება ჰქოვა—მათი მონაცემების საფუძველზე 1946 წელს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო შეუდგა ქარის დანადგარის დაპროექტების დილომის საბჭოს მეურნეობისათვის; ამ დანადგარის პირვანდელი სიმძლავრე—15 კვტ. შემდეგში გაფართოებული იქნება 100 კვტ-დე (მეც. დოქტ. ა. ბალაბუევი და ინჟ. ნ. მესხი).

თემით „ახალცხე-აღიგენ-ასპინძის რაიონებში სამეურნეო მშენებლობის მიმართულების გამოვლენა“ 1946 წელს შედგენილია აღნიშნული რაიონების ნიადაგების რუკა; შესწავლილია მათი ჰიდროენერგეტიკული რესურსების პოტენციალური მარაგი და ელექტრომობარაგების არსებული სისტემა; მოცემულია კლიმატური და ხასიათება, სოფლის მეურნეობის ზოგიერთი დარგის (მებოსტნეობა, მევენახეობა და ნაწილობრივ მეხილეობა) განვითარების პერსპექტივა და საირიგაციო სამუშაოთა მდგომარეობა.

ზოგ სამუშაოს საბჭოს დავალებით ასრულებდა სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს მინერალური ნედლეულის საკავშირო ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი; გამოირკვა, რომ ელიაწმინდისა და ბალაჯურის საბაზოს თიხები კარგ ნედლეულს წარმოადგენს აგურის, კრამიტისა და თიხის ჭურჭლეულის დასამზადებლად; ვარძის რაიონის ვულკანური ტუფები და ბრეგჩიები გამოდგებიან ჰიდრავლურ დანამატად კირისა და თაბაშირის წარმოებაში და, დასასრულ, პეტრეინი შეიძლება გამოყენებულ იქნას მინის ჭურჭლეულის წარმოებაში.

თანამედროვე ქართული სალიგერაზურო ენის განვარჩევითი ლექსიკონის კომისია

თავმჯდომარე აკად. ნამდ. წევრი ა. ჩიქობავა

ლექსიკონის კომისია შედგებოდა ხუთი წევრისაგან—აკად. ს. ჯანაშია, აკად. ნამდ. წევრები: გ. ახვლედიანი ა. ჩიქობავა, გ. წერეთელი და აკად. წევრ-კორ. ვ. მ. ბერიძე. წევრებს გარდა ლექსიკონის მუშაობაში უახლოეს მონაწილეობას იღებდნენ მეცნ. კანდიდატები ს. იორდანიშვილი, ს. ვაჩაძე და ს. მენთეშაშვილი.

საანგარიშო წლის განმავლობაში შეიცსო I ტომის სიტყვანი და ნაწილობრივ დაგროვდა მასალა შემდეგი ტომებისათვის (ზმნური ერთეული—47,407 და ექსპედიციებში მოპოვებული 8.000 სიტყვა).

რეცენზია გაუკეთდა II ტომის სიტყვანს მხატვრული სიტყვის ოსტატების მიერ (აკად. ნამდ. წევრი ი. გრიშაშვილი, ი. ზურაბი-შვილი, დ. კასრაძე, თ. სახოკია).

ამოიწერა საილუსტრაციო მასალა—481538 საინდექსო და 337953 საილუსტრაციო ბარათი.

მთელი ეს მასალა გაიწყო ანბანზე, ხოლო 1945 წელს ამოწერილი ზმნის საილუსტრაციო მასალა 74011 ც. ბ. რაოდენობით ფუძეზე სქემად დალაგდა.

განმარტებაზე 16 ^{*} კაცი მუშაობდა (მოწევევით). განიმარტა და მომზადდა სარელაქციოდ 13.078 სიტყვა-სტატია (გეგმით გათვალისწინებული იყო 12.000 სიტყვა-სტატია); განმარტებული მასალა უდრის დაახლოებით 65 სავტორო თაბახს.

მუშაობდა სამი სარელაქციო ქვეკომისია: I. აკად. წევრ-კორ. ვ. მ. ბერიძე (თავმჯდომარე), მეცნ. კანდ. ს. მენთეშაშვილი (მდივანი) და ა. მაყაშვილი; II. აკად. წევრ-კორ. გ. წერეთელი (თავმჯდომარე), მეცნ. ლოეტ. ქ. ლომთათიძე (მდივანი) და ი. ზურაბიშვილი; III. მეცნ. კანდ. ს. ვაჩაძე (თავმჯდომარე), ნ. საყვარელიძე (მდივანი) და თ. სახოკია. სამივე ქვეკომისიის სხდომებს მეტწილად ესწრებოდა კომისიის თავმჯდომარე აკად. ნამდ. წევრი ა. ჩიქობავა.

რედაქტია გაუკეთდა 3.600 სიტყვა-სტატიას, დაახლოებით 16,2 თაბახს.

საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონის შესამოწმებლად და ახალი სიტყვების შესაგროვებლად აკად. ნ. მარის სახ. ენის ინსტიტუტის სალექსიკოლოგიო განყოფილების თანამშრომლები და ასპირანტები გაიგზავნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: ფშავს (მეცნ. კანდ. რ. გაგუა), ხევსურეთს (ნ. საყვარელიძე), არაგვის ხეობაში—დუშეთის რაიონში (ბ. საბაშვილი), ალგეთის ხეობაში (მეცნ. კანდ. ს. მენთეშაშვილი), ატენის ხეობაში (ო. კახიძე), ბორჯომის ხეობაში (ლ. ასათიანი), ზემო იმერეიას (ნ. საბაშვილი და ბ. წერეთელი) და ქვემო რაჭას (მეცნ. კანდ. ს. იორდანიშვილი).

მოგროვდა და შემოწმდა 8.000 სიტყვამდე.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დაგდენი მუდმივი სახელმწიფო კომისია ჩამოყალიბდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 25 მაისის დადგენილებით შემ- დეგი შემადგენლობით: აკად. ს. ჯანაშია (თავმჯდომარე); წევრები: აკად. ნამდ. წევრი გ. ახვლედიანი, აკად. წევრ-კორ. ვ. მ. ბერიძე, შ. გამყრელიძე, ვ. ეგნატაშვილი, აკად. ნამდ. წევრი ვ. თოფურია, მეცნ. კანდ. ს. იორდანიშვილი, აკად. ნამდ. წევრები კ. კეკელიძე და ნ. კეცხოველი, ბ. ნანიტაშვილი, გ. ქიქოძე, მეცნ. ღოქტ. ს. ყა- უხჩიშვილი, აკად. ნამდ. წევრები ა. შანიძე და ა. ჩიქობავა, ს. ჩი- ქოვანი, აკად. ნამდ. წევრი გ. წერეთელი. კომისიის მდივნად მოწ- ვეულ იქნა. მეცნ. კანდ. ი. გიგინეიშვილი.

კომისია მუშაობას შეუდგა 1946 წლის 1 ივნისიდან წინასწარ
შედგენილი კალენდარული გეგმის მიხედვით. კომისიის სხდომები
ტარდებოდა რეგულარულად. 1946 წლის განმავლობაში ჩატარდა
14 სხდომა, რომლებზედაც განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

1. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა
დადგენის პრინციპები;

2. ვითარებითი და წოდებითი ბრუნვების დაბოლოებანი;

3. მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან (წითელი დრო-
შის თუ წითელ დროშის?);

4. ნანათესაობითარი მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან
(წიგნს ამხანაგისას თუ წიგნს ამხანაგისა?);

5. - მე, - ვე, - ღა, - ღაც (ა) ნაწილაკიან სახელთა ბრუ-
ნება;

6. საღავო საკითხები დროთა პირველსა და მეორე ჯგუფში
(- ღნენ თუ - ღენ? - ნენ თუ - ენ?);

7. საღავო საკითხები დროთა მესამე ჯგუფის წარმოებისას
(ვშობილვარ თუ შობილვარ? გაუტეხია თუ გაუტეხია? გაუტედავს

თავმჯდომარე აკად. ს. ჯანაშია

თუ გაუბედნია? ვყოფილიყავ თუ ვყოფილვიყავ? შევკითხებოდი თუ შევკითხებიყავ?);

8. სუბიექტის - ს ობიექტის მრავლობითობის - თ - ს წინ (გთხოვსთ თუ გთხოვთ ის თქვენ?);

9. -ურ და -იურ ბოლოსართთა ხმარებისათვის ნასესხებ სიტყვებში;

10. ქართული კომპოზიტების დაწერილობა;

11. უცხო სიტყვათა ქართულად გადმოცემის საკითხები;

12. ე და უმახვილო ი-ს შემცველ რუსულ სიტყვათა გადმოცემა ქართულში;

13. გერმანული ეს დიფორნგის გადმოცემისათვის ქართულში;

14. ეკროპის ენებიდან მომდინარე 1a და 1b ჯგუფებიანი სიტყვების გადმოცემა ქართულში.

ყველა ეს სადაც საკითხი გადაწყვეტილია და მიღებულია სათანადო დადგენილებები.

მუშაობის პროცესში წამოიჭრა სადაც საკითხები, რომელთა შესახებ აგრეთვე მიღებულია სათანადო დადგენილებები. ასეთებია:

1. თბილისის ქუჩების სახელწოდებათა დაზუსტება (მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მომართვის საპასუხოდ);

2. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ქართული თარგმანების შემოწმება (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მომართვის საპასუხოდ).

3. შემოსულ საკითხთაგან:

ა) ნაცვალსახელთა ხმარება თანდებულებთან (ჩვენ მიერ თუ ჩვენს მიერ?);

ბ) სახელისადა მამის სახელის დაწერილობა (თამარ ივანეს ასული თუ თამარ ივანეს-ასული? გიორგი პეტრეს ძე თუ გიორგი პეტრეს-ძე?);

გ) მათემატიკური გამოთქმა: სათვლელზე ჩავიდეთ რას თუ რა? (საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომართვის საპასუხოდ);

დ) თვისა თუ რიცხვის სახელწოდებათა ერთად ხმარება (25 თებერვალს თუ თებერვლის 25-ს?).

სხვა დასმულ სადაც საკითხთა შესახებ მოპოვებულია მასალები კომისიაში წარმოსადგენად:

1. თანხმოვანთა კომპლექსის შემცველ ბერძნულ და ლათინურ სიტყვათა ვაღმოცემა ქართულში;

2. ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე სიტყვათა ინდექსი;

3. რიგობითი რიცხვითი სახელის ადგილისათვის მსაზღვრელთა შორის (ვაჟთა მეორე სკოლა თუ მეორე ვაჟთა სკოლა?);

4. ღროთა მესამე ჯგუფის წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები: 1. - ავ სუფიქსიანი ზმნების წარმოება თურმეობითი I-ის I და II პირში (დამიხატავხარ თუ დამიხატვიხარ?), 2. გარდაუვალ ზმნათა თურმეობითი I-ის ფორმათა წარმოება (უცხოერნია თუ უცხოვრია? უთამაშნია თუ უთამაშია?);

5. - მა ელემენტიან ბერძნულ სიტყვათაგან ზედსართავის წარმოება -ურ სუფიქსით ქართულში (სქემა: სქემატური თუ სქემური?);

6. -ია და -იე დაბოლოებებიანი უცხო სიტყვების გაღმოცემა -ურ სუფიქსით ქართულში;

7. ზმნიზედების ხმარება მიცემითსა და სახელობით ბრუნვაში (ბრძოლა გაგრძელდა სამ დღეს თუ სამი დღე?);

8. სახელთა ბრუნვები სამპირიან ზმნებთან (დასძლია მას თუ დასძლია იგი? დაპატიჟა მას თუ დაპატიჟა იგი?);

დამუშავებულია სადაც საკითხთა პროექტები და წარმოდგენილია კომისიაში განსახილველად (ზოგი მათვანის შესახებ მოსმენილია მოხსენებები და მიმდინარეობდა მსჯელობა):

1. შემასმენლის ადგილი მარტივ და რთულ წინადაღებაში;

2. სიტყვების დალაგების წესი რთულ ქვეწყობილ წინადაღებაში;

3. სიტყვების დამარცვლისა და სტრიქონიდან სტრიქონში გადატანისა და პუნქტუაციის წესები;

4. შემასმენლის შეთანხმება ქვემდებარესთან რიცხვში (ხეები დფას, თუ ხეები დგანან?);

5. მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან რიცხვში;

6. პ- და ს- პრეფიქსების ხმარება ქართულ ზმნებში.

კომისიის მიერ მიღებული ყველა დადგენილება მზადდება გამოსაქვეყნებლად.

სამამულო ოშის გენერალული ქომისია

თავმჯდომარე აკად. ნამდვ. წევრი გ. ხაჭაპურიძე

კომისია განაგრძობდა დოკუმენტებისა და მასალების შეკრებას საქართველოს სსრ მონაწილეობის შესახებ გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხების ბრძოლაში. კერძოდ იკრიბებოდა მასალა: ქართული დივიზიების ისტორიიდან, საბჭოთა გმირ ქართველებზე, ქართველ პარტიზანებზე, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ ფაშისტების მიერ დროებით დაპყრობილ საბჭოთა ტერიტორიების განთავისუფლებაში და ბრძოლაში ფაშისტების წინააღმდეგ საფრანგეთსა, იტალიასა და პოლანდიაში, ლაზილდოებულებზე, კავკასიის დაცვასა და ფრონტისათვის. ზურგის მუშაობის თაობაზე და სხვა.

1946 წლამდე კომისია კმაყოფილდებოდა მასალების შეკრებითა და მათი პირველადი მეცნიერულ-ტექნიკური დამსუბავებით. 1946 წლიდან იგი შეუდგა ცალკეული მასალების შემოწმებას, მათში აღნუსხული ფაქტების სინამდვილის გამოსარკვევად. დაიწყო აგრეთვე წინასწარი ნარკვევების შედგენა სამი ქართული დივიზიის ისტორიისათვის და ქართველ პარტიზანთა საბრძოლო მოქმედების შესახებ ჩრდილოეთ იტალიასა და პოლანდიაში. დამთავრებულია სამამულო ომის განმავლობაში საქართველოს სსრ-ში ტომბლარი უმნიშვნელოვანესი ამბების წინასწარი ქრონიკის წერტილებით.

კომისიას მოეპოვება გაზეთების კომპლექტები, რომელთაც ქართული დივიზიების პოლიტგანყოფილებები სცემდნენ ფრონტზე, ქართველ მეთაურთა, პარტიზანთა და საბჭოთა კავშირის გმირთა ძეირთასი ცნობები, საბრძოლო მოქმედებათა დღიურები, საბრძოლო ოპერაციების რუკები, პოლიტგანყოფილებათა მიმოხილვები და სხვა დოკუმენტები. მასალებისა და დოკუმენტების შეკრების საქმეში კომისია მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართული დივიზიების პოლიტგანყოფილებათა მუშაკებთან და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოსთან.

1946 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო ორი მონოგრაფიის გამოცემა (მეცნ. კანდ. ნ. ჩახაშვილი) და „ქართველი პარტიზანები ჩრდილოეთ იტალიაში“ (მეცნ. კანდ. ნ. ჭეიშვილი). ეს ნაშრომები ძირითადად დამთავრებულია.

კომისიის სწავლულმა მდივანმა დ. ზავრიევმა დაიცვა ღისერ-ტაცია მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაბოვებლად თემაზე „ყარსე, არტაანი, ართვინი ქემალისტთა ხელისუფლების ქვეშ“.

ბ ი ბ ლ ი მ თ ვ კ ე ბ ი

აკადემიის ყველა დაწესებულებას აქვს ბიბლიოთეკა. ყოველი მათგანის დაკომპლექტება ინსტიტუტის სპეციალობისა და მისი მუშაობის მასშტაბის შესაბამისად ხდება. მათ შორის რამდენიმე ძველი ბიბლიოთეკაა (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, ბოტანიკის ინსტიტუტისა და სხვა), რომელთაც ათეული წლების განმავლობაში კავშირი ჰქონდა მრავალ სამეცნიერო დაწესებულებასთან და აწარმოებდა მათთან ლიტერატურის გაცვლას. ასეთ ბიბლიოთეკებს შედარებით უფრო დიდი წიგნობრივი ფონდებიც აქვს. წიგნების რაოდენობის მხრივ და სპეციალური ლიტერატურით დაკომპლექტების თვალსაზრისით განსაკუთრებით განირჩევა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიბლიოთეკა (42.265 წიგნი), აკად. ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა (56.788 წიგნი), ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა (19.000 წიგნი), ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა (15.254 წიგნი), ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა (15.424 წიგნი), ქიმიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა (19.000 წიგნი), გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა (13.647 წიგნი) და სხვა.

აკადემიის ცენტრალური (ფუნდამენტური) ბიბლიოთეკა აკადემიის ახალი დაწესებულებაა, მაგრამ სწრაფად იზრდება და ვითარდება. მას მოსდის მთელი სსრ კავშირიდან წიგნების სავალდებულო ეგზემპლარები, რაც ბიბლიოთეკას წაყვან როლს ანიჭებს. ცენტრალურ ბიბლიოთეკას დაკისრებული აქვს აგრეთვე უცხოური ლიტერატურის მიღება აკადემიის ყველა სამეცნიერო დაწესებულებისათვის და მათ შორის ამ ლიტერატურის განაწილება.

სულ 1947 წლის იანვრისათვის აკადემიის სისტემაში შემავალი ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდები შეადგენდა 540.936 წიგნერთეულს; უმთავრესად ეს არის ლიტერატურა ქართულ და რუსულ ენებზე, მაგრამ დიდ ნაწილს შეადგენს ლიტერატურა სსრ კავშირის სხვა ხალხთა ენებსა და აგრეთვე უმთავრეს ევროპულ ენებზე.

1946 წელს შეძენილია მეცნიერული ლიტერატურა სსრ კავშირის ხალხთა ენებზე—15880 წ., მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურა—2120 წ., უცხოური წიგნები—3187 ც. და უურნალები—8558 ც. უფასო სავალდებულო ეგზემპლარის სახით ცენტრალურ ბიბლიოთეკას 18.000 წიგნამდე მოუვიდა; სხვადასხვა წყაროებიდან (შემოწირვა, გადაცემა და სხვა) ინკორპორირებულია 986 წ.; მეცნიერული შრომების გაცვლის წესით მიღებულია 1202 წ.

ამრიგად წლის განმავლობაში ყველა ბიბლიოთეკის მიერ მიღებულია 49933 წიგნ-ერთეული. ამის გარდა ბიბლიოთეკებს შეემატა გაზეთების 310 წლიური კომპლექტი. მათ მიერ დაკვეთილი და მიღებულია 49 როტოკოპია:

ბიბლიოგრაფიულ მომსახურებას ბიბლიოთეკები აწარმოებენ როგორც გეგმით გათვალისწინებული თემების მიხედვით, აგრეთვე სეცნიერ თანამშრომელთა შეკითხვების პასუხად; გაცემულია 1899 ბიბლიოგრაფიული ცნობა (თითო მათვანი რამდენიმე სახელწოდებას შეიცავს).

ბიბლიოთეკები მომსახურებას უწევენ მეცნიერ თანამშრომლებს როგორც თვით დაწესებულებებში, აგრეთვე წიგნებისა და გაზეთების საშინაოდ გაცემით. სულ 1946 წლის განმავლობაში მომსახურება გაეწია 1073 პირს და გაიცა 42983 წიგნ-ერთეული.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის განყოფილება
რიცხვების შემაგრება

	განყოფილების წევრთა რიცხვი				
განყოფილების სახელწოდება	სამართლებრივი მინისტრის მიერ მიღებული მიზანი	სამართლებრივი მინისტრის მიერ მიღებული მიზანი	სამართლებრივი მინისტრის მიერ მიღებული მიზანი	პროცესური	ე/ს
1. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	—	19	6	—	25.
2. მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა განყოფილება	—	7	1	—	8.
3. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება	—	3	6	2	11.
4. ტექნიკის მეცნიერებათა განყოფილება	—	4	2	—	6.
5. ბიოლოგისა და მედიცინის მეცნიერებათა განყოფილება	1	8	4	—	13
სულ	1	41	19	2	63

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის განყოფილებათა
პესონალის შემაღლება

საზოგადოებრივი გაცნობისათვის განყოფილება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები:

ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი გიორგი სარიდანის ძე (ენათმეცნიერება — ზოგადი და შედარებითი ინდო-ევროპული)

ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (ისტორია)

გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა კონსტანტინე სიმონის ძე (მწერალი)

გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი იოსებ გრიგოლის ძე (მწერალი)

თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ექვთიმე სიმონის ძე (ისტორია)

თ თ ფ უ რ ი ა ვარლამ ტრიფონის ძე (ენათმეცნიერება — ქართველური და მთის კავკასიური ენები)

კ ე კ ე ლ ი ძე კორნელი სამსონის ძე (ქართული ლიტერატურის ისტორია)

კ უ ფ ტ ი ნ ი ბორის ალექსის ძე (არქეოლოგია)

ლ ე ო ნ ი ძე გიორგი ნიკოლოზის ძე (მწერალი)

ნ უ ც უ ბ ი ძე შალვა ისაკის ძე (ფილოსოფია)

ტ ა ბ ი ძე გალაქტიონ ვასილის ძე (მწერალი)

უ ზ ნ ა ძე ლიმიტრი ნიკოლოზის ძე (ფსიქოლოგია)

შ ა ნ ი ძე აკაკი გაბრიელის ძე (ქართული ფილოლოგია)

შ ა რ ი ა პეტრე ათანასეს ძე (ფილოსოფია)

ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნოლდ სტეფანეს ძე (ენათმეცნიერება — ქართველური და მთის კავკასიური ენები).

ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი გიორგი ნიკოლოზის ძე (ხელოვნებათმცოდნეობა — ქართული ხელოვნების ისტორია)

წ ე რ ე თ ე ლ ი გიორგი ვასილის ძე (აღმოსავლური ფილოლოგია - სემიტური ენები)

ხ ა ჭ ა პ უ რ ი ძე ვიორგი ვასილის ძე (სსრ კავშირის ისტორია)

ჯ ა ნ ა შ ი ა სიმონ ნიკოლოზის ძე (ისტორია)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები:

ბ ა რ ა მ ი ძ ე ალექსანდრე გორგის ძე (ქართული ლიტერატურის ისტორია)

ბ ე რ ი ძ ე ვუკოლ მიხეილის ძე (ქართული ფილოლოგია)

დ ო ნ დ უ ა კარპეზ დარისპანის ძე (ქართული ფილოლოგია)

მ ა ც უ ლ ე ვ ი ჩ ი ლეონიდე ანტონის ძე (ხელოვნებათმცოდნეობა—ქართული ხელოვნების ისტორია)

ნ ი ო რ ა ძ ე გიორგი ყაფლანის ძე (არქეოლოგია)

ჩ ი ტ ა ი ა გიორგი სპირიდონის ძე (საქართველოს ეთნოგრაფია)

მათემატიკისა და გულებისეთზელების მიცნობებათა განყოფილება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები:

ვ ე კ უ ა ილია ნესტორის ძე (მათემატიკა)

დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი ლეო შიოს ძე (პალეონტოლოგია)

თ ვ ა ლ ჭ რ ე ლ ი ძ ე ალექსანდრე ანტონის ძე (მინერალოგია)

კ უ პ რ ა ძ ე ვიქტორ დიმიტრის ძე (მათემატიკა)

მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ნიკოლოზ ივანეს ძე (მათემატიკა)

ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (საქართველოს გეოგრაფია)

ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე ალექსანდრე ილარიონის ძე (გეოლოგია)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები, რომლებიც შედიან აგრეთვე სხვა განყოფილებაში:

ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე იოველ გრიგოლის ძე (ფარმაკოქიმია)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

წევრ-კორესპონდენტები:

კ ა ჭ ა რ ა ვ ა ივანე ბესარიონის ძე (გეოლოგია)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები, რომლებიც შედიან აგრეთვე სხვა განყოფილებაში:

ქ ო მ ე თ ი ა ნ ი პეტრე ანტონის ძე (ბიოქიმია)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნაშდვილი წევრები:

გულისაშვილი ვასილ ზაქარიას ძე (მეტყველება)

ერიცოველი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (ბოტანიკა)

კვარაცხელია ტარასი ყარამანის ძე (აგრონომია)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

წევრ-კორესპონდენტები:

დეკაპრელევიჩი ლეონარდ ლეონარდის ძე (სელექცია და
მეთესლეობა)

კალანდაძე ლეონიდე პოლიევექტოს ძე (უნტომოლოგია)

ლომოური იულინ ნიკოლოზის ძე (მემკენარეობა)

საბაშვილი მიხეილ ნიკოლოზის ძე (ნიადაგთმცოდნეობა)

სოსნოვსკი ლიმიტრი ივანეს ძე (ბოტანიკა)

ყანჩაველი ლევან ალექსის ძე (ფიტოპათოლოგია)

პროფესორები:

ბათიაშვილი ირაკლი ლიმიტრის ძე (ენტომოლოგია)

გედევანიშვილი ლიმიტრი პანტელეიმონის ძე (ნიადაგთ-
მცოდნეობა)

ტექნიკის მეცნიერებათა განყოფილება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნაშდვილი წევრები:

აგლაძე რაფიელ ილიას ძე (მეტალურგია და ქიმიური ტექნო-
ლოგია)

დიდებულიძე ალექსანდრე იოსების ძე (ელექტროტექნიკა)

ზავრიევი კირიაკ სამსონის ძე (სააღმშენებლო მექანიკა)

წულუკიძე გრიგოლ ანტონის ძე (სამთო საქმე) უ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნაშდვილი წევრები,

რომლებიც შეღიან აგრეთვე სხვა განყოფილებაში:

თვალჭრელი ძე ალექსანდრე ანტონის ძე (მინერალოგია)

მუსხელიშვილი ნიკოლოზ ივანეს ძე (მათემატიკა)

ჯანელი ძე ალექსანდრე ილარიონის ძე (გეოლოგია)

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტები:**

გედევანიშვილი გიორგი ქონსტანტინეს ძე (ლითონთა ტექ-
ნოლოგია)

მუხაძე გიორგი მიხეილის ძე (სააღმშენებლო მექანიკა)

ბიოლოგიისა და გელიცინის მეცნიერებათა განყოფილება
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები:

ალადაშვილი ალექსანდრე სტეფანეს ძე (შინაგანი სწორებანი)

ბერიტაშვილი ივანე სოლომონის ძე (ფიზიოლოგია)

ზაიცევი ფილიპე ალამის ძე (ზოოლოგია)

მუხაძე გრიგოლ მიხეილის ძე (ქირურგია)

ნათიშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (ანატომია)

ყიფშიძე ნიკოლოზ ანდრიას ძე (შინაგანი სწორებანი)

ქუთათელაძე იოველ გრიგოლის ძე (ფარმაკოქიმია)

ჭინამდლორიშვილი მიხეილ დოროთეს ძე (შინაგანი სწორებანი)

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები,
რომლებიც შედიან აგრეთვე სხვა განყოფილებაში:**

კეცხოველი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (ბოტანიკა)

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტები:**

ასათიანი ვლადიმერ სამსონის ძე (ბიოქიმია)

გედევანიშვილი დიმიტრი მიხეილის ძე (ფიზიოლოგია)

ულენტი ვლადიმერ ყაფლანის ძე (პათოლოგიური ანატომია)

ქომეთიანი პეტრე ანტონის ძე (ბიოქიმია)

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენ-
ტები, რომლებიც შედიან აგრეთვე სხვა განყოფილებაში:**

კალანდაძე ლეონიდე პოლიევქტოს ძე (ენტომოლოგია)

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერ
თანამშრომელთა რიცხობრივი შემადგენლობა**

ნომერი		1946 წ. 1-ლი იანვრის- თვის	1947 წ. 1-ლი იანვრის- თვის
1	აკადემიის საპატიო წევრი	2	1
2	" ნამდვილი წევრი	29	41
3	" წევრ-კორესპონდენტი	13	19
	ს უ ლ · · · · ·	41	61
	აქედან: а) საქ. კ. პ. (ბ) წევრი და წევრობის კანდი- დატი	12	21
	ბ) ქართველი	38	54
4	მეცნიერი თანამშრომელი (აკადემიის წევრთა გა- მოყლებით)	647	736
5	ასპირანტი	80	89
	ჯ ა მ ი · · · · ·	769	886
	აქედან: а) საქ. კ. პ. (ბ) წევრი და წევრობის კანდი- დატი	159	290
	ბ) ქართველი	608	768
	გ) მეცნიერებათა დოქტორი	96	102
	დ) " კანდიდატი	282	358

საანგანო მაჩვენებელი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრებისა,
ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტებისა

პალაძე რ. 4, 5, 6, 93, 154, 156, 157, 215.

ალადაშვილი ა. 5, 170, 216.

ასათიანი ვ. 5, 170, 185, 216.

ახვლედიანი გ. 4, 29, 42, 43, 44, 45, 189, 203, 205, 213.

ბარამიძე ა. 5, 32, 47, 51, 52, 214.

ბერიტაშვილი ი. 4, 163, 165, 170, 175, 177, 178, 216.

ბერიძე ვ. მ. 5, 32, 44, 203, 205, 214.

ბერძენიშვილი გ. 30, 54, 57, 213.

გამსახურდია კ. 213.

გეღვევანიშვილი გ. კ. 216.

გეღევანიშვილი დ. მ. 5, 165, 170, 176, 178, 216.

გრიშაშვილი ი. 5, 32, 203, 213.

გულისაშვილი ვ. 5, 125, 130, 715.

დავითაშვილი ლ. 214.

დეკაპტელევიჩი ლ. 215.

დიდებულიძე ა. 159, 215.

დონდუა კ. 214.

გეჯუა ი. 1, 4, 5, 93, 94, 95, 96, 97, 98, 214.

გორონინი ვ. 166, 174.

გავრიელი კ. 154, 161, 162, 215.

გაიცევი ფ. 169, 171, 172, 216.

თაყაიშვილი ე. 5, 32, 92, 213.

თვალჭრელიძე ა. 200, 214, 215.

თოფურია ვ. 29, 34, 37, 45, 205, 213.

ქალანდაძე ლ. 5, 215, 216.

კაჭარავა ი. 108, 190, 196, 197, 214.

კეცელიძე კ. 4, 29, 30, 47, 51, 52, 205, 213.
კეცხოველი გ. 117, 119, 205, 215, 216.
კვარაცხელია ტ. 215.
კუფტინი ბ. 5, 32, 190, 195, 213.
კუპრაძე ვ. 3, 5, 93, 214.

ლეონიძე გ. 213.
ლომოური ი. 5, 215.

მაცულევიჩი ლ. 5, 33, 214.
მუსხელიშვილი ნ. 5, 6, 95, 96, 97, 98, 214, 215.
მუხაძე გ. მ. 169, 170, 182, 183, 216.
მუხაძე გრ. გ. 5, 154, 216.

ნათიშვილი ა. 163, 168, 169, 170, 179, 181, 216.
ნიორაძე გ. 5, 193, 214.
ნუცუბიძე შ. 4, 79, 80, 81, 213.

ჟლენტი ვ. 5, 169, 170, 184, 216.

საბაშვილი გ. 4, 113, 137, 215.
სოსნოვსკი დ. 119, 215.

ტაბიძე გ. 213.

უზნაძე დ. 32, 82, 83, 85, 213.

შომეთიანი პ. 4, 93, 170, 177, 214, 216.
ქუთათელაძე ი. 5, 93, 170, 214, 216.

შანჩაველი ლ. 5, 133, 136, 215.
ყიფშიძე გ. 5, 170, 216.

შანიძე ა. 29, 205, 213.
შარია პ. 5, 6, 31, 78, 79, 81, 213.

ჩიტაია გ. 31 64, 67, 73, 198, 214.
ჩიქობავა ა. 4, 30, 37, 39, 40, 45, 203, 205, 213..
ჩუბინაშვილი გ. 4, 5, 31, 74, 76, 77, 213.

Պյուրետյան թ. 5, 30, 32, 33, 41, 203, 205, 213.

Վոնաթելզրովովով թ. 5, 170, 184, 216.

Վուլույսից թ. 5, 154, 155, 158, 215.

Տագապշորուց թ. 85, 208, 213.

Հայածնովովով օ. 94, 113, 114, 214,

Հանա՛նու և. 6, 7, 31, 54, 57, 59, 73, 203, 205, 213.

Հանյովով օ. 93, 94, 108, 109, 111, 114, 215.

საანგანო გაჩვენებელი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებისა

აბასთუმნის სამთო ასტროფიზიკური ობსერვატორია 12, 93, 115.

აგროქიმიისა, და მელიორაციის ინსტიტუტი 5, 12, 117.

ანტისეისმური მშენებლობის ბიურო 161.

აფხაზეთის ასსრ სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტი აკად. ნ. მარის სახ. 16, 17, 186.

ბოტანიკის ინსტიტუტი 12, 117, 119.

ბოტანიკური ბალი თბილისისა 12, 13, 125.

ბოტანიკური ბალი სოხუმისა 12, 13, 128.

გეოგრაფიის ინსტიტუტი ვაჭუშტის სახ. 12, 43, 113.

გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტი 11, 93, 108.

ენერგეტიკის სექტორი 15, 159.

ენის ინსტიტუტი აკად. ნ. მარის სახ. 7, 8, 29, 34, 204.

ეკონომიკის ინსტიტუტი 7, 10, 29, 32, 86.

ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი 5, 15, 163, 179.

ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტი 5, 15, 16, 163, 182.

გარძიის მუზეუმ-ნაკრძალი 7, 9, 24, 40.

ზოოლოგიის ინსტიტუტი 16, 45, 163, 169, 171.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის განმარტებითი ლექსიკონის კომისია 203.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია 7, 205.

ისტორიის ინსტიტუტი აკად. ი. ჯავახიშვილის სახ. 7, 8, 29, 30, 53.

პლინიური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტი 5, 15,
16, 163, 184.

ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტი 14, 156.

შათერმატიკის ინსტიტუტი ა. რაზმაძის სახ. 10, 45, 93, 95.

მეცნიახეობა-მელვინეობის ინსტიტუტი 12, 13, 117, 139.

მეცნიახეობა-მელვინეობის საცდელი საღვური 12, 14, 143.

მემინდვრეობის ინსტიტუტი 12, 14, 117, 148.

მემინდვრეობის საცდელი საღვური 12, 14, 152.

მეხილეობის საცდელი საღვური 12, 13, 145.

მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი 12, 13, 117, 133.

ნიადაგთმულნეობის, მელიორაციისა და აგროქიმიის ინსტიტუტი
5, 12, 13, 117, 137.

ჟამამულო ომის ისტორიის შემსწავლელი კომისია 208.

სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის სამეცნიერო-კვლევითი ინ-
სტიტუტი 16, 188.

სატყეო ინსტიტუტი 12, 13, 117, 130.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი 17, 45 140.

საქართველოს სსრ საწარმოო ძალების შემსწავლელი საბჭო 200.

ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტი 11, 93, 100

ფიზიოლოგიის ინსტიტუტი აკად. ი. ბერიტაშვილის სახ. 15, 93,
163, 175.

ფილოსოფიის ინსტიტუტი 5, 7, 8, 9, 29, 31, 53, 78.

ფსიქოლოგიის ინსტიტუტი 7, 9, 29, 32, 82.

შართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი რუსთაველის სახ.
7, 8, 9, 29, 30, 47.

ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი 7, 8, 9, 29, 74.

ქიმიის ინსტიტუტი 11, 93, 104.

შეცდომების გასწორება

სტრ.	დაბეჭდილია	უნდაიყოს
4	15 ზევ. „მარტივი საბაშმიდელი“	„მარტივი საბაშმიდელი“
5	21 „ (მემცნარეულობა)	(მემცნარეობა)
15	18 „ ფიზიოლოგიის, ექსპერი- მენტული	ფიზიოლოგიის, ზოოლოგიის, ექსპერიმენტული
22	7—8 ქვ. ასპირანტურებისათვის	ასპირანტებისათვის
25	3 ქვ. 1945	1946 .
57	17—18 ზევ. მიწათმფლობელურზე	მონათმფლაბელურზე
61	1 „ ბოლაზოის	ბოლაზეოს
68	6—7 „ ფშავები	ფშაველები
75	21—22 „ დაზომვა	აზომვა
89	1 „ უნიციფირებულია ქართული ტერმინოლოგია.	, რომელშიაც უნიციფირებულია ქართული ტერმინოლოგია
„	5 ქვ. წარმოედა	წარმოებდა
	1 „ მიამაგრა ეკონომიკის შე- სასწავლად	მიამაგრა ცალკეულ საწარმოებს
90	4 ქვ. დაზომილი	მათი ეკონომიკის შესასწავლად
91	5 ზევ. დაზომილია	აზომილი
„	12 „ ”	”
103	3 „ ბიულეტენი ტომი XII,	ბიულეტენი, ტომი XII,
„	4 „ წაკითხულია	წაკითხულია 3
116	5 ქვ. (პროფ. პარენკო)	(პროფ. პარენგო)
121	7 ზევ. რკვევა	ირკვევა
129	8 „ ტრიქსორეტანი	ტრიქსორეტანი
134	14 „ ბეჭვითთა	ბიჭვითთა
146	19 „ 1946 წელს ინსტიტუტის	1946 წელს სადგურის
147	3 „ ინსტიტუტის	სადგურის
157	15 ზევ. მანგანუმის	მაგნიუმის
179	15 „ ძალები	ძალუები
188	9 ქვ. ნაწარმოების	წარმოების
209	2 ზევ. ჩახაშვილი	ჩახვაშვილი
221	5 ზევ. ზედმეტია	ზედმეტია

О Т Ч Е Т

Научно-исследовательской работы АН Грузинской ССР за 1946 г.